

178 /  
1991/3

ISSN 0868-4537



# სამართალი

პრაქტიკა • მეცნიერება • ვუბლიცისტიკა

IUS  
TBILISI GEORGIA

1991'3-4

მთავარი რედაქტორი  
თევდოზე ნინია

სარედაქციო კოლეგია:

- ვაჟა აბაკელია,
- ანგი არსენაშვილი  
(პასუხისმგებელი მდივანი),
- გელა ბარძენიშვილი  
(მთავარი რედაქტორის მოადგილე),
- ოთარ ბაგრატიონი,
- როსანო ბილიაშვილი,
- ავთანდილ დემეტრაშვილი,
- მისერილ კეკელია,
- ფეია ლეჟინიშვილი,
- ალექსანდრე ტალიაშვილი,
- რუსუდან პიტავა,
- ჯონი ჯალაღანია.

ტექნიკური რედაქტორი  
გულნარა გოსიაშვილი

სარედაქციო საბჭო:

ვახტანგ აბაშაძე, ლევან ალექსიძე, ანტონ ბაბიანი, ევგენი ბენდელიანი, გივი იწყერიძე, ოთარ კაციტაძე, თენგიზ ლილუაშვილი, ვალერი ლორია, გიორგი ნაღარკიშვილი, ნოდარ ნებერიძე, ვახტანგ რაჭვეაძე, ჯუჯა რატიანი, გიორგი ტყეშელაძე, მინდია უგრეხელიძე, აკოლონ ფალიაშვილი, იაკობ ფუტყაძე, თამაზ შავჭავჭავაძე, ალექსანდრე შუშანაშვილი, ირაკლი ჩიქოვანი, დილარ ხაბუ-ღიანი, ჯონი ხეტუკიანი, სერგო ჯორჯანიძე.

# საქართველო

№3-4 1991

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

გამოდის 1926 წლიდან

მარტი,  
აგრილი

ს ა ძ ი მ ბ ე ლ ი

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი  
შეუქცევადობის სამანი 2

DE LEGE FERENDA  
ზია მუხარბიანი — ერთი საკანონმდებლო სიახლის გამო 5

დავით სულაძე — დანაშაულის მტკიცება და ნებაყოფლობით  
ხელის აღება დანაშაულის ჩადენაზე 9

პრაქტიკა  
ვახა ჯაფარიანი — სისამართლო ექსპერტიზა — განვითარების გზები 18  
ალექსანდრე ჯავახიანი — თაღლითობის ხერხები 23

ქართული სამართლის ისტორიიდან  
ვახტანგ აბაშაძე — ქართული რენესანსი და შუა საუკუნეების საქართველოს  
ჰუმანისტური იურისპრუდენცია 31

გენერალური შიდა — მემკვიდრის სავალო პასუხისმგებლობა ქართულ  
სამართალში 43

დაბრუნებული სახელედი  
კონსტანტინე მიქელაძე — დემოკრატიული სახელმწიფოს კონსტიტუცია და  
პარლამენტარული რესპუბლიკა 51  
სიახლენი კანონმდებლობაში 79

დოკუმენტები  
კონვენცია ომის დროს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ 94

რეპენიცია  
გიორგი ტყეშელაძე — თანამონაწილეობის პრობლემის სინტერესო  
გამოკვლევა 136

კვანი ნათელი  
ვახტანგ სიღამონიძე 144



## შექმეველთა სახელი

2009

„საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი“  
ერის საუკუნოვანი იდეალების ამსახველი პოლიტიკური დოკუმენტია. როგორც  
ყოველი პოლიტიკური ქმედება, მისი მიღება ისტორიული შედეგების მიხედვით  
შეფასდება. იმპერიის მარწუხებისაგან თავის დაღწევა დამოუკიდებლობის დეკ-  
ლარირებით არ მთავრდება.

დამოუკიდებლობის გამოცხადება არის ეროვნულ-განმათავისუფლებელი  
მოძრაობის კულმინაცია, — წერდა გასულ წელს ჩვენს პრესაში ქართული წარ-  
მოშობის ერთი უცხოელი პოლიტიკოსი. არც არჩევნებამდე, არც არჩევნებში  
გამარჯვების შემდეგ საქართველოს ახალ ხელისუფლებას დამოუკიდებლობის  
დეკლარირება არ მიუჩნევია პირველი რიგის ამოცანად თავისუფლებისათვის  
ბრძოლის გზაზე. პარლამენტის პირველ სხდომაზე გარდამავალი პერიოდი გა-  
მოცხადდა, რასაც უნდა შეემზადებინა დამოუკიდებლობისათვის აუცილებელი  
ეკონომიკური, იურიდიული და პოლიტიკური წანამძღვრები. ამდენად, ცხრა აპ-  
რილს მიღებული დამოუკიდებლობის აქტი ტაქტიკური ნაბიჯია, რომლის მართე-  
ბულობას დეკლარირების დროულობა განსაზღვრავს. რაოდენ დროულია იგი?

პოლიტიკა ემორჩილება მოვლენების და არა პროგრამების ლოგიკას. „ყო-  
ველ პროგრამულ პოლიტიკას თან ახლავს რაღაც ხუცური, — ამბობს ოსვალდ  
შპენგლერი თავის „პოლიტიკის ფილოსოფიაში“ — ცხენის მცოდნე ერთი  
შეხედვით ატყობს ცხოველს თუ რამდენად გამოდგება დოღში. მოთამაშე ერთს  
ჩახედავს მოწინააღმდეგეს თვალეში და უკვე იცის თუ რა უნდა ითამაშოს.  
ქმნადობის საიდუმლო აქტი აქაც და ისტორიულ საქმეშიც ერთი და იგივეა“.  
ეს პოლიტიკური ქმედების ერთგვარი მისტიური მხარეა, რომლის ზუსტ მეც-  
ნიერულ კონსტრუქციებში მოცემა ალბათ შეუძლებელიცაა.

ნათქვამის მიუხედავად, ძნელი არ უნდა იყოს ზოგიერთი გარემოების გამო-  
ყოფა, რომლებიც უცილობლად გაითვალისწინებოდა დამოუკიდებლობის აქტის  
მიღების დროს.

აქტმა უნდა შეასრულოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის იური-  
დიული გარანტიის ფუნქცია იმ სეპარატისტული მოძრაობების საპასუხოდ, რაც  
კრემლის მიერ ინსპირირებულია ოსურ და აფხაზურ მოსახლეობაში. როცა  
მომზადებულია ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულება და თანახმორუფლებიან

საქართველოს  
მ. ი. ბ. ბ.  
ბიბლიოთეკა

მხარეებად შესაძლოა ავტონომიებიც მოგვევლინონ, იქმნება საქართველოს ისტორიული პროვინციების დაკარგვის რეალური საფრთხე. სამოკავშირეო ხელშეკრულების სუბიექტებად ავტონომიების ჩაბმა კრემლის მიერ დამოუკიდებელი ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევა, მისი სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის აშკარა ხელყოფა იქნება.

აქტი იძლევა საერთაშორისო-სამართლებრივი ცნობის საფუძველს. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა იურიდიულად და ფაქტობრივად უცხოეთის ბევრმა ქვეყანამ, მათ შორის საბჭოთა რუსეთმაც აღიარა, რომელმაც შემდგომ დაიპყრო იგი და ძალით მოახვია თავს ფედერაციის სუბიექტობა, ფაქტობრივად, უნიტარული სახელმწიფოს პროვინციად არსებობა. ამით, როგორც საერთაშორისო სამართლის უცხოელი სპეციალისტები მიიჩნევენ (დე ფიურის), საქართველოს სუვერენიტეტი არ გაუქმებულა. თუ საერთაშორისო ორგანიზაციები და საზღვარგარეთის ქვეყნები ანექსირების ფაქტს აღიარებენ, აღბათ უნდა მოხდეს დაკარგული საერთაშორისო მდგომარეობის სრული რეპარაცია, უცხოეთის სახელმწიფოების მხრივ — საქართველოს მთავრობის ცნობა, რაც საერთაშორისო სამართლებრივი აღიარების განსხვავებული სახეა.

აქტი გვესახება როგორც საქართველოს რესპუბლიკის ახალი კონსტიტუციის იურიდიული თავწყარო. დოკუმენტით გათვალისწინებული დებულებანი რესპუბლიკის კანონების მიმართ საერთაშორისო სამართლის ნორმების პრიმატის, ადამიანის უფლებათა დაცვის საკითხებზე საერთაშორისო დეკლარაციების, პაქტებისა და კონვენციების ფუძემდებლურ ღირებულებათა შესახებ საჯულისხმოა მომავალი სამართალშემოქმედების, სამართლის ნორმების გამოყენებისა და შეფარდების დროს.

აქტმა უნდა შეასრულოს ერთგვარი მიჯნის, სამანის ფუნქცია დამოუკიდებლობის შეუქცევადობისა, საიდანაც მხოლოდ თავისუფლების გზით სიარული შეიძლება.

თედო ნინიძე.

შიკა მკვლევარი

## პროექტი საკანონმდებლო სიახლის გამო

1990 წლის 12 ივნისის საკავშირო უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის სამართალწარმოების საფუძვლებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“. აღნიშნული კანონის ერთ-ერთმა მუხლმა (35<sup>1</sup>) ოფიციალურად დაამკვიდრა სისხლის სამართლის საქმეების გამოძიების და მათი სასამართლოში განხილვის დროს მოქალაქეთა სატელეფონო საუბრების მოსმენისა და ჩაწერის პროცესუალური წესი.

ამ საკანონმდებლო სიახლეს არაერთგვაროვნად გამოეხმაურა საკავშირო პრესა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებანი. ვინაიდან, საკითხი ეხება მეტად მწვავე პრობლემას, რომელიც სისხლხორცეულადაა დაკავშირებული ადამიანის უფლებებთან, გვინდა ჩვენი მოსაზრებები გავუზიაროთ ქართველ მკითხველს. ამის აუცილებლობა იმიტაც არის გამოწვეული, რომ უახლოეს პერიოდში მოსალოდნელია რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის რეფორმა და ალბათ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო იმსჯელებს აღნიშნულ პრობლემაზე.

ეს საკანონმდებლო სიახლე სპეციალისტებისათვის მოულოდნელი არ ყოფილა. უკვე საკმაო ხანია იურიდიულ მეცნიერებაში იდგა საკითხი სატელეფონო საუბრების მოსმენის და ჩაწერის საკანონმდებლო წესის დადგენის თაობაზე. ამას იმანაც შეუწყო ხელი, რომ ქვეყანა მანამდე არნახული ე. წ. „კრიმინალური კრიზის“ მდგომარეობაში აღმოჩნდა. იმატა ორგანიზებულმა (რეკეტმა, კორუფციამ და ა. შ.) დანაშაულმა.

თუმცა სატელეფონო საუბრების მოსმენისა და ჩაწერის პროცესუალური წესის შემოღებას ყველა როდი უჭერდა მხარს. მკვლევართა დიდი ჯგუფი მისი კატეგორიული წინააღმდეგი იყო, რადგან მიიჩნევდნენ, რომ გაუმართლებელია მტკიცებულებათა წყაროების გაფართოება მოქალაქეთა კონსტიტუციურ უფლებათა შეზღუდვის ზარაცზე. ცნობილია, რომ როგორც სსრ კავშირის, ისე მოკავშირე რესპუბლიკების კონსტიტუციებში მოქალაქეთა სატელეფონო საუბრების საიდუმლოება აბსოლუტური ხელშეუხებლობით არის გარანტირებული (საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციის 54-ე მუხლი, სსრ კავშირის კონსტიტუციის 56-ე მუხლი) და ამ უფლებების შეზღუდვის კანონიერ საფუძველს არც კონსტიტუციები და არც სხვა საკანონმდებლო აქტები არ ითვალისწინებს. მიუხედავად ამისა, 1990 წლის 12 ივნისის კანონის მიღებამდეც სსრ

<sup>1</sup> «Известия», 1990, 22 июня.

კავშირში საკმაოდ ხშირად მიმართავდნენ მოქალაქეთა სატელეფონო საუბრების მოსმენასა და ჩაწერას. თუმცა, ეს ხდებოდა მალულად, ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა ფარგლებში. აქ გამორიცხული იყო ყოველგვარი გარედან კონტროლი და თვით საპროკურორო ზედამხედველობაც კი. საბჭოთა ოფიციალური პირები, იდეოლოგიური სამსახურები კი ჯიუტად უარყოფდნენ ამ ფაქტებს. მაგრამ ბოლო წლებში პრესის ფურცლებსა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებში, როგორც იტყვიან, „გაჟონა“ რეალობამ, გამოაშკარავდა მოკვლევის ორგანოების საქმიანობის ეს უჩინარი მხარე. შეიქმნა მეტად უხერხული სიტუაცია — ერთი მხრივ, ოფიციალურად იწერებოდა სატელეფონო საუბრების მოსმენის ფაქტებზე, ხოლო მეორე მხრივ, ასევე ოფიციალურად, უარყოფილი იყო მსგავსი შესაძლებლობა.

სატელეფონო საუბრების მოსმენისა და ჩაწერის პროცესუალური წესის შემოღება, უწინარესად, გამოიწვია პრაქტიკის ინტერესებმა, კერძოდ, არსებობს რიგი კატეგორია დანაშაულებისა, რომელთა გახსნა და საქმეზე მტკიცებულებათა შეგროვება შეუძლებელია სატელეფონო საუბრის მოსმენის და მიღებული ფონოგრამის გამოყენების გარეშე. მაგალითად, რეკეტის და ზოგიერთი სახის ისეთი სახელმწიფო დანაშაულის გამოძიების დროს, როცა გამოყენებულია კავშირგაბმულობის საშუალებანი. შეეჩერდეთ ამ უკანასკნელზე.

ბოლო ხანებში ჩვენი საზოგადოება ლამის წაღეკა ე. წ. „სატელეფონო ხულიგნობის“ ტალღამ. განსაკუთრებით მწვავედ იგრძნობა ეს პრობლემა დიდ ქალაქებში. სატელეფონო ხულიგნობის ფაბულა მეტად მარტივია — „სატელეფონო ხულიგანი“ ამოირჩევს მსხვერპლს, განუწყვეტლივ ურეკავს (განსაკუთრებით გვიან ღამით) და, რბილად რომ ვთქვათ, მსხვერპლის ნერვებზე თამაშობს. ხშირად, ეს ერთი შეხედვით „უბრალო ანცობა“ დანაშაულის სახეს იღებს და უმძიმესი შედეგი მოპყვება ხოლმე (თვითმკვლელობები, მკვლელობები, სახელმწიფოსათვის დიდი ოდენობით ზარალის მიყენება და ა. შ.). მაგრამ, რაკი არ არსებობდა ეფექტური სამართლებრივი საშუალება ამ სოციალურ სენთან წარმატებით საბრძოლველად, სამართალდამცავ ორგანოებს, უბრალოდ არ ძალუძდათ რაიმე ელონათ მის წინააღმდეგ. ამ სახის დანაშაულის გახსნისა და გამოძიების მთელი სირთულე კი იმაში მდგომარეობდა, რომ პრაქტიკულად შეუძლებელი იყო მტკიცებულებათა შეგროვება დაზარალებულსა და ეჭვმიტანილს შორის სატელეფონო საუბრების მოსმენისა და მათი მაგნიტოფირზე ფიქსირების გარეშე.

სატელეფონო საუბრების მოსმენისა და ჩაწერის წესი საზღვარგარეთის ქვეყნებში დიდი ხანია არსებობს. ამიტომ, ვფიქრობთ, ზედმეტი არ იქნება თუ მოკლედ მიმოვიხილავთ იმ თავისებურებებს, რომლებიც გააჩნია ზოგიერთი ქვეყნის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობას მოქალაქეთა სატელეფონო საუბრების მოსმენისა და ჩაწერის რეგულირების საქმეში.

აშშ-ში დამნაშავეობის კონტროლისა და ქუჩების უსაფრთხოების შესახებ კანონის (1968 წ.) მიხედვით, პოლიციას უფლება აქვს მოახდინოს მოქალაქეთა სატელეფონო საუბრების მოსმენა და ჩაწერა მტკიცებულებათა მიღების მიზნით მხოლოდ ფელონის (ე. ი. მძიმე დანაშაულის) გამოძიების დროს. სატელეფონო საუბრის მოსმენისა და ჩაწერის ორდერს სასამართლო იძლევა სათანადო არგუმენტირებული წერილობითი განაცხადის საფუძველზე, რომელშიც მკაფიოდ უნდა ჩანდეს თუ რატომ თვლის პოლიცია აუცილებლად კონკრეტული პირის სატელეფონო საუბრის მოსმენასა და ჩაწერას. მართალია აშშ-ს და შტატის



გენერალურ პროკურორებსაც აქვთ უფლება კანონით მკაცრად განსაზღვრულ შემთხვევებში (მაგალითად, როდესაც საფრთხე ემუქრება ამერიკის ეროვნული უშიშროების ინტერესებს) საკუთარი ინიციატივით მოახდინოს მოქალაქეთა სატელეფონო საუბრების მოსმენა და ჩაწერა, ოღონდ იმ პირობით, რომ საქმეზე ნამდვილად არსებობს ისეთი გარემოებანი, რომ 48 საათის გასვლის შემდეგ სასამართლო ნამდვილად გასცემს შესაბამის ორდერს. თუ სასამართლომ უარი თქვა ორდერის გაცემაზე, სატელეფონო საუბრის მოსმენა-ჩაწერა დაუყოვნებლივ წყდება, ხოლო არსებული ფონოგრამა განადგურებას ექვემდებარება.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ აშშ-ს სინამდვილეში მოქალაქეთა სატელეფონო საუბრების მოსმენასა და ჩაწერას იშვიათად მიმართავენ, ამის მიზეზი, პირველ რიგში, სასამართლოს მხრიდან მკაცრი კონტროლია. გარდა ამისა, ამერიკა „პრაივეისი“ სამშობლო და ადამიანის კონსტიტუციური უფლებათა თვით კანონიერ შეზღუდვის შემთხვევებს კი სამართალდამცავი ორგანოები ტრადიციულად ერიდებიან ხოლმე. მაგალითად, მასაჩუსეტის შტატის პროკურორმა კონკრეტული პიროვნების სატელეფონო საუბრის მოსმენისა და ჩაწერის ნებართვის მისაღებად სასამართლოს პირველად მხოლოდ სამი წლის წინ მიმართა და ისიც 12 გვერდიანი არგუმენტირებული განაცხადით. საქმის მასალების გაცნობისა და ყველა გარემოების სათანადო ანალიზის შემდეგ, სასამართლომ ორდერის გაცემაზე უარი განუცხადა შტატის გენერალურ პროკურორს<sup>2</sup>.

თითქმის ანალოგიურ წესს ითვალისწინებს გერმანიის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაც.

ეს მიმოხილვა კიდევ შეიძლებოდა გაგვეგრძელებინა მაგრამ, ვფიქრობთ, საზღვარგარეთის ამ ორი მოწინავე ქვეყნის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ რაც არ უნდა უხერხულობას უქმნიდეს მოქალაქეთა პირადი ცხოვრების საიდუმლოების დაცვის კონსტიტუციურ უფლებას სატელეფონო საუბრების მოსმენის და ჩაწერის თუნდაც კანონით მკაცრად რეგლამენტირებული წესის არსებობა, ცალკეული ადამიანის უფლებათა დაცვა არ უნდა დაუპირისპირდეს მთელი საზოგადოების, კერძოდ, საზოგადოებრივი უშიშროების ინტერესებს. მაგრამ, ყოველივე ზემოთ თქმული არ ნიშნავს, თუნდაც დამნაშავეობასთან ბრძოლის საბაბით, მოქალაქეთა პირად ცხოვრებაში სახელმწიფო ორგანოების ტოტალურ ჩარევას. აუცილებელია კანონით წინასწარ მკაცრად განსაზღვრული გარანტიების განუხრელი დაცვა და ყოველგვარი „თვითშემოქმედების“ მაქსიმალურად გამორიცხვა გამოძიების, პროკურატურისა და სასამართლო ორგანოების მხრიდან.

იძლევა კი ყოველივე ამის საფუძველს სსრ კავშირის 1990 წლის 12 ივნისის კანონი? წინასწარ გვინდა განვაცხადოთ, რომ არა! ამის საილუსტრაციოდ გავეყვით კანონის ტექსტს.

კანონი ითვალისწინებს მოქალაქეთა არა მხოლოდ სატელეფონო, არამედ სხვა სალაპარაკო მოწყობილობათა მოსმენის და ჩაწერის შესაძლებლობასაც. თუ რა იგულისხმება ამ „სხვა სალაპარაკო მოწყობილობათა“ ცნებაში, არაფერია ნათქვამი.

კანონით გათვალისწინებულია სატელეფონო და სხვა სალაპარაკო მოწყო-

<sup>2</sup> Гамаюнов И., Страх, «Лит. газета», 1990, № 14.

ბილობათა მოსმენისა და ჩაწერის შესაძლებლობა მხოლოდ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის შემდეგ, რაც უქვევლად დადებითი ნაბიჯია. თუმცა, უნდა იქნას რავითარ კრიტიკას ვერ უძლებს კანონის დებულება, რომ მოსმენისა და ჩაწერის რის „აღრესატები“ შეიძლება იყვნენ არა მხოლოდ ეჭვმიტანილი და ბრალდებული, არამედ „დანაშაულთან დაკავშირებული პირები“ (1). ეს აშკარად უგუხურება, რადგან გამოდის, რომ შეიძლება მოსმენილი და ჩაწერილი იქნეს არა მხოლოდ ეჭვმიტანილი და ბრალდებული, არამედ დაზარალებული, მოწმე, სპეციალისტი და ა. შ.

სატელეფონო და სხვა სალაპარაკო მოწყობილობათა მოსმენა და ჩაწერა შეიძლება მხოლოდ პროკურორის მიერ სანქციონირებული გამოძიებლის მიერ გამოტანილი მოტივირებული დადგენილებით ან სასამართლოს განჩინებით, იმ პირობით, თუ საქმარისი საფუძველია, რომ სწორედ ამ სალაპარაკო მოწყობილობის მოსმენის შედეგად მიიღება ისეთი მონაცემები, რომლებსაც საქმისათვის ექნებათ არსებითი მნიშვნელობა. აქვე კანონი მოსმენისა და ჩაწერის მაქსიმალურ ვადას განსაზღვრავს ექვსი თვით. გარდა ამისა, მოწმის ან დაზარალებულის მიმართ ძალადობის, გამოძალვის ან სხვა მართლსაწინააღმდეგო მოქმედების შემთხვევაში, მათივე განცხადებით ან თანხმობით შესაძლებელია აღნიშნული პირების სატელეფონო საუბრების მოსმენა და ჩაწერა. ახალმა კანონმა მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მიზნით, ჩაწერის შედეგად მიღებული ფონოგრამის შესაძლო ფალსიფიკაციის გამორიცხვისათვის დამატებითი პროცესუალური გარანტიები გაითვალისწინა. კერძოდ, სატელეფონო საუბრის მოსმენისა და ჩაწერის მონაწილეებს წინასწარ აფრთხილებენ პასუხისმგებლობის შესახებ მიღებულ გარემოებათა განმარტებისთვის; მოქალაქეთა საუბრების მოსმენისა და ჩაწერის მიმდინარეობის შესახებ სავალდებულოა სათანადო ოქმის შედგენა; მიღებული ფონოგრამა თან უნდა ერთვოდეს ოქმს. ფონოგრამის ის ნაწილი, რომელსაც მნიშვნელობა არა აქვს საქმისათვის, განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის მომენტიდან განადგურებას ექვემდებარება.


მართალია, თითქმის ერთი წელი გავიდა, რაც სატელეფონო და სხვა სახის სალაპარაკო მოწყობილობათა მოსმენისა და ჩაწერის შესახებ კანონი ძალაში შევიდა და ჩვენს რესპუბლიკაში უკვე გაჩნდა მეტად უმნიშვნელო პრაქტიკა, მაგრამ ეს, სამწუხაროდ, ჯერ არ იძლევა განზოგადების საშუალებას.

ჩვენი რესპუბლიკის საგამოძიებო ორგანოებს სატელეფონო საუბრების მოსმენისა და ჩაწერის დადგენილებები, ძირითადად ძებნაში მყოფი პირების მიმართ გამოაქვთ. თბილისში ასეთი სახის დადგენილებები თითზეა ჩამოსათვლელი და ჭერჭერობით ძნელია აღნიშნული საკანონმდებლო აქტის ეფექტიანობაზე საუბარი. მეტად საინტერესო იქნება თუ როგორ „იმუშავებენ“ სატელეფონო საუბრების ფონოგრამები სისხლის სამართლის საქმეების სასამართლო განხილვის დროს. დღეისათვის კი ვერც ერთი ასეთი ფაქტი რესპუბლიკის სასამართლოების პრაქტიკაში ვერ აღმოვაჩინეთ.

და კიდევ: მეტად საეჭვოდ გვეჩვენება აღნიშნული კანონის ზოგიერთი დებულება, კერძოდ, სასამართლოს უფლება თავისი განჩინებით ჩაატაროს სატელეფონო და სხვა სახის სალაპარაკო მოწყობილობათა მოსმენა და ჩაწერა. ჯერ ერთი, კონკრეტული პირის სატელეფონო საუბრის მოსმენისა და ჩაწერას მხოლოდ მაშინ შეუძლია ღირებული ინფორმაციის მოცემა, თუ იგი ამ პირისგან ფარულად ტარდება. სასამართლო კი, როგორც წესი, ღიად მიმდინარეობს და

მის მსვლელობას საკმაოდ ბევრი, საქმის შედეგებით დაინტერესებული პირი ადევნებს თვალყურს (დამცველი, დაზარალებული და ა. შ.). შეიძლება რაიმე სახის ასეთ პირობებში ინფორმაციის გაზიარებისაგან ვიყოთ დაზღვევნი? ანა? მეორე, შეესაბამება კი აღნიშნული უფლება სასამართლოს, როგორც მართლმსაჯულების განმხორციელებელი ორგანოს მაღალ მისიას, რომელმაც აბსოლუტურად მიუკერძოებლად უნდა გადაწყვიტოს მხარეებს შორის არსებული დავა განსასჯელის ბრალეულობის თუ არაბრალეულობის შესახებ? თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ არ შეესაბამება!

და ბოლოს, შეიძლება დავასკვნათ: „სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართალწარმოების საფუძვლებში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ სსრ კავშირის 1990 წლის 12 ივნისის კანონის 351 მუხლი სატელეფონო და სხვა სახის სალაპარაკო მოწყობილობათა მოსმენის შესახებ მეტად სუსტია. ამასთან, იგი ისეთ დეფექტებს შეიცავს, რომ აღნიშნული რედაქციით მისი საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში გადმოტანა, სხვა რომ არაფერი ვთქვათ, მიუტევებელი შეცდომა იქნებოდა.



დავით სულაველიძე

## დანაშაულის მცდელობა და ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულის ჩადენაზე

სისხლის სამართლის ორ მნიშვნელოვან ინსტიტუტს — დანაშაულის მცდელობასა და დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე ნებაყოფლობით ხელის აღებას შორის ურთიერთდამოკიდებულების საკითხი ყოველთვის იყო და არის მეცნიერ-კრიმინალისტთა ყურადღების არეში, რადგან ეს საკითხი შეიცავს ზოგიერთ თეორიულ პრობლემას და ამავე დროს, მას აქვს განსაზღვრული პრაქტიკული მნიშვნელობაც.

ამ ურთიერთდამოკიდებულების გამოსარკვევად, უწინარესად, საჭიროა შევეხოთ ცნებათა საკითხს. მოკმედ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში დანაშაულის მცდელობის ცნება მოცემულია, ხოლო დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღების ცნება არ არის განსაზღვრული. ამიტომ, პირველ რიგში, მივმართავთ ამ საკითხის თეორიულ კონსტრუირებას და ამის შემდეგ მივუბრუნდებით მცდელობის ცნებას. სისხლის სამართლის თეორიის მიხედვით დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღებად უნდა ჩაითვალოს სუბიექტის მიერ მისგან დაწყებული დანაშაულებრივი ქმედობის შემდგომ გაგრძელებაზე თავისი ნებთ უარის თქმა, ე. ი. მისი საბოლოოდ

შეწყვეტა ანდა ამ დანაშაულის დამთავრების თავიდან აცილება, თუ ამასთან იგი შესაძლებლად თვლიდა დანაშაულის ბოლომდე მიყვანას.

დანაშაულის მცდელობის ცნება განსაზღვრულია სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების მე-16 მუხლის მე-2 ნაწილში: „დანაშაულის მცდელობად ჩაითვლება განზრახ მოქმედება, რომელიც უშუალოდ მიმართულია დანაშაულის ჩასადენად, თუ ამასთან დანაშაული ბოლომდე არ იქნა მიყვანილი დამნაშავეის ნებისაგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო (იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილი). მიუხედავად ზოგიერთი არსებითი თუ მეორეხარისხოვანი ხარვეზისა, დანაშაულის მცდელობის ეს საკანონმდებლო ცნება წინათ არასდროს გამხდარა კრიტიკისა და კამათის ობიექტი იურიდიულ ლიტერატურაში. მხოლოდ რამდენიმე წლის წინ კრიტიკულად გადასინჯა იგი ესტონელმა კრიმინალისტმა ი. რებანემ<sup>1</sup>. მან მიუთითა იმ წინააღმდეგობებზე, რომლებსაც ქმნის დანაშაულის მცდელობის ცნების საკანონმდებლო განსაზღვრება. მასში მცდელობის ერთ-ერთ აუცილებელ ნიშნად არის გამოცხადებული ის, რომ დანაშაული დაუმთავრებელი უნდა დარჩეს „დამნაშავეის ნებისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით“. მაშასადამე, თუ დამნაშავემ მცდელობის ბოლო მომენტში თავისი ნებით შეწყვეტა ქმედობა, მაშინ უკვე ჩადენილი ქმედობა აღარ შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულად, თითქოს იგი არ შეიცავს დანაშაულის შემადგენლობას. ამავე დროს, განზრახი დანაშაულის განვითარების ისეთი ადრეული სტადია, როგორიცაა დანაშაულის მომზადება, ყოველთვის შეიცავს შემადგენლობას, ვინაიდან მისი ცნება არ შეიცავს დათქმას, რომ დანაშაული დაუმთავრებელი უნდა დარჩეს დამნაშავეის ნებისაგან დამოუკიდებელი მიზეზებით. წარმოიშობა პარადოქსული ვითარება, კერძოდ, დამნაშავეის ქმედობა მომზადების ადრეულ სტადიაზე შეიცავს დანაშაულის შემადგენლობას, ხოლო თუ ეს ქმედობა გაგრძელდა და გადაიზარდა დანაშაულის მცდელობის სტადიაში, რა დროსაც დამნაშავემ თავისი ნებით აიცილია დანაშაულის დამთავრება, იგი უკვე აღარ შეიცავს დანაშაულის შემადგენლობას. უნდა ითქვას, რომ ეს ბოლო მცდარი თვალსაზრისი, რომლის მიხედვით ნებაყოფლობით შეწყვეტილი მცდელობა არ შეიცავს დანაშაულის შემადგენლობას და იგი აღარ არის დანაშაული, საკმაოდ გავრცელებულია საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში. დანაშაულის მცდელობის საკანონმდებლო ცნების წინააღმდეგ ი. რებანემ კიდევ ერთი საფუძვლიანი არგუმენტი წამოაყენა. მცდელობის ამ ცნებიდან გამომდინარე, თანამონაწილეობის დროს თუ ამსრულებელმა უკანასკნელ მომენტში თავისი ნებით აიცილია დანაშაულის დამთავრება, მაშინ ამით ავტომატურად უქმდება თანამონაწილეობაც, ვინაიდან აღარ არის დანაშაულის მცდელობა და მაშასადამე, ამსრულებელიც, ამსრულებლის არარსებობისას თანამონაწილეობა ხომ შეუძლებელია. გამოდის, რომ მოქმედი კანონის მიხედვით, ამსრულებლის მიერ დანაშაულის დამთავრებაზე თავისი ნებით ხელის აღებისას, მის თანამზრახველებს — წამქეზებელსა და დამხმარეს, რომელთაც ხელი არ აუღიათ დანაშაულის ჩადენაზე, პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროთ მხოლოდ დანაშაულის მომზადებისათვის, და არა დანაშაულის ჩადენის მცდელობაში თანამონაწილეო-

<sup>1</sup> Ребане И. А., О соучастии на стадии предварительной преступной деятельности (вопросы квалификации). В кн.: «О соучастии в преступлении. Труды по правоведению. Ученые записки Тартуского госуд. университета, Тарту, 1985, с. 3—15.

ბისათვის, რასაც სინამდვილეში ჰქონდა ადგილი. ამიტომ, ჩემი აზრით, მარტინი  
თალია ი. რებანე, როცა მითითებული გარემოებებიდან გამომდინარე, აღნიშნუ  
ნავს, რომ დანაშაულის მცდელობის ნორმატიული ცნებიდან ამოსაღებია ისეთი  
ნიშანი, როგორცაა დანაშაულის დაუშვებლობა „დანაშაულის ნებისაგან და-  
მოუკიდებელი მიზეზების გამო“.

მოცემულ საკითხზე ერთგვარად განსხვავებული თვალსაზრისი ჰქონდა  
პროფესორ თ. წერეთელს. მისი აზრით, ტერმინი „დანაშაულის მცდელობა“  
შეიძლება ორი მნიშვნელობით გავიგოთ. ფართო მნიშვნელობით იგი ნება-  
ყოფლობით მიტოვებულ დანაშაულსაც მოიცავს, ვიწრო მნიშვნელობით კი  
მხოლოდ დასჯად მცდელობას ნიშნავს. კანონში კი, როგორც წესი, მოცემულია  
ხოლმე დასჯადი მცდელობის ცნება<sup>2</sup>. თუ ამ აზრს ლოგიკურად გავყვებით,  
უნდა ვალიაროთ, რომ სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების  
მე-16 მუხლის მე-2 ნაწილში მოცემულია დასჯადი მცდელობის ცნება, რომე-  
ლიც წინააღმდეგობაშია ამავე მუხლის პირველი ნაწილის შინაარსთან. სამწუ-  
ხაროდ, თანამედროვე საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში ეს ცნება გავე-  
ბულია დანაშაულის მცდელობის ზოგად ცნებად, ე. ი. ფართო მნიშვნელო-  
ბით, რაც პრობლემის არსში გაურკვევლობის შედეგია.


დანაშაულის მცდელობის საბჭოთა საკანონმდებლო ცნებაში გვხვდება  
სხვა ხასიათის უზუსტობანიც. მაგალითად, მასში აღნიშნულია: „მცდელობად  
ჩაითვლება განზრახ მოქმედება“. ამან შესაძლოა შექმნას შთაბეჭდილება,  
რომ მცდელობა დასაშვებია ყოველნაირი განზრახვი მოქმედებისას. სინამდ-  
ვილეში მცდელობა მხოლოდ პირდაპირი განზრახვითაა შესაძლებელი. გარდა  
ამისა, უზუსტოა ტერმინიც „მოქმედება“, ვინაიდან პრაქტიკულად არ არის ვა-  
მორიცხული მცდელობა დანაშაულებრივი უმოქმედობის დროსაც. მაგა-  
ლითად, თუ ექიმი არ ცხადდება მიძიმე ავადმყოფთან სპეციალური მიზნით,  
რათა ავადმყოფი მოკვდეს, ასეთ შემთხვევაში ექიმის მიერ ჩადენილია მკვლე-  
ლობის მცდელობა უმოქმედობით.

ეჭვს იწვევს აგრეთვე მცდელობის საკანონმდებლო ცნებაში გამოყენებუ-  
ლი ფრაზა — „...მოქმედება, რომელიც უშუალოდ მიმართულია დანაშაულის  
ჩასადენად“... თითქოს თვით მცდელობის ქმედობა ჯერ კიდევ არ ნიშნავდეს  
დანაშაულის ჩადენას. სინამდვილეში თვით მცდელობის ქმედობის განხორ-  
ციელების დაწყებაც კი უკვე დანაშაულია. ი. რებანე კმაყოფილდება დანა-  
შაულის მცდელობის საკანონმდებლო ცნებიდან მხოლოდ ზემოთ მითითებუ-  
ლი ერთი ფრაზის ამოღებით, რაც ცხადია ვერ უზრუნველყოფს მის განსაზღ-  
ვრებაში გამოვლენილი ყველა ხარვეზის აღმოფხვრას.

ჯერ კიდევ პროფესორი ა. გერცენზონი წერდა, რომ მცდელობად უნდა  
ჩაითვალოს დანაშაულის ჩასადენად მიმართული მოქმედება, რომელსაც და-  
ნაშაულებრივი შედეგი არ მოჰყვა როგორც სუბიექტზე დამოკიდებული, ისე  
მასზე დამოუკიდებელი მიზეზების გამო<sup>3</sup>. ვიზიარებ ამ თვალსაზრისს და მი-  
ზანშეწონილად ვფიქრობ, რომ სისხლის სამართლის კანონში განისაზღვროს და-  
ნაშაულის მცდელობის ისეთი ზოგადი ცნება, რომლითაც, მოცული იქნება  
მცდელობის ყველა შესაძლებელი სახე, მათ შორის ნებაყოფლობით შეწყ-  
ვეტილი მცდელობაც, ამავე დროს დაიძლევა აღმოჩენილი ხარვეზებიც. ზო-  
გადი ცნება შეიძლება ასეთი სახით ჩამოყალიბდეს: „დანაშაულის მცდელობად

<sup>2</sup> თ. წერეთელი, დანაშაულის მომზადება და მცდელობა, თბ., 1961, გვ. 135.

<sup>3</sup> Герцензон А. А., Уголовное право. Часть общая, М., 1948, с. 354.



ჩაითვლება უშუალოდ დანაშაულის აღსასრულებლად მიმართული ქმედობის პირდაპირი განზრახვით ჩადენა, თუ ამასთანავე დანაშაული არ იყო ბოლომდე მიყვანილი“.


მართებული თვალსაზრისით დამნაშავის მიერ ნებაყოფლობით მიტოვებული ან შეწყვეტილი მცდელობის ქმედობაც უნდა ჩაითვალოს დანაშაულის მცდელობის ერთ-ერთ სახედ. ნებაყოფლობით შეწყვეტის მომენტამდე უკვე ჩადენილი ქმედობა შეიცავს დანაშაულის მცდელობის ყველა ნიშანს, ჯერ ერთი, ეს ქმედობა არის საზოგადოებრივად საშიში და მართლსაწინააღმდეგო, მეორე, იგი შეიცავს კონკრეტული დანაშაულის შემადგენლობას, და ბოლოს, ჩადენილია ბრალეულად, ვინაიდან წარმართული იყო პირდაპირი განზრახვით. ასეთი ქმედობის ჩამდენი კი არის ჩვეულებრივი დამნაშავე. ამ გარემოებათა უგულვებელყოფა შეუძლებელია, ვინაიდან ეს იგივე იქნებოდა, რაც მომხდარი ფაქტის არარსებულად გამოცხადება. საილუსტრაციოდ ავიღოთ სპეკულაციის მაგალითი. დავეშვათ, პირმა შეისყიდა დიდი რაოდენობით დეფიციტური საქონელი ზედმეტ ფასებში გადაყიდვისა და გამორჩენის მიღების მიზნით. ამ მომენტში იგი დააკავეს. ყველაფერი ცხადია — სახეზეა სპეკულაციის მცდელობა. დავსვათ ასეთი კითხვა: რა შეიცვლებოდა იმ შემთხვევაში თუ საქონლის შესყიდვის შემდეგ პირი თვითონვე იტყოდა უარს ნებაყოფლობით მის გადაყიდვაზე? არსებითად არაფერი. როგორც პირველ, ისე მეორე შემთხვევაში მის მიერ უკვე განხორციელებული ქმედობა საზოგადოებრივად საშიშია და წარმოადგენს ბრალეულად ჩადენილ სპეკულაციის (მცდელობის) უმართებლობას, რომლის დამაფუძნებელი არის გამორჩენის მიღების მიზანი. გარდა ამისა, ორივე შემთხვევაში შედეგიც ერთნაირია — დანაშაულის შეწყვეტა მისი განვითარების ერთიდაიგივე ეტაპზე. რაშია განსხვავება? განსხვავება არსებობს სუბიექტურ სფეროში. კერძოდ, თუ პირველ შემთხვევაში დანაშაულის შეწყვეტა ხდება სუბიექტის ნების წინააღმდეგ, მეორე შემთხვევაში დანაშაულებრივი ქმედობის შეწყვეტა ხდება თვით სუბიექტის მიერ საკუთარი ნება-სურვილით. მაგრამ ეს უკანასკნელი არის კი ისეთი სუბიექტური გარემოება, რომელსაც შეუძლია ზემოქმედება იქონიოს უკვე ჩადენილი ქმედობის ობიექტურ შინაარსზე და მის სამართლებრივ, თუ მორალურ შეფასებაზე, კერძოდ, გააქარწყლოს მისი დანაშაულებრიობა? ჩემი აზრით — არა.

არ უარვყოფ იმ უცილობელ ფაქტს, რომ ზოგიერთი სუბიექტური მომენტი არსებით გავლენას ახდენს ქმედობის ობიექტურ შინაარსზე და მის იურიდიულ კვალიფიკაციაზე. ეს არაერთხელ არის აღნიშნული და დასაბუთებულიც იურიდიულ ლიტერატურაში, განსაკუთრებით გერმანელი და ქართველი კრიმინალისტების მიერ. მაგალითად, ერთი და იგივე მოქმედება მიზანზე დამოკიდებულებით სხვადასხვაგვარად შეიძლება შეფასდეს სოციალური და სამართლებრივი თვალსაზრისით. სხვისი ავტომანქანის ფარულად წაყვანა ერთ შემთხვევაში შეიძლება ჩადენილი იყოს მისი მოპარვის მიზნით, მეორე შემთხვევაში — დროებითი გამოყენებისთვის, მესამე შემთხვევაში — უკიდურესი აუცილებლობის გამო, მძიმე ავადმყოფის გადასაყვანად და სხვ. ამასთანავე, მიზანსა თუ სხვა მსგავს სუბიექტურ გარემოებებს გავლენის მოხდენა ქმედობის შინაარსზე და მის ნორმატულ შეფასებაზე შეუძლია იმდენად, რამდენადაც

ისინი თავიდანვე იქნებიან ჩართული ქმედობაში და ეს უკანასკნელიც მათ საფუძველზე იქნება წარმართული. ხელის აღების ნებაყოფლობითობა, გორც სუბიექტური მომენტი, ვერავითარ გავლენას ვერ იქონებს უკვე ჩადენილი სპეკულაციის მცდელობის ქმედობის ობიექტურ შინაარსზე და მის იურიდიულ მნიშვნელობაზე, ვინაიდან იგი აღმოცენდა ამ ქმედობის ჩადენის შემდეგ. ქმედობის სამართლებრივ შეფასებაზე, რომელიც უკვე წარსულს განეკუთვნება, ვეღარ იმოქმედებს მისი ჩადენის შემდეგ აღმოცენებული სუბიექტური გარემოებები. ვფიქრობთ, აქ სადაო არაფერი არ უნდა იყოს.

დანაშაულის მცდელობისა და დანაშაულის ჩადენაზე ნებაყოფლობით ხელის აღების ურთიერთდამოკიდებულების საკითხი, აუცილებლობით მიდის ასეთ პრობლემამდე — რომელია პირდაპირი განზრახვით წარმართული დანაშაულის განვითარების ის ბოლო ეტაპი, ის ბოლო მომენტი, რომლის დროსაც ჯერ კიდევ შესაძლებელია ნებაყოფლობით ხელის აღება? სისხლის სამართლის თეორიაში ამ პრობლემას უშუალოდ აკავშირებენ დანაშაულის მცდელობის ქვეეტაპებად, ქვესახეებად დაყოფასთან, ე. წ. დაუმთავრებელ და დამთავრებულ მცდელობად, მათი გამიჯვნის კრიტერიუმებთან. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობა არ იცნობს მის სახეებად დაყოფას. კრიმინალისტთა ერთი ნაწილი მეტად სკეპტიკურად არის განწყობილი მცდელობის სახეებად დაყოფის მიმართ. ამას ისინი სხვადასხვა მოტივით ხსნიან. მაგალითად, იმით, რომ ასეთ დაყოფას აქვს უაღრესად პირობითი ხასიათი და არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, რომ თავისთავად მცდელობა იმდენად სწრაფმიმდინარე პროცესია, შეუძლებელია მასში რაიმე ქვეეტაპების გამოყოფა, რომ ძნელია მოიძებნოს ისეთი საიმედო კრიტერიუმები, რომლითაც შესაძლებელი იქნება მათი ზუსტი გამიჯვნა. ამ მოსაზრებათა მომხრეებიდან საკმარისია დავასახვლოთ ცნობილი რევოლუციამდელი კრიმინალისტი ნ. ტაგანცევი, ხოლო თანამედროვე პერიოდიდან პროფ. ნ. კუზნეცოვა. მაგრამ კრიმინალისტების უმრავლესობა ოდითგანვე მხარს უჭერს დანაშაულის მცდელობის სახეებად დაყოფას და ამას არსებითად თვლის დანაშაულზე ნებაყოფლობით ხელის აღებასთან მიმართებაში, განსხვავებით ნ. კუზნეცოვასაგან, რომელსაც დანაშაულის მცდელობა და ნებაყოფლობით მიტოვებული დანაშაული ურთიერთგამომრიცხველ ცნებებად მიაჩნია. საკუთრივ ჩემ თვალსაზრისს დანაშაულის მცდელობის სახეებად დაყოფის კრიტერიუმებსა და ნებაყოფლობით ხელის აღებასთან მათ დამოკიდებულებაზე ცოტა მოგვიანებით შევეხები, მანამდე კი განვიხილავ იურიდიულ ლიტერატურაში ხსენებულ საკითხებზე გამოთქმულ შეხედულებებს.

ძველთაგანვე სადაოდ ითვლება საკითხი — რა ნიშნის საფუძველზე უნდა გაიმიჯნოს ერთმანეთისაგან დამთავრებული და დაუმთავრებელი მცდელობა? რა არის თითოეული მათგანი? სისხლის სამართლის თეორიაში ამ საკითხზე დიდი ხანია არსებობს ორი ძირითადი პოზიცია, სახელდობრ, ობიექტური და სუბიექტური მიმართულება. პირველის მომხრენი თვლიან, რომ დამთავრებული და დაუმთავრებელი მცდელობა უნდა განისაზღვროს და ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს ობიექტური ნიშნის საფუძველზე. მათი ძირითადი დებულება ასეთია — დამთავრებულია მცდელობა თუ პირმა გააკეთა ყველაფერი, რაც ობი-



ექტურად აუცილებელი იყო დანაშაულის ჩასადენად. წინააღმდეგ შემთხვევაში, მცდელობა დაუმთავრებელია. ამ მიმართულებას ეკუთვნიან XIX საუკუნის გერმანელი კრიმინალისტი ბაუერი, იტალიელი კრიმინალისტი მანცინი, რევოლუციამდელი რუსი კრიმინალისტიები კალმიკოვი და სპასოვიჩი, საბჭოთა კრიმინალისტიები მ. შარგოროდსკი, თ. წერეთელი და ბ. ვოლკოვი. ობიექტური მიმართულების წარმომადგენელთა ძირითადი დებულება შეიცავს შინაგან უზუსტობას, რასაც სამართლიანად უსაყვედურებენ მათი მოწინააღმდეგენი. მართლაც, თუ სუბიექტმა გააკეთა ყოველივე, რაც აუცილებელი იყო ან რაც მისი მხრივ საჭირო იყო (პროფ. თ. წერეთელი) დანაშაულის ბოლომდე მისაყვანად, მაშინ დანაშაული აუცილებლად უნდა დამთავრებულიყო, ე. ი. შესაძლებლობა უნდა ქცეულიყო სინამდვილედ. ამგვარად, შემოთავაზებული კრიტერიუმების გამოყენება შეუძლებელი ხდება.

თანამედროვე პერიოდის სისხლის სამართლის თეორიაში გაბატონებულია სუბიექტური მიმართულება როგორც უცხოურ, ისე საბჭოთა სისხლის სამართალში. მისი მომხრენი დამთავრებულ და დაუმთავრებელ მცდელობას განსაზღვრავენ და ერთმანეთისაგან მიჯნავენ სუბიექტური ნიშნის მიხედვით. მათი ძირითადი დებულება ასეთია: დამთავრებულია მცდელობა თუ დანაშაულზე გააკეთა ყველაფერი, რასაც ის აუცილებლად თვლიდა დანაშაულებრივი შედეგის მისაღწევად. ამ დებულების ძირითად ნაკლად ითვლება ის, რომ ჩადენილი ქმედობის საშიშროების ზომა განისაზღვრება თვით მისი ჩადენის წმინდა სუბიექტური შეხედულებების საფუძველზე. რა თქმა უნდა, ასეთი მიდგომა მართლაც მიუღებელია. გარდა ამისა, ჩვენი აზრით, ხსენებული კრიტერიუმი მიუღებელია კიდევ ერთი გარემოების გამო. პრაქტიკულად გამორიცხული როდია ისეთი შემთხვევები, როდესაც პირი სულაც არ ფიქრობს იმაზე, თუ რისი გაკეთებაა აუცილებელი და საკმარისი დანაშაულის ბოლომდე მისაყვანად. მიუხედავად იმისა, რომ მოქმედებს პირდაპირი განზრახვით, ვერ მოვთხოვთ სუბიექტს შეუდგეს იმის ანგარიშსა და გამოთვლას თუ მისი მხრივ რისი გაკეთება იქნება საკმარისი დანაშაულის დამთავრებისათვის. უმრავლეს შემთხვევაში დანაშაულები ალბათ სულაც არ ფიქრობენ მსგავსს რამეებზე. ასეთ დროს როგორღა განვსაზღვროთ რასთან გვაქვს საქმე — დამთავრებულ თუ დაუმთავრებელ მცდელობასთან? ამგვარად, ვერც სუბიექტური კრიტერიუმი ვერ აღწევს დასახულ მიზანს.

იურიდიულ ლიტერატურაში არსებობს კიდევ ერთი პოზიცია, რომელიც ცდილობს მცდელობის სახეებად გამოიყენოს ერთობლიობაში გამოიყენოს როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური კრიტერიუმი. ასეთ პოზიციაზეა მ. ვაინფელდი. მისი აზრით, მცდელობა უნდა ჩაითვალოს დამთავრებულად, როცა ჩადენილია ის მოქმედებები, რომლებსაც პირი „თვლიდა აუცილებლად, და რომლებიც სინამდვილეშიც აუცილებელი იყო დანაშაულის ჩასადენად“.<sup>4</sup> პროფესორი ა. გერცენზონი კი მიიჩნევს, რომ საკითხი — ობიექტური თუ სუბიექტური კრიტერიუმი დაედოს საფუძველად დამთავრებული და დაუმთავრებელი მცდელობის გამოიყვანას. „...არ შეიძლება გადაწყდეს ზოგადი ფორ-

<sup>4</sup> Вейнфельд М., Рецензия на книгу Б. С. Утевского «Уголовное право», «Социалистическая законность», 1951, № 9.



მით, თითოეულ კონკრეტულ შემთხვევაში განისაზღვრება როგორც კონკრეტული. ისე სუბიექტური კრიტერიუმები<sup>5</sup>. რა შეიძლება ითქვას აღნიშნულ დებულებებზე? მ. ვაინფელდის ფორმულას თან ახლავს ის ნაკლოვანებები, რაც გააჩნდა ობიექტურ და სუბიექტურ კრიტერიუმებს ცალ-ცალკე. ეს ფორმულა ხომ მიითითებელი კრიტერიუმების მექანიკური შეერთებაა. შეუძლებელია სუბიექტის წარმოდგენები ყოველთვის დაემთხვას დანაშაულის ჩადენის რეალურ ვითარებას. ა. გერცენზონი კი, როგორც ვნახეთ, საერთოდ შეუძლებლად აცხადებს ზოგადი უნივერსალური ფორმულის შემუშავებას და ყოველ ცალკეულ შემთხვევაში გვთავაზობს საკითხის სხვადასხვაგვარ გადაწყვეტას. ეს კი არასასურველია სისხლის სამართლის პოლიტიკის ერთიანობისა და კანონიერების თვალსაზრისით.

აშკარად იგრძნობა, რომ ზემოხსენებული ყველა მიმართულების წარმოდგენლები ეყრდნობიან აბსტრაქტულ წარმოდგენებს აუცილებლობასა და დანაშაულის ჩადენის ზოგად შესაძლებლობაზე. ვფიქრობ, რომ დანაშაულის მცდელობის სახეებად გამოიგნისას უნდა ვიხელმძღვანელოთ კონკრეტული ვითარებით. განსაღვრული გარემოებებით და მათგან გამომდინარე შესაძლებლობებით. უდავოდ, პირდაპირ განზრახვით დანაშაულის ჩადენის დროს დამნაშავე აუცილებლად მოიმოქმედებს ყოველივე იმას, რის საშუალებასაც მას მისცემს კონკრეტული ობიექტური გარემოებები და ამასთან ერთად საკუთარი სუბიექტური შესაძლებლობანი, სახელობა, ცოდნა, გამოცდილება, მიხვედრილობა, ნებისყოფა, პროფესიონალიზმი, შეუპოვრობა, მიზანსწრაფვა და ა. შ. სხვაგვარად რომ ეთქვას, დამნაშავე განახორციელებს ყოველივეს, რისი გაკეთებაც მას ხელეწიფება კონკრეტულ ვითარებაში ანუ რაც მასზე იქნება დამოკიდებული ობიექტურად და სუბიექტურად, სწორედ ყოველივე ამის გათვალისწინებით უნდა განისაზღვროს და ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს დამთავრებული და დაუმთავრებელი მცდელობაც, აქედან გამომდინარე, მცდელობა დამთავრებულია თუ დანაშაულის ბოლომდე მისაყვანად სუბიექტმა გააკეთა ყველაფერი, რაც ქმედობის მომენტში მასზე იყო დამოკიდებული. მცდელობა დაუმთავრებელია, როდესაც სუბიექტს არ გაუკეთებია ყველაფერი ის, რაც მასზე იყო დამოკიდებული. მაგალითად, შესაძლებელია, რომ კონკრეტულ სიტუაციაში არსებობდეს დანაშაულებრივი ქმედობის გაგრძელებისა და მისი ბოლომდე მიყვანის ობიექტურად ხელსაყრელი ვითარება, მაგრამ ამავე დროს არ არსებობდეს სუბიექტური შესაძლებლობა ანუ ხელისშემშლელი გამოდგეს სუბიექტური ფაქტორი.


ავიღოთ ასეთი მაგალითი, ბინაში შეპარულ ქურდს მოეჩვენა, რომ დაბრუნდა ბინის პატრონი. იგი შეიპყრო უსაფუძვლო შიშმა, რის გამოც გადაძვრა ფანჯრიდან და გაიქცა. მიუხედავად ქურდისთვის ფრიად ხელსაყრელი ობიექტური ვითარების არსებობისა, მაინც არ შეიძლება იმის თქმა, რომ მას შეეძლო დანაშაული ბოლომდე მიეყვანა. დანაშაულის დამთავრების შეუძლებლობა განაპირობა სუბიექტურმა მომენტმა (უსაფუძვლო შიშმა). ამ შემთხვევაში მან გააკეთა ყველაფერი, რაც მასზე იყო დამოკიდებული ობიექტური და სუბიექტური გარემოებების ერთობლიობის თვალსაზრისით, ამიტომ ცხადია, დანაშაულის მცდელობაც დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს. ავი-

<sup>5</sup> ა. გერცენზონის დასახ. ნაშრომი, გვ. 351.

ლოთ განსხვავებული შემთხვევა: ქურდს ბინაში ყოფნის მომენტში მიუხედავად მოულოდნელად დაბრუნებულმა პატრონმა და დააკავა. აქაც მცდელობა და დათავრებულია, მიუხედავად იმისა, რომ დანაშაულის ბოლომდე მიყვანა არ იყო ქურდზე დამოკიდებული. ამ შემთხვევაში ხელისშემშლელი ობიექტური გარემოებების გამო, ქურდმა აქაც გააკეთა ყველაფერი, რაც კი მასზე იყო დამოკიდებული. პირველ შემთხვევაში ქურდობის შესაძლებლობა შეზღუდა სუბიექტურმა გარემოებამ, ხოლო მეორე შემთხვევაში — ობიექტურმა გარემოებამ.

მიუხედავად იმისა, რომ იურიდიულ ლიტერატურაში სხვადასხვაგვარად ესმით დაუმთავრებელი და დამთავრებული მცდელობა, ყველა ერთხმად აღიარებს ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობას მცდელობის დამთავრებამდე, რაც შეეხება დამთავრებულ მცდელობას, აქ ხმები გაიყო. კრიმინალისტთა უმრავლესობა თვლის, რომ ნებაყოფლობით ხელის აღება დამთავრებულ მცდელობაზე შეუძლებელია. ზოგიერთი კრიმინალისტი კი, მაგალითად, პროფ. ვ. პიონტკოვსკი, პროფ. თ. წერეთელი, პროფ. ბ. კურინოვი და სხვ. შესაძლებლად ცნობენ ნებაყოფლობით ხელის აღებას დამთავრებულ მცდელობაზეც ზოგიერთ გამონაკლის შემთხვევებში. მაგალითად, პირმა დააღვიძა მსხვერპლს საწამლავი, მაგრამ შემდეგ სასწრაფოდ გამოიძახა ექიმი და მოხერხდა დაზარალებულის გადარჩენა, ანდა ვთქვათ, გადააგდო წყალში ადამიანი, მაგრამ შემდეგ აქტიური ზომების მიღებით იხსნა დაზარალებულსა და სხვა მსგავსი. აქ დამნაშავის ქმედობასა და დანაშაულებრივი შედეგის დადგომის მომენტს შორის არის დროის მონაკვეთი, რომელსაც პირი იყენებს კანონში მითითებული შედეგის დადგომის თავიდან ასაცილებლად. კრიმინალისტთა ოპოზიციური უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მითითებულ შემთხვევებში სუბიექტმა დაამთავრა მოქმედება და ხელის აღებაზე ლაპარაკი კი ზედმეტია. ვარდა ამისა, მსგავს შემთხვევებში ყველაფერი დამოკიდებულია ბედნიერ შემთხვევითობაზე და არა დამნაშავის ნება-სურვილზე, ვინაიდან მას აღარ შეუძლია ზეგავლენა მოახდინოს მოვლენათა განვითარებაზე, ვეფქრობ. ეს უკანასკნელი არგუმენტი ალოგიკურია და უსაფუძვლო, ვინაიდან მომხდარი ფაქტი საწინააღმდეგოს მეტყველებს.


ჩემი აზრით, მართალია ის, ვინც თვლის, რომ დამთავრებულ მცდელობაზე ნებაყოფლობით ხელის აღება შეუძლებელია. მაგრამ მართალია ისიც, ვინც დასახელებულ შემთხვევებში შესაძლებლად მიიჩნევს ნებაყოფლობით ხელის აღებას. საქმე იმაშია, რომ ორივე მოდავე მხარე უშვებს ერთიდაიგივე შეცდომას, სახელდობრ, მოცემულ შემთხვევებს მიიჩნევენ დამთავრებულ მცდელობად, ეს კი ასე არ არის, როცა სუბიექტმა საწამლავი მისცა მსხვერპლს და შემდეგ ექიმი გამოიძახა, როცა წყალში გადააგდო ადამიანი და შემდეგ დაზარალებას გადაარჩინა. საქმე გვაქვს არა დამთავრებულ, არამედ დაუმთავრებელ მცდელობასთან, ვინაიდან აქ პირს დანაშაულის ბოლომდე მისაყვანად არ გაუკეთებია ყველაფერი, რაც მასზე იყო დამოკიდებული, კერძოდ, მსხვერპლისათვის საწამლავის მიცემის შემდეგ მას თავი უნდა შეეკავებინა მოვლენათა განვითარებაში ჩარევისაგან, რათა დანაშაული გაგრძელებულიყო, მან კი სწორედ ეს არ გააკეთა. ამიტომ მცდელობა დაუმთავრებელი დარჩა მის მიერვე ნებაყოფლობით მიღებული აქტიური ზომების წყალობით. ამ გარემოებაზე ყურადღება გაამახვილეს ჯერ კიდევ გასული საუკუნის კრიმინალისტებმა:




კალმეოვმა, ლონგომ, ტაგანცევმა, მანცინომ და სხვებმა. თანამედროვე იუბილეებზე დიულ ლიტერატურაში კი მას გვერდი აქვს ავლილი, რის გამოც განხილულ შემთხვევებს შეცდომით დამთავრებულ მცდელობად მიიჩნევენ.

თუ სუბიექტმა დანაშაულის ჩასადენად იღონა ყველაფერი, რაც მასზე იყო დამოკიდებული, ცხადია, დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე ნებაყოფლობით ხელის აღება შეუძლებელია. აქ საქმე გვაქვს უკვე დამთავრებულ დანაშაულთან ან წარუმატებლად დამთავრებულ მცდელობასთან, რომლის დროსაც სუბიექტს ოდნავადაც კი არა აქვს აზრად შეაჩეროს დანაშაული ან ხელი შეუშალოს მის დამთავრებას. ზემოთ აღვნიშნე, რომ მცდელობა დაუმთავრებელია, როდესაც პირს დანაშაულის ჩასადენად არ გაუკეთებია ყველაფერი, რაც მასზე იყო დამოკიდებული. აქ უნდა დაისვას ლოგიკური კითხვა — რა მიზეზით შეიძლება დარჩეს მცდელობა დაუმთავრებელი? თუ საკითხს ჩაუვლრმავდებით, ადვილად დავასკვნით, რომ ასეთი მიზეზი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი — ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე, ეს ისეთი შემთხვევაა. როდესაც სუბიექტმა თავისი ნებით შეწყვიტა მის მიერ დაწყებული მცდელობის ქმედობა. მაშასადამე, დამთავრებული მცდელობა — ეს დასჯადი მცდელობაა, რომლის დროსაც დანაშაულის ბოლომდე მიყვანაზე ნებაყოფლობით ხელის აღების შესაძლებლობა გამოირიცხებოდა, დაუმთავრებელი მცდელობა კი არის თვით სუბიექტის მიერ ნებაყოფლობით შეწყვეტილი მცდელობა, რომლისთვისაც კანონი აწესებს სისხლის საშართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას.

ახლა შეიძლება პასუხი გაეცეს ზემოთ დასმულ მთავარ პრობლემატურ კითხვასაც. იგი მდგომარეობს შემდეგში: პირდაპირი განზრახვით წარმართული დანაშაულის განვითარების ის ბოლო მომენტი, როცა ჯერ კიდევ შესაძლებელია მის დასრულებაზე ნებაყოფლობით ხელის აღება, არის ის უკანასკნელი მართლსაწინააღმდეგო აქტი, რომლის განხორციელების შემდეგ მოცემული დანაშაულის დასრულებლად მიმართული მცდელობა დამთავრებულად ჩაითვლება.





მთავარი რედაქცია

# სასამართლო ექსპერტიზა: განვითარების გზები

მართლმსაჯულების განხორციელებისას განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სასამართლო მტკიცებულებების და მათ შორის მეცნიერული მტკიცებულებების — ექსპერტიზის დასკვნის სანდოობა. პრაქტიკამ გვიჩვენა როგორც სასამართლო ექსპერტიზის პროცესუალური ინსტიტუტის ნაკლოვანებანი, ასევე ამ დარგში დამკვიდრებული მართვის ორგანიზაციის არასრულყოფილება. წინამძღვდებარე წერილი არ ისახავს მიზნად არსებული პრაქტიკის უარყოფითი მხარეების ანალიზსა და კრიტიკას. მისი მიზანია იურიდიული საზოგადოებისათვის იმ ღონისძიებების სისტემის გაზიარება, რომელთა განხორციელება, ჩემი რწმენით, აუცილებელია რესპუბლიკაში სასამართლო ექსპერტიზის სრულყოფისათვის.

**I. მართვის საკითხები.** ძირითადი მიზეზი, რომელიც ნეგატიურ გავლენას ახდენს საექსპერტო ორგანიზაციის პრაქტიკულად ყველა პარამეტრზე არის სსრ კავშირში მუშაობის შეფასების არასწორი კრიტერიუმი. წლების მანძილზე აღნიშნული სისტემის ორგანიზაციების, მათ შორის საქართველოს სასამართლო ექსპერტიზის ცენტრალური სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორიის მუშაობა ფასდებოდა ძირითადად რაოდენობრივი მაჩვენებლების მიხედვით, რაც „ადგილებზე“ იწვევდა აღნიშნული პარამეტრების „ზრდისადმი“ უსაზღვრო ლტოლვას. „რაც ბევრი, მით უკეთესი“ — ეს პრინციპი იწვევდა უშინაარსო რაოდენობრიობის უპირატესობას შინაარსიან ხარისხზე.

აქედან გამომდინარე, მართვის ნორმალური ორგანიზაციის მიზნით, აუცილებელ პირობად მიმაჩნია საექსპერტო დაწესებულების მუშაობის შეფასების კრიტერიუმების აქცენტების შეცვლა რაოდენობრივი მაჩვენებლებიდან ხარისხობრივ მაჩვენებლებზე. მაგალითად, შეიძლებოდა შემოღებულიყო შემდეგი ხარისხობრივი მაჩვენებლები: „ექსპერტიზის სამეცნიერო-ტექნიკური ეფექტიანობა“, „ექსპერტიზის მტკიცებულებითი ეფექტიანობა“ და ა. შ. ასეთი ცვლილებები, უპირველესად უნდა იყოს შეტანილი ოფიციალურ სტატისტიკურ ანგარიშებში. რა თქმა უნდა, ზემოაღნიშნულის პრაქტიკაში განსახორციელებლად აუცილებელი ხდება საექსპერტო ორგანიზაციის მართვის საქმეში მანქანური მეთოდების დანერგვა, კერძოდ: ეგმ-ის სპეციალური პროგრამების მეშვეობით საჭირო მაჩვენებლების ოპერატიულად მიღება და დამუშა-

1 წერილი შეეხება იუსტიციის სამინისტროს საექსპერტო დაწესებულებათა სისტემას (ავტ.)

გება. სამაგიეროდ შეიქმნება საშუალება რეალური სურათის დანახვისა და მეთქვენი შრომის სწორი დაგეგმვის, პროგნოზირებისათვის.

საექსპერტო დაწესებულებაში, ისევე როგორც ყველა სხვა ორგანიზაციაში, მართვის ყველაზე აქტუალურ საკითხად უნდა ჩაითვალოს პროდუქციის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა. ამ თვალსაზრისით მიზანშეწონილი იქნებოდა შემდეგი სისტემა:

ა) ხარისხის უზრუნველყოფის შიდა ლაბორატორიული მექანიზმი:

— მეთოდებისა და მეთოდების სტანდარტიზაცია;

— საექსპერტო კვლევების მეცნიერულად დასაბუთებული ნორმატივების დაწესება;

— ყოველი კონკრეტული ექსპერტიზის დასკვნის ხარისხზე შესაბამისი სტრუქტურული ქვედანაყოფის ხელმძღვანელის პირადი პასუხისმგებლობის დაწესება ექსპერტიზის უშუალო შემსრულებელთან ერთად. დაუშვებელი და ალოგიური მდგომარეობა, როდესაც ექსპერტიზაზე პასუხს აგებს მხოლოდ ექსპერტი, როდესაც ფაქტობრივად მისი „თანაავტორია“ შესაბამისი განყოფილების უფროსი, რომელიც ვალდებულია შეამოწმოს დასკვნის დასაბუთებულობა და ხარისხი;

— საექსპერტო დასკვნის გაცემისას ექსპერტის მიერ დაშვებული შეცდომების კატეგორიებად დაყოფა („კრიტიკული შეცდომა“, „მიმზე შეცდომა“ და „შეცდომა“) და შესაბამისი დისციპლინური თუ სასწავლო ღონისძიებათა მისადაგებით;

ბ) გარეშე მექანიზმი დასკვნების საიმედოობის კონტროლისა:

— საკონტროლო ექსპერტიზების პერიოდულად ჩატარება, რაც გამოიხატება იმაში, რომ ზემდგომი ორგანოსათვის წინასწარ ცნობილ (ხოლო ექსპერტისათვის უცნობ) გამოსაკვლევ მასალაზე და ნიმუშებზე ინიშნება საკონტროლო ექსპერტიზა<sup>2</sup>.

აღნიშნულ დაწესებულებებში მართვის საკითხების განხილვისას გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ საექსპერტო ორგანიზაცია ფაქტობრივად მრავალდარგობრივი საწარმოა, რომელშიც თავმოყრილია სრულიად განსხვავებული პროფილის წარმოებები, სადაც მუშაობენ ურთიერთგანსხვავებული პროფესიის სპეციალისტები და იკვლევენ სრულიად განსხვავებულ საკითხებს (მაგალითად ტექნიკური თვალსაზრისით, ძნელია მოძებნო რაიმე საერთო ხელწერის სპეციალისტსა და ექსპერტ-მშენებელს შორის). ერთადერთი, რაც აერთიანებს ამ „საწარმოს“ ეს არის მათი პროცესუალური სტატუსი და მათი პროდუქციის — საექსპერტო დასკვნის — პროცესუალური ფორმა.

ამ მრავალდარგობრობას გააჩნია თავისი სუსტი მხარეებიც. ბოლო ორი წლის პრაქტიკამ, კერძოდ, ძალადობითი დანაშაულის მკვეთრი ზრდით გამოწვეულმა ბალისტიკური და ტრასოლოგიური ექსპერტიზების მოზღვაგებამ გამოამჟღავნა ასეთი „კომბინატის“ შენელებული რეაქცია პრაქტიკის მკვეთრ ცვლილებაზე. ამის გამოსასწორებლად, საჭიროდ მიმაჩნია, ვიწრო სპეციალიზაციის პრინციპთან ერთად (რაც აუცილებელია მაღალი ხარისხის მისაღწევად), უნივერსალური პრინციპის დამკვიდრებაც, ე. ი. ძირითად სპეციალობასთან ერთად სხვა სპეციალობის ფლობაც განსხვავებულ დარგში (მაგალითად ძირითადი სპეციალობა ავტო-ტექნიკური ექსპერტიზა, დამატებითი — ბალისტიკური და

<sup>2</sup> ეს შეიძლება იყოს როგორც ზემდგომი უწყება (მაგალითად, იუსტიციის სამინისტრო), ასევე შიდა დავალებით დამოუკიდებელი კომისია.


ა. შ.). ასეთი რეზერვი კრიზისულ სიტუაციებში განტვირთავს წამყვან სპეციალისტებს და საშუალებას მისცემს მათ გადაერთონ მხოლოდ რთულ და მძიმე საგებ ექსპერტიზებზე. ამდენად, კრიზისოგენური სიტუაციის ცვლილებებზე სწრაფი რეაგირების მექანიზმის შექმნა აქტუალური ამოცანაა, ეს პრაქტიკამ დაამტკიცა.

სამართალდამცავი ორგანოების მუშაკების საერთო უბედურებად იყო ქცეული ვადებისა და დატვირთვის საკითხი. ბოლო წლებში ამაზე ბევრი დაიწერა. ერთი მხრივ, აქსიომაა, რომ ყველაფერს სჭირდება დრო — საქმის გამოძიებას, საქმის განხილვას თუ ექსპერტიზის ჩატარებას. მაგრამ ეს თეორიულად. პრაქტიკაში კი ხშირად ეს აქსიომა გვერდზეა გადადებული, რაც, გამოწვეულია ექსპერტიზის ჩატარების ნორმატივის უქონლობით. ნორმატივის წინააღმდეგ არგუმენტი ერთი აქვთ — შიში იმისა, რომ, როცა საჭირო გახდება და ცხოვრება მოითხოვს დაძაბულ მუშაობას, ნორმატივს ამოეფარება ექსპერტი და საქმე ჩავარდება. აქ მთავარია ცნებების სწორად გაგება — ნორმატივში თუ ვიგულისხმეთ რაღაც კორპორაციული ინტერესის დამცველი მექანიზმი — ეს მიუღებელია, მაგრამ საკითხი დგება სულ სხვანაირად — ვინ და რამ უნდა დაიცვას პროდუქციის ხარისხი? ჩემი აზრით, მეცნიერულად დადგენილმა ნორმატივმა, რომელშიც უნდა იყოს გათვალისწინებული სრულყოფილი ექსპერტიზის მისაღებად საჭირო მინიმალურად აუცილებელი დრო, ე. ი. ის ზღვარი, რომლის იქითაც უხარისხობაა. ასეთი ნორმატივის შემუშავება ძნელია, მაგრამ შეუძლებელი როდია. ის საშუალებას მისცემს ხელმძღვანელს, რათა დააწესოს რეალური კონტროლი ხარისხზე — ე. ი. დასმული საკითხების მაქსიმალურად ამომწურავ გადაწყვეტაზე. რა თქმა უნდა, ეს შესაძლებელი გახდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ორგანიზაციის მუშაობას არა ექსპერტიზების რაოდენობის ზრდით შეაფასებენ, არამედ ჩატარებული ექსპერტიზების ეფექტიანობითა და ხარისხით.

**II. სამეცნიერო მუშაობა.** სსრ კავშირის იუსტიციის სამინისტროს საქსპერტო დაწესებულებების სისტემის (ფაქტობრივად რომლის ერთ-ერთი „პერიფერიული“ ორგანიზაციაა იყო ჩვენი ლაბორატორია) მეთოდურ და სამეცნიერო ბაზას შეადგენს სასამართლო ექსპერტიზის საკავშირო ინსტიტუტი შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური და ინტელექტუალური პოტენციალით. ფაქტია ისიც, რომ წლების მანძილზე ყველა ძირითადი სამეცნიერო კვლევის მიმართულება და თემატიკა სასამართლო ექსპერტიზის დარგში იგეგმებოდა და მუშავდებოდა მოსკოვში, ხოლო „პერიფერიულ“ ორგანიზაციებს, როგორც წესი, ცალკეული, უფრო ტექნიკური ხასიათის დავალებების „შემსრულებლის“ როლი ეკისრებოდათ. უნიტარული სახელმწიფოს თვალსაზრისით, ეს ლოგიკური და მოწესრიგებული სისტემაა — მძლავრი მეცნიერული პოტენციალის მქონე ცენტრი და შემსრულებელი პერიფერია<sup>3</sup>.

აღნიშნული პოლიტიკის უარყოფითი შედეგების გამოსასწორებლად საჭიროა დრო და გარკვეული ტაქტიკის შემუშავება. უპირველეს ამოცანად მიმაჩნია საქართველოში სასამართლო ექსპერტიზის დარგში სამეცნიერო კვლევების ძირითადი მიმართულებების შემუშავება და აღნიშნული პრობლემატიკის გადაწყვეტაში საქართველოს სასამართლო ექსპერტიზის ლაბორატორიის ძირი-

<sup>3</sup> სამართლიანობა მოითხოვს აღნიშნოს, რომ მიუხედავად ასეთი სისტემისა, ლაბორატორიაში მიმდინარეობდა და ახლაც მიმდინარეობს დამოუკიდებელი სამეცნიერო საქმიანობა.



თადი ამოცანა უნდა იყოს საექსპერტო პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე მეცნიერო პრობლემის დაყენება. ტრადიციული კრიმინალისტიკის გარდა უფრო სხვა დარგში ლაბორატორია ვერ გაუწევს კონკურენციას სპეციალიზებულ სამეცნიერო ორგანიზაციებს, ამიტომ აჯობებდა დაქვეითის როლი ამ მიმართულებებზე, ხოლო ტრადიციული კრიმინალისტიკის დარგებში ძირითადი სამეცნიერო მუშაობა უნდა წარმოებდეს თვით სპეციალიზებულ საექსპერტო დაწესებულებებში და უნივერსიტეტის შესაბამის კათედრაზე.

განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს საქართველოს ფარგლებს გარეთ, მათ შორის, განვითარებული ქვეყნების საექსპერტო ორგანიზაციებთან არსებული კონტაქტების შენარჩუნებისა (თუ ისინი ურთიერთსასარგებლოა) და ახალი კონტაქტების დადების აუცილებლობა. სავარაუდოა, რომ მომავალში ახალი ამოცანების წინაშე დაგვყენოს საქართველოს უცხო ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური თუ ტურისტული კონტაქტების გააქტიურებამ. მაგალითად, სავარაუდოა მართლმსაჯულების არეალში მოექცეს უცხო ენებზე შესრულებული ხელნაწერი საბუთები, ე. ი. ჩვენ უნდა შვად ვიყოთ უცხო ენებზე (ყოველ შემთხვევაში, ევროპულ ენებზე) შედგენილი ხელნაწერი ტექსტების შემსრულებლის დადგენისათვის. ასევე, სასურველი იქნებოდა საზღვარგარეთის ქვეყნებთან თანამშრომლობა საინფორმაციო ფონდების დარგში, სასამართლო ექსპერტიზის სამართლებრივი რეგულირებისა და ორგანიზაციული სტრუქტურების შესწავლა. განსაკუთრებით აქტუალურად მესახება საზღვარგარეთის მოწინავე ქვეყნებში საექსპერტო კადრების მომზადების და კვალიფიკაციის ამაღლების არსებული პრაქტიკის შესწავლა, ვინაიდან დღესდღეობით საქართველოში არ არსებობს ასეთი სპეციალისტების მომზადების სასწავლო დაწესებულება.

**III. შრომის ანაზღაურება და კადრები.** შრომის ანაზღაურების საკითხი სასამართლო ექსპერტიზის ინსტიტუტის განვითარების თვალსაზრისით იმდენად მიმაჩნია აქტუალურად, რამდენადაც ამაზე ბევრადაა დამოკიდებული თუ რა კადრები მოვა და დამაგრდება სასამართლო ექსპერტიზაში. ამიტომ ვფიქრობ:

— ექსპერტიზების ჩატარებისათვის ლაბორატორიის თანამშრომელი უნდა დებულობდეს გარანტირებულ ხელფასს, როგორც ეს გათვალისწინებულია მოქმედი კანონმდებლობით, აქ ყოველგვარი კომერცია დაუშვებელია;

— ამავე დროს, ექსპერტიზების ჩატარების გარდა, საექსპერტო ორგანიზაციას უნდა მიეცეს უფლება ხელშეკრულებით ჩაუტაროს ნებისმიერ იურიდიულ თუ კერძო პირებს გამოკვლევები, კონსულტაციები თუ სხვა სახის სამუშაოები იმ საკითხებზე, რომლებიც შეესაბამებიან დაწესებულების კომპეტენციას. ერთადერთი პირობა უნდა იყოს ის, რომ ასეთი სამუშაოების ჩატარება ხდებოდეს ექსპერტიზის ჩატარებისაგან თავისუფალ დროს. ეს შესაძლებლობას მისცემს ორგანიზაციას გაამკაცროს მოთხოვნები კადრების შერჩევისას და დამაგროს მაღალკვალიფიციური სპეციალისტები.

კადრების დარგში მიზანშეწონილად მიმაჩნია:

— ექსპერტ-სტაჟიორის თანამდებობის შემოღება არანაკლებ ერთი წლის ვადით;

— ექსპერტის თანამდებობაზე გადასაცვანად საკვალიფიკაციო გამოცდის შემოღება.

**IV. საკითხები, რომლებიც მოითხოვენ საკანონმდებლო გადაწყვეტას.** სასამართლო ექსპერტიზა პროცესუალური ინსტიტუტია, ხოლო სასამართლო ექს-

პერტი პროცესუალური ფიგურა. ამიტომ დაუშვებელია ყოველგვარი ზემოქმედება ექსპერტზე, როდესაც ის თავის პროცესუალურ ფუნქციებს ასრულებს იმ თანამდებობის პირების მხრიდან, რომელთაც ასეთ უფლებებს პროცესუალური კანონმდებლობა არ ანიჭებს. მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 189-ე მუხლით საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელს მინიჭებული აქვს მხოლოდ იმის უფლება, რომ დაავალოს ექსპერტიზის ჩატარება ერთ ან რამდენიმე ექსპერტს და გააფრთხილოს იგი (ისინი) სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ. ამავე დროს, საუწყებო ნორმატიული აქტებით იგივე თანამდებობის პირს ევალება: ექსპერტისათვის ვადის დაწესება, ექსპერტიზის ჩატარების ხარისხისა და დასაბუთებულობის კონტროლი, ექსპერტის დასკვნის გაგზავნა დამნიშნავ ორგანოსათვის, ე. ი. საქმე გვაქვს კანონგარეშე კანონმდებლობასთან, როდესაც უწყებრივი ინსტრუქციებით შეცვლილია კანონი, მაგრამ, მეორე მხრივ, უეჭველია, რომ ასეთი უფლებები აუცილებელია საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელისათვის, ვინაიდან დასკვნა ვადის ფაქტობრივად საექსპერტო დაწესებულების სახელით, თუმცა/ფორმალურად დასკვნაზე ხელს აწერს მხოლოდ ექსპერტი და პასუხისმგებელიც ისაა./

საქმე ის ვახლავთ, რომ ექსპერტის პირადი პასუხისმგებლობის პრინციპი გაგებულია ზედმეტად ფართოდ და დღევანდელი რეალური ურთიერთობის პირობებში ექსპერტის პირადი პასუხისმგებლობის პრინციპის არსებობა მეტყველებს მხოლოდ იმაზე, რომ იგი წინააღმდეგობაშია რეალურ სოციალურ მდგომარეობასთან და არ ასახავს მას. აღნიშნული ნორმა მიღებული იყო იმ დროს როდესაც არ არსებობდა სპეციალიზებული საექსპერტო დაწესებულებების ფართო და ჩამოყალიბებული სტრუქტურის მქონე ქსელი. ამიტომ იგი ასრულებდა ექსპერტიზის სისწორის გარანტის როლს, ვინაიდან გამოძიებელსა და ექსპერტს შორის არ არსებობდა რაიმე კომპეტენტური შუა რგოლი, რომელიც დასკვნის სისწორის მყარ გარანტად გამოდგებოდა. დღეს კი, ფაქტობრივად ყველა ექსპერტიზა ინიშნება საექსპერტო დაწესებულებაში და ეგზავნება არა რომელიმე ექსპერტს, არამედ ამ დაწესებულების უფროსს, ხოლო ექსპერტის დასკვნის სისწორეს, ექსპერტის ხელმოწერის გარდა, ადასტურებს აგრეთვე საექსპერტო დაწესებულების ბეჭედი. ყველა დასკვნა ფაქტობრივად ტარდება განყოფილების უფროსის (რომელიც თვითონ უნდა იყოს შესაბამის დარგში სპეციალისტი) უშუალო მეთვალყურეობით და იბეჭდება მისი თანხმობის შემდეგ. ასე რომ, შეიძლება ითქვას, იგი თანაავტორია განყოფილებიდან გასული ყველა დასკვნისა და გამოდის დასკვნის სისწორის და დასაბუთებულობის დამატებით გარანტად. ამიტომ ექსპერტის დამოუკიდებლობისა და პირადი პასუხისმგებლობის პრინციპის გატარება საექსპერტო დაწესებულებაში იმ სახით, როგორც ის იყო ნორმის დამკვიდრების დროს, იქნებოდა უკან დახევა და გამოიწვევდა განმეორებითი ექსპერტიზების უსასრულო ნაკადს. ამიტომ, საჭიროა სასწრაფოდ კანონში ჩამოყალიბდეს საექსპერტო დაწესებულების ხელმძღვანელის უფლებები და მოვალეობანი: ექსპერტიზის ვადის დაწესების, ხარისხის და მეცნიერული დასაბუთებულობის შემოწმების შესახებ.

ჩემი აზრით, სწორი იქნებოდა საექსპერტო დასკვნების სანდოობის უზრუნველსაყოფად შემდეგი საკანონმდებლო ნოველების შემუშავება და მიღება:



— ყოველი საექსპერტო დასკვნის დადასტურება ექსპერტისა და ფილების უფროსის ხელის მოწერებით და ორგანიზაციის ბეჭდით; განმეორებითი ექსპერტიზების ჩატარება აუცილებლად კომისიურ წესით;

— ექსპერტიზის დამნიშნავი ორგანოს მოთხოვნით საექსპერტო დასკვნების ლაბორატორიის სახელით (შემსრულებლის მიითხოვებით) გაცემის შესახებ, რაც გამოორიცხავდა არამოტივირებული განმეორებითი ექსპერტიზების დანიშვნას;

— ბრალდებულისათვის იმ უფლების მინიჭების შესახებ, რომ მოიწვიოს საკუთარი ექსპერტი, რომელსაც უფლება ექნება გამოძიების (სასამართლოს) მიერ დანიშნულ ექსპერტთან ერთად ჩაატაროს გამოკვლევები და მოამზადოს საკუთარი დასკვნა;

ვინაიდან ლაბორატორიის არსებული დასახელება — საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის ცენტრალური რესპუბლიკური სამეცნიერო-კვლევითი ლაბორატორია — ჩემი აზრით, არ არის ენობრივად გამართული და არ ასახავს მოღვაწეობის მთავარ მიმართულებას, საჭიროა მისთვის ახალი სახელწოდების მინიჭება — საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროს სასამართლო ექსპერტიზის კვლევითი ცენტრი. X

ალექსანდრე ჯავახიშვილი

## თაღლითობის ხერხები

საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის მე-5 თავში — „დანაშაული მოქალაქეთა პირადი საკუთრების წინააღმდეგ“ — დადგენილია პასუხისმგებლობა თაღლითობის გზით მოქალაქეებისათვის ზიანის მიყენებისათვის (სსკ 153-ე მუხლი), რომელიც განისაზღვრება როგორც „მოქალაქეთა პირადი ქონების ან ქონებაზე უფლების ან ქონებრივი გამორჩენის მიღება მოტყუებით ან ნდობის ბოროტად გამოყენებით“.

ამ სახის დანაშაული სხვა დანაშაულისაგან განსხვავდება, პირველ რიგში. მისი ჩადენის ხერხით, სახელდობრ, თაღლითი კანონსაწინააღმდეგოდ ეუფლება მოქალაქეთა პირად ქონებას, ან ქონებაზე უფლებას ან იღებს ქონებრივ გამორჩენას იმ პირის მოტყუებით, ან ნდობის ბოროტად გამოყენებით, რომლის მფლობელობაშიც იმყოფება ეს ქონება.

განვიხილოთ პირველი ხერხი — მოტყუება ე. ი. დაზარალებულის წი-

ნასწარგანზრახულად შეცდომაში შეყვანა გარკვეული ფაქტების, გარემოებებისა და ხლომილებების შესახებ, მისი საკუთარი ნებით ქონების თაღლითობის ვის გადაცემის წაქეზებით, ასეთი ხერხით თაღლითი ეუფლება ამ ქონებას, როგორც საკუთარს, სამუდამოდ და უსასყიდლოდ. სწორედ ამიტომ, უნდა დადგინდეს კეშმარიტების განზრახ დამახინჯება. წინააღმდეგ შემთხვევაში თაღლითობის შემადგენლობას ადგილი არ ექნება.

მოტყუებაში უნდა განვასხვაოთ მისი შინაარსი და ფორმა.

შინაარსია სხვადასხვა გარემოებები, რომლებითაც თაღლითს შეჰყავს შეცდომაში დაზარალებული. ამ გარემოებებს მეტად მრავალფეროვანი ხასიათი აქვს. მოტყუება შეიძლება შეეხოს საგნებს, პიროვნებებს, მოქმედებებს, ხლომილებებს, მათ ფაქტობრივ და იურიდიულ თვისებებს. მოტყუების შინაარსს შეადგენს როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური ხასიათის (მაგალითად, სუბიექტის განზრახვა) გარემოებები, ზღომილებები, რომელთა შესახებ იქმნება მცდარი წარმოდგენა. შეიძლება განეკუთვნებოდეს აწმყოს, წარსულსა და მომავალს.

ფორმის თვალსაზრისით, ნებისმიერი სიცრუე შეიძლება მიეკუთვნოს ორიდან ერთ-ერთ კატეგორიას: კეშმარიტების დამახინჯებას ან კეშმარიტების დამალვას.

თვით კანონი არ შეიცავს სიცრუის განსაზღვრას, მაგრამ სისხლის სამართლის თეორიითა და პრაქტიკის მიხედვით სიცრუედ ითვლება როგორც კეშმარიტების დამახინჯება (სიცრუის აქტიური ფორმა), როდესაც დამნაშავე განზრახ ამახინჯებს გარემოებებს და შეჰყავს დაზარალებული შეცდომაში მათი კეშმარიტების შესახებ, ატყობინებს მას აშკარად მცდარ ცნობებს, ისე კეშმარიტების დამალვა (სიცრუის პასიური ფორმა), როდესაც დამნაშავე სარგებლობს მისგან დამოუკიდებლად წარმოქმნილი დაზარალებულის მცდარად ინფორმირებით<sup>1</sup>.

არსებობს თაღლითური სიცრუის ცალკე სახეები, რომლებიც შინაარსის მიხედვით მიზანშეწონილია დაჯგუფდეს შემდეგნაირად:

ა) სიცრუე პიროვნების (მისი არსებობის, იგივეობის განსაკუთრებული თვისებებისა და ხასიათის, პროფესიის, კვალიფიკაციის, ასაკის) შესახებ;

ბ) სიცრუე სხვადასხვა საგნების (მათი არსებობის, იგივეობის, ზომის, ხარისხის, ღირებულების) შესახებ;

გ) სიცრუე სხვადასხვა ხლომილებების, ფაქტებისა და მოქმედებების შესახებ;

დ) სიცრუე განზრახვების შესახებ (ცრუ დაპირებები)<sup>2</sup>.

ა) სიცრუე პიროვნების შესახებ, რომელიც შეიცავს „სიცრუეს პიროვნებაში“, რაც ძალზე ხშირად გვხვდება თაღლითობის საქმეებში, როდესაც თაღლითი იძლევა ცრუ ცნობებს, როგორც საკუთარი პიროვნების, ისე თავისი თანამონაწილის შესახებ. მაგალითად, თბილისის საბურთალოს რაიონის სასამართლოს მიერ ერთ-ერთი მსჯავრდებული, რომელიც მუშაობდა საქართველოს მშენებლობის სამინისტროში და თავს ასალებდა ამ სამინისტროს თანამდებობის პირად, მას თითქოს შეეძლო დახმარება გაეწია ერთთახანიანი კოოპერატიული

<sup>1</sup> Борзениев Г. И., Ответственность за машеничество. М., 1971, с. 30-32.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 34.

ბინის აშენების მსურველთათვის. ამ ხერხით მან ორი წლის განმავლობაში არაერთგზის გამოართვა სხვადასხვა კლიენტს ფული — საერთო თანხით 17000 მანეთით, დანაპირები კი არ შეასრულა. სასამართლომ მის მოქმედებაში სცნა დანაშაულის შემაღველობა, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს სსკ 153-ე მუხლის მე-2 ნაწილით. ზემოთმოტანილ მაგალითში დამნაშავე თავს ასალებდა თანამდებობის პირად, არწმუნებდა დაზარალებულს, რომ აქვს საშუალება გაუწიოს მას სამსახური, რითაც იწვევდა დაზარალებულის ცნობიერებაში ქონების გადაცემის განზრახვას.

სიცრუე შეიძლება ეხებოდეს მესამე პირსაც, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ლაპარაკია ამა თუ პიროვნების არსებობის შესახებ. მაგალითად, თაღლითი დაარწმუნებს დაზარალებულს, რომ მისი ნათესავი ან ახლობელი, რომელიც გარდაცვლილად ითვლებოდა, ცოცხალია და ამ გზით ლეგალიზაციას ვითომ ამ პირისათვის გადასაცემად.

პიროვნებასთან დაკავშირებულ სიცრუეთა შორის შეიძლება გამოვყოთ სიცრუე „იგივეობაში“, როდესაც დამნაშავე წარმოადგენს საკუთარ თავს ან თავის თანამონაწილეს როგორც სხვა პირს, რათა მიისაკუთროს სხვა პირის უფლებამოსილება, ანდა გამოიწვიოს განსაკუთრებული ნდობა თავის მიმართ, ანდა სხვა ხერხით შექმნას წინაპირობები ახალი სიცრუისათვის. მაგალითად, თბილისის ისნის რაიონის სასამართლოს მიერ პირს მსჯავრი დაედო თაღლითობისათვის სსკ 153-ე მუხლის მე-2 ნაწილით. იგი თავს ასალებდა ავტომატური სატელეფონო სადგურის ოსტატად და ტელეფონის დადგმას შეპირდა თავის ნაცნობს. დაზარალებულს შესთავაზა შეეტანა 106 მანეთი სალაროში ვითომ ტელეფონის დაყენების მომსახურების საფასურად. ამის შემდეგ მან მოტყუების გზით მიიღო 500 მანეთი და მიიძალა.

მოტყუების ამ ჯგუფს შეიძლება მიეკუთვნოს, აგრეთვე, მოტყუება „პიროვნულ თვისებებში“. ეს იმას ნიშნავს, რომ სუბიექტი ინიჭებს, ან ანიჭებს თავის თანამონაწილეს იმ თვისებებს, რომელიც მას არ გააჩნია. ამგვარ შემთხვევას შეიძლება აგრეთვე, მიეკუთვნოს დამნაშავეს ცრუ განცხადება იმის თაობაზე, რომ თითქოს იგი იცნობს ან ნათესაურ კავშირში იმყოფება ისეთ პირებთან, რომლებსაც შეუძლიათ გარკვეული სამსახური გაუწიონ მოტყუებულს, ანდა თავდებად დაუდგენ მას. მაგალითად, თითქოსდა თანამდებობის პირებისათვის ქრთამის გადასაცემად ფულის მიღებისას თაღლითი ხშირად ატყუებს დაზარალებულს ამ თანამდებობის პირებთან ნაცნობობის ფაქტის გამო<sup>3</sup>.

თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ პირი მსჯავრდებული იყო ქრთამის მიცემაში თანამონაწილეობისათვის 19-190 მუხლის მე-2 ნაწილით, ხელისუფლების ან თანამდებობის პირის წოდების თვითნებურად მითვისებისათვის 210-ე მუხლით და თაღლითობისათვის სსკ 153-ე მუხლის მე-2 ნაწილით. იგი თავს ასალებდა ხან სუკ-ის, ხან მილიციის ან პროკურატურის თანამშრომლად, მან გაიცნო ერთი მოქალაქე, რომელსაც დაჰპირდა დახმარებას ქმრის განთავისუფლებაში, რომელიც სასჯელს იხდიდა ქალაქ ტაგანროგში. დაარწმუნა იგი, რომ საჭირო იყო მას ქრთამი გადაეცა მილიციაში მომუშავე თანამდებობის პირისათვის, გამოართვა 500 მანეთი და მიიძალა.

ბ) სიცრუე დანაშაულის საგნის შესახებ — ცრუ ცნობები სხვადასხვა საგნების არსებობის, მათი რაოდენობის, ფასის შესახებ. ჩვეულებრივ, ამგვარ

<sup>3</sup> იქვე, გვ. 39.

რი მოტყუება ხდება, როდესაც დამნაშავე გამყიდველის, ხოლო დაზარალებული მყიდველის როლშია. გარიგების საგნის შესახებ ცრუ ცნობების მიწოდების საშუალებით დამნაშავე ღებულობს საფასურს, რომელიც არ შეესაბამება გასაყიდი საგნის ნამდვილ ღირებულებას. სწორედ არატოლფასოვანი გასაყიდვლის მიღებაშია ხელყოფის ქონებრივი ხასიათი.

სიცრუე საგნის არსებობის შესახებ ჩვეულებრივ უთავსდება სიცრუეს განზრახვაში: დამნაშავე ღებულობს ფულს ისეთი საგნის გაყიდვის დაპირებით, რაც მას არ გააჩნია და, ამასთან, ბუნებრივია, წინასწარ იცის, რომ დანაპირებს ვერ შეასრულებს. სიცრუე შეიძლება ეხებოდეს საგნების რაოდენობას ან ზომას, როდესაც დამნაშავე გადასცემს დაზარალებულს გარიგების საგანს, დაპირებულზე რიცხვით, ზომით ან წონით ნაკლებს და სწორედ ასეთი მოტყუება ატარებს ყველაზე ხშირად ყიდვა-გაყიდვის დროს მოტყუების ფორმას<sup>1</sup>. ისნის რაიონის სასამართლოს მიერ პირს მსჯავრი დაედო სსკ 153-ე მუხლის I ნაწილით, იგი მუშაობდა ხილბოსტანვაჭრობის №35 პავილიონში, ყუთების შუიდაც დამნაშავე მუშად. გამყიდველის იქ არყოფნის დროს თვითნებურად მიკადა დახლთან და მიჰყიდა მომხმარებელს 18 კგ. 2 მანეთად ღირებული მანდარინი (82 კაპიკად ღირებულ ყუთთან ერთად) 50 მანეთად და მყიდველს გამოაროვა ზედმეტად 13 მანეთი და 18 კაპიკი. ამ მაგალითის განხილვით მივდივართ დასკვნაში, რომ ობიექტური ნიშნებით თაღლითობასთან ბევრი მსგავსება აქვს მომხმარებლის მოტყუებას. განსხვავება კი მათ შორის მდგომარეობს ამ ქმედებების სუბიექტისა და ობიექტის დამახასიათებელ ნიშნებში. აქ გვარეობით ობიექტად ითვლება საზოგადოების მეურნეობრივი ურთიერთობები, ხოლო უშუალო ობიექტად — ვაჭრობის, როგორც სახალხო მეურნეობის დარგის ნორმალური ფუნქციონირება, და აგრეთვე მოქალაქეების ქონებრივი ინტერესები. ვაჭრობის მუშავე, რომელიც ატყუებს მომხმარებელს, არა მარტო არღვევს მეურნეობის ამ დარგის ნორმალურ მუშაობას, არამედ ძირს უთხრის ვაჭრობის ავტორიტეტს, სახელს უტეხს მას, რადგან ის საკუთარი სახელით კი არ მოქმედებს, არამედ როგორც სახელმწიფო ან საზოგადოებრივი საწარმოს წარმომადგენელი და ამ შემთხვევაში დანაშაული უნდა დაკვალიფიციროდეს სსკ 153-ე მუხლით იმ შემთხვევაში კი, როდესაც გამყიდველის როლში გამოდის კერძო პირი, რომელიც ყიდის საქონელს თავისი სახელით, ვაჭრობა, როგორც სახალხო მეურნეობის დარგი, უშუალო ზიანს არ განიცდის და პირველ პლანზე, შელახული ობიექტის სახით, გამოდიან მოქალაქეთა ქონებრივი ინტერესები. ამიტომ ასეთი მოტყუება ქმნის თაღლითობის ნიშნებს. მყიდველის მოტყუება ჩადენილი კერძო პირის, მათ შორის ისეთის მიერ, რომელიც არ მუშაობს ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოში, მაგრამ მომსახურეობას უწევს მოქალაქეებს საწარმოს მუშაკის თხოვნით, უკანონო განკარგულებით ან დავალებით არის დანაშაული, რომელიც არღვევს მხოლოდ პირადი საკუთრების ურთიერთობებს და ქმნის თაღლითობის შემადგენლობას.

მოტყუება რაოდენობაში ახლოსაა ხარისხში მოტყუებასთან. რაოდენობაში მოტყუებად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ყიდვა-გაყიდვის პროცესში გარიგებით დადგენილი ფულადი თანხის დაზარალებულისათვის შემცირებული ოდენობით გადაცემა. მაგალითად, თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ სსკ 153-ე მუხლის I ნაწილით მსჯავრდებული იყო პირი, რომელმაც საკოლმეურ-

<sup>1</sup> იქვე. გვ. 40-41.

ნეო ბაზარში 3 კგ. ნიგოზის ყიდვის დროს ფულის გადათვლისას მოატყუა გამყიდველი და 33 მანეთის ნაცვლად, რომელიც მას ერგებოდა, გადასცა 11 მანეთი.

იგივეობასა და ხარისხში მოტყუებას ადგილი აქვს, როდესაც განსაზღვრული ნივთის მაგიერ კონტრაგენტს გადაეცემა სხვა, არატოლფასი ნივთი, იგივეობაში მოტყუება შეიძლება განვიხილოთ როგორც ხარისხში მოტყუების კერძო შემთხვევა. განსხვავება მოტყუების ამ ორ სახეს შორის მხოლოდ იმაშია, რომ იგივეობის დარღვევის შესახებ ჩვენ ვლაპარაკობთ მაშინ, როდესაც სიტყუება საგნების ყველაზე მნიშვნელოვან თვისებებს, მათ არსს. ასეთი მოტყუება გამოიხატება უბრალოდ სიტყვიერი რწმუნებით, რომ საგანი სწორედ ისეთია, როგორადაც მას ასაღებენ: გადაცემის მომენტში ერთი საგნის მეორეთი შეცვლის, ანდა ფალსიფიკაციის გზით. სსკ 162-ე მუხლის თანახმად, ფალსიფიკაცია გულისხმობს „ანგარების მიზნით ფალსიფიკაციის გასაღებისათვის, ან საზოგადოებრივი ხმარებისათვის განკუთვნილი საგნებისა, აგრეთვე ფალსიფიცირებული საგნების გასაღებას“. აღსანიშნავია, რომ ამ მუხლის არსებობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თავისებურებაა. აქედან გამომდინარე დგება საკითხი იმის თაობაზე თუ როდის უნდა იქნეს ქმედობა დაკვალიფიცირებული ფალსიფიკაციად და როდის თაღლითობად. ჩვენი აზრით, ფალსიფიკაცია თაღლითობაა. აქაც გამყიდველი ატყუებს მყიდველს, მაგრამ მას მაინც აქვს თავისებურება.

საგნის ფალსიფიკაცია ყოველთვის ხარისხის გაფუჭებას ნიშნავს (გამყიდველი ღვინოში, თაფლში ან რძეში უმატებს წყალს და ა. შ.), მაგრამ თუკი გამყიდველი არ აფუჭებს პროდუქტს, მხოლოდ უცვლის მას ეტიკეტს (მაგალითად მე-2 ხარისხის ნაცვლად ასაღებს უმაღლეს ხარისხად) და ამ გზით ითვისებს ფულს, მაშინ დანაშაული უნდა დაკვალიფიცირდეს არა როგორც ფალსიფიკაცია, არამედ როგორც თაღლითობა. მაგალითად, თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ თაღლითობისათვის სსკ 153-ე მუხლის I ნაწილით პირი მსჯავრდებულ იქნა იმის გამო, რომ იყიდა ალუმინის ყვითელი ფერის 80 კაპიკად ღირებულ ბეჭედი და ვითომ ოქროსიაო, 40 მანეთად მიჰყიდა სხვას. სასამართლომ ეს ქმედება სცნო, როგორც გასაყიდი ნივთის იგივეობის სიტყუება და კიდევ, შესაძლებელია რაიმე საგნის დამზადება, რომელიც გარეგნულად სხვა ნივთს ჰგავს. მაგალითად, ეგრეთ წოდებული „კუკლა“ — ქალაღის შეკვრა, რომელიც ფულის შეკვრას წააგავს (ზოგჯერ მას ზემოდან ადებენ ფულის 1-2 კუბიურს, ე. წ. „ვერხუშკას“). თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ თაღლითობისათვის მსჯავრდებულ იქნენ პირები სსკ 153-ე მუხლის მე-2 ნაწილით, ერთმა მათგანმა გაიციო მოქალაქე და მასთან ერთად საუბრით გაუყვა გზას. ამ დროს წინასწარმოფიქრებული განზრახვით მათ გაუსწრო თანამზრახველმა, რომელმაც განგებ დააგდო ასფალტზე წინასწარ გამზადებული და ცხვირსახოცში გახვეული ფულის შეკვრა, ზემოდან დატანებული ათმანეთიანი. გადაწყვიტეს ნაპოვნი ფულის გაყოფა. ამ მიზნით შევიდნენ სკვერში, სადაც მათ უეცრად მიუახლოვდა თანამზრახველი და განუცხადა, რომ ახლახან, მათ გვერდით გავლისას, გაუვარდა ფულის შეკვრა 950 მანეთის ოდენობით; ეჭვი მაქვს, რომ ეს ფულს თქვენ აიღეთო. მან ყასიდად ჰერ თანამზრახველი გაჩხრიკა, შემდეგ კი ორივემ უცნობი მოქალაქე, რომელსაც საფულეში აღმოაჩნდა 280 მანეთი, რაც შეუმჩნეველად მიისაკუთრეს და მყისვე მიიმალნენ შემთხვევის ადგილიდან. სასამართლოს მიერ მიცემული კვალიფიკაცია მცდარად მიგვაჩნია, რადგან მო-

ქალაქის ქონების (საფულედან ამოღებული ფულის) მითვისების უშუალო ხერხი ქურობა იყო და კონკრეტულ შემთხვევაში მოტყუება დამნაშავეებმა გამოიყენეს მხოლოდ ქურობისათვის ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად. ასეთი მოქმედება, ჩემი აზრით, უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ 150-ე მუხლის მეორე ნაწილისა და 153-ე მუხლის მე-2 ნაწილის ერთობლიობით.

გ) **სიცრუე ხდომილებებისა და მოქმედებების შესახებ.** მოტყუების საგანი შეიძლება იყოს სხვადასხვა ხდომილებები ან პირთა მოქმედებები, თუ ისინი ქონების გადაცემის საფუძველს ქმნიან. მაგალითად, რაიმე სამუშაოს შესრულების ფაქტი — ფულის მოტყუებით მიღება სამუშაოსათვის, რომელიც ფაქტობრივად არ შესრულებულა, ან შესრულდა მცირე მოცულობით — კვალიფიცირდება როგორც თაღლითობა. სიცრუე შეიძლება აგრეთვე იყოს სათანადო გასამრჩველს უკანონოდ მიღების მიზნით გაწეული ხარჯების შესახებ ყალბ მტკიცებაში. მაგალითად, თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ სსკ 153-ე მუხლის მე-2 ნაწილით მსჯავრდებული იყო პირი, რომელმაც სასაფლაოზე მუშად მუშაობის დროს მოტყუების გზით მიიღო მოქალაქისაგან 800 მანეთი და შეჰპირდა მას მამის საფლავზე ბეტონის ზეძირკვლის (ცოკოლის) მოწყობას, მოზაიკური ფილების, კარნიზებისა და პორტრეტის დაყენებას, მაგრამ გააყვითა მხოლოდ ზეძირკველი და პორტრეტი. ე. ი. პრეისკურანტის მიხედვით შესრულდა მხოლოდ 317 მანეთის სამუშაოები, დანარჩენი 483 მანეთი კი მითვისებულ იქნა.

უნდა შევნიშნოთ, რომ ხდომილებებისა და მოქმედებების მხრივ სიცრუის სახეების ამომწურავი ნუსხის მოცემა შეუძლებელია, რადგან თაღლითური მოტყუების შინაარსი შეიძლება შეადგინოს ნებისმიერმა მოქმედებამ თუ ხდომილებამ, თუ ამგვარი მოტყუების შედეგად დამნაშავე დაზარალებულის ქონებას მიისაკუთრებს.

დ) **სიცრუე განზრახულობის შესახებ (ცრუ დაპირებები).** ე. ი. დამნაშავე დაპირებას იძლევა შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება ქონების გამღები პირის სასარგებლოდ, ხოლო დაზარალებულის ქონების მიღების შემდეგ იყენებს მას საკუთარი თავის სასარგებლოდ. აქედან გამომდინარეობს, რომ ცნებები — „სიცრუე განზრახულობის შესახებ“ და „ცრუ დაპირებები“ — იდენტურია.

ცრუ დაპირების შინაარსია მომავალი დროის გარემოებები: თაღლითი დაპირებას იძლევა „იზოვოს“ დეფიციტური საქონელი (ავტომანქანა, ავეჯი და ა. შ.), გადასცეს ფული დანიშნულებისამებრ, გადაიხადოს ვალი. ცრუ დაპირებები არის ყველაზე ტიპური მოტყუება იმ გარემოებებში, რომლებიც მომავალს ეხება.

თბილისის საბურთალოს რაიონის სასამართლოს მიერ სსკ 153-ე მუხლის მე-2 ნაწილით მსჯავრდებული იყო პირი, რომელმაც მოსკოვში ყოფნისას გაიცნო დეფიციტური საქონლის საყიდლად თბილისიდან საგანგებოდ ჩასულა მოქალაქე, მას თავი წარუდგინა როგორც თბილისელმა პედაგოგმა. შეჰპირდა მას, რომ თუ დატოვებდა ფულს საჭირო რაოდენობით, შეეცდებოდა შეეძინა მისთვის საჭირო ნივთები. მოქალაქემ გადასცა 2000 მანეთი და გამოემგზავრა თბილისში, საიდანაც მისთვის დამატებით საგნების შესაძენად ფოსტით გადაუგზავნა კიდევ 3300 მანეთი, ე. ი. მსჯავრდებულმა სულ მიითვისა 5300 მანეთი.

თაღლითური სიცრუე შეიძლება გამოიხატოს ან **სიტყვიერად** (ზეპირად ან წერილობით), ან **განსაზღვრული ქმედებების სახით.**

სიტყვიერი სიცრუე ყველაზე უფრო გავრცელებული სახეა და სხვადასხვა ცრუ ქმედების გამოყენებისას შეიძლება იყოს განხორციელებული ზეპირი ან წერილობითი ფორმით. ზეპირი ფორმა უშუალო ურთიერთობაა თაღლითსა და დაზარალებულს შორის. წერილობითი ფორმით ცრუ ცნობების მიწოდებას დამნაშავენი მიმართავენ მაშინ, როდესაც ეს განპირობებულია ამა თუ იმ ქონებრივი უფლებების განცხადების აუცილებლობით (განცხადებები თხოვნით დახმარების დანიშვნის შესახებ) და აგრეთვე მაშინ, როდესაც დაზარალებული დამნაშავესაგან გარკვეული მანძილითაა დაშორებული.

მოტყუება სხვადასხვა ქმედებების ფორმით მიმართულია დაზარალებულის შეცდომაში შეყვანისაკენ. დამნაშავესათვის ქონების გადაცემის მიზნით; ამ სახის მოტყუებას განეკუთვნება აგრეთვე ყალბი, სხვისი ან ბათილი დოკუმენტების გამოყენება, ფორმის ტანსაცმლის ტარება, ავადმყოფობის სიმულირება, ექიმბაშობა და ა. შ. ცრუ ქმედებები გამოიყენება, როგორც წესი, უშუალოდ დაზარალებულის შეცდომაში შესაყვანად და ამ გზით ქონების მისათვისებლად<sup>5</sup>.

თაღლითური სიცრუის მეორე ფორმაა **ჭეშმარიტების დამალვა** ე. ი., როცა თაღლითი მხოლოდ მალავს ცნობებს ისეთი გარემოებების შესახებ, რომელთა ცოდნა თავს შეაკავებინებდა დაზარალებულს ქონების გადაცემისაგან და ამიტომ, სხვისი შეცდომის შეგნებული გამოყენება და ამ გზით სხვისი ქონების მითვისება სხვა არაფერია, თუ არა თაღლითობა. ასეთია საბჭოთა იურისტების უმრავლესობის თვალსაზრისი. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მოტყუება ჭეშმარიტების დამალვის ფორმით უმოქმედობაა და ამიტომ იგი შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც დაზარალებული უკვე იმყოფება მოტყუებულის მდგომარეობაში, რომელიც წარმოიქმნა მატყუარას მოქმედების გარეშე და ეს გარემოება განაპირობებს პასიური სიცრუის საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხის შედარებით დაბალ დონეს აქტიური ფორმით მოტყუებასთან შედარებით. თაღლითობის ასეთი სახეები შეიძლება განიხილებოდეს, როგორც ნაკლებად საშიში დანაშაული.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ზოგადი მოტყუების ცნება შეიძლება ჩამოვაყალიბოთ როგორც ადამიანის ფსიქიკაზე ზემოქმედების საშუალება, თუკი იგი გამოიხატება სხვა პირის შეცდომაში განზრახ შეყვანაში, ანდა მოტყუებულ მდგომარეობაში ყოფნისათვის ხელშეწყობაში, მისთვის არასწორი ინფორმაციის მიწოდების ან სხვადასხვა ფაქტის, ნივთის, ხდომილების, ქმედების და ა. შ. დამალვის გზით ან პირის გარკვეული საქციელის ჩადენაზე დაყოლიების მიზნით<sup>6</sup>.

თაღლითობის მეორე ხერხი — **ნდობის ბოროტად გამოყენება** — არის მატერიალური სარფის უკანონოდ მიღების მიზნით დამნაშავესა და დაზარალებულს შორის შექმნილი განსაკუთრებული მიმდობი დამოკიდებულების გამოყენება. დამნაშავეს გაცნობიერებული აქვს, რომ იგი ბოროტად იყენებს მის მიმართ გამოხატულ ნდობას, რათა ამ გზით კანონსაწინააღმდეგოდ უსასყიდლოდ და სამუდამოდ იგდოს ხელთ სხვისი ქონება.

<sup>5</sup> Владимиров В. А., Квалификация преступлений против личной собственности, М., 1968, с. 98.

<sup>6</sup> Сабитов Р. А., Обман, как средство совершения преступления, Омск, 1980, с. 24-25.

ნდობის ურთიერთობათა საფუძველი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფაქტობრივი გარემოება: დაზარალებულის დამნაშავესთან ნაცნობობა, კონკრეტულ გარემო პირობებში, დაზარალებულის განსაკუთრებული მიმდობლობა (მაგალითად, ურთიერთობები მეზობლებს ან ნაცნობებს შორის). მიმდობლობის ბოროტად გამოყენებაში უნდა ვიგულისხმეთ მერე პირის გამოუცდლობის, განუვითარებლობის, მის მიერ დასადები გარიგების გაუცნობიერებლობის გამოყენება<sup>7</sup>. თბილისის საბურთალოს რაიონის სასამართლოს მიერ სსკ 153-ე მუხლის მე-2 ნაწილით პირი მსჯავრდებულ იქნა იმისათვის, რომ უნივერსიტეტში შეხვედრისას თავის ნაცნობ თანასოფელელებს შესთავაზა 5000 მანეთად ვიდეო-მაგნიტოფონის შეძენა თითქოსდა მისი ნაცნობისაგან. ამგვარად, მსჯავრდებულმა მიმდობლობის ბოროტად გამოყენებით ნაცნობებს გამოართვა 5000 მანეთი, შემდეგ კი მიიმალა. სასამართლომ ასეთ ქმედებებში სცნო თაღლითობის შემადგენლობა, მოტყუებისა და ნდობის ბოროტად გამოყენების გზით ჩადენილი.

თაღლითობის ცნების განხილვისას ზოგი იურისტი მივიდა დასკვნამდე, რომ ნდობის ბოროტად გამოყენების სახესხვაობაა დაზარალებულის მიმდობლობის ბოროტად გამოყენება. მაგრამ ნდობის ბოროტად გამოყენება არის მიმდობლობის ბოროტად გამოყენების იდენტური, რადგან ეს ცნებები სხვადასხვა შინაარსს გამოხატავენ. მაგალითად, ბ. ნიკიფოროვი ხაზს უსვამს განსხვავებას ამ ორ ცნებას შორის: „ნდობა, საერთო წესით, გულისხმობს ადამიანებს შორის ურთიერთობების არსებობას, ნდობა ეს ყოველთვის ნდობაა ვინმესა ან რამის მიმართ, მიმდობლობა კი ადამიანის ჩასიათის ერთი თვისებათაგანია“.


მიმდობლობა, როგორც ადამიანის ჩასიათის თვისება, შეიძლება იყოს ნდობის ურთიერთობის ერთადერთი საფუძველი. მაგრამ, ამ შემთხვევაშიც კი, ნდობა უნდა გამოიხატოს, გამოვლინდეს რაიმე მოქმედების სახით (ქონების გადაცემა, რწმუნებულობით აღჭურვა), რომ ნდობის ბოროტად გამოყენება განდეს ქონების ხელყოფის დამოუკიდებელი საშუალება. მიმდობლობის გამოყენება ასევე დამაზარალებელია მოტყუების გზით ჩადენილი თაღლითობისათვის. მეტიც, დაზარალებულთა მიმდობლობით დამნაშავეები ხშირად სარგებლობენ ქურდობისა და სხვა ქონებრივი დანაშაულობის ჩადენის დროს.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ მოტყუება და ნდობის ბოროტად გამოყენება, როგორც თაღლითობის ჩადენის ხერხები, მჭიდროდ არის ერთმანეთში გადახლართული და ამიტომ, მათ შორის მკაფიო ზღვარის გატარება ყოველთვის არ ხერხდება. ამასთან, განსაკუთრებით ანგარიშგასაწევია ზოგიერთი კრიმინალისტის რწმუნება, რომ „ნდობის ბოროტად გამოყენება წარმოადგენს მოტყუების განსაკუთრებულ სახეს — ნდობის მოტყუებას და ამიტომ, მჭიდროდ უკავშირდება მოტყუებას ამ სიტყვის ვიწრო გაგებით“.

ავტორის თხოვნით პონორარი გადაირიცხება  
სამაჩაბლოს აღორძინების ფონდში.

<sup>7</sup> Исаев М. М. Уголовное право. Особенная часть., М., 1938, с. 50.






3ახტანვა აააზზააა

# ქართული რენესანსი და შუა საუკუნეების საქართველოს ჰუმანიტური იურისპრუდენცია

ქართული რენესანსის ფუძემდებლის აკადემიკოს შალვა ნუცუბიძის შემოქმედებითი შოლავაწობის ყველაზე ძლეღვარე პერიოდზე დაკავშირებული მისი სახელწოდებით ცნობილ მსოფლიო ინტელექტუალურ აღმოჩენებთან, რომელთაგან აღმოსავლეთის რენესანსი, კერძოდ, შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ და ქართული რენესანსი, ერთ-ერთი უმთავრესია. ამ აღმოჩენებმა იმთავითვე გამოიწვია დავა, რომელშიც თვითონ შ. ნუცუბიძე აქტიურად მონაწილეობდა. ეს დავა დღესაც გრძელდება. მისივე მოწაფეებსა და თაყვანისმცემლებს შორის, მაგრამ აკად. შ. ნუცუბიძე ყოველთვის მიუწვდომელი რჩება. გაოცებას იწვევს მეცნიერებაში ლეგენდად ქცეული ორატორისა და სწავლული მეცნიერის მრავალმხრივი განათლება და საკვლევი პრობლემების არსში წვდომის უბადლო ნიჭი, ერთმანეთისაგან საკმაოდ დაშორებულ მეცნიერების დარგების შემოქმედებითი დაკავშირება და ინტელექტუალურ აღმოჩენათა ორიგინალური დასაბუთება, წამოყენებული ჰიპოთეზებისათვის საჭირო მასალების მოძებნისა და მიგნების უნარი, აზრის სიღრმე და ნათელი, დახვეწილი და დარბაისლური ქართული მეტყველება.

აკად. შ. ნუცუბიძის ქართული რენესანსის მოძღვრებას საფუძველად უდევს გაერთიანებული ფეოდალური საქართველოს ძლიერი, ცენტრალიზებული სახელმწიფოებრიობის ისტორიული სინამდვილე. მისი სოციალურ-პოლიტიკური და სამართლებრივი წყობილება, ქართული სახელმწიფოებრიობის მეოთხრობით საერთო-კავკასიური სახელმწიფოს შექმნის ინტერესები.

აღმოსავლეთიდან შემოჭრილ თურქ-სელჯუკ დამპყრობთა წინააღმდეგ საბრძოლველად დავით აღმაშენებელმა შეძლო ძლიერი ქართული სახელმწიფოს ხელმძღვანელობით ამიერკავკასიის სხვადასხვა სარწმუნოებისა და ეროვნების ხალხთა გაერთიანება. ამიერკავკასიიდან დამპყრობთა განდევნის შემდეგ დავით აღმაშენებლის შთამომავლებმა გააფართოვეს და განამტკიცეს საქართველოს სახელმწიფოს საზღვრები. XII-XIII საუკუნეებში ქართული სახელმწიფოს მეთაურობით შეიქმნა საერთო კავკასიური სახელმწიფო, როგორც პ. ინგოროვამ გამოიკვლია, ქართული სახელმწიფოებრიობა XII საუკუნის პირველი მეოთხედიდან ვრცელდებოდა ამიერკავკასიის მთავარ ნაწილზე შავი ზღვიდან კასპის ზღვამდე, კერძოდ, საკუთრივ საქართველოს, სომხეთის ორი პროვინციის — ანისის და დვინის, აგრეთვე შარვანის ტერიტორიებზე. ამას გარდა,



საქართველოს სახელმწიფოსთან პროტექტორატის ფორმით დაკავშირებული იყო ჩრდილო კავკასიის ქვეყნები: ლენქეთი (თანამედროვე ავარია ადგილობრივი სამფლობელოებით), დარძუკეთი (საჩეჩნო), ოვსეთი, ქაშვეთი (საჩერქეზო), დასავლეთის ტრაპიზონის სამეფო და კარნუ-ქალაქის (არზრუმის) საამირო, აგრეთვე ვასალური მუსლიმანური სამეფო-სამთავროები, სახელდობრ, რანის (განძის) სასულტანო, ნახიჭევანის საამირო, შაჰ-არმენტა სასულტანო, ერზინკის (ერზინჯანის) საამირო. კავკასიის გარეთ საქართველოს სახელმწიფოს გავლენის სფეროებს წარმოადგენდა ჩრდილო ირანის (შიდა ადარბადაგანის) სასულტნოები, კერძოდ, არდაველი, მარანდა, თავრევი და მიანე, რომლებიც საქართველოს მოხარკე ქვეყნებად ითვლებოდნენ<sup>1</sup>. პოლიტიკურად დაკავშირებულ სხვადასხვა სარწმუნოებისა და ეროვნების ზემოაღნიშნულ ქვეყნებში ქართული სახელმწიფოებრიობა იცავდა და ახორციელებდა „თავისუფლებითი ცხოვრებისა“ და „მტერთაგან უზრუნველობის“ ჰუმანიტურ-ტოლერანტულ პრინციპებს, რომლებიც რენესანსისათვის იყო დამახასიათებელი.

ქართული რენესანსის მოძღვრება და XII-XIII საუკუნეების საქართველოს სულეიერი ცხოვრების მოვლენათა რენესანსული პოზიციებიდან ახსნა აკად. შ. ნუცუბიძის სახელთანაა დაკავშირებული.

მეცნიერულ ლიტერატურაში წამოყენებული მოსაზრება XII საუკუნის ფეოდალური საქართველოს კულტურის თვისებრივად ახალი, რენესანსული ბუნების შესახებ, თანდათანობით გაბატონებული შეხედულება ხდება. როგორც უკანასკნელი პერიოდის გამოკვლევებმა ცხადყო, სადავოს აღარ უნდა წარმოადგენდეს XII საუკუნის საქართველოს კულტურულ ცხოვრებაში მომხდარი დიდი ცვლილებების დასახასიათებლად დასავლეთ ევროპის ქვეყნებში XIV-XVI საუკუნეების მძლავრი იდეოლოგიური მოძრაობის აღმნიშვნელი ცნების, „რენესანსის“, გამოყენება. ამ ეპოქის ქართველი ხალხის სულეიერი ცხოვრების მრავალჯერ დარგის განვითარების არა მარტო არაჩვეულებრივად მაღალი დონე, არამედ თვისებრივად ახალი, ორიგინალური ზედნაშენი ცხადყოფს იმ დიდ გარდატეხას, რამაც დასაბამი მისცა წინანდელი ეპოქებისაგან განსხვავებულ, სრულიად ახალ პერიოდს ქართული კულტურის ისტორიაში.

ქართული რენესანსის მოტივები და მათი თავისებურებანი საკმაო სისრულით არის შესწავლილი XII საუკუნის საქართველოს ფეოდალური საზოგადოების სულეიერი ცხოვრების თითქმის ყველა დარგის მიხედვით, მაგრამ ფეოდალური საქართველოს აღორძინების ეპოქის პოლიტიკური იდეოლოგია და მისი შინაარსის განმსაზღვრელი სოციალური ფაქტორები ჯერ-ჯერობით სპეციალური შესწავლის საგანი არ ყოფილა. XII საუკუნის საქართველოს სპეციფიკური სოციალურ-პოლიტიკური და ისტორიული თავისებურებების გამო კი ქართული რენესანსის ერთ-ერთ მთავარ შემადგენელ ნაწილს სწორედ პოლიტიკური მოძღვრებები შეადგენს. ამასთან ერთად, საყურადღებოა, რომ დასავლეთ ევროპის ქვეყნებისა და ქართული რენესანსის პოლიტიკური იდეოლოგიის ურთიერთშედარებას იმ ლოგიკურ დასკვნამდე მივყავართ, რომ XII საუკუნის ფეოდალურ საქართველოში არსებული მწვავე კლასობრივი და შინაკლასობრივი ბრძოლების პროცესში ჩამოყალიბებულმა მრავალფეროვანმა პოლიტიკურმა მოძღვრებებმა და დოქტრინებმა არსებითად განსაზღვრა ქართული რენესანსის ბუნება.

<sup>1</sup> 3. ინგოროყვა, შოთა რუსთაველი, ჟურნ. „მნათობი“, № 3, 1966, გვ. 107-110.

რენესანსი შეეხო ფეოდალური საზოგადოების სულიერი ცხოვრების თითქმის ყველა დარგს — ხელოვნებას, ლიტერატურას, მეცნიერებას და ალორძინების ეპოქის სრულიად ახალი იდეოლოგიის წარმომადგენლები კულად არიან განწყობილი რელიგიური დოგმატიკისა და სქოლასტიკის მიმართ, იწყება ადამიანის გონებაზე და ცდაზე დამყარებული, რელიგიისაგან დამოუკიდებელი მეცნიერული მუშაობა, რომელიც მიზნად ისახავს ბუნებისა და საზოგადოების მოვლენების ადამიანთა ყოველდღიური ინტერესებისა და მოთხოვნებისადმი დაქვემდებარებას. ალორძინების ეპოქის მეცნიერება მკვეთრად უპირისპირდება რელიგიურ მსოფლმხედველობას და მის მოთხოვნათა წინააღმდეგ დამაჯერებლად ცხადყოფს ადამიანთა შემოქმედებითი შესაძლებლობის უნარსა და მისი გონების უძლეველობას. მეცნიერებისა და ხელოვნების ალორძინებასთან ერთად რენესანსის ეპოქაში შეიმჩნევა განსაკუთრებული დაინტერესება ანტიკური კულტურით. ალორძინების ეპოქის ახალი, საერთო ხასიათის ადამიანთა სულიერი კულტურა თავის მოთხოვნებს მის ყველა დარგში შუა საუკუნეების რელიგიური დოგმატიკის საწინააღმდეგოდ ასაბუთებს ანტიკური ეპოქის კულტურული და მეცნიერული მემკვიდრეობით, რომელიც მთლიანად თავისუფალი იყო რელიგიური სქოლასტიკისაგან და რწმენის არჩევანის სრულ თავისუფლებას ემყარებოდა, თუმცა, მიუხედავად ამისა, ალორძინების ეპოქაც ცდილობდა ზოგჯერ რაციონალიზმის მისტიკასთან შერიგებას.

ალორძინების ეპოქის პოლიტიკური იდეოლოგიის ყველა მოტივი, რაც დამახასიათებელი იყო XIV-XVI სს. დასავლეთი ევროპის ქვეყნებისათვის, მთლიანად გვხვდება XII საუკუნის ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ მოძღვრებათა ისტორიაში.

ქართული რენესანსის მდიდარი ისტორიული მემკვიდრეობის მთავარი განმსაზღვრელი ნაწილი, XII საუკუნის ფეოდალური საქართველოს გაბატონებული პოლიტიკური იდეოლოგია, რომელიც საზოგადოებაში სხვადასხვა მებრძოლი კლასების ინტერესებს გამოხატავს, გადმოცემულია საქართველოს სახელგანთქმული მეფისა და ფეოდალიზმის განსაკუთრებული მმართველობის ახალი ფორმის — აბსოლუტიზმის იდეოლოგიის — დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის ფინანსთა მინისტრის — ყუთლუარსლანისა და ქართველი ხალხის გენიალური პოეტის შოთა რუსთაველის პოლიტიკურ მოძღვრებაში.

დავით აღმაშენებლის რენესანსული პოლიტიკური იდეოლოგიის ყველაზე საინტერესო, დღემდის თითქმის სრულიად შეუსწავლელი, მისი სამართლებრივი შეხედულებანია. ამჯერად ჩვენ საშუალება არა გვაქვს ვრცლად შევჩერდეთ დავით აღმაშენებლის სამართლებრივ მოძღვრებაზე, მაგრამ ამ მოძღვრების რენესანსული ბუნების ნათელსაყოფად, ვფიქრობთ, ჯერ-ჯერობით იმის მითითებაც საკმარისი იქნება, რომ XII საუკუნის ფეოდალურ საქართველოსთან პოლიტიკურად დაკავშირებულ კავკასიის ქვეყნებში ქართული სახელმწიფოებრიობის წარმატებით განხორციელებისა და აგრეთვე ქვეყნის შიგნით ურჩ ფეოდალთა წინააღმდეგობის დათრგუნვისათვის დავით აღმაშენებელი ქმნის ბუნებითი სამართლის („ბუნებითი სჯულის“) თანმიმდევრულ მოძღვრებას. ცნობილია, რომ ბუნებითი სამართლის მოძღვრება ყველგან, სადაც კი ალორძინების ეპოქა დაიწყო, რენესანსის პოლიტიკური იდეოლოგიის შინაარსის ძირთადაც განმსაზღვრელი ნაწილი ვახდა.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში პოლიტიკური ზედნაშენის აქტიური ზემოქმედების მიუხედავად, ეკონომიკაში მომხდარი ცვლილებების შედეგად მწვა-

დება კლასობრივი ბრძოლა, ხშირდება პოლიტიკური შეთქმულებები და აჯანყებები. სამეფო ხელისუფლებას უჭირს სახელმდიფობრიობის ძველებს წარმატებით განხორციელება. ქვეყნის წინაშე არსებული წინააღმდეგობის დასაძლევად ჩნდება ახალი პოლიტიკური კურსი, რომელიც გულისხმობს ურთიერთდაპირისპირებულ ძალების მიერ ქვეყნის მართვას „ერთნებაობით“ და „თანადგომით“. სამეფო ხელისუფლება რენესანსის პოლიტიკური მოძღვრების შესაბამისად ამ მწვავე და მრავალფეროვანი კლასობრივი ბრძოლების პროცესში, კავკასიაში გაბატონებული მდგომარეობის შენარჩუნებისა და კლასებს შორის არსებული წინააღმდეგობის შეერიგების მიზნით, ქმნის საზოგადოებრივი სოლიდარიზმის სრულიად ორიგინალურ მოძღვრებას, რომელიც მთელი სისრულეით გადმოცემულია შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ და აგრეთვე ამ ეპოქის სხვა ისტორიულ თხზულებებში.

„ვეფხისტყაოსნის“ მდიდარი საზოგადოებრივ-პოლიტიკური იდეები, რომლებიც ადამიანთა სულიერი და მატერიალური ცხოვრების მრავალ დარგს ეხება, შოთა რუსთაველს უმთავრესად აფორიზმების სახით აქვს გადმოცემული. კაცობრიობის აზროვნების ისტორიაში ძნელად მოიძებნება სხვა რომელიმე ნაწარმოები, „ვეფხისტყაოსანზე“ უფრო აფორისტული რომ იყოს. შოთა რუსთაველი აფორიზმების სახით აყალიბებს ურთულეს სოციალურ-პოლიტიკურ დებულებებს. დამახასიათებელია, რომ აფორიზმების სახით ჩამოყალიბებული ეს დებულებანი ლოგიკურ კავშირშია ნაწარმოების სიუჟეტთან, მაგრამ, ამავე დროს, ეს აფორიზმები ნაწარმოებისაგან დამოუკიდებლადაც დასრულებულ წარმოდგენას გვაძლევენ ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა მხარის შესახებ და ამიტომაც, შოთა რუსთაველის აფორიზმები ყველა ეპოქისათვის ერთნაირად საინტერესო და მისაღებია. აფორიზმებში მოცემული შოთა რუსთაველის მდიდარი საზოგადოებრივ-პოლიტიკური იდეები არამარტო „ვეფხისტყაოსნის“ მთავარ გმირთა მოქმედების სოციალურ შეფასებასთან არის დაკავშირებული, არამედ ისინი გვეხმარებიან პოემის ტექსტის მრავალი სადაო ადგილის გაგებაში და აგრეთვე XII საუკუნის საქართველოს უაღრესად განვითარებული სამართლებრივი, პოლიტიკური, ფილოსოფიური, თეოლოგიური და სხვა მეცნიერების თავისებურებათა დადგენაში.

შუა საუკუნეების ეპოქის თხზულებებისაგან განსხვავებით, რომლებშიც ადამიანთა საზოგადოებრივი ურთიერთობები მისტიციზმსა და მშრალ სქოლასტიკაზე დამყარებული მოძღვრების მიხედვით არის განპირობებული, შოთა რუსთაველის უკვდავი პოემის სიუჟეტური ეპიზოდები და მასთან დაკავშირებული წინააღმდეგობები ადამიანთა ყოველდღიურ ცხოვრებიდან არის აღებული და ნაწარმოების მთავარ გმირთა ავტორისეულ შეფასებაში ყოველთვის სოციალურ-პოლიტიკურ ძომენტები სჭარბობს.


„ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმთა შორის ერთ-ერთ ყველაზე პროგრესულსა და პოემის ტექსტის გაგებისათვის უმნიშვნელოვანესს წარმოადგენს სამართლებრივი აფორიზმი — „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნედლად“, რომელიც, როგორც ისტორიული წყაროებით დასტურდება, XII საუკუნის ფეოდალურ საქართველოშია გაბატონებული, მაგრამ ჩვენთვის უცნობი ქართული ბუნებითი სამართლის მოძღვრებაზეა დამყარებული. რამდენადაც „ვეფხისტყაოსანში“ ყველა აფორიზმი პოემის სიუჟეტური ეპიზოდის ლოგიკურ დასკვნას წარმოადგენს და კონკრეტული სიუჟეტური წინააღმდეგობიდან გამომდინარე პოემის მთავარ გმირთა მოქმედების მორალურ-პოლიტიკურ შე-

ფასებას შეიცავს, ამდენად, ამ სამართლებრივი აფორიზმის შინაარსის გასაგებების  
ბად ვადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმ სიუჟეტური ეპიზოდის ანალიზის ჩატარების  
ლის იურიდიული შეფასებაც ჩვენთვის საინტერესო აფორიზმშია მოცემული.

ტარიელის შამამ სარიდანმა მისი კუთვნილი ინდოეთის მეშვიდე სამეფო  
ნებაყოფლობით შეუერთა ინდოეთის დანარჩენი ექვსი სამეფოს მფლობელს  
ფარსადანს, რომელსაც არა ჰყავს მემკვიდრე. სარიდანის პატრიოტული მოქ-  
მედებით აღფრთოვანებული ფარსადანი მას გაერთიანებული ინდოეთის სამე-  
ფოს ამირბარად ნიშნავს, ხოლო სარიდანის ვაჟს — ტარიელს კი თავის სა-  
სახლეში ზრდის და ტახტის მემკვიდრედ ამზადებს. ამ დიდი პოლიტიკური  
მოვლენის შემდეგ ფარსადანს შეეძინება ქალიშვილი ნესტან-დარეჯანი, რომე-  
ლიც ერთხანს ტარიელთან ერთად იზრდება სასახლეში, მაგრამ შემდეგ, როცა  
ნესტანი წამოიზრდება, ფარსადანი მას შეგნებულად განაცალკევებს ტარიელი-  
საგან და აღმზრდელად თავის ქვრივ დას, ქაჯეთში განათხოვარ დავარს უნიშ-  
ნავს. ნესტან-დარეჯანის დაბადების შემდეგ ფარსადანი უარს ამბობს თავის  
ადრინდელ ვადაწყვეტილებაზე — ტარიელისათვის სამეფო ტახტის მემკვიდ-  
რეობის უფლების მინიჭების შესახებ და სამეფო ტახტზე ასაყვანად ახლა უკვე  
ნესტან-დარეჯანს ამზადებს. მაგრამ ტარიელსა და ნესტან-დარეჯანს შორის  
უკვე მტკიცე სამიჯნურო ურთიერთობაა და მათ უერთმანეთოდ ვერ წარმოუდ-  
გენიათ ცხოვრება. ტარიელისა და ნესტანის შეუღლებას შედეგად უნდა მოჰყ-  
ვეს მათი სამეფო ტახტზე ასვლა ერთდროულად, რაც, შოთა რუსთაველის აზ-  
რით, ტახტის მემკვიდრეობის უფლების განხორციელებასთან დაკავშირებით  
წარმოშობილი კოლიზიის თავიდან აცილების ერთადერთი საშუალებაა და იგი  
ნიშნავს სამეფო ტახტის საკითხის გადაწყვეტას, ე. წ. მართალი სამართლის  
შესაბამისად.

მაგრამ სულ სხვანაირად ფიქრობს ინდოეთის მეფე ფარსადანი. მისი აზრით,  
როგორც პოემიდან ჩანს, ნესტანის გაჩენის შემდეგ, ტარიელს ტახტის მემკვიდ-  
რეობის უფლება აღარ გააჩნია და ტახტის ერთადერთი მემკვიდრე ნესტან-  
დარეჯანი უნდა იყოს, მაგრამ რადგან, არაბეთისაგან განსხვავებით, ინდოეთში  
არსებული ტახტის მემკვიდრეობის წესების მიხედვით, ქალი მისი მეუღლის, თა-  
ნამეფის გარეშე არ შეიძლება სამეფო ტახტზე იქნეს აყვანილი, ფარსადანი ჩქა-  
რობს ნესტანის გათხოვებას და სახელმწიფო დარბაზის ფორმალური დასტუ-  
რით ზედსიძედ ხვარაზმშას შეიღოს იწვევს.

ფარსადანის ამ ვადაწყვეტილების წინააღმდეგ ნესტანი და ტარიელი აჯან-  
ყებას აწყობენ. ნესტანმა შთააგონა ტარიელს, რომ შექმნილი მდგომარეობი-  
დან ერთადერთი გამოსავალი ხვარაზმშას შეიღოს მოკვლაა. ზედსიძედ მოწვე-  
ული ხვარაზმშას შეიღოს მოკვლის შემდეგ ტარიელი ფარსადანს სამეფოს  
დარბევით უნდა დაემუქროს, მაგრამ ნესტანისა და მისი სამიჯნურო ურთიერ-  
თობა არ უნდა გაამეღავნოს. ამასთან ერთად, იგულისხმება, რომ ხვარაზმშას  
შეიღოს მკვლელობა უკიდურესად გაამწვავებს ურთიერთობას ინდოეთსა და  
ხვარაზმეთს შორის და ხვარაზმშა ფარსადანის საწინააღმდეგოდ ამხედრდება.  
ამრიგად, ფარსადანი კრიტიკულ მდგომარეობაში აღმოჩნდება: ქვეყნის შიგნით  
მას სამეფოს დარბევით დაემუქრება ტარიელი, ხოლო ხვარაზმშას შეიღოს  
მკვლელობისათვის ხვარაზმეთიდან იქმნება ინდოეთზე სამხედრო თავდასხმის  
საფრთხე. ნესტანის აზრით, ასეთ საბედისწერო მომენტში მყოფი ფარსადანი  
თვითონ შეეზგეწებოდა ტარიელს ნესტანის ცოლად შერთვას და ინდოეთის  
დაცვას.



ამ სიუჟეტურ ეპიზოდთან დაკავშირებით განსაკუთრებით საინტერესოა რაზმშას შვილის მკვლელობის სამართლებრივი არგუმენტაცია, რომელიც მართალია, „ვეფხისტყაოსანში“ ნესტანის მიერ არის გადმოცემული, მაგრამ, ეჭვი არ არის, იგი შოთა რუსთაველის შეხედულებას გამოხატავს. აი, ისიც:

„რა მოვიდეს, სიძე მოკალ, მისთა სპათა აუწყვედლად. —  
ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმნ ხმელსა ნედლად“. (542).

აქედან ცხადია, რომ ტარიელის მოქმედება, რაც ობიექტურად, ერთი შეხედვით, უდანაშაულო ხვარაზმშას შვილის მკვლელობაში გამოიხატება, შოთა რუსთაველის აზრით, არ წარმოადგენს დანაშაულს, რადგანაც ხვარაზმშას შვილის მკვლელობა, როგორც პოემიდან ჩანს, იმ მართალი სამართლის განხორციელებაა, რომელიც ხმელ ხეს, ნედლად აქცევს. ამ მოსაზრებას აძლიერებს „ვეფხისტყაოსნის“ 543-ე სტროფი, რომელიც შეიცავს ნესტანის რჩევას ტარიელისადმი:

„ასრ ქმენ, ჩემო ლომო და მჯობო ყოველთა გმირთაო,  
მიპარვით მოკალ სასიძო, ლაშქართა ნუ შოირთაო,  
მისთა სპათაცა ნუ დაშოც, ზროზათა ვითა ვირთაო, —  
სისხლი კაცისა უბრალო კაცმანმაც ვით იტვირთაო“.

თუ მხედველობაში მივიღებთ აკად. ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ XIII საუკუნემდე ქართული სამართლის ისტორიულ წყაროებში „უბრალო“ ნიშნავს „უდანაშაულს“, ხოლო „ბრალი“ კი „დანაშაულს“<sup>2</sup>, მაშინ ცხადი გახდება, რომ, შოთა რუსთაველის აზრით, ხვარაზმშას შვილის თანშზღები ლაშქარი არის უბრალო, ე. ი. უდანაშაულო და მას ხელი არ უნდა ახლოს ტარიელმა. რაც შეეხება ხვარაზმშას შვილს, იგი მართალი სამართლის მიხედვით დამნაშავეა და ამიტომაც ხვარაზმშას შვილის მოკვლა მართალი სამართლის ნორმების განხორციელებაა.

მიუხედავად ამისა, ჩვენს რუსთველოლოგიურ ლიტერატურაში ხვარაზმშას შვილის მკვლელობა დანაშაულებრივ ქმედებად არის აღიარებული: „ვეფხისტყაოსნის“ მკვლევარს ვ. ნოზაძეს „მართალი სამართალი“ პირდაპირი მნიშვნელობით აქვს გაგებული და, შოთა რუსთაველის მოსაზრებათა საწინააღმდეგოდ, იგი ფიქრობს, რომ ხვარაზმშას შვილის მკვლელობა არ შეიძლება ჩაითვალოს მართალი სამართლის ქმნად<sup>3</sup>. თუ აპრიორულად დავუშვებთ, რომ ტარიელის მიერ ხვარაზმშას შვილის მკვლელობა დანაშაულებრივ ქმედებას წარმოადგენს, მაშინ სავსებით ბუნებრივად ისმის კითხვა: როგორ მოხდა, რომ უაღრესად პროგრესული და დღესაც პოპულარული სამართლებრივი აფორიზმი ლოგიკური დასკვნის სახით შოთა რუსთაველს დაკავშირებული აქვს სრულიად შეუსაბამო სიუჟეტურ ეპიზოდთან, კერძოდ, ხვარაზმშას შვილის წინააღმდეგ ტარიელის მოქმედებასთან. ტარიელის მიერ, ხვარაზმშას შვილის მკვლელობას თუ დანაშაულად მივიჩნევთ, მაშინ, რა თქმა უნდა, სამართლებრივი აფორიზმი „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმნ ხმელსა ნედლად“ შეუსაბამო ხდება პოემის სიუჟეტურ ეპიზოდთან და მისგან სრულებითაც არ გამომდინარეობს, რადგანაც ამ შემთხვევაში უდანაშაულო ხვარაზმშას შვილის მოკვლა მიჩნეული უნდა იქნეს იმ მართალი სამართლის ქმნად, რომელიც ხმელ ხეს ანედლებს.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი. „ქართული სამართლის ისტორია“, წიგნი II, ნაკ. II, ტფილისი, 1929, გვ. 255.  
<sup>3</sup> ვ. ნოზაძე, „ვეფხისტყაოსნის“ საზოგადოებრივ-მეტყველება“, 1958, გვ. 218.

სწორედ ამიტომ „ვეფხისტყაოსნის“ ზემოთმოყვანილი სიუჟეტური ეპიზოდის დღევანდელი ვაგების მიხედვით, ტარიელისა და ნესტანის მოქმედებებმა დაწინაურებულად არის მიჩნეული. ამას ვერ ვაეზიარებთ. ძნელი დასაჯერებელია, რომ შოთა რუსთაველი, რომლის ჰუმანიზმი და პროგრესული შეხედულებები ყოველთვის აღგავრთოვანებს, ვერ გამოსძებნიდა უფრო მოხერხებულ და ლოგიკურად მჭიდროდ დაკავშირებულ სიუჟეტურ ეპიზოდს ამ სამართლებრივი აფორიზმის გადმოსაცემად. მაგრამ, რაკი პოემაში პროგრესული შინაარსის სამართლებრივი აფორიზმი „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნელლად“ დაკავშირებულია ერთი შეხედვით მასთან შეუსაბამო სიუჟეტურ ეპიზოდთან, უნდა ვიგულისხმობთ, რომ ხვარაზმშას შვილის წინააღმდეგ ტარიელისა და ნესტანის მოქმედების გასამართლებლად შოთა რუსთაველს უნდა გააჩნდეს რაღაც სამართლებრივი არგუმენტი, რომელიც იმ დროისათვის უძლიერესი იყო თავისი დამაჯერებლობით და ამიტომაც შოთა რუსთაველს სრულიადაც არ ეუხერხულება ეს პროგრესული სამართლებრივი აფორიზმი პოემაში მოგვეცეს როგორც ხვარაზმშას შვილის წინააღმდეგ ტარიელისა და ნესტანის მოქმედებისაგან ლოგიკური აუცილებლობით გამომდინარე დასკვნა. მაგრამ იმის გამო, რომ რვა საუკუნის განმავლობაში, რომელიც გვაშორებს რუსთაველისაგან, ბევრი რამ შეიცვალა მოვლენებისადმი ადამიანთა დამოკიდებულებაში, ჩვევებსა და შეხედულებებში, რა თქმა უნდა, არასწორი იქნება ჩვენგან დიდი ხნით დაშორებული ეპოქის მოვლენები და ადამიანთა მოქმედებანი დაკვალიფიცირდეს მხოლოდ დღევანდელი თვალსაზრისით. ცნობილია, რომ ისტორიული პიროვნებების დამსახურება ფასდება არა იმის მიხედვით, თუ რა არ მოგვეცეს მათ მეცნიერების განვითარების დღევანდელი დონის მიხედვით, არამედ იმის მიხედვით, თუ რა მოგვეცეს მათ ახალი და პროგრესული იმ ეპოქის მიღწევებთან შედარებით, რომელშიც ისინი ცხოვრობდნენ. მართლაც, იურიდიული მეცნიერების განვითარების დღევანდელი დონის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ტარიელისა და ნესტანის მოქმედება დანაშაულებრივი ხასიათისაა, მაგრამ ფეოდალურ საქართველოში ფართოდ გავრცელებული ე. წ. მართალი სამართლის მოძღვრება, რომლის მიხედვითაც აფასებს რუსთაველი ტარიელისა და ნესტანის მოქმედებას, ხვარაზმშას შვილის წინააღმდეგ მიმართულს, მთლიანად აცილებს ამ მოქმედებას დანაშაულებრივ ხასიათს. სწორედ ამიტომ რუსთაველი არავითარ უხერხულობას არ გრძნობს, პროგრესული სამართლებრივი აფორიზმი „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნელლად“ ჩამოაყალიბოს როგორც ხვარაზმშას შვილის მკვლელობასთან დაკავშირებული სიუჟეტური ეპიზოდის ლოგიკური დასკვნა.

მას შემდეგ, რაც შესაძლებელი გახდა „მართალი სამართლის“ ცნების დადგენა, ტარიელისა და ნესტანის მოქმედებას, ხვარაზმშას შვილის წინააღმდეგ ფეოდალური საქართველოს სამეფო ხელისუფლების პოლიტიკური იდეოლოგიის მიხედვით, რუსთაველოლოგიურ ლიტერატურაში ზემოთ გამოთქმული შეხედულებისაგან განსხვავებული კვალიფიკაცია უნდა მიეცეს.

ფეოდალური საქართველოს სამართლებრივი იდეოლოგიის განმსაზღვრელი „მართალი სამართალი“ ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში წარმოშობილი და შემდეგ შუა საუკუნეებში ფართოდ გავრცელებული იგივე ბუნებითი სამართალია, მაგრამ აღრინდელი ბურჟუაზიული რევოლუციების ეპოქაში გადაამუშავებული ბუნებითი სამართლის მოძღვრებისაგან განსხვავებით, შუა საუკუნეებში ბუნებითი სამართალი ყველგან ღვთაებრიობის შარავანდელით არის მოსილი.

მონათმფლობელური და ფეოდალური ეპოქების პოლიტიკური მოძღვრების მიხედვით, ბუნებითი სამართალი არის ქცევის განსაკუთრებული წესები, რომლებიც, ადამიანთა ნება-სურვილის მიხედვით დადგენილი დადებითი (პოზიტიური) სამართლისაგან განსხვავებით, ღვთის უცვლელ და მუდმივ ნებას გამოხატავს. ფეოდალიზმის ეპოქაში გავრცელებული ბუნებითი სამართლის სკოლის წარმომადგენელთა აზრით, საზოგადოებაში მოქმედებენ ქცევის განსაკუთრებული წესები (მშობლებისადმი პატივისცემა, ღმერთისადმი დამოკიდებულება, ღვთაებრივი წარმოშობის მქონე სამეფო ხელისუფლების ტახტის მემკვიდრეობა და ა. შ.), რომლებიც ადამიანთა ნება-სურვილზე კი არ არის დამოკიდებული, არამედ დადგენილია ღვთის მიერ და ამიტომაც სახელმწიფოებრივი ხელისუფლება, რომელიც ადგენს დადებითი სამართლის ნორმებს, თავის საკანონმდებლო საქმიანობაში უნდა ხელმძღვანელობდეს ღვთის ნებით განსაზღვრული ბუნებითი სამართლის ნორმებში მოცემული ქცევის წესებით. სახელმწიფოებრივი ხელისუფლების მიერ დადგენილი სამართლის ნორმები უნდა შეესაბამებოდეს და გამოხატავდეს ღვთის ნების მიხედვით დადგენილი ბუნებითი სამართლის ნორმებს. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ შეუსაბამობა არსებობს ბუნებითი და დადებითი სამართლის ნორმებს შორის, მაშინ ქვეშევრდომებს უფლება აქვთ დაარღვიონ სახელმწიფოებრივი ხელისუფლების მიერ დადგენილი ქცევის წესები.

ბუნებითი სამართლის ამ მოთხოვნას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ზვარაზმშას შვილის მკვლელობით გამოწვეული ტრაგედიის ნამდვილი არსისა და მასთან დაკავშირებული ნესტანისა და ტარიელის მოქმედების მორალურ-პოლიტიკური შეფასებისათვის.

ნესტანისა და ტარიელის აზრით, მართალი სამართლით, ე. ი. ღვთის მიერ დადგენილი ბუნებითი სამართლის ნორმების მიხედვით, სამეფო ტახტი მხოლოდ ტარიელსა და ნესტანს ეკუთვნის, მაგრამ ბუნებითი სამართლის ამ მოთხოვნას ეწინააღმდეგება ფარსადანის სამეფო ხელისუფლების მიერ დადგენილი პოზიტიური სამართლის ნორმა — ჩამოართვას ტახტის მემკვიდრეობის უფლება ტარიელს და გადასცეს იგი უცხოელს, კერძოდ, ზვარაზმშას შვილს. ამდენად, ფარსადანის სამეფო ხელისუფლების გადაწყვეტილებამ წარმოშვა წინააღმდეგობა ბუნებით სამართალსა და დადებით სამართალს შორის და ასეთ შემთხვევაში, ფეოდალურ საზოგადოებაში გაბატონებული სამართლებრივი იდეოლოგიის მიხედვით, უნდა შესრულდეს არა სახელმწიფოებრივი ხელისუფლების დადგენილება, არამედ ღვთის ნება, ე. ი. უნდა განადგურდეს ის, ვინც ღვთის ნების წინააღმდეგ ცდილობს სამეფო ტახტის უკანონო დაკავებას. სწორედ ამიტომ, შუა საუკუნეებში გაბატონებული ერთადერთი მართალი და ქრისტიანული ღვთის ნების გამომხატველი ბუნებითი სამართლის ნორმების მიხედვით ტარიელისა და ნესტანის მოქმედება ზვარაზმშას შვილის წინააღმდეგ არ უნდა ჩაითვალოს დანაშაულად<sup>4</sup>. ამ საკითხისადმი მხოლოდ ასეთი მიდგომა გვაძლევს ერთადერთ სწორ წარმოდგენას ზვარაზმშას შვილის მკვლელობით წარმოშობილ ტრაგედიასთან დაკავშირებული სიუჟეტური ეპიზოდის იმ ლოგიკურ დასკვნაზე, რომელიც მოცემულია ჩვენთვის საინტერესო აფორიზმში.

ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს ნესტანის რჩევა-დარიგება ტარიელისადმი, რომლის მიხედვითაც ზვარაზმშას შვილი ამ უკანასკნელმა უნდა მოკლას არა

<sup>4</sup> აღნიშნულ თვლისაზრისს ავითარებს მ. თავდიშვილი, იხ. კურნალი „სკოლა და ცხოვრება“, 1988, № 3.



იმის გამო, რომ ხვარაზმშას შვილი ტარიელს აშკარა ძეტოქეობას უწევს ნესტანის სიყვარულში, არამედ ხვარაზმშას შვილი ეცილება ტარიელს „მართალი სამართლით“ მინიჭებული სამეფო ტახტის დაკავებაში. ნესტანს კარგად ესმის, რომ ხვარაზმშას შვილის მკვლელობა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გამართლდეს მათ შორის არსებული სამიჯნურო ურთიერთობის დარღვევით, რასაც შედეგად მოჰყვება ხვარაზმშას შვილის დაქორწინება ნესტანზე. „ვეფხისტყაოსნის“ 544-ე და 545-ე სტროფებში გადმოცემული ნესტან-დარეჯანის შეხედულებით, ხვარაზმშას შვილის მკვლელობის გამართლება იურიდიული თვალსაზრისით მხოლოდ მართალი სამართლის მოძღვრებაში უნდა ვეძიოთ.

ყველაფერი ეს იმას გვაფიქრებინებს, რომ შოთა რუსთაველის სამართლებრივი აფორიზმი „ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმს ხმელსა ნელლად“ დამყარებულია ფეოდალურ საქართველოში ცენტრალიზებულ სახელმწიფოებრივი ხელისუფლების აყვავების პერიოდში გაბატონებული ე. წ. მართალი, ანუ ბუნებითი სამართლის მოძღვრებაზე. „ვეფხისტყაოსნიდან“ ჩანს, რომ შოთა რუსთაველი შესანიშნავად იცნობს ამ მოძღვრებას და მოხდენილად იყენებს მას პოემის უმათავრესი სიუჟეტური ეპიზოდის დასასაბუთებლად.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რუსთაველოლოგიური მეცნიერების მკვლევარ ვ. ნოზაძეს „ვეფხისტყაოსნის“ აფორიზმში „ქმნა მართლისა სამართლისა, ხესა შეიქმს ხმელსა ნელლად“ შუა საუკუნეების ქართული სამართლებრივი ინსტიტუტი „მართალი სამართალი“ გაგებულ აქვს პირდაპირი მნიშვნელობით როგორც სწორი, ჭეშმარიტი, მართალი სამართალი, მაგრამ ამგვარ გაგებას აშკარად ეწინააღმდეგება „ვეფხისტყაოსნის“ უმათავრესი ეპიზოდი, კერძოდ, ტარიელის მიერ ერთი შეხედვით უდანაშაულო ხვარაზმშას შვილის მკვლელობა. დაუჯერებელია, რომ უდანაშაულო ადამიანის მკვლელობა მართალი სამართლის ქმნად მიაჩნდეს დიდ ჰუმანისტ შოთა რუსთაველს. ეს გარემოება გვაიძულებს რუსთაველის „მართალ სამართალს“, სხვა, ვ. ნოზაძისაგან არსებითად განსხვავებული და მეცნიერულად დამაჯერებელი ახსნა მოვუძებნოთ.

როგორც ზემოთ დავინახეთ, ამ კვლევამ იქამდე მიგვიყვანა, რომ არც საქართველოში და არც მსოფლიოს კულტურულად დაწინაურებულ ქვეყნებში „მართალი სამართალი“, როგორც სამართლებრივი ტერმინი, არ გაიგება როგორც მხოლოდ სწორი, ჭეშმარიტი სამართალი, არამედ მას სპეციალური იურიდიული აზრი აქვს, კერძოდ, როგორც ეს იურიდიულ მეცნიერებაში დადასტურებულია, შუა საუკუნეების კულტურულად დაწინაურებულ ქვეყნებში „მართალი სამართალი“ გაგებულ იყო, როგორც ბუნებითი სამართალი, ღვთაებრივი სამართალი. შ. რუსთაველის „მართალი სამართლის“ ამ სპეციფიკური იურიდიული თვალსაზრისის უგულებელყოფამ ვ. ნოზაძე, სამწუხაროდ, მიიყვანა შრავალ გაუგებრობამდე და უხერხულობამდე. რუსთაველის მიერ ხვარაზმშას შვილის მკვლელობის „მართალი სამართლის“, „ბრალის“ და სხვა იურიდიული ინსტიტუტების თვალსაზრისით შეფასების ვ. ნოზაძისეული იგნორირება ამ უკანასკნელის რუსთაველოლოგიური შრომების დასანანი ხარვეზია, დასანანი აგრეთვე ისაა, რომ პროგრესული, ინტელექტუალური ფენომენები ბუნებითი სამართალი, ღვთაებრივი სამართალი, ბრალი და ა. შ. შუა საუკუნეების ქართველი ხალხის სულიერი ცხოვრების სიმდიდრეა და მათი იგნორირება ჭეშმარიტ წარმოდგენას არ გვაძლევს ქართველი კაცის ნააზრევსა და მის წვლილზე მსოფლიო კულტურის საგანძურში. ვ. ნოზაძე მთლიანად უარყოფს იმ იურიდიულ თვალსაზრისს, რომლის მიხედვითაც ჩვენ შევისწავლეთ „ვეფხისტყაოსნის“ მოვლენები.

ვ. ნოზაძე წერს: „იურიდიული თვალსაზრისით ვეფხისტყაოსანი გაუსინჯავს კახტანგ აბაშაძეს და მას ჰგონია — „ვეფხისტყაოსანში“... რუსთაველი გადაჭრით უარყოფს ბრალის გარეშე პასუხისმგებლობას და მოითხოვს პასუხისმგებლობის საფუძვლების განსაზღვრას არა ობიექტური შერაცხვის პრინციპების მიხედვით, არამედ ბრალისა და სამართლიანობის (კანონიერების) მიხედვით. ვეფხისტყაოსნის განვითარებას პოემის მთავარი გმირების მოქმედება იურიდიულ შეფასების საფუძვლად უდევს ბრალის ცნება“<sup>5</sup>. ვ. ნოზაძე არ იზიარებს ჩვენი ნაშრომიდან ციტირებულ ამ მოსაზრებას, მეტიც, მთლიანად უარყოფს საკითხის ამგვარად დასმას და გაკვირვებული კითხულობს: „სად, რომელ ქვეყანაში, რომელ ჩამორჩენილ, თუ ჩამოუარჩენელ მხარეში იყო აღიარებული და განამდვილებული „ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა“<sup>6</sup>. ვ. ნოზაძის მიერ დაწუნებული იურიდიული თვალსაზრისი გვავალდებულებს, პირდაპირ ვუპასუხოთ ვ. ნოზაძეს, რომ კაცობრიობის განვითარების ადრინდელ ეტაპზე ადამიანები ჯერ კიდევ არ იცნობდნენ ბრალის ცნებას და ყველა ქვეყანაში პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენდა ობიექტური შერაცხვა. როგორც იურიდიულ მეცნიერებაში დადგენილია, ობიექტური შერაცხვა ნიშნავს სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ბრალის არ არსებობისას<sup>7</sup>. ობიექტური შერაცხვისას საკმარისია ქმედობით ან უმოქმედობით ამა თუ იმ შედეგის დადგომა, მიუხედავად იმისა, პირი არა თუ არ ითვალისწინებდა ამ შედეგის დადგომის შესაძლებლობას, არამედ არც შეეძლო იგი გაეთვალისწინებინა, ობიექტური შერაცხვა გულისხმობს აშკარად უდანაშაულო ადამიანების დასჯას, მაგალითად, სასჯელის შეფარდებას მოქმედებისათვის, რომელიც ჩადენილია სხვების მიერ (მთელი სოფლის მცხოვრებთა დასჯა დანაშაულისათვის, რომელიც ჩადენილია ამ სოფლის რომელიმე მცხოვრების მიერ). ისტორიულად ობიექტური შერაცხვა არსებობდა განუვითარებელ საზოგადოებაში, რომელიც არ იცნობდა ისეთ პროგრესულ სამართლებრივ მოვლენებს, როგორცაა ბრალი და მხოლოდ ბრალის მიხედვით პასუხისმგებლობა<sup>8</sup>, ძველ დროში სისხლის სამართალი არ იცნობდა ბრალის ცნებას, რომელიც შედგება განზრახვის გაუფრთხილებლობისაგან. ადამიანთა მაღალი სულიერი ცხოვრების გამოხატველია ჩადენილი მოქმედებისათვის სასჯელის შეფარდების დროს პირის ფსიქიკური და მოკიდებულების აუცილებელი გათვალისწინება. პირის მიერ ჩადენილი მოქმედების სამართლებრივი შეფასებისას თუ არ დადგინდება ბრალი, შეუძლებელია სასჯელის შეფარდება. ბრალის ცნების შემუშავება და მხოლოდ ბრალის მიხედვით დამნაშავისათვის სასჯელის შეფარდება დამახასიათებელია მაღალგანვითარებული საზოგადოებისათვის.

როგორც ივ. ჯავახიშვილმა დაადგინა, შუა საუკუნეების საქართველოს სამართალში უკვე დიდი ადგილი უკავია ბრალს, ქართული სამართლებრივი კულტურა ისეთ მაღალ დონეზეა, რომ სასჯელის შეფარდებისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ბრალს და ბრალის ცნება მაღალ მეცნიერულ დონეზეა დამუშავებული<sup>9</sup>. მართლაც, ცნობილი ქართველი მოაზროვნის ექვთიმე მთაწმინდელის

5 ვ. ნოზაძე, მიპარვით მოკალ სასიძო. ურნ. „კავკასიონი“, XI, 1960, გვ. 116.

6 იქვე.

7 «Юридический словарь», М., 1953, с. 425.

8 იქვე.

9 ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია, წიგნი II, ნაკ. II, ტფილისი, 1929, გვ. 260-271.

(955-1028 წწ.) ნაშრომებში დამუშავებულია არამართო ბრალის ზოგადი ცნება, არამედ მისი ფორმები<sup>10</sup>. ეს მოვლენა შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანში“ ნათლად ჩანს, როგორც ზემოთ მივუთითეთ, ნესტანი ურჩევს ტარიელს, მიპარვით მოკლას ხვარაზმშას შვილი იმიტომ, რომ მას ბრალი მიუძღვის დატრიალებულ ტრაგედიაში, ხოლო მის თანმხლებ სპას, როგორც ბრალის არმქონეს, ხელი არ ახლოს: „ასრე ქმენ, ჩემო ლომო და მჯობო ყოველთა გმირთაო, მიპარვით მოკალ სასიძო, ლაშქართა ნუ მოირთაო, მისთა სპათაცა ნუ დაჰხოც, ზროხათა ვითა ვირთაო — სისხლი კაცისა უბრალო კაცმანცა ვით იტვირთაო“. შოთა რუსთაველმა კარგად იცის, რომ უბრალო (ე. ი. ბრალის არმქონე) ადამიანის სისხლის დაღვრა და მოკვლა ეწინააღმდეგება „მართალი სამართლის“ მოთხოვნებს.

ვ. ნოზაძე არ იცნობს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიას, არც იმას, თუ რამდენი ფიქრი და შრომა დასჭირდა კაცობრიობას იმისათვის, რომ ბრალი გამოეცხადებინა პასუხისმგებლობის საფუძვლად. საქართველო X-XI სს. ერთ-ერთი ის დაწინაურებული ქვეყანა იყო, რომელმაც ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა „მართალი სამართლის“ საწინააღმდეგო მოვლენად გამოაცხადა. ამიტომ გაუგებრობას უნდა მიეწეროს ვ. ნოზაძის გაკვირვება და საყვედური ჩვენი მისამართით იმის თაობაზე, რომ „ვახტანგ აბაშმაძეს... ჰგონია — ვეფხისტყაოსანში რუსთველი გადაჭრით უარყოფს ბრალის გარეშე პასუხისმგებლობას და მოითხოვს პასუხისმგებლობის საფუძვლების განსაზღვრას არა ობიექტური შერაცხვის პრინციპების მიხედვით, არამედ ბრალისა და სამართლიანობის (კანონიერების) მიხედვით, ვეფხისტყაოსნის სიუჟეტის განვითარება პოემის მთავარი გმირების მოქმედება იურიდიულ შეფასების საფუძვლად უდევს ბრალის ცნებას. სად, რომელ ქვეყანაში, რომელ ჩამორჩენილ თუ ჩამოურჩენელ მხარეში იყო აღიარებული და განამდვილებული „ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა?“<sup>11</sup>

ბრალის ისტორიის ზემოთ მოყვანილი მოკლე ანალიზიც კი ცხადყოფს ვ. ნოზაძის მსჯელობის უსაფუძვლობას.

მეცნიერებაში ბევრჯერ აღნიშნულა, რომ ვ. ნოზაძის რუსთველოლოგიური გამოკვლევები დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ, როგორც აკად. ალექსანდრე ბარამიძე აღნიშნავს, მათში „ბევრი რამე... სადავოა, ან მცდარი და მიუღებელი“<sup>12</sup>. აღ. ბარამიძის მიერ მითითებული ვ. ნოზაძის ნაშრომების ამგვარ ნაკლოვანებაზე ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ზემოთ მოტანილი ჩვენი შენიშვნები, რომლებიც ცხადყოფენ, რომ იურიდიული მეცნიერების პრობლემებზე იგი არ იცნობს არც თანამედროვე ბურჟუაზიულ და არც საბჭოთა ლიტერატურას. სწორედ ამით უნდა აიხსნას მისი უსაფუძვლო საყვედური ჩვენი მისამართით: „კაცს წარმოდგენა არ უნდა ჰქონდეს ზოგადად არც ისტორიაზე, არც სოციალურ და პოლიტიკურ ისტორიაზე, არც საერთოდ ქვეყნის თუ ქვეყნის ცხოვრებაზე, რომ ამგვარ მიდ-მოღებებს შეუდგეს!“<sup>13</sup>... არა,

<sup>10</sup> ი. ი. სურგულაძე, *История государства и права Грузии*, Тб., 1968.

<sup>11</sup> ვ. ნოზაძე, მიპარვით მოკალ სასიძო, *ქურნ. „კავკასიონი“*, XI, 1966, გვ. 116.

<sup>12</sup> ვაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1987 წლის 7 აგვისტო.

<sup>13</sup> იხ. *ქურნ. „კავკასიონი“*, XI, პარიზი, 1966, გვ. 118.

არა! ან მე მაქვს ტვინი შებრუნებული. ან ბ-ნ ვ. აბაშმაძეს<sup>14</sup>.

ახლა, როდესაც იურიდიული მეცნიერების ჩვენს მიერ აღნიშნული მიღწევებით გათვალისწინებული დავის საგანი ნათელია, დაე, ეს საკითხი პირუთვნელმა მკითხველმა თვითონ განსაჯოს და გადაწყვიტოს, მაგრამ ვ. ნოზაძის პოლემიკის თაობაზე აუცილებლად მხედველობაში მიიღოს აკად. აღ. ბარამიძის სამართლიანი საყვედური: „უნდა შევნიშნოთ, რომ შეუწყნარებელია ვ. ნოზაძისეული პოლემიკის კილო“<sup>15</sup>. უფრო მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ შოთა რუსთაველის სამართლებრივი იდეოლოგიის უმთავრესი შემადგენელი ნაწილები (ბრალი, მართალი სამართალი, სამაჩაბლო და ა. შ.), რომლებიც მთლიანად უგულვებელყოფილია ვ. ნოზაძის რუსთაველოლოგიურ შრომებში, ფაქტობრივად ემსახურება შუა საუკუნეების დიდი ჰუმანისტური მოძრაობის, კერძოდ, რენესანსის უარყოფას. ქართული რენესანსის იდეა შეიძლება ვინმემ არ გაიზიაროს, მაგრამ მისი საფუძვლების ხელაღებით, დაუსაბუთებლად უარყოფა მეცნიერების საზღვრებს სცილდება. ვ. ნოზაძე თავის ნაშრომში არა მარტო ჩვენს მიერ ზემოაღნიშნულ რენესანსულ კატეგორიას (ბრალი) უგულვებელყოფს, არამედ ჩვენი აზრით, აქვე დაუსაბუთებლად, ხელაღებით უარყოფს ქართული რენესანსის მოძღვრების ფუძემდებლის შ. ნუცუბიძის და მისი მიმდევრების მიერ (გ. ჯიბლაძე და ა. შ.), „ვეფხისტყაოსნის“ რენესანსულ გააზრებას, ვ. ნოზაძის ანტირენესანსულ შეხედულებებზე პასუხები მაშინვე დაწერეს, როგორც შ. ნუცუბიძემ და გ. ჯიბლაძემ, ასევე ამ სტრიქონების ავტორმა და სხვებმაც. მაგრამ, მაშინ, 1966 წელს, როცა მთელი მსოფლიო აღნიშნავდა შ. რუსთაველის იუბილეს, უხერხულად ჩავთვალეთ საკამათოდ გაგვეხადა შ. რუსთაველის ჰუმანიზმი და რენესანსული შეხედულებანი. მაგრამ შემდგომში ჭეშმარიტი მეცნიერებისა და შუა საუკუნეების ქართული კულტურის მაღალი დონის წარმოსაჩენად ვ. ნოზაძის კრიტიკას ჩვენს მისამართით საკადრისი პასუხი გავეცით და შეძლებისდაგვარად დავიცავით შ. ნუცუბიძის მიერ შემუშავებული ქართული რენესანსის მოძღვრება და მისი მნიშვნელობა მსოფლიო კულტურის საგანძურში. შ. ნუცუბიძის და გ. ჯიბლაძის პასუხები ვ. ნოზაძის ანტირენესანსულ ბრალდებებზე, რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, შემდეგში აღარ გამოქვეყნებულა. ახლა, როდესაც ცოცხალთა შორის არც შ. ნუცუბიძე, არც გ. ჯიბლაძე და აღარც ვ. ნოზაძეა, ქართული კულტურის ინტერესი მოითხოვს შ. ნუცუბიძისა და გ. ჯიბლაძის პირად არქივებში მოძიებული იქნეს მათი პასუხები 1966 წელს ეურნალ „კავკასიონში“ ვ. ნოზაძის მიერ გამოქვეყნებულ შენიშვნებზე.

ეს აუცილებელია, რადგან ქართველი ხალხის პოლიტიკური ცხოვრების სინამდვილის რენესანსულმა გააზრებამ, რასაც დასაბამი მისცა შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანმა“, შექმნა უზარმაზარი სულიერი სიმდიდრე, რომლის მიხედვითაც დამუშავებული შემდგომი დროის მოწინავე, ქართული ინტელექტუალური ფენომენი, შ. რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“ და მისი თვისებრივად ახალი სულიერი სიმდიდრე ქართული სინამდვილის მოვლენათა იმდენად მტკიცე, შეკავშირებული ძალა აღმოჩნდა, რომ ვერავინ ვერ შეძლო მისი ჰუმანისტური საფუძვლების შერყევა. „ვეფხისტყაოსნის“ მდიდარი ტრადიციები ყოველთვის ასულდგმულებდა ქართველ ხალხს ეროვნულ თვითმყოფადობას.

<sup>14</sup> იქვე, გვ. 117.

<sup>15</sup> გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1987 წლის 7 აგვისტო.

## მემკვიდრის სავალო პასუხისმგებლობა

### ქართულ სამართალში

მემკვიდრე მართო უფლების სუბიექტი როდია. სამკვიდროს მიღება მოვალეობასაც წარმოშობს, რომელთაგან ერთ-ერთია მამკვიდრებლის\* ვალების გადახდის მოვალეობა. რომელი ხალხის მემკვიდრეობითი სამართალიც არ უნდა ავიღოთ, ყველგანაა ეს მოვალეობა. ზოგან ამ მოვალეობის შესრულება ხდება მხოლოდ სამკვიდროთი, ზოგან კიდევ, თუ სამკვიდრო არაა საკმარისი — მას ემატება მემკვიდრის პირადი ქონებაც. ამ უკანასკნელ პოზიციაზე იდგა რომის სამართალი. იქ მემკვიდრის შეუზღუდავი პასუხისმგებლობა გამოძინარობდა თვით მემკვიდრეობის ცნებიდან, რაც გულისხმობდა მემკვიდრეში მამკვიდრებლის ქონებრივ უფლება-მოვალეობებთან ერთად მისი პაროვნების მონაცვლეობას (უნივერსალურ მონაცვლეობას). მაგრამ, რომის სამართალშიც განვითარების ბოლო ეტაპზე თანდათანობით მკვიდრდება შეზღუდული პასუხისმგებლობა (*pro viribus hereditatis*). არსებითად ეს იყო *Beneficium inventarii*, რომელიც შემოიღო იუსტინიანემ და გულისხმობდა შემდეგს: მემკვიდრე, რომელიც სამკვიდროს გახსნიდან ოცდაათი დღის განმავლობაში დაიწყებს მის აღწერას ნოტარიუსთან და მოწმეებთან ერთად და დაამთავრებს სამოცი დღის, ზოგჯერ კი, როცა სამკვიდროსაგან მოშორებით ცხოვრობს — ერთი წლის განმავლობაში, მოვალეთა წინაშე პასუხს აგებს სწორედ აღწერილი ქონების ფარგლებში<sup>1</sup>. თუ მემკვიდრე არ დაიცავს ამ წესს და ისე დაეუფლება სამკვიდროს, მაშინ ვალისათვის პასუხისმგებლობის ფარგლები გაიზრდება და გავრცელდება მის პირად ქონებაზეც. არსებითად უცვლელად მიიღო იუსტინიანეს დანაწესი ბიზანტიური სამართლის ძეგლმა „ეკლოგამ“ (ტიტული VI)<sup>2</sup>. ამათგან განსხვავებით, გერმანული სამართალი თავიდანვე შეზღუდული პასუხისმგებლობის პოზიციაზე იდგა. შუა საუკუნეების გერმანიაში მემკვიდრის პასუხისმგებლობა მხოლოდ სამემკვიდრეო ქონებაზე ვრცელდებოდა<sup>3</sup>.

ამრიგად, მემკვიდრის პასუხისმგებლობაში ორი ურთიერთგანსხვავებული ხაზი გამოიკვეთა: რომაული, რომელიც არსებითად იყო შეუზღუდავი პასუხისმგებლობის ხაზი და გერმანული, რომელიც შეზღუდული პასუხისმგებლობით იყო ცნობილი. ევროპის ქვეყნებმა შემდგომ სხვადასხვა კომბინაციებით გაითავისეს ისინი. მაგალითად, პანდექტები, საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსი,

\* „სამკვიდროს დამტოვებლის“ ნაცვლად შემომაქვს ახალი ტერმინი — „მამკვიდრებელი“.

<sup>1</sup> Римское частное право, М., 1948, под ред. И. Б. Новицкого и И. С. Перетерского, с. 259, Эклога, Византийский законодательный свод VIII века, вступительная статья, перевод, комментарий Е. Э. Лившиц, М., 1965, с. 124.

<sup>2</sup> Эклога, с. 54, 55.

<sup>3</sup> А. А. Бугаевский, Советское наследственное право, Одесса, 1926, с. 105.

ავსტრიის სჯულდება, ბოლოს შვეიცარიის კოდექსი დაადგა შეუზღუდავი პასუხისმგებლობის რომაულ ხაზს Beneficium inventarii-სთან ერთად. აქვე უნდა იხილოს სჯულდება კი არსებითად გერმანული სამართლის პოზიციებზე დარჩენილია.

რაც შეეხება რუსულ სამართალს, რუსი ცივილისტების აზრით, იგი ისტორიულად შეზღუდული პასუხისმგებლობის პოზიციაზე იდგა. შეუზღუდავი პასუხისმგებლობა კი გვიან იქნა დადგენილი. ამ დასკვნას აკეთებენ იმაზე დაყრდნობით, რომ რუსული სამართლის ძეგლებში XIX საუკუნემდე (ზოგის აზრით XVII ს.) არსად არაა პირდაპირ მითითებული, რომ მემკვიდრე შეუზღუდავი პასუხისმგებლობის სუბიექტია. ვ. კურდინოვსკის გამოკვლევით „რუსკაია პრავდიდან“ მოკიდებული, რუსეთში არ ჩანს შეუზღუდავი პასუხისმგებლობა. საერთოდ, ვერ ვხედავთ პასუხისმგებლობის ფარგლებს „რუსკაია პრავდაში“, მსტისლავის ხელშეკრულებებში რიგასთან და გერმანულ ქალაქებთან. იგივე მდგომარეობაა ფსკოვის სამართლის სიგელში. ალექსი მიხეილის ძის სჯულდება კი პასუხისმგებლად თვლის „სამემკვიდრეო ქონებას“. ამავე თვალსაზრისზეა პეტრე პირველის კანონმდებლობა, რითაც პასუხისმგებელია უძრავი ქონების მემკვიდრე<sup>5</sup>. ნ. ტოვსტოლესმა მონოგრაფიულად შეისწავლა ეს საკითხი და არსებითად ვ. კურდინოვსკის შეხედულება გაიზიარა. იგი შენიშნავს, რომ ალექსი მიხეილის ძის სჯულდებამდე სამართლის ძეგლებში არსად არაა მითითებული იმის შესახებ, რომ მემკვიდრე შეუზღუდავი პასუხისმგებლობის სუბიექტია<sup>6</sup>. რაც შეეხება შეუზღუდავი პასუხისმგებლობის მაგალითებს, აქ უნდა დავასახელოთ 1800 წ. 19 დეკემბრის „საბანკროტო წესდება“, რომელიც მემკვიდრეთა პირად ქონებაზეც განაგრძობს სავალო პასუხისმგებლობას. რუსეთის კანონთა წიგნის X ტომის 1259-ე მუხლი ადგენდა, რომ მემკვიდრემ მამკვიდრებლის ვალი უნდა გადაიხადოს სამემკვიდრეო წილის თანაზომიერად და თუკი საკმარისი არ იქნება ამისათვის ეს წილი — საკუთარი კაპიტალითა და ქონებითაც<sup>7</sup>. რა შეიძლება ითქვას ამის შემდეგ? ნ. ტოვსტოლესი თვლის, რომ შეუზღუდავი პასუხისმგებლობის შემთხვევები ეწინააღმდეგება რუსეთში ამ ინსტიტუტის განვითარების ისტორიას, როცა გამოკვეთილი იყო შეზღუდული პასუხისმგებლობა, როგორც პრინციპი. ამიტომაც, შეუზღუდავი პასუხისმგებლობის მაგალითებს იგი შემთხვევით მოვლენად თვლის<sup>8</sup>. ჩვენ არ ვაპირებთ ამ საკითხის დაწვრილებით ანალიზს. ისე კი უნდა ითქვას, რომ როცა სამართლის ძეგლები პირდაპირ არაფერს არ ამბობენ შეზღუდული თუ შეუზღუდავი პასუხისმგებლობის შესახებ, ძნელია ამტკიცო კატეგორიულად, რომ მაინცდამაინც შეზღუდული პასუხისმგებლობა იყო. აქ მართო ფორმალური ლოგიკა არ კმარა. დამატებითი მტკიცებულებანია საჭირო.

ძველი ირანის მემკვიდრეობით სამართალში, იმის მიხედვით თუ რა კატეგორიის მემკვიდრესთან გვექონდა საქმე, სავალო პასუხისმგებლობა შეიძლება ყოფილიყო შეუზღუდავი ან შეზღუდული. თუ მემკვიდრეა „უფლებამონაცვლე“

<sup>4</sup> იქვე.

<sup>5</sup> В. И. Курдиновский, Выморочное имущество, Киев, 1903, с. 123—128.

<sup>6</sup> Н. Н. Товстолес, Ответственность наследника перед кредиторами вообще и перед легатарьем в частности, Петроград, 1915, с. 15.

<sup>7</sup> Законы гражданские с разъяснениями правительствующего Сената и комментариями русских юристов, четвертое издание, составитель И. М. Тюртюмов, СПб, 1913, с. 943.

<sup>8</sup> ნ. ტოვსტოლესი, დასახელებული ნაშრომი, გვ. 31

— პასუხისმგებლობა შეუზღუდავია, ხოლო თუ არაა „უფლებამონაცვლე“  
მემკვიდრე — პასუხისმგებლობა შეზღუდულია. ასეთი განსხვავების მეზუხად  
თელიან იმას, რომ „უფლებამონაცვლე“ უნივერსალური მონაცვლეა მემკვიდ  
რებისა. იგი ცვლის ამ უკანასკნელის პიროვნებას და ერთი დრახმიც რომ  
შეზღდეს, ვალდებულია მთელი თავისი ქონებითაც აგოს. პასუხი მამკვიდრებ-  
ლის მოვალეთა წინაშე<sup>9</sup>. ჩანს, რომ „უფლებამონაცვლის“ პასუხისმგებლობა  
რომაული შეუზღუდავი პასუხისმგებლობის ანალოგიურია.

განსხვავებული მდგომარეობა გვაქვს მუსლიმანურ სამართლში. აქ მემკვიდ-  
რეობის ცნებაში არც კი შედის პასივი. ამიტომ, ფაქტობრივად არც კი წამო-  
იჭრება საკითხი მამკვიდრებლის ვალებისათვის მემკვიდრის პასუხისმგებლო-  
ბისა. სამკვიდრო მუსლიმანურ სამართალში სწორედ ის ქონებაა, რომელიც  
თავისუფალია ამ ტვირთისაგან და ეს მიიღწევა შემდეგნაირად: მამკვიდრებ-  
ლის გარდაცვალება არ წარმოშობს მემკვიდრეთა უფლებას მთელ მის ქონე-  
ბაზე. ჯერ, მამკვიდრებლის ქონებიდან ნაწილი მოხმარდება მის დაკრძალვას,  
ნაწილით ვალების გასტუმრება მოხდება და რაც დარჩება ამის შემდეგ, მხო-  
ლოდ მასზე ვრცელდება მემკვიდრეთა უფლებები. ყურანის ნორმები, რომ-  
ლებიც მემკვიდრეობას ეხებიან, პირდაპირ უთითებენ, რომ წილის გამოყოფა  
ხდება „ვალების დარიგების შემდეგ“. გამოდის, რომ ფაქტობრივად კავშირიც  
არ ყოფილა სამემკვიდრეო უფლებასა და სავალო ურთიერთობას შორის. ზე-  
მოთ განხილული სისტემებით კი სავალო ურთიერთობა იყო სამემკვიდრეო უფ-  
ლების შემადგენელი ელემენტი. აქ ეტყობა განსხვავების მიზეზი მემკვიდრეო-  
ბის განსხვავებულ გააზრებაშია. როგორც ჩანს მუსლიმანური სამართლისათვის  
მემკვიდრეობის ცნებაში წმინდა ქონებრივი უფლების მონაცვლეობაა განმსაზ-  
ღვრელი. შეიძლება ასეთი სისტემით მემკვიდრის მდგომარეობა უმჯობესდება.  
მაგრამ, ამასთან მთელი ურთიერთობის დაყვანა წმინდა აქტივზე, ერთგვარად  
აუფასურებს იმ კავშირებს, რაც არსებობდა მამკვიდრებელსა და მემკვიდრეს  
შორის.

ახლა ვნახოთ თუ როგორაა მოწყობილი მემკვიდრის სავალო პასუხისმგებ-  
ლობა ფეოდალურ საქართველოში. თავიდანვე უნდა ითქვას, რომ სამართლის  
ძველებსა და იურიდიულ პრაქტიკაში აშკარად გამოკვეთილი ერთიანი ხაზი არ  
სჩანს. პასუხისმგებლობის საზღვრებზე მითითებას ვერ ვხვდებით.

ქართული სამართლის წყაროთაგან ამ საკითხზე რამდენადმე სრულყოფილ  
წარმოდგენას იძლევა ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნი და საქართველოს ჩვეუ-  
ლებითი სჯული. დავიწყოთ პირველი. მისი 139-ე მუხლის ნორმა ადგენს,  
რომ მემკვიდრეები ვალდებული არიან გადაიხადონ მამკვიდრებლის ვალი,  
მაგრამ თუ სადამდე ვრცელდება პასუხისმგებლობის საზღვრები ეს არ ჩანს:  
„საქართველოს რიგით, მამა თუ ძმისწული ან ბიძაშვილი გაუყრელი დარჩა, იმ  
მკუდრის წილი მამულიცა და საქონელიც მისი არის და ვალიც იმათ უნდა  
გარდიკადონ“<sup>10</sup>. აქ ისიც კარგად ჩანს თუ ვინ ითვლება მემკვიდრედ. რა გამო-  
დის, თუ მემკვიდრეები ერთად ცხოვრობენ სავალო პასუხისმგებლობაც საერ-  
თოა. ამავე მუხლიდან ჩანს, რომ გაყრისას საერთო ვალი ნაწილდება ოჯახის  
წევრებზე და ვის რამდენიც შეხვდება, იმდენს იხდის. დაახლოებით ანალოგი-

<sup>9</sup> A. Г. Периханян, Общество и право Ирана в парфянский и сасанидский пе-  
риоды, М., 1983, с. 201—202.

<sup>10</sup> „ქართული სამართლის ძეგლები“, ტ. I, ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული,  
თბ., 1963, გვ. 516

ური ვითარება ჩანს 141-ე მუხლიდან. პაპისა და პაპის მამის მიერ აღებულ ვალებს, მათი შვილები და შვილიშვილები, რომლებიც რამდენიმე თაობაში გაიყვნენ, იხდიან ერთად. თუ ამთავან რომელიმე მოკვდება უმცირესობაში, როდ ან დაიკარგება, როგორც გაიყოფენ მის მამულს, ისე უნდა გაიყონ ვალებიც, თუ სხვა ვინმე დაეუფლება მამულს, მანვე უნდა გადაიხადოს ვალიც<sup>11</sup>. მოკვლედ, კი არის გამოკვეთილი სავალო პასუხისმგებლობის აუცილებლობა, მაგრამ მისი ფარგლები ცხადი არ არის.

136-ე მუხლის ნორმიდან ის აზრი გამოსჴვივის, რომ შვილი ვალდებულია გადაიხადოს მამკვიდრებელი მამის ვალები. საქმე იმაშია, რომ ვასყიდულსა თუ დატყუევებულ შვილს... „მამისა და სახლის ვალსა და სარგებელში ჴელი არა აქუს. და თუ ისრევე მამის მამულზე და საქონელზე მოვიდა ჴირიც ინდომა მათი და ლხინცა, ეთხოვების“<sup>12</sup>. პასუხისმგებლობის საზღვრები არც აქ ჩანს. 145-ე მუხლის ნორმით კი ვალისათვის პასუხისმგებელია ჴერ ქალიშვილი და „ზედსიძე“, შემდომ კი — მათი უფლებამონაცვლე — „იმ კაცის ვალიც“ იმ ქალმან და მისმა ქმარმან გარდიჴადოს. თუ ის ქალიცა და მისი ქმარიც მამკუდარა და შვილი დარჩომია, ი(314r) მათ გარდაიჴადონ“<sup>13</sup>. საინტერესოა 137-ე მუხლის დანაწესი. იქ საუბარია ბეთალმან ქონებაზე, როცა მამკვიდრებელს შემკვირდე აღარ რჩება. ასეთ ვითარებაში ქონებას იყოფენ მოვალეები. რამდენიც არ უნდა იყოს ვალი — მისი ვასტუმრება ხდება სამკვიდროს ფარგლებში — „რა გინდ იმათი ბევრი ემართოს, რაც დარჩომია, ის არის“<sup>14</sup>. აქედან თითქოს ის დასკვნა უნდა გაკეთდეს, რომ როცა სახეზე არიან მამკვიდრეები, და სამკვიდრო არ იქნება საკმარისი ვალის დასაფარავად, გადახდევინება მათ პირად ქონებაზეც შეიძლება მიეჴკეს. მაგრამ, ამდაგვარი პირდაპირი მითითება ვახტანგის სამართლის არცერთ მუხლში არაა. მართალია ბეთალმანი ბატონისაა, მაგრამ ჩანს, რომ ბატონი წაიღებს იმას, რაც დარჩება ვალების ვასტუმრების შემდეგ. ამასთან, ქონების ნაწილი „მკუდრის სულს უნდა მოეჴმაროს“. ეტყობა მაშინაც, ვალის დასაფარავად იგი საკმარისი იქნება თუ არა.

სავალო ურთიერთობებში შვილის ანალოგიური მოვალეობები ეკისრება ნაშვილებს — „ვალი და სადაო, ჴირი და ლხინი, ბატონის სამსახური, მისის მამობილის მოდავეს პასუხი, — ყველა მან ნაშვილებმან ქნას“<sup>15</sup>. აქაც ზოგადი ფორმულირებით კმაყოფილდება კანონმდებელი.

როგორც ჩანს, ჴირდა სავალო პასუხისმგებლობის გავრცელება მამულზე. მასზე პირდაპირ უთითებს 138-ე მუხლი. დადგენილია, რომ როცა სახლში ქალია მარტო: „თუ საქონელი და ნასყიდი რამ დარჩა, მოვალეს იქილამ მიეცემის, თორემ სამკვიდრო მამულიდამ ბატონი არ მისცემს“<sup>16</sup>. სამართლის წიგნის 109-ე მუხლიდან კი ჩანს, რომ თუ ძმას მამულის მეტი სხვა რა არ გააჩნია ვალის გადასახდელად, რომელი ძმაც გადაიხდის მის ვალს, მამულიც იმისია<sup>17</sup>. იმაზე მინიშნებას, რომ მამკვიდრებლის ქონებიდან უნდა მოხდეს ვალების ვასტუმრება, ვხვდებით 146-ე მუხლში. იქ ნათქვამია, რომ თუ კაცი ამოვარდება

<sup>11</sup> Законы Вахтанга VI, перевод, введение, примечания, глоссарий и указатели Д. Л. Пурцеладзе, Тб., 1980, с. 130.

<sup>12</sup> „ქართული სამართლის ძეგლები“, ტ. 1, გვ. 516.

<sup>13</sup> იქვე, გვ. 517.

<sup>14</sup> იქვე, გვ. 516.

<sup>15</sup> იქვე, გვ. 549.

<sup>16</sup> იქვე, გვ. 516.

<sup>17</sup> იქვე, გვ. 511.



და დარჩება დედა და და, ვალის გადახდევინების მიქცევა ამათ ქონებაზე არ შეიძლება, მათ არც საერთოდ პასუხი ეთხოვებათ ამისათვის — „თუ რამ ქვეს საქონელი დარჩომია, იმით უნდა გარდივადონ“<sup>18</sup>. მაგრამ აქ ისეთი ვითარება გვაქვს, როცა არ არიან დაღმავალი ხაზის მემკვიდრეები. როგორც ვხედავთ, ვახტანგის სამართლის განხილულ ნორმებში არსად პირდაპირ არაა მითითებული, რომ მემკვიდრის სავალო პასუხისმგებლობა შეუზღუდავია თუ შეზღუდული. მათში აშკარად არ არის გამოკვეთილი სავალო პასუხისმგებლობის ფარგლები. რუსი ცივილისტების მსჯელობის მეთოდს თუ გავყებით, მაშინ უნდა ვთქვათ, რომ რადგანაც პირდაპირ არაა მითითებული შეუზღუდავ პასუხისმგებლობაზე, მაშასადამე პასუხისმგებლობა შეზღუდულია. მაგრამ, ხომ შეიძლება ასეთი ლოგიკით საპირისპირო დასკვნაც: რადგან პირდაპირ არ არის მითითებული შეზღუდულ პასუხისმგებლობაზე, მაშასადამე პასუხისმგებლობა შეუზღუდავია. თუ ვარაუდზე მიდგება საქმე, მაშინ უფრო შეუზღუდავი პასუხისმგებლობაა სავარაუდებელი. საქმე ის არის, რომ ის ნორმები, რომლებიც განვიხილეთ, ჩვენში მემკვიდრეობას წარმოაჩენენ, როგორც უნივერსალურ უფლებამონაცვლეობას, დაახლოებით ისე, როგორც ეს იყო რომის სამართალში. აკი, 261-ე მუხლი ნაშვილებზე ამბობს, რომ „ვალი და სადაო, ჭირი და ლხინი, ბატონის სამსახური, მისის მამობილის მოდავეს პასუხი, — ყველა მან ნაშვილებმა ქნას“-ო. თავის დროზე პროფ. გ. ნადარეიშვილმა შენიშნა, რომ ამ შემთხვევაში სახეზეა უნივერსალური უფლებამონაცვლეობა<sup>19</sup>.

საქართველოს ჩვეულებითი სჯულიც დეტალურად აწესრიგებს სავალო პასუხისმგებლობის საკითხებს ოჯახის გაყრისას: „და გაყრისას, რაც ქონება ანუ ვალი ექნებოდათ, ყოველივეს თანასწორ გაიყოფდნენ“<sup>20</sup>, „...ხარჯი, ზარალი, მოგება, ვალი, ასაღებ-მისაცემი... თანასწორ გაეწილვოდათ“<sup>21</sup>, „...როგორც ქონებას გაუყოფდნენ, ისე ვალსაც“<sup>22</sup>, „გაყრის დროს ვისაც რა ერთი ვალი შეხვდებოდა, ის იმას უნდა გარდებოდა“<sup>23</sup>, და ა. შ. შეიძლება ითქვას, რომ ჩვეულებითი სჯულის იმ განყოფილებებში („გაყრისათვის“, „გარდაცვლილ კაცთათვის“), რომლებიც სპეციალურად ეძღვნება მემკვიდრეობას — არსად პირდაპირ არაა მინიშნებული სავალო პასუხისმგებლობის ფარგლებზე. იქ ვახტანგის სამართლის წიგნის ანალოგიური მდგომარეობა იკვეთება. სამაგიეროდ, ჩვეულებითი სჯულის იმ განყოფილებაში, რომელიც სპეციალურად ეხება სავალო ურთიერთობებს („საზოგადო ვალის გარდაუხდელობისათვის“) სრულიად განსხვავებული ვითარებაა: მხედველობაში გვაქვს მე-20 მუხლი, რითაც გათვალისწინებულია მემკვიდრის შეუზღუდავი პასუხისმგებლობა. საქმე შემდეგშია: „მოვალე, რომელიც გარდაიცვლებოდა და დარჩებოდა უასაკო შვილი, მაგრამ ქონება არა იმდენი, რომ მითი ვალის გარდახდა შესძლებიყო, ამისთანას შემთხვევაში უკეთუ გამოძიებით დაინახებოდა, რომე რამდენსამე დროს შემდგომ ის ობლად დარჩომილი შეიძლებდა ვალის გარდახდას, მაშინ მოიბმარებდენ ცდას, რომ მასესხებელნი ვადის მიცემისათვის ეთანახმავებინათ და ისე ვადას მისცემდნენ, არამედ [V] ვალის გარდახდამდის არა როგორისამე ქო-

<sup>18</sup> იქვე, გვ. 518.

<sup>19</sup> გ. ნადარეიშვილი, ქართული საოჯახო სამართლის ისტორიიდან, თბ., 1965, გვ. 195.

<sup>20</sup> ი. დოლიძე, საქართველოს ჩვეულებითი სჯული, თბ., 1960, გვ. 62.

<sup>21</sup> იქვე, გვ. 63.

<sup>22</sup> იქვე, გვ. 66.

<sup>23</sup> იქვე, გვ. 67.

ნების გასყიდვა მასესხებელთ უთანხმოდ არ შეეძლო<sup>24</sup>. აქედან უკვე ცხადად ჩანს, რომ მემკვიდრის სავალო პასუხისმგებლობა შეუზღუდავია, როგორც რომაული. მით უმეტეს, მემკვიდრე სრულწლოვანი რომ ყოფილიყო, მემკვიდრე ქონებას ექნებოდა და ცხადია, მასზეც შეიძლებოდა გადახდევინების მიქცევა. გამოდის, რომ თუ შეძლებდა კობოლი ვალის გადახდას მომავალში, მას დააციდინენ, ხოლო თუ ამისი იმედი არ იქნებოდა, მაშინ მოვალეები სამკვიდროთი უნდა დაკმაყოფილებულიყვნენ. 21-ე მუხლის თანახმად „...გაუყიდნენ ქონებასა (მცირეწლოვანს — ბ. ზ.) და მასესხებელთ გაუწილევდნენ თავისა და სარგებლის მიხედვით“<sup>25</sup>. აქედან ჩანს, თუ რამდენად აბსოლუტურია მევალის უფლება. სამკვიდრო პირველ რიგში ამ უფლების დაკმაყოფილებას უნდა მოხმარდეს. უკვე ამკარაა, რომ მემკვიდრეობა უნივერსალურ უფლებამონაცვლობას გულისხმობს ჩვენში, საქართველოს ჩვეულებით სჯულში ეს ერთადერთი შემთხვევაა, რომელშიც პირდაპირაა მითითებული სავალო პასუხისმგებლობის შეუზღუდავ ხასიათზე.

მემკვიდრის შეუზღუდავ პასუხისმგებლობა რომ ფაქტი ყოფილა ქართულ ჩვეულებით სამართალში, ამაზე მეტყველებს მაქ. კოვალევსკის ცნობაც. იგი ფშაველების მისამართით წერს, რომ მოვალის გარდაცვალების შემდეგ ქონება დარჩება თუ არ დარჩება — სულერთია ვალის გადახდის ვალდებულება გადადის მის შთამომავლებზე<sup>26</sup>. უნდა ვივარაუდოთ, რომ მსგავსი პასუხისმგებლობა საერთო მოვლენა უნდა ყოფილიყო ქართული სამართლისათვის. მართალია ვახტანგის სამართალში ამაზე პირდაპირ არ იყო მინიშნებული, სამაგიეროდ, სამართლის წიგნთა კრებულში შესული უცხო სამართლის ძეგლები ითვალისწინებენ მას. ჩვეულებითი სჯულის მე-20 მუხლი სწორედ რომ სირიულ-რომაული სამართლის 123-ე მუხლზე მიგვანიშნებს, როგორც ჩვენში სამოქმედო ნორმაზე. მასში სწორედ, რომ მემკვიდრის შეუზღუდავი პასუხისმგებლობაა დაწესებული. 123-ე მუხლი ვაუწყებს: „რომელიც შვილი მამამან ანდერძით დააპატრონოს ქონებასა და მამულსა მისსა, და რომ დარჩეს ვალი, რომელიც რომ დაპატრონდა, ვალიც მან უნდა მისცეს, თუ ბევრია თუ ცოტა და თუ ვერ იკისროს პატრონობა და ვალის გარდაცვა, აიღოს ჯელი. ვალი მოვალემ მამულსა და მის კაცის ქონებასა სთხოოს“<sup>27</sup>. ახლა უკვე უფრო გაბედულად შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ჩვენში მემკვიდრის სავალო პასუხისმგებლობა შეუზღუდავ ხასიათს ატარებდა.

მემკვიდრეს უფლება ჰქონდა უარი ეთქვა სამკვიდროზე. მაშინ იგი ვალის გადახდის ვალდებულებისაგანაც თავისუფლდებოდა. ვახტანგ VI სამართლის 139-ე მუხლის ბოლო პუნქტი ადგენს: „ესეც ექნების, ერთგან იყვნენ გინდა ძმა, გინდა მამა, გინდა ძმისწული, ერთი და ერთი რომ მოკუდეს, თუ მკუდრის მამულს არ ინდომებს სხვა სახლის კაცი, რომ არც გარდაცვა შეეძლოს, აღარც ვალს მისცემს“<sup>28</sup>. სირიულ-რომაული სამართლის ქართული ვერსიით 124-ე მუხლის მიხედვით, როცა მემკვიდრე უარს იტყვის მამულზე, ქონებაზე და ვალზე, მაშინ მოვალეს უფლება ეძლევა „...მოკიდოს მამულსა და ქონებას ჯელი თავის ვალის გულისათვის“<sup>29</sup>.

<sup>24</sup> იქვე, გვ. 53.

<sup>25</sup> იქვე, გვ. 53.

<sup>26</sup> Мак. Ковалевский, Закон и обычай на Кавказе, т. II, М., 1890, с. 191.

<sup>27</sup> „ქართული სამართლის ძეგლები“, ტ. I, გვ. 259.

<sup>28</sup> იქვე, გვ. 516.

მსგავსება ჩანს ობოლთა სავალო პასუხისმგებლობაში ვახტანგის სამარ-  
თალსა და სირიულ-რომაული სამართლის ქართულ ვერსიას შორის. მაგალი-  
თად, ვახტანგის სამართლის 133-ე მუხლით მოვალეები ობლებს ვერ მოსთხო-  
ვენ ვალის გადახდას, სანამ ისინი თოთხმეტ-თხუთმეტი წლისა არ გახდებიან<sup>30</sup>.  
სირიულ-რომაული სამართლის ქართული ვერსიის 144-ე მუხლით, მემკვიდრე  
ყმაწვილს დაკაცებამდე ვალი არ მოეთხოვება<sup>31</sup>. დაკაცება კი გულისხმობს  
15 წლის ასაკის მიღწევას, რა მომენტიდანაც ეხსნება მას მეურვეობა და ანდერ-  
ძის თქმაც შეუძლია<sup>32</sup>.

ახლა ვნახოთ იურიდიული პრაქტიკის ხაზი მემკვიდრეთა სავალო პასუ-  
ხისმგებლობაში. აქვე უნდა ითქვას, რომ იგი ძირითადად მიჰყვება ვახტანგის  
სამართლის დანაწესებს და პირდაპირ არსად არ ლაპარაკობს პასუხისმგებლო-  
ბის საზღვრებზე. ვალს იხდის, ცხადია, მემკვიდრე, XIX საუკუნის ერთ-ერთი  
განჩინებიდან ჩანს, რომ კრედიტორი გარდაცვლილის ძმას სთხოვს ვალის გა-  
დახდას სწორედ იმის გამო, რომ იგი მემკვიდრეა: „შენს ძმას პეტრიელას  
თეთრი ემართა ჩვენი; ის შენი ძმა შენს სახლშიდ მოკვდა და თუ რამე ქონდა  
თეთრი, საქონელი, ცხენი, ხარი და ძროხა, სპილენძი, თალათინი, სამუგვე და  
იარაღი, ყოვლისფერი შენ დაგრა. ახლა გედავებით, რომ ჩვენი ვალის ამავა-  
ლი საქონელი მოგვეცი“<sup>33</sup>. XVIII საუკუნის ერთ-ერთი არზიდან კი ირკვევა,  
რომ მამკვიდრებლის ვალისათვის პასუხისმგებელია მისი შვილობილი, რო-  
გორც ვარისი — მემკვიდრე<sup>34</sup>. სხვა საბუთიდან ირკვევა, რომ ვინმე  
აკოფა უარს ამბობს გადაიხადოს თავისი ძმის მღსესას ვალები იმ მოტივით,  
რომ იგი მისგან გაყრილია და ამდენად, აღარც მემკვიდრეა: „ჩემი ძმა ჩემგან  
გაყრილი არისო; თუ რამ იმისი იყო ჩემთან, რო(მ) მოკლდა ჩემი ძმა, სულზე  
დავხარჯე, ჩემთან აღარ არის რა ჩემის ძმისაო. და რაც იმისი კერძი მამული  
დარჩომილა, შენი თეთრი იქილამ აიღეო“<sup>35</sup>.

იურიდიულ საბუთებში სავალო პასუხისმგებლობასთან დაკავშირებით  
ხშირია შემდეგი სახის ფორმულები: „თუ ჩვენი მამისეული ვალი რამ გამოჩნ-  
დეს, ერთად პასუხი გავცეთ“<sup>36</sup>. „და თუ მამისა ჩვენისა ან ვალი გამოჩნდეს და  
ან სადავო გამოჩნდეს რამე, ჩვენ ორთავე უნდა პასუხი გავცეთ“<sup>37</sup>. სხვა გაყ-  
რის წიგნიდან ჩანს, რომ საერთოა ვალიც და სარგებელიც: „და თუ რამ მამი-  
სეული ან ასალები და ან გამოსალები გამოჩნდეს რამე, საერთო არის; ასალებიც  
ორთავე ძმის არის და მისაცემიც ორთავ ძმათ ერთად, პასუხი უნდა გავცეთ“<sup>38</sup>.  
სხვაგან ვკითხულობთ: „და თუ ძველი მამისეული ასალები გამოჩნდეს ან მისა-  
ცემი, სამთავ ძმისა არის“<sup>39</sup>, „და თუ პაპეული ან მამეული დავა, ან ასალები,  
გამოჩნდეს, საერთო არის“<sup>40</sup>. როგორც ვხედავთ, საერთოა გაყრის შემდეგ გა-  
მოჩენილი ვალიც და სარგებელიც.

<sup>28</sup> იქვე, გვ. 259.

<sup>30</sup> იქვე, გვ. 515.

<sup>31</sup> იქვე, გვ. 264.

<sup>32</sup> იქვე, გვ. 228.

<sup>33</sup> „ქართული სამართლის ძეგლები“, ტ. VI, თბ., 1977, გვ. 467.

<sup>34</sup> იქვე, გვ. 213.

<sup>35</sup> „ქართული სამართლის ძეგლები“, ტ. VII, თბ., 1981, გვ. 596.

<sup>36</sup> იქვე, გვ. 220.

<sup>37</sup> იქვე, გვ. 245.

<sup>38</sup> იქვე, გვ. 288.

რაც შეეხება ბეითალმან მამულს, როგორც ჩანს, აქ კაცის იხდიდა არა ბათონი, მეფე ან ეკლესია, რომელთაც ჰქონდათ მასზე უფლება, არამედ მსგავსად ისინი უწყალობებდნენ. სანიმუშოდ გამოდგება XVIII საუკუნის უწყალობის წიგნი ანტონ I-ისა ოქუანთ დანელასა და სტეფანესადმი<sup>38</sup>. საბუთიდან ჩანს, რომ უშვილოდ გარდაცვლილ გაყრილი კაცის მამული ეკლესიას დაუჭერია, როგორც ბეითალმანდ. შემდგომ იგი, უწყალობებიანთა გარდაცვლილის ბიძაშვილებსათვის, რომლებზედაც გადასულა სავალო პასუხისმგებლობაც: „და თუ დღეის უკან აღუქსას (გარდაცვლილის ბ. ზ.) აღებული ვალი გამოჩნდეს, ისიც თქვენვე გარდაუხადოთ და ან ასაღები გამოჩნდეს, ისიც თქვენთვის გამოართვიო“<sup>39</sup>.

ჩვენ აღარ გვაგვარძღვებთ მაგალითების მოყვანას, ვიტყვივით მხოლოდ იმას, რომ ქართულ სამართალში მემკვიდრის სავალო პასუხისმგებლობა უნდა ყოფილიყო შეუზღუდავი, როგორც ეს იყო რომის სამართალში. აქედან გამომდინარე, ქართულ სამართალში, ისევე როგორც რომაულში, მემკვიდრეობის ცნებაში დამფუძნებელია უნივერსალური უფლებამონაცვლეობა.

რაც შეეხება დღეს მოქმედ სამართალს, ჩვენში დადგენილია შეზღუდული პასუხისმგებლობა და იგი არ სცილდება მემკვიდრის ხელში გადასული სამკვიდროს ნამდვილი ღირებულების ფარგლებს.

კონტინენტალური ევროპის ქვეყნები არსებითად მემკვიდრის შეუზღუდავ პასუხისმგებლობას უჭერენ მხარს დღესაც, მაგრამ ამასთან ზოგჯერ შეზღუდულ პასუხისმგებლობასაც ცნობენ.

ინგლისურ-ამერიკული სამართლის დანაწესები ამ დარგში რამდენადმე წააგავს მუსლიმანური სამართლით გათვალისწინებულ წესს. საქმე იმაშია, რომ მემკვიდრეობის გარდაცვალების შემდეგ მთელი სამკვიდრო გადადის მისი „პირადი წარმომადგენლის“ ხელთ, რომელიც აქედან იხდის ვალებს და ამის შემდეგ რაც დარჩება, იმას აბარებს მემკვიდრეს. ასე რომ, მემკვიდრე ღებულობს ქონებას, რომელიც თავისუფალია მემკვიდრეობის ვალებსაგან<sup>40</sup>.

<sup>38</sup> იქვე, გვ. 322.

<sup>39</sup> იქვე, გვ. 383.

<sup>41</sup> იქვე, ტ. V, თბ., 1974, გვ. 831.

<sup>42</sup> Гражданское и торговое право капиталистических государств: Учебник: ч. 1: 4. I

Под ред. проф. Р. Л. Нарышкиной, М., 1984, с. 295—296



კონსტანტინე შიქელაძის სახელი ისტორიული კვებდიობის გამო დღეს სპეციალისტებისთვისაც კი ნაკლებადაა ცნობილი. იგი ქართველი იურისტების იმ პლეადას განეკუთვნება, რომელმაც ღრმა პროფესიული ერუდიციის წყალობით დიდი კვალი დაამჩინა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სამართალშემოქმედებას და სახელმწიფოებრივ აღმშენებლობას. გასაბჭოების შემდეგ კონსტანტინე შიქელაძე პედაგოგიურ და მეცნიერულ მოღვაწეობას ეწეოდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე. აქვეყნებდა მეცნიერულ წერილებს ჟურნალ „საბჭოთა სამართალი“. ჩვენი ჟურნალის ამ ნომერში ვიწყებთ მისი მონოგრაფიის ბეჭდვას, რომელიც როგორც თანადროული ისე თანამედროვე საქართველოსთვის მეთად აქტუალურ პრობლემებს ეხება.

კონსტანტინე შიქელაძე

# დემოკრატიული სახალენიფოს კონსტიტუცია და კარლამენტარული რესპუბლიკა\*

(ზოგიერთი მოსაზრებები საქართველოს კონსტიტუციის შემუშავების შესახებ)

## შ ი ნ ა ს ი ტ ჯ ვ ა მ ბ ა

სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ საქართველომ დაიწყო მუშაობა სამართალშემოქმედებით სფეროში. ხანგრძლივი სააღმშენებლო შრომაა საჭირო, სანამ საქართველოს ცხოვრება ნორმალური სახელმწიფოს კალაპოტში სავსებით ჩადგებოდეს.

ყოველ ახლად დაარსებულ სახელმწიფოს პირველი და აუცილებელი ნაბიჯი უნდა გამოიხატოს მისი ცხოვრების ნორმალური მიმდინარეობის უზრუნველყოფაში. რა თქმა უნდა, მხოლოდ ამით არ სრულდება მისი უახლოესი მიზანი, მას სჭირდება ისეთი კანონების შემუშავება და გამოცემა, რომელნიც ადასტურებენ სახელმწიფოს წესწყობილებას. ეს არის აუცილებელი პირობა, ურომლისოდ საკუთარი პოლიტიკური ვითარება შეუძლებელია.

პირველ შეხედულებით ადვილი გვეგონება იმ საკითხის გადაწყვეტა, თუ რა თვალსაზრისით და მოსაზრებებით უნდა ვიხელმძღვანელოთ ამა თუ იმ წესწყობილების ამორჩევაში. ამის გამორკვევა ადვილდება, თუ კი ამ დროს დაევიწყებთ საზოგადოების ცხოვრების პირობებს. მაგრამ, როდესაც ამ საკითხის განსჯის დროს თვალს გადავავლებთ იმ საზოგადოების ანუ ხალხის

\* ავტორისეული სტილი დაცულია.

ცხოვრების პირობებს, ვისთვისაც გვინდა შემოვიღოთ ეს თუ ის მართველობითი ფორმა, შრომა რთულდება. ამ რიგად, ვიდრე ჩვენ ავირჩევდეთ ერთ-ერთი იმე ფორმას მართველობისას, როგორც სასურველს და ხალხისადგენს, ვიდრე გებლოს, საჭირო არის შევებოთ და გამოვარკვეოთ ის საკითხი, თუ როგორი წესწყობილება არსებობს თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოში.

## 1. სახელმწიფო და სახელმწიფოებრივი ძალა

რა გინდ მცირე და უმნიშვნელო არ უნდა იყოს რომელიმე სოციალური ერთეული, თუ კი მის უფლება შემოქმედებაზე არა აქვს იძულებითი უფლება უფრო მაღლა მდგომს და რთულს ერთეულს, მაშინ ჩვენ სახელმწიფოსთანა გვაქვს საქმე<sup>1</sup>. მაგრამ საკითხია, რა ელემენტებისაგან უნდა შესდგებოდეს სოციალური ერთეული, რომ ის სახელმწიფოთ ჩაითვალოს, თვალი რომ გადავავლოთ თანამედროვე სახელმწიფოებს, ყველგან ჩვენ დავინახავთ სამ აუცილებელ ელემენტს: იძულებით ძალას, ტერიტორიას და მოსახლეობას. მხოლოდ პირველი ელემენტის, იძულებითი ძალის, გამორკვევას შეუდგებით აქ, ვინაიდან ორი დანარჩენი ელემენტი არ წარმოადგენს ისეთ რამეს, რომლის შესახებ შესაძლებელი იყოს რაიმე დავა.

ესაბიძა, რომ სახელმწიფოს არსებობისათვის საჭიროა საკუთარი ტერიტორია და მცხოვრებლები ანუ ხალხი<sup>2</sup>, რომელიც იმყოფება სახელმწიფოს იძულებითი ძალის გავლენის ქვეშ. აი ესა იბადება საკითხი, თუ რა არსებითი თვისება აქვს სახელმწიფოს იძულებით ძალას.

სახელმწიფოებრივ იძულებითი ძალის არსებით თვისებას შეადგენს პირვანდელი უფლებრივი ბატონობა<sup>3</sup> ყველა იმათზე, ვინც კი სახელმწიფოს ტერიტორიალურ ფარგლებში იმყოფება, განურჩევლად იმისა, არის ეს თუ ის პირი სახელმწიფო — მკვიდრი მოქალაქე, თუ უცხო სახელმწიფოს წევრი, თუ უცხოელი ცხოვრობს სხვა სახელმწიფოს ფარგლებში, ის უნდა ემორჩილებოდეს ყველა იმ კანონებს და წესებს, რომლებიც აქ მოქმედებენ. იმის გამოკლებით, რის შესახებ ორ სახელმწიფოთა შორის შეთანხმებას აქვს ადგილი. სახელმწიფო თავის ბატონობას ამყარებს ფარულ ძალაზე. ეს ძალა გამოდის შესაფერ ასპარეზზე საკუთარ მოქმედებით მაშინ, როდესაც სახელმწიფოებრივი ინტერესი მოითხოვს იმას, რომ იმის წინააღმდეგ, ვინც არ ემორჩილება სახელმწიფოებრივ ძალას, მიღებული იქნენ იძულებითი ზომები.

მაგრამ საკითხია, თუ ვინ არის სახელმწიფოში მატარებელი სახელმწიფოებრივი ძალისა. ამის გადაწყვეტა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა სახის სახელმწიფოსთან ჩვენ გვაქვს საქმე. თუ ეს არის აბსოლუტური მონარქია — მთელი ძალა-უფლების წყაროს შეადგენს აბსოლუტისტი, ვინაიდან ხალხს არავითა-

<sup>1</sup> Бар. С. А. Корфъ. Федерализмъ, გამ. 1917 წ., გვ. 103.

<sup>2</sup> აქ ვხმარობთ შემგენებას „ხალხი“ იურიდიულის მნიშვნელობით და არა ეთნოლოგიურის, ე. ი. ხალხი პირველი მნიშვნელობით შეადგენს ყველა იმას, ვინც სახელმწიფოს შემადგენლობაში შედის.

<sup>3</sup> იძულებითი ძალა აქვთ აგრეთვე სახელმწიფოში არსებულ კავშირებს, რომელნიც ითვლებიან უფლებების სუბიექტათ. ამ კავშირების იძულებითი ძალა იმით განირჩევა სახელმწიფოს იძულებითი ძალისაგან, რომ პირველის უფლებრივ ბატონობას არა აქვს პირვანდელი (первичный) ხასიათი, არამედ მინდობილობითი. ამგვარ კავშირს წარმოადგენს ავტონომიური პროვინცია და სხვა გვარი სოციალური ერთეულები, რომელთაც სახელმწიფო აძლევს შემოქმედების უფლებას განსაზღვრულ სფეროში.

რო მონაწილეობის უფლება არა აქვს სახელმწიფოებრივი ძალის მოღვაწეობაში. ხალხის უფლებებით შეზღუდულ მონარქიაში მდგომარეობა იცვლება იმის და მიხედვით, თუ რა სახის პოლიტიკური უფლებები — ვიწრო თუ ფართო აქვს მინიჭებული ხალხს. ზოგიერთ მონარქიულ სახელმწიფოში ხალხის უფლებრივი გავლენა პოლიტიკურ ცხოვრებაზე ისე ძლიერია, რომ ხალხის ფრთხილ შეკვეცილ საარჩევნო უფლებების მიუხედავად მონარქს დიდი მნიშვნელოვანი ადგილი არ რჩება სახელმწიფოს საქმეების მართვა-გამგეობაში.

შეზღუდულ მონარქიაში სახელმწიფოს ძალა-უფლების მატარებლათ ითვლება ხელმწიფესთან ერთად საკანონმდებლო ორგანო. ამ ძალათა ურთიერთობა დამყარებულია კონსტიტუციის ნორმებზე. მაგრამ მნიშვნელობა ერთის და მეორეს პოლიტიკურ ცხოვრებაში სხვა და სხვაა; ეს კი დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ძალა და გავლენა მოიპოვა ხალხმა სახელმწიფოს საქმეების ვითარებაზე, სახელმწიფოს მართვა-გამგეობაზე.

ხალხის გავლენა მაშინ უფრო მეტია, როდესაც სახელმწიფოს მართვა-გამგეობა რესპუბლიკანურია<sup>4</sup>. მაგრამ რესპუბლიკაცაა და რეპუბლიკაც. ეჭვს გარეშეა, რომ ხალხი ინიჭებს ფართო პოლიტიკურ გავლენას და ძალას სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში იმ პირობებში, თუ კი პოლიტიკურ სფეროში ადგილი აქვს მის ფართო პოლიტიკურ უფლებებს, თუ კი მთელი ხალხი არის ბატონი და პატრონი საკუთარი ბედ-იღბალისა. რესპუბლიკა არის ერთად-ერთი ფორმა სახელმწიფოებრივი მართვა გამგეობისა, რომელიც წარმოადგენს ფართო ნიადაგს ხალხის ბუნებრივ უფლებების გამოძყადნებისას და განმტკიცებისას. მხოლოდ რესპუბლიკა გამოხატავს იმ მიმართულებას, რომ თვით ხალხი არის მატარებელი მთელი სახელმწიფოებრივი ძალა-უფლებისა.

სახელმწიფოებრივი ძალა რესპუბლიკაში ან მონარქიაში შეიძლება იქნეს ორგვარი: სუვერენული ან არა სუვერენული. განსვენებული გერმანელი მეცნიერი გიორგი ელიინეკი სამართლიანად სთვლის სახელმწიფოებრივი ძალის განმასხვავებელ თვისებად თვითგამორკვევის და ერთგვარ ვალდებულებათა თვის თაზე მიღების უფლებას<sup>5</sup>. არა სუვერენულ სახელმწიფოსაც, ამბობს იგივე ელიინეკი, აქვს უფლებრივი ძალა საკუთარი კომპეტენციის ნორმების შექმნისა; მაგრამ ეს ძალა განსაზღვრულია მის მალა მდგომ ერთეულის უფლებებით<sup>6</sup>; სწორედ ამაში არის მთავარი განსხვავება სუვერენულ და არა სუვერენულ სახელმწიფოთა შორის. ამიტომაც ადვილი გასაგებია, თუ რათ სთვლის ელიინეკი სუვერენიტეტის შინაარსათ განსაკუთრებულ უფლებრივ თვითგამორკვევის უნარს. არა სუვერენული სახელმწიფოსათვის საკმარისია განთავისუფლდეს საკუთარი კომპეტენციის ნორმების შექმნის სფეროში იმ შეზღუდვისაგან, რომელსაც უყენებს მასზე მალა მდგომი სახელმწიფოს ძალა, იმისათვის, რომ იგი გაზღდეს სუვერენული.

ამგვარად სუვერენული სახელმწიფო ახორციელებს განსაკუთრებულ უფ-

<sup>4</sup> ის გარემოება, რომ რესპუბლიკაში სახელმწიფოს მოთავე ირჩევა, აძლევს ხალხს ძლიერ საშუალებას იქონიოს გავლენა სახელმწიფოს მართვა-გამგეობაზე. ამ საშუალებას ხალხი მოკლებულია თუ კი სახელმწიფოს მოთავე მეგვიდრეობითია.

<sup>5</sup> Общее учение о государстве Е.А.Илинека, изд. С. И. Гессенхис თარგმანი, გამ. 1908 წ. გვ. 363.

<sup>6</sup> აღნიშნულ უფლებრივ შეზღუდვას, მაგალითად, განიცდის თითოეული წევრი-სახელმწიფო ფედერატიულ კავშირში, რომლის სახელმწიფოებრივი ძალა უფრო მალა დგას თითოეულ წევრის ძალაზე, ვინაიდან კავშირის კომპეტენციას შეადგენს უფლებამომქმედება საერთო ინტერესების სფეროში; თითოეულ წევრს კი ადგილობრივში.

ლებრივ თვითგამორკვევას შეუზღუდველათ. ამ სიტყვის მხოლოდ იმ მნიშვნელობით, რომ სუვერენიტეტი არის უარყოფა ყოველივე ძალისა, რომელიც ზღუდავს მეორე სახელმწიფოს ძალამოსილობას, თვარა სხვა მხრივ ყოველივე სახელმწიფო განიცდის ერთგვარ შეზღუდავას იმ უფლებამწიფობების მხრივ, რომლის თანახმად მოძრაობს სახელმწიფოს მთელი ორგანიზმი. უფლებრივი შეზღუდავანი სახელმწიფოებრივი ძალისა მით უფრო მეტია, რაც უფრო ღრმად არის გატარებული პოლიტიკურ ცხოვრებაში პრინციპი პიროვნების და კავშირების თავისუფლებისა.

როგორც აღამიანის მოძრაობისათვის საჭიროა ჯანმრთელი ორგანოები, რომლებიც შეთანხმებულად ამოძრავებენ ჩვენ სხეულს, ისე სახელმწიფოს არსებობისათვის აუცილებელია ისეთი ორგანოები, რომელნიც თავიანთ ფუნქციებს ასრულებენ თანახმად უმაღლესი ძალის მინდობილობისა. ყოველ სახელმწიფოს ორი ძირითადი ფუნქცია აქვს: მატერიალური და ფორმალური. პირველნი შეიცავენ სახელმწიფოს მოქმედების ძირითად მიმართულებას, მეორენი კი განსაზღვრულ ორგანოთა მოქმედებას. თვისება თითოეულ მათგანის იქიდან გამომდინარეობს, თუ რა სახით და ფორმით ისინი ხორციელდებიან.

სოციალურ ერთეულს, თუ კი ის სახელმწიფო არის, უნდა ჰქონდეს სამი მატერიალური ფუნქცია: კანონდებულება, მართლმსაჯულება და მართველობა. ეს სამი ფუნქცია ნორმალური ფუნქციები არიან. მხოლოდ ამ ნორმალურ ფუნქციების გარდა სახელმწიფოს, რა თქმა უნდა არა ყველას, აქვს განსაკუთრებული ფუნქციებიც, რომლებიც ეხებიან სახელმწიფოთა შორის ურთიერთობას. ასეთი ფუნქციები ისეთ სახელმწიფოს ეკუთვნიან, რომელსაც აქვთ უფლებები: ომის გამოცხადებისა, ზავის შეკერვისა, სახელმწიფოებთან ყოველგვარ ზელშეკრულების დადებისა და სხვა<sup>7</sup>.

სახელმწიფოს სამ ნორმალურ ფუნქციათა მიხედვით განსხვავდებიან სახელმწიფოებრივი ორგანოები: საკანონმდებლო, სამოსამართლო და აღმასრულებელი. დამოკიდებულებანი ამ სამ ორგანოთა შორის განისაზღვრებიან კონსტიტუციის ნორმებით და სახელმწიფო მექანიზმის მოქმედების საერთო სახით.

თუ კი ავიღებთ რესპუბლიკას, — რაც აქ ჩვენ უფრო გვიანტერესებს, უნდა ვაღიაროთ, რომ მთელ მის სახელმწიფოებრივ ძალის წყაროს შეადგენს ხალხი<sup>8</sup>, რომლის სახელით და ძალით მოძრაობს სახელმწიფოს მექანიზმი. რესპუბლიკანურათ მოწყობილი ხალხი არის სახელმწიფოს პირვანდელი ორგანო, რომელსაც ემორჩილება სხვა მის მიერ შექმნილი ორგანოები. ეს ორგანო ჰქმნის ქვემდებარე ორგანოებს და მათი საშვალებით ამოძრავებს სახელმწიფოს პოლიტიკურ და სოციალურ ცხოვრებას. რესპუბლიკაში მხოლოდ ხალხის ნება-სურვილით განისაზღვრება და იცვლება განწყობილება ორგანოთა შორის, რადგან მის პოლიტიკურ მიმართულებაზე არის აშენებული სახელმწიფოს მთელი მართვა-გამგებობა.

<sup>7</sup> ამგვარ უფლებების მატარებელათ ითვლება მხოლოდ სუვერენული სახელმწიფო.

<sup>8</sup> ყოველ რესპუბლიკაში ხალხს არა აქვს ერთნაირი პოლიტიკური უფლებები. შეიძლება ყველა სრულწლოვან წევრს ხალხისას არ ჰქონდეს სახელმწიფო საქმეებში მონაწილეობის უფლება. ამ შემთხვევაშიაც მთელი სახელმწიფოებრივი ძალაუფლების მქონედ ითვლება ხალხის ნაწილი, რომელიც გამადის მთელი ხალხის სახელით. მხოლოდ დემოკრატიული რესპუბლიკა აერთებს მთელ ხალხს პოლიტიკურ ასპარეზზე.





უფლება არსებობს მაშინ, როდესაც არის ვალდებულება. რა ხასიათისაც არ უნდა იყოს პიროვნების უფლება, მისი რეალობა მოითხოვს მასთან დაკავშირებულ ვალდებულებების აღსრულებას მიუხედავად იმისა, იქნება ვალდებულების ამსრულებელი ანუ მატარებელი კერძო პირი, კავშირი თუ სახელმწიფო.


საზოგადოთ უფლება იყოფა: საჯარო და კერძო უფლებაზე. საჯარო უფლება განსაზღვრავს მბრძანებელსა და ხელქვეითთა შორის ურთიერთობას, ე. ი. ისეთ ურთიერთობას, სადაც სახელმწიფო გამოდის მბრძანებელათ, ხელმწიფების (властвованиѣ) სუბიექტათ. ეს უფლება შეიცავს სახელმწიფოებრივ ანუ კონსტიტუციონურ უფლებას, ადმინისტრაციულს, სასამართლო-პროცესუალურს და კრიმინალურს.

თითოეული კანონი გამოხატავს სახელმწიფოს ნებას, რომელიც ჩამოყალიბებულია ბურიდიულ ნორმების კალაპოტში. რიგი აღნიშნულ ნორმებისა სპეციალურ შინაარსის მიხედვით შეადგენს შესაფერ უფლებას. როდესაც სახელმწიფო აწესებს ახალ წესწყობილებას, იგი ქმნის კონსტიტუციას, რომლითაც ხასიათდება სახელმწიფოს მართვა-გამგეობა განსაზღვრულ ფორმაში. ამით ის ზღუდავს თავის ნებას და მასთან იმორჩილებს ყველა იმათ, ვინც მის ხელმწიფების ქვეშ იმყოფება. ეს დამორჩილება არის იძულებითი დამორჩილება, ვინაიდან სახელმწიფო არის ერთადერთი ძალა, რომელსაც აქვს უფლება საკუთარი ნების დაკანონებისა. ავიღოთ მაგალითად, სახელმწიფოს კრიმინალური უფლება. როდესაც სისხლის სამართლის კანონში გამოხატულია ის ნორმა ან დებულება, რომ ის, ჭინც ჩაიდენს ამა თუ იმ აკრძალულ მოქმედებას, ან არ მოიშოქმედებს იმას, რაც მისთვის სავალდებულო არის, ისჯება, ამა თუ იმ ზომით, ეს სახელმწიფოს ნების გამოხატულება არის, ეს არის სახელმწიფოს ბრძანება.

იმისგან დამოუკიდებლათ, ანიჭებს თუ არა სახელმწიფო მოქალაქეთ უფლებებს, იგი გამოდის როგორც ბრძანებელი. მხოლოდ აქ განსხვავება იმ მხრივ არსებობს, რომ როდესაც სახელმწიფო აძლევს მრქალაქეთ უფლებებს, იქნება ეს თავისუფლების უფლებები თუ პოლიტიკური, საკუთარ მოღვაწეობას ზღუდავს მოქალაქეთა კანონით ცნობილ უფლებებით, აძლევს მათ უფლებას თანამშრომლობისა და ერთად მუშაობისა ხელმწიფების სფეროში.

საჯარო უფლებისაგან განირჩევა კერძო უფლება იმით, რომ განსაზღვრავს სწორუფლებიან პირთაშორის ურთიერთობას. სახელმწიფოსაც შეუძლია გამოვიდეს აქ, ხოლო ის იცვლის თავის სახეს და მისი როლი ბრძანებელისა კი არა, არამედ თანასწორუფლებიანისაა. ეს კი შესაძლებელია მაშინ, თუ კი ის გამოდის ხაზინის სახელით.

სახელმწიფო საკუთარ მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ანუ დანიშნულების ასასრულებლათ საჭიროებს ნივთიერ ღირებულებას ქონებაში. ამის შოვნა მას შეუძლია ორგვარ გზით: იძულებითი ზომებით და კერძო პირთან შეთანხმებით, როდესაც სახელმწიფო აწესებს ბაჟს ან სხვა გადასახადს, იგი ბრძანებს, მიდის მოქალაქეთა იძულებითი დამორჩილების გზით. მაშინ კი, თუ იგი ვისმესაგან საერთო პირობებში ცდილობს ნივთის შეძენას, ის გამოდის ურთიერთობის სფეროში როგორც სწორუფლებიანი. ის უნდა შეთანხმდეს ვისმესთან; მან შეთანხმებით უნდა დაუმორჩილოს თავისი ნება სხვისას და სხვისი თავისას. ამრიგად, როდესაც სახელმწიფო გამოდის ხაზინის სახე-



ლით ქონებრივ ინტერესების დასაკმაყოფილებლათ, დგება იმავე მდგომარეობაში, როგორც არსებობს კერძო პირთა შორის.

ზემო აღნიშნული დებულებები საჯარო უფლების არსებით თვისების შესახებ ნათელყოფს იმას, რომ ეს უფლება გამოხატავს სახელმწიფოს წყობილების დამაზახსიათებელ თვისებებს და განსაზღვრავს მის და მოქალაქეთა შორის ურთიერთობას. იმის და მიხედვით, თუ რას გამოხატავს ან განსაზღვრავს საჯარო უფლება, უკანასკნელი იყოფა: სუბიექტურ და ობიექტურ უფლებაზე. პირველი უნდა გვესმოდეს როგორც უფლება-მოსილება, მეორე კი — როგორც უფლებბრივი წყობილება, ე. ი. პირველი შეიცავს მთელ რიგს სუბიექტურ უფლებებისა, მეორე იურიდიულ ნორმათა მთლიანობას, რომლითაც განისაზღვრება სახელმწიფოს უფლებბრივი წყობილება.

სახელმწიფო ანიჭებს რა მოქალაქეთ ინდივიდუალურ-საჯარო უფლებებს, თავის თავს ზღუდავს იმ მხრივ, რომ ვალდებული ზდება მოქალაქე ჩააყენოს ისეთ პირობებში, რომ უკანასკნელმა შესძლოს დაუბრკოლებლად ისარგებლოს მინიჭებული უფლებებით. ეს კი სახელმწიფოს შეუძლია პირველყოფლისა და დებითი და უარყოფითი მოქმედებით. დადებითი მოქმედება იმაში გამოიხატება, რომ იმ შემთხვევაში, თუ დარღვეულია მოქალაქის ინტერესი ანუ უფლება, სახელმწიფომ უნდა აღმოუჩინოს მოქალაქეს უფლებბრივი საშვალება მისი დაცვისა და აღდგენისა. რაც შეეხება უარყოფით მოქმედებას, ეს უნდა იყოს მიმართული ყველა იმ განკარგულებების გაბათილებისაკენ, რომელნიც არღვევენ პიროვნების სუბიექტურ უფლებებს. ამ ორ ვალდებულებას ემატება მესამე, რომლის შინაარსს შეადგენს ის, რომ სახელმწიფო მოვალეა მოქალაქე დაუშვას მის, სახელმწიფოს, მოღვაწეობაში მონაწილეობის მისაღებად. ამრიგად, სახელმწიფოს აღნიშნული ვალდებულებანი გამოხატავენ მოქალაქეთა სუბიექტურ უფლებათა მიმართულების ჩასიათს. ამ უფლებებს შეუძლიათ იარსებონ როგორც მოქმედი უფლებები, თუკი ისინი კონსტიტუციით არიან განმტკიცებულნი და მასთან უზრუნველყოფილნი დაცვის და აღდგენის მხრივ სხვადასხვა სახელმწიფოებრივ დაწესებულებათა მიერ.

### III. სახელმწიფოებრივი მოქალაქეობა და უცხოელთა უფლებანი სახელმწიფოში

საზოგადოდ სახელმწიფოში უცხოელს არა აქვს და არ შეიძლება ჰქონდეს ყველა ის უფლებები, რომლითაც მოსილია მისი მკვიდრი მოქალაქე ანუ ქვეშევრდომი. განსხვავება ამ მხრივ განსაკუთრებით არსებობს საჯარო უფლებების სფეროში.

სახელმწიფოს ინტერესთან შეურიგებელია ის, რომ უცხოელებს ჰქონდეს საჯარო უფლებების მთლიანობა. ამისდა მიხედვით უცხოელების საჯარო ვალდებულებანი სახელმწიფოს წინაშე ვრცელდებიან მათზე იმდენად, რამდენად ისინი გამოწვეულნი არიან მათი უცხო სახელმწიფოში ყოფნით და მოქმედებით. ამ ვალდებულებას წყაროდ აქვს სახელმწიფოს უფლება გაავრცელოს თავისი ხელმწიფება ყველაზე, ვინც მის ტერიტორიალურ ფარგლებში იმყოფება და დაუმორჩილოს ისინი თავის ნებას. რა თქმა უნდა, ეს მორჩილება ვერ აცდება უცხოელს, თუკი ის მოქმედებს სახელმწიფოს ტერიტორიალური გავლენის ფარგლებში, რადგან შეუძლებელია ისეთი მდგომარეობა, რომ უც-

ხოელის ცხოვრება და მოქმედება სახელმწიფოში არ იყოს განსაზღვრული და ჩაყენებული არსებული კანონების კალაპოტში.

სახელმწიფოს მოსახლე, იქნება ეს მოქალაქე მისი, თუ უცხო ქვეყნისა, ვალდებულია დაუმორჩილოს თავისი მოქმედება და მოღვაწეობა არსებულ წესებს და კანონებს. მაგრამ ყოველი კანონი და წესი კი არ ვრცელდება უცხოელზე. მოქალაქეს ვალდებულება სახელმწიფოს წინაშე განიზრჩევა უცხოელის ვალდებულებისაგან, ვინაიდან პირველი არის წევრი სახელმწიფოსი, მეორე კი ამ მდგომარეობას მოკლებულია. პირველს აქვს მოქალაქეობრიობის უფლებები და ვალდებულებანი, რომელნიც მოითხოვენ მოქალაქისაგან მორჩილების გარდა ერთგულებას.

სახელმწიფოში მკვიდრ მოქალაქეს შეიძლება ეკუთვნოდეს ისეთი უფლებები, რომლის მინიჭება უცხოელთათვის ეწინააღმდეგება სახელმწიფოს მკვიდრ ინტერესებს, ავიღოთ მაგალითად, პოლიტიკური უფლებები, რომლებიც აძლევენ მათ მატარებელს საშვალებას პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღებისა. ამ უფლებებს მკვიდრო კავშირი აქვთ თითოეულ პიროვნების მდგომარეობასთან სახელმწიფოში, ე. ი. იმასთან, რომ მოქალაქე არის სახელმწიფოს წევრი. წევრობა კი იწვევს იმის შესაძლებლობას, რომ წევრს ჰქონდეს უფლებრივი გავლენა სახელმწიფოს საქმეების მსვლელობაზე.

უცხოელი, სანამ ის ითვლება სხვა სახელმწიფოებრივი ერთეულის წევრად, დაკავშირებულია მასთან, მისი კავშირი კი უცხო სახელმწიფოსთან დროებითი და გარდამავალია. მოქალაქე კი, სანამ ის იმყოფება სახელმწიფოს წევრის მდგომარეობაში, არ შეუძლია თავიდან აიცილინოს სახელმწიფოს უფლებრივი ძალის გავლენა, თუ გინდა ის იქ არ ცხოვრობდეს. ასეთ განსხვავებულ სახელმწიფოს განწყობილებიდან გამომდინარეობს უცხოელის და მოქალაქის სხვადასხვა მდგომარეობა.

სახელმწიფოთა შორის შეთანხმების ძალით უცხოელი გათანასწორებულია მოქალაქესთან მხოლოდ ერთ სფეროში, სწორედ იმ სფეროში, სადაც მოქმედებს კერძო უფლების ნორმები. თანასწორობა ეს გამოიხატება კერძო უფლების შექმნის, დაკარგვის და აღდგენის საერთო პირობებში. მაგრამ საჯარო უფლებების მინიჭების მხრივ ასეთი თანასწორობა არ არსებობს და არ შეიძლება არსებობდეს, ვინაიდან ის არ გამომდინარეობს უცხოელის მდგომარეობიდან უცხო სახელმწიფოში, მათთვის, მაგალითად, არ არსებობს პოლიტიკური და სახელმწიფოებრივ თანამდებობაზე უფლებები; თავისუფლების უფლებები კი მათ შესახებ მოქმედებენ მხოლოდ შეზღუდულად. გარდა ამისა, მათ მდგომარეობას და არსებობას სახელმწიფოში ისეთი მკვიდრო ადგილი არა აქვს, როგორც მოქალაქეს. ის უცხოელი, რომელიც პოლიტიკურად საიმედო პირს არ წარმოადგენს, შეიძლება იქნეს განდევნილი სახელმწიფოდან.

უცხო ქვეყნის ქვეშევრდომისაგან სახელმწიფოს არ შეუძლია მოითხოვოს ერთგულება. ამიტომ მისთვის არსებობს აქედან გამომდინარე ვალდებულება. სხვა მდგომარეობას განიცდის სახელმწიფოს ქვეშევრდომი. ეს, როგორც ზემოთ არის აღნიშნული, უნდა იყოს სახელმწიფოს მორჩილი და ერთგული, მორჩილება და ერთგულება არიან ის თვისებები, რომელნიც შეერთებულად შეადგენენ მოქალაქეობრიობის შინაარსს.

მოყვანილი თვალსაზრისის შუქი რომ მოვფინოთ საქართველოს სინამდვილეს, აღსანიშნავი იქნება ის, რომ ამ საკითხზე ჩვენში სრული არე-დარევა არსებობს. ჯერ-ჯერობით სრულიად გამოურყვეველია ის, თუ ვინ უნდა ჩაით-

კალოს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქეთა გარდა ქართველთა მკვიდრ წევრთა. ჩვენი ცხოვრების სინამდვილე გვიმტკიცებს, რომ ღია ის პრინციპი, რომელიც უნდა იქნეს დაცული და უზრუნველყოფილი, ე. ი. ის პრინციპი, რომ სახელმწიფოს საქმეების მსვლელობაზე და ვითარებაზე უფლებრივი გავლენა შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ სახელმწიფოს წევრებს.

საქართველოს პარლამენტის მოღვაწეობაში იღებენ მონაწილეობას აქ მოსახლე ეროვნული უმცირესობის წარმომადგენელი მიუხედავად იმისა, რომ არ არის გამორკვეული მათი ქვეშევრდომობა. აქ უნდა იქნეს აღნიშნული, რომ სანამ ეს ერები არ განთავისუფლდებიან გონების ძირმაგარისაგან, რომელიც არ აძლევს მათ საშვალებას ფიზიკური თვალთ შეხედონ საქართველოს სინამდვილეს, მისი დამოუკიდებლობის განმტკიცებას და უზრუნველყოფას, ისინი იქნებიან ორ სკამთა შუა მჯდომნი და იმ ფიქრით გატაცებული, შეიძლება ჩვენმა ეგოისტურ ინტერესებმა გაიმარჯვონ. ამიტომ მათ შეუძლიათ იცადონ მანამდის, სანამ საკუთარ სირბამვეს არ შეიტყობენ. ანდა რისთვის უნდა იფიქრონ საქართველოს რესპუბლიკის ქვეშევრდომობაზე, მაშინ, როდესაც უქვეშევრდომლოთ მათ აქვთ მინიჭებული უფლება თავისი წარმომადგენლების საშვალებით საკანონმდებლო მოღვაწეობაში მონაწილეობის მიღებით იქონიონ გავლენა ჩვენ სახელმწიფოს საქმეების მიმართულებაზე. ამ მდგომარეობის საშვალებით მათ ძალუძთ მოაგვარონ თავიანთი საქმეები აქ და აქედან მკვიდრულთ სახელმწიფოში.

ჯერ-ჯერობით ჩვენ ცხოვრებაში ისეთი მდგომარეობა არსებობს, რომ რესპუბლიკისათვის მრავალ არა საიმედო პირთ აქვთ პოლიტიკური უფლებები. გარდა ამისა ჩვენი სახელმწიფო განიცდის უბედურებას სომეხთა ლტოლვილების შემოსევით. ბევრს ჰგონიათ, რომ ლტოლვილები დაბრუნდებიან თავის სამშობლოში. მაგრამ ასეთი შეხედულება მცდარი არის.

თუ ექვს გარეშეა ის, რომ სომხის ბურჟუაზიის ინტერესები მოითხოვენ იმას, რომ ჩამორთმეული ბატონობა იქნეს აღდგენილი, ცხადი უნდა იქნეს ისიც, რომ ეს შესაძლებელია მაშინ, თუ საქართველოს რესპუბლიკის ფარგლებში დარჩა ლტოლვილთა დიდი უმრავლესობა იმ მიზნით, რომ სომხის ბურჟუაზიის ინტერესები უზრუნველყოფილი იქნენ. ამის შესაძლებლობა იმით მტკიცდება, რომ გადმოხვეწილი ლტოლვილები, განსაკუთრებით სათათრეთიდან, პოულობენ საქართველოში ნოყიერ ნიადაგს თავიანთ ინტერესების დასაკმაყოფილებლათ, რომ უკან დაბრუნება მათ არ უქადის ყოფილ მდგომარეობას. მათ, როგორც ვაჭრული თვისებებით აღჭურვილთ, უფრო ადვილად შეუძლიათ ექსპლოატაციის ბორბალი აატრიალონ საქართველოში, ვიდრე თავიანთ ქვეყანაში. ასეთი მდგომარეობა იწვევს ქვეშევრდომობის შესახებ ჯეროვანად საკითხის გადაწყვეტის აუცილებლობას. საქართველოს დემოკრატიისათვის ხელსაყრელი არ იქნება, თუ რესპუბლიკის მოქალაქეთა რიცხვში ჩაითვალია ლტოლვილთა ის ნაწილი, რომელიც მუშა ხალხის ინტერესების მატარებელათ არ შეიძლება ვალიაროთ; მისთვის ხელსაყრელი არ იქნება ისიც, თუ საქართველოს ქვეშევრდომებს ექნებათ ორმაგი ქვეშევრდომობა, რაც შესაძლებელია სომხობის მხრივ.

#### IV. კონსტიტუცია და მისი გარანტიები

არ არსებობს ისეთი სახელმწიფო, რომელსაც არ ჰქონდეს კონსტიტუცია, ე. ი. ძირითადი დებულება, რომელიც გამოხატავს სახელმწიფოს ორგანიზა-

ციის ხასიათს და ორგანოთა შორის ფუნქციების განაწილებას. მაგრამ როდესაც ჩვენ ამ სიტყვას ვხმარობთ, გვჩვენებს სახეში ისეთი ძირითადი დებულებები რომლის არსებობა ნიშნავს სახელმწიფოს შეზღუდვას მოქალაქეთა პოლიტიკური უფლებების მხრივ. ამ თვალსაზრისით კონსტიტუცია მით უფრო ფართოა, რაც უფრო ღრმად იჭრება ხალხური ელემენტი სახელმწიფოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამრიგად, კონსტიტუცია უნდა შეიცავდეს ისეთ იურიდიულ ნორმებს, რომლებიც საზღვრავენ სახელმწიფოს ფუნქციების განაწილებას ორგანოთა შორის, ორგანოთა ორგანიზაციის და სახელმწიფოს და მოქალაქეთა შორის ურთიერთობას.

აღნიშნულ ნორმების გარდა კონსტიტუციაში შეიძლება იქნენ მოთავსებული ისეთი ნორმები, რომლების დანიშნულებას შეადგენს ის, რომ პიროვნების ძირითადი უფლებები ხელშეუხებელი იქნენ ჩვეულებრივ კანონმდებლის და აღმასრულებელი ორგანოს მხრივ, ე. ი. მათ ჰქონდეთ შესაფერი გარანტიები.

ვიდრე შევუდგებოდეთ კონსტიტუციონურ გარანტიების გამორკვევას, საჭიროდ მიგვაჩნია განვიხილოთ ის საკითხი, თუ რა ძალა ჰქმნის სახელმწიფოსათვის კონსტიტუციას. ასე ფართოდ დასმული საკითხი გვაიძულებს შევეხოთ არსებულ სახელმწიფო მართვა-გამგეობის ფორმებს, რომლებიც ორსახოვანი არიან — მონარქიული და რესპუბლიკანური.

ჩვენ აქ უყურადღებოდ ვტოვებთ აბსოლუტურ მონარქიას, შევხებით მხოლოდ კონსტიტუციონურ და პარლამენტარულს<sup>9</sup>.

მონარქიისათვის კონსტიტუციას ჰქმნის მონარქი<sup>10</sup> ან მონარქი და მთელი ხალხი ან ნაწილი ხალხისა იმის და მიხედვით, თუ ვის და რა შინაარსის არჩევნებითი უფლებანი აქვს მინიჭებული. ამიტომ პირველ შემთხვევაში კონსტიტუცია გამოხატავს მონარქის აქტს, როგორც სახელმწიფოს უზენაეს ძალის მატარებელს, მეორეში კი კონსტიტუცია შედგება მონარქის და ხალხის წარმომადგენლების შემოქმედებისა. რესპუბლიკისათვის მხოლოდ ერთი ძალა ჰქმნის კონსტიტუციას, რადგან კომპეტენცია საკონსტიტუციო შემოქმედების სფეროში აქ არ ნაწილდება ორ ან რამოდენიმე ძალათა შორის.

რესპუბლიკაში მთელი სახელმწიფოებრივი ძალა-უფლება აქვს ხალხს, რომელიც შეადგენს წყაროს ყოველგვარ უფლებაშემოქმედებისა. როგორც ლოდიკური შედეგი აღნიშნულ მოსაზრებათა თავისთავად იბადება საკითხი, თუ ვინ ან რა ძალა აწესებს სახელმწიფოს კონსტიტუციას რესპუბლიკისათვის. ამაზე პასუხის მიცემა საძნელო არ არის, ვინაიდან რესპუბლიკანური მართვა-გამგეობა თავისთავად არ შემოდის სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში. ამისათვის საჭიროა პოლიტიკური რევოლუცია. თუ ეს ასეა, ცხადი უნდა იყოს, რომ ის ძალა, რომლის უფლებრივ შემოქმედების საშვალებით ფუძნდება დემოკრატიული სახელმწიფო, გარდამავალ, დროებით ძალას წარმოადგენს და მას ეწოდება დამფუძნებელი ძალა. მაგრამ რა სახის შეიძლება იქნეს დამფუძნებელი ძალა? არსებულ ქვეყნების პოლიტიკური ცხოვრების ისტორიაში ვერ ვიპო-

<sup>9</sup> პარლამენტარული მონარქია მხოლოდ იმით განირჩევა კონსტიტუციონურ მონარქიისაგან, რომ მთავრობა გამოდის პარლამენტის შემადგენლობიდან და იღებს თავის თავზე პასუხისმგებლობას პარლამენტის წინაშე სახელმწიფოს შინაგან და სიგარეო პოლიტიკის წარმოებისათვის. ასეთივე განსხვავებაა პარლამენტარული რესპუბლიკის და არა პარლამენტარული შორის.

<sup>10</sup> ამ შემთხვევაში მონარქი იზღუდავს თავის უფლებებს ხალხის დაუკითხავად.




ვნიტ ისეთ მაგალითს, რომ მთელი ხალხი პირდაპირ შემოქმედებით სახელმწიფოს კონსტიტუციას. ყველგან და ყოველ ეამს აღნიშნულს გამოდიოდა ხალხის წარმომადგენლები დამფუძნებელი ძალის სახით.

საკითხი დამფუძნებელი ძალის შესახებ, საზოგადოდ, სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში იბადება რევოლუციონურ ხანაში, ხალხი, თავისუფლდება თუ არა პოლიტიკური ზუნდებისაგან, რომლებიც არ აძლევდნენ მას საშვალებას სახელმწიფოებრივ შემოქმედებაში თავისუფალ ნების გამოყვანებისას, იწყებს დაყრდნობას თავის ბუნებრივ უფლებებზე, ვამბობთ ბუნებრივ უფლებებზე იმიტომ, რომ მინამ იძულებითი ძალა განმტკიცდებოდა საზოგადოებაში, ყოველი ადამიანი თავისუფალი იყო არსებობის პირობებთან ბრძოლაში და გამარჯვებული ის გამოდიოდა, ვინც შეფარდებული და შეგუებული იყო ცხოვრების პირობებთან. ქონებრივ უთანასწორობის სარჩულზე აღმოცენებულ ძალის განმტკიცების წყალობით ადამიანის შეგუებამ არსებობის პირობებთან და პირობების შეგუებამ ადამიანის მოთხოვნილებებთან სხვა მიმართულება მიიღო საზოგადოების ერთ ნაწილისათვის, და ეს იმიტომ, რომ მას მფარველობა დაუწყო ქონების მქონე კლასმა, რომელიც სახელმწიფოს მპყრობელთა სახით გამოვიდა პოლიტიკურ და სოციალურ ასპარეზზე. ამ განსაზღვრულ კლასს თავის არსებობით ერთგვარი შესწორება შეაქვს იმ დებულებაში, რომ არსებობისათვის ბრძოლაში მხოლოდ პირობებთან უალრესად შეგუებული გამოდიან გამარჯვებულნი.

ხალხთა ცხოვრების ისტორიაში რომ ჩავიხედოთ, დავინახავთ, რომ მთელი ეს ისტორია არის მოთხრობა უმწეოთა პოლიტიკურ უფლებებისათვის მძაფრი ომისა. რევოლუცია დროებით შლის უფლებრივ განსხვავებას. საჭიროა მასის მაღალი შეგნება, მისი მტკიცე პოლიტიკური აღზრდა და შეკავშირება იმისათვის, რომ რევოლუციით მონაპოვარნი შენარჩუნებულნი იქნენ. თუ კი ამ დროს მასაში ფეხი გაიდგა გათიშვა-უთანხმოებამ, მისმა დაქუცმაცებამ ჯგუფებად, ყოველი რომელთაგანი რევოლუციას თავისკენ ხრის, რევოლუციის ნაწილობრივი დამარცხება აუცილებელი ხდება. მხოლოდ მაშინ, როდესაც რევოლუციონური მასა მკიდროდ არის შეკავშირებული და მას მიზანშეწონილად უწევენ ხელმძღვანელობას რევოლუციის ბელადები, შესაძლებელია, რევოლუციამ მიადლოს თავის მიზანს და ხელი შეუწყოს დამფუძნებელ კრების მოწვევას, იმ კრების, რომელმაც უნდა შეიმუშაოს კონსტიტუცია.

დამფუძნებელი კრება კონსტიტუციის შექნით აცხოველყოფებს სახელმწიფოს უფლებრივ ძალას ახალ ფორმაში ჩამოყალიბებულთ. უწინარეს ყოვლისა ის აცოცნლებს საკანონმდებლო ორგანოს, რომელიც დამფუძნებელი ძალის სახით ქმნის ხალხისათვის უფლებრივ ნორმებს კონსტიტუციით განმტკიცებულ დებულებათა მიხედვით. სწორედ ამაში გამოიხატება განსხვავება დამფუძნებელ და დაფუძნებულ ძალათა შორის. ეს განსხვავება განსაკუთრებით მკაფიო ხდება მაშინ, როდესაც საკითხი ეხება კონსტიტუციის შეცვლას ანუ გადასინჯვას, ვინაიდან მხოლოდ იმ კრებას, რომელიც არის აღჭურვილი დამფუძნებელი ძალა-უფლებით, უნდა ჰქონდეს უფლება კონსტიტუციის შეცვლის და გადასინჯვისა.

დამფუძნებელ კრებამ კონსტიტუციის შემუშავებასთან ერთად უნდა შეიმუშაოს და განამტკიცოს იმ საშვალებათა სისტემა, რომლითაც უნდა იქნეს უზრუნველყოფილი რევოლუციით მონაპოვარ უფლებებით მოქალაქეთათვის სარგებლობა, რათა აღიარებული თავისუფლებანი არ დარჩნენ უბრალო გამო-



ძახილათ და იქნენ ხელშეუხებელნი ჩვეულებრივ საკანონმდებლო ორგანოსაგან. იმ პირობებში, თუ პიროვნების ძირითადს უფლებებს ექნენ კონსტიტუციონური გარანტიები, ჩვეულებრივ საკანონმდებლო ორგანოს შემოქმედება კონსტიტუციის მიერ უზრუნველყოფილ უფლებათა გარეშე რჩება და ხალხის თვითგამორკვევის პრინციპი კი ღებულობს თავის განვითარებას იმ კალაპოტში, რომელშიაც უნდა მიმდინარეობდეს ჩვეულებრივი საკანონმდებლო შემოქმედება.

პიროვნების უფლებების გარანტიების გარდა კონსტიტუციაში უნდა იქნენ აღნიშნულნი სხვა ჯურის გარანტიებიც, მაგალითად, ადგილობრივ თვითმმართველობის გარანტია.

ფართო უფლებით აღჭურვილნი ადგილობრივი თვითმმართველობები, რომლებიც ეწევიან ეკონომიურ და კულტურულ საქმიანობას და მუშაობას ამა თუ იმ სახელმწიფოს ტერიტორიის ნაწილზე, წარმოადგენენ დიდ ძალას. მიუხედავად იმისა, რომ თვითმმართველობით ხდება ხალხის ერთგვარი დარაზმვა და მისი შეგნებული მოპყრობა ადგილობრივ ინტერესებისადმი, აღნიშნულ დაწესებულებას აქვს სხვა დიდი კულტურული და პროგრესული მნიშვნელობა. ევგენ გარეშეა, რომ მშრომელ ხალხისათვის უფრო ადვილია ყველა სამართლიან სურვილთა დაკმაყოფილება მაშინ, როდესაც მოქალაქეთ მინიჭებული ექნებათ უფლება საზოგადო და პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღებისა, ვინემ მაშინ, როდესაც მთელი პოლიტიკური და საზოგადოებრივი თვითმოქმედება იძულებით იქნება მიმართული ცენტრისაგან არჩეულ გზით, ე. ი. იმ გზით, რომელიც ეწინააღმდეგება ადგილობრივ ინტერესების აყვავებას მცხოვრებთა თანამშრომლობის საშვალებით. ცენტრალიზმს, რომელიც არ არის გამოწვეული სახელმწიფოს სიძლიერის და მისი საქმეების ნაყოფიერ მსვლელობის ინტერესებით, შეუძლია ძირიანად ჩაჰკლას მოქალაქეებში ყოველივე სურვილი და უნარი თვითმოქმედებისა, და ამგვარ უორგანიზაციობას კი შედეგათ ის მოყვება ხალმე, განსაკუთრებით რევოლუციის პროცესში, რომ მასა დაქსაქსული, გათიშული ერთი მეორისაგან, ბრმათ ემორჩილება თავის ბელადებს. აი ამის აცდენა შესაძლებელი არის მაშინ, თუ სახელმწიფოს ნაწილებს ექნებათ თვითმმართველობის უფლება ადგილობრივ ეკონომიურ და კულტურული ინტერესების განსახილველად და დასაკმაყოფილებლად<sup>11</sup>.

კონსტიტუციაში თვითმმართველობის უფლებების განმტკიცებით სახელმწიფო განიცდის თვით შეზღუდვას. ამ უფლების და საზოგადოდ თავისუფლების და პოლიტიკური უფლებების საშვალებით მოქალაქეთ ეძლევათ ძალა და საშვალება გავლენა მოახდინონ სახელმწიფოს ყოველივე დარგის შემოქმედებაზე და შეაჩერონ სახელმწიფოებრივი ძალის მიდრეკილება პოლიტიკურ და საზოგადოებრივი ცხოვრების ცენტრალისტურ სახით ჩამოყალიბებისაკენ. მაგრამ მოქალაქეთა თვითმოქმედების თავისუფლებას საზღვარი უნდა ჰქონდეს. სახელმწიფოს უზენაეს ძალას რომ ჰქონდეს სახე მთლიანობის და სიძლიერისა, საჭიროა, რომ მას ექნეს მინიჭებული უფლება ზოგიერთი დარგის ცენტრალისტურად მოწყობისა, მხოლოდ დემოკრატიის მტკიცე შეგნებაზე

<sup>11</sup> იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე ეხება პატარა სახელმწიფოს, ადგილობრივ თვითმმართველობას უნდა ჰქონდეს ერთობის სახე; მაშინ კი, თუ სახელმწიფო დიდ და რთულ ერთეულს წარმოადგენს მცხოვრებთა სიმრავლის და სოციალურ და ეროვნულ სხვა და სხვაობის მხრივ ინტერესი სახელმწიფოს პროგრესიულ ვითარებისა მოითხოვენ თვითმმართველობისათვის მინიჭებას საკანონმდებლო შემოქმედების უფლებას ადგილობრივ ინტერესების სფეროში.

არის დამყარებული იმის გადაწყვეტა, თუ სახელმწიფოს რომელი დარგი უნდა შერჩეს ცენტრს და რომელი უნდა იქნეს გამოვლენილი მის კლანჭებისაგან, რომ ამრიგად არც სახელმწიფოს ძლიერება იქნეს შებღალული და არც ადგილობრივი ინტერესები დამცირებულ-დავიწყებული.

ჩამოთვლა ყველა კონსტიტუციონურ გარანტიების, რომლებიც უნდა იქნენ განმტკიცებული და შეტანილი, სახელმწიფოს კონსტიტუციაში, ადვილი არ არის! სიმრავლე გარანტიებისა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა თვალთ უყურებს რევოლუციაში გამარჯვებული დემოკრატია შემდგომ პოლიტიკურ ცხოვრებას. თუ კი პოლიტიკური ცხოვრების პირველი ნაბიჯები მას არწმუნებენ იმაში, რომ შესაძლებელია სახელმწიფოებრივ ძალისაგან რევოლუციის საშვალეებით მოპოვებულ თავისუფლების გზის გადახვევა, ამ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, დემოკრატია უნდა ეცადოს, რომ კონსტიტუციაში შეტანილი იქნენ ისეთი გარანტიები, რომლებიც წარმოადგენენ საშვალეებს მშრომელ ხალხის წინმსვლელობისა.

ჩვენ აქ საჭიროდ მიგვაჩნია გამოვარკვიოთ თითოეული შესაძლებელი გარანტიების ჩამოთვლელათ, თუ რა სახით არსებობენ კონსტიტუციონური გარანტიები. საზოგადოდ განირჩევიან შემდეგი გარანტიები: სოციალური, პოლიტიკური და უფლებრივი. კონსტიტუციონურ გარანტიებს არ შეიძლება ჰქონდეს სოციალური ან პოლიტიკური ფესვები, და ეს იმიტომ რომ პირველი პოულობს თავის საფუძველს ხალხის ზნე-ჩვეულებაში, სარწმუნოებაში და სხვა ამ კატეგორიის მოვლენებში, მეორე კი — საზოგადოებრივ ტრადიციაში ანუ მორალურში<sup>12</sup>. ჩვენ უნდა გვქონდეს მხედველობაში ისეთი გარანტიები, რომლებიც უფლების დაცვის სახელმწიფოებრივ საშვალეებს წარმოადგენენ, ეს არის უფლებრივი გარანტიები.

უფლებრივი გარანტიების მიზანი გამოიხატება იმაში, რომ უზრუნველყოფილი იქნენ: წესწყობილების განსაზღვრული ხასიათი, ორგანოთა შორის სახელმწიფოებრივი ძალის ფუნქციების განაწილება და ურთიერთობა, ორგანოთა და მოქალაქეთა ანუ კავშირთა ურთიერთობა და სახელმწიფო ორგანოთა ორგანიზაციის ხასიათი, რომლის და მიხედვით განისაზღვრებიან დაწესებულებების შემადგენლობა, მოსამსახურეთა უფლებრივი მდგომარეობა და სხვა. ყოველი კონსტიტუცია უნდა შეიცავდეს აღნიშნულ დებულებებს და გვიჩვენებდეს სახელმწიფოებრივი ცხოვრების საჭირო პირობების დაცვის საშუალებებს. მხოლოდ ამ შემთხვევაში აქვს ადვილი იმ დებულებას, რომ თითოეული უფლება არის მოქმედი უფლება.

კონსტიტუციონურ უფლებათა დაცვის საშუალებებს გვიჩვენებენ უცხო ქვეყნები, სადაც ნიადაგს პოულობენ ისეთი დაწესებულებანი, რომელთა მოღვაწეობით ხორციელდებიან აღნიშნული გარანტიები. ასეთ დაწესებულებებს წარმოადგენენ: კონტროლი და ინდივიდუალური პასუხისმგებლობა.

კონტროლი შეიძლება იქნეს პარლამენტარული, ადმინისტრაციული, საფინანსო, სახალხო და სამოსამართლო. პარლამენტარული კონტროლი გამოიხატება მთავრობის მოქმედების კრიტიკაში, მთავრობისადმი შეკითხვაში და სა-

<sup>12</sup> ინგლისში პარლამენტარულ კაბინეტის პოლიტიკურმა სოლიდარობამ იჩინა თავი 1782 წ. მაგრამ ნამდვილი პარლამენტარული რეჟიმი დამყარდა 1839 წ., როდესაც დაეცა შეღებურის კაბინეტი. ეს რეჟიმი კონსტიტუციით კი არ არის განმტკიცებული ინგლისის პოლიტიკურ ცხოვრებაში, არამედ პოლიტიკურ ტრადიციით ანუ მორალით, რომელიც წარმოადგენს პოლიტიკურ გარანტიას აშენებულს ხალხის პოლიტიკურ და უფლებრივ თვითშეგნებაზე.



პარლამენტო გამოძიების დანიშვნაში ადმინისტრაციული კონტროლი ქვეყნის  
კავს უმაღლეს დაწესებულებათა მხრივ კონტროლს მასზე დაბლა მდგომარეობის  
დებარე დაწესებულებათა მიმართ. ამ ორ კონტროლთან შედარებით საფინანსო  
სო კონტროლს აქვს და უნდა ჰქონდეს განსაკუთრებული მდგომარეობა და  
მნიშვნელობა.

საფინანსო კონტროლის მოვალეობა და კომპეტენცია იმაში გამოიხატება,  
რომ თვალ-ყური ადევნოს სახელმწიფოს ფინანსიურ მდგომარეობას და ვითარებას.  
ამ მიზნით მას უნდა ჰქონდეს რევიზიის უფლება სახელმწიფო ორგანო-  
თა ფინანსიურ და სამეურნეო მოღვაწეობისა და დაკანონებულ ხარჯთა გამო-  
ყენებისა დანიშნულებისდაგვარად. მაგრამ ასეთ კონტროლს ექნება რეალური  
შედეგი მაშინ, თუ საკონტროლო ძალის მატარებელი მთავრობის შემადგენ-  
ლობის გარეშე და მას ეძლევა ფაქტიური და იურიდიული საშვალეობა გაცე-  
ნოს თითოეულ სახელმწიფოებრივ დაწესებულების სამეურნეო და ფინანსიურ  
მოღვაწეობის მიმართულებას. მაგრამ ამით არ იჭრება ის საკითხი, თუ რა ხა-  
სიათი უნდა ჰქონდეს სახელმწიფო კონტროლიორის მოღვაწეობას.

სახელმწიფო კონტროლის დამოუკიდებლობის და განკერძოების პირო-  
ბებში შეუძლებელია, რომ კონტროლიორმა მიიღოს მონაწილეობა მთავრობის  
მოღვაწეობის მიმართულებებში, ვინაიდან ასეთი თანამშრომლობა არ გამორიც-  
ხავს იმის შესაძლებლობას, რომ ის აქ ჩავარდება მთავრობის გავლენის ცეც-  
ხლში. თუ კი კონტროლიორს მთავრობის შემადგენლობასთან არავითარი კავ-  
შირი არა აქვს, თუ ის სინჯავს მთავრობის მოღვაწეობას იმ თვალსაზრისით,  
თუ რამდენად მისი ზომები ანუ აქტები შეესაბამებიან კანონს, ცხადი უნდა  
იყოს ის, რომ სახელმწიფო კონტროლიორის და მთავრობის შეერთებულ მოღ-  
ვაწეობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ამ დებულების საფუძვლიანობას სავეს-  
ბით ადასტურებენ პარლამენტარული წესწყობილებების პირობები.

პარლამენტის შემადგენლობიდან გამოსული მთავრობა საკუთარ მოღვა-  
წეობაში პასუხისმგებელია საკანონმდებლო ორგანოს წინაშე. მის მოღვაწეო-  
ბაში შეუძლია მიიღოს მონაწილეობა განსაკუთრებით მის წევრებს. ვინაიდან  
სახელმწიფო კონტროლიორი სხვა პირობებში და წესით ირჩევა, მას არ უნდა  
ჰქონდეს ადგილი მთავრობის საბჭოში. მაგრამ თუ ნიადაგი არ არის მისი აქ  
მოღვაწეობისათვის, უსაფუძვლოა იქნება სახელმწიფო კონტროლის წარ-  
მომადგენელთათვის მონაწილეობის მიღება ქვემდებარე ორგანოების მოღვა-  
წეობაში.

იბადება საკითხი, თუ რა ზომებს უნდა მიმართოს სახელმწიფო კონტრო-  
ლიორმა აღნიშნულ პირობებში, როდესაც აღმოაჩენს ადმინისტრაციის ანუ  
მთავრობის უკანონო მოქმედებას? კონტროლის რეალობა იმაში გამოიხატება,  
რომ კონტროლიორს საშვალეობა აქვს გადასინჯოს დაწესებულებების მოღვა-  
წეობა და თუ აღმოაჩენს უკანონობას და შეცდომას, ან არ ეთანხმება მთავ-  
რობის სამეურნეო ან საფინანსო მოღვაწეობის მიმართულებას, აღიარებს ამის  
შესახებ თავის აზრს და შეხედულობას. იმ შემთხვევაში, თუ მთავრობა არ ეთ-  
ანხმება კონტროლის შეხედულობას, სახელმწიფო კონტროლიორს რჩება  
ერთი საშვალეობა აღძრას ამის შესახებ საკითხი პარლამენტში და მთავრობა  
ამით იძულებული ხდება პასუხი გასცეს.

საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო კონტროლიორს დამოუკიდე-  
ბელი მდგომარეობა აქვს. ის არჩეულია საკანონმდებლო ორგანოს მიერ, რომ-


ლის წინაშე პასუხისმგებელია, და არ შედის მთავრობის შემადგენლობაში. ჯერჯერობით არ არის გამორკვეული, თუ რა ფუნქციები მას ექნება. ხალხის და სასამართლოს კონტროლის შესახებ საკითხის განმარტებას ჩვენ ვიდლევიტ შემდეგში. აქ საჭიროდ ვსთვლით აღვნიშნოთ, რომ ხალხის კონტროლი ეხება საკანონმდებლო ორგანოს მოღვაწეობას და გამოიხატება რეფერენდუმში და საკანონმდებლო ინიციატივაში, სასამართლოს კი — საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების აქტების გასინჯვაში იმ თვალთაზრისით, თუ რამდენად პირველი ასრულებს კონსტიტუციის ნორმებს, მეორე კი — მოღვაწეობს კანონმდებლის მიერ ნაჩვენებ ფარგლებში.

აღნიშნულ დებულებათა გარდა კონსტიტუციაში უნდა ჰქონდეს ადგილი ისეთ დებულებას, რომ თითოეული მათგანი, ვისიც კანონიერ მოვალეობას შეადგენს სახელმწიფოებრივი ფუნქციების ასრულება, პასუხისმგებელია სახელმწიფოს წინაშე განურჩევლად იმისა, არის ეს მოხელე, მოსამართლე, სახელმწიფოს მოთავე, მთავრობის წევრი, თუ ხალხის წარმომადგენელი. ინდივიდუალურ პასუხისმგებლობაზე აღმოცენებული საქმეები უნდა შეადგენდნენ ჩვეულებრივ სასამართლოს კომპეტენციას, და არა ადმინისტრაციულ იუსტიციისას, რომლის უმთავრესი ნაკლულევაანება იმაში გამოიხატება, რომ თვით ადმინისტრაცია იკავებს მსაჯულის ადგილს აღნიშნულ საქმეების გარჩევის დროს. ამის შესახებ ჩვენ ვეცდებით განვმარტოთ, როდესაც შევეხებით სასამართლოს ფუნქციებს და მოღვაწეობას. აქ საჭიროა აღვნიშნოთ შემდეგი დებულება. იმ შემთხვევაში, თუ საზოგადოდ საქმე ეხება საჯარო უფლებების სფეროს, მაშინ ამ უფლებების დასაცავად და აღსადგენად უნდა გამოვიდეს შესაფერ ასპარეზზე. ზემო აღნიშნული დაწესებულებანი, მაშინ კი, როდესაც დარღვეულია სუბიექტური საჯარო უფლებები, რომლებიც წარმომადგენენ თითოეული მოქალაქის პოლიტიკურ ინტერესს, უფლების დაცვის საშვალება უნდა მიეცეს დაინტერესებულ პირთ. მხოლოდ ამ პირობებში პოლიტიკურ ცხოვრების მსვლელობას ექნება ნორმალური და სალი ფარგლები, მოქალაქეთა უფლებები კი სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი. ამგვარად ჩვენ უნდა ვცნოთ ის, რომ უფლება, იქნება ეს საჯარო, კერძო, მხოლოდ მაშინ არის ნამდვილი უფლება, როდესაც მის სუბიექტებისათვის უზრუნველყოფილი არიან უფლებბრივი საშვალეებანი მისი დაცვისა.

## V. ზოგადი საფუძვლები, რომლებზედაც უნდა აშენდეს სახელმწიფო ორგანოთა ურთიერთობა

დემოკრატიისათვის სრულიად არ არის სულ ერთი, თუ როგორ მოეწყობა ის ორგანო, რომელსაც მინდობილი ექნება კანონების შემუშავება და გამოცემა, რა საფუძველზედ აშენდება სასამართლო და მართლმსაჯულება, რა პრინციპებზედ იქნება აგებული აღმასრულებელი ორგანო და რავგარი ურთიერთობა იქნება ამ სამ სახელმწიფო ორგანოთა შორის. მნიშვნელობა ამ საკითხისა არავეითარ დამოკიდებულებაში არ არის იმასთან, თუ რა ტიპის სახელმწიფოსთან გვექნება საქმე, — ფედერაციულთან თუ უნიტარულთან, რადგან დემოკრატიის ინტერესები მოითხოვენ ამ სამ ორგანოთა მიზანშეწონილ ორგანიზაციის და მათ შორის ურთიერთობის შექმნას, როგორც ფედერაციულ ისე უნიტარულ სახელმწიფოში. აღნიშნულ სამ ორგანოთა შორის მიზანშეწონილ ურთიერთობათა სისტემის წამყარება და ხალხის პოლიტიკური უფლებების და თავისუფლების განმტკიცება და უზრუნველყოფა იქნებიან საუკეთესო

თავდები დემოკრატიის სოციალური და პოლიტიკური წინსვლის და განვითარებისა.



დემოკრატიული სახელმწიფო იძლევა ნამდვილ საშვალებას ხალხის უფლება-შემოქმედებისათვის; მასში არის დამოუკიდებელი და შემომქმედი ძალა. ამიტომაც აქ ან თვით ხალხი გამოდის დამოუკიდებელ კანონმდებლათ, ან ის ანდობს თავის წარმომადგენლებს კანონების შემუშავებას და გამოცემას; თვით კი ინარჩუნებს უფლებას თვის ამორჩეულთა მოქმედებაზედ კონტროლისას და მათი გადაწყვეტილებათა შეცვლისას. მაგრამ ეს უკანასკნელი აუცილებელი არ არის, რადგანაც ხშირად თვით ხალხი არ იკუთვნებს ამ უზენაეს უფლებას.

დემოკრატიის უფლებაშემოქმედება არ ისაზღვრება კანონმდებლობის სფეროთი. იგი ავრცელებს თავის გავლენას მთელს მართვა-გამგეობაზედ, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით. დემოკრატიულ ნიადაგზედ მომქმედი ხალხი თავის ნებას უმორჩილებს აგრეთვე აღმასრულებელ ორგანოსაც, რომელსაც იგი აყენებს მის მიერ ნაჩვენებ საზღვრებში და ანიჭებს მოქმედების და ინიციატივის თავისუფლებას მხოლოდ თვის ნების და გეგმის ფარგლებში.

დემოკრატია თავის გავლენის ქვეშ აგრეთვე ჰყავს სამოსამართლო ორგანოც, რომლის მოქმედებასაც იგი საზღვრავს უკვე არსებულ კანონების ფარგლებით. მხოლოდ სასამართლოს ანიჭებს თავისუფლებას და დამოუკიდებლობას, რადგან ძლიერ კარგათ ესმით დამოუკიდებელი მართლმსაჯულების დიდი მნიშვნელობა სახელმწიფო წესწყობილებისათვის და საზოგადოების სიმშვიდისათვის.

რა სახითაც არ უნდა არსებობდეს სახელმწიფო, აბსოლუტური (непосредственная) დემოკრატიის ძალა უფლებაზედ<sup>13</sup>, თუ წარმომადგენლობითი სისტემაზედ აგებული, მაინც მთელი სახელმწიფო მექანიზმის ნორმალურ მოქმედებისათვის აუცილებელია, რომ სახელმწიფოებრივი ორგანოთა ურთიერთობა წინასწარ სასტიკად გამორკვეულ და განსაზღვრულ დებულებათა ფარგლებში სწარმოებდეს, რათა უფლებათა და ვალდებულებათა სფეროში არეგ-დარეგა არ იქნეს შეტანილი. წარმოუდგენელია ისეთი წყობილება, რომ სამ სახელმწიფოებრივ მთავარ ორგანოთა შორის იყოს სრული ერთმანეთისაგან განკერძოება. თავისუფლების პრინციპები არავითარ ზიანს არ განიცდიან და არავითარი საფრთხე მათ არ მოელოთ, თუ საკანონმდებლო ორგანო მონაწილეობას იღებს სამოსამართლო და აღმასრულებელ ძალათა შექმნაში; თუ საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოთა შორის მკიდრო კავშირი და დამოკიდებულება არსებობს და თუ სასამართლოს აქვს უფლება გადასინჯოს გამოცემული კანონები და მთავრობის განკარგულებანი, რათა პირველნი არ ეწინააღმდეგებოდნენ კონსტიტუციას, მეორენი კი არსებულ, სახელმწიფოში მომქმედ კანონებს. ამასთან ერთად უნდა იქნეს დაცული ის პრინციპი, რომ სახელმწიფოს თითოეული ორგანო იყოს შედარებით დამოკიდებული მეორე ორგანოსაგან. წინააღმდეგ შემთხვევაში ადგილი არ ექნება იმის შესაძლებლობას, რომ დაკისრებული მოვალეობანი იქნენ მათ მიერ შესრულებული სახელმწიფოს და ხალხის საკეთილდღეოდ.

<sup>13</sup> აბსოლუტური დემოკრატია ისეთ სახელმწიფოებრივ ფორმას წარმოადგენს, სადაც თვით ხალხი პირდაპირ მონაწილეობას იღებს სახელმწიფოს მოღვაწეობის ყოველ დარგში. აქ თვით ხალხი უნდა იქნეს კანონმდებელი.

დემოკრატიის პოლიტიკური მიზანი ისაა, რომ სახელმწიფო მოქმედებს ისეთი ორგანიზაცია, რომელიც გამოხატავს კლასიკურ დებულებას — *Lex est quod populus jubet atque constituit*<sup>14</sup>, მაგრამ აღნიშნულ ფორმულის საფუძველზე განხორციელებას პოლიტიკურ ცხოვრებაში ხელს უშლიან სხვადასხვა მიზეზები, რომელთა რიცხვს პირველ ყოვლისა ეკუთვნის ის, რომ პოლიტიკური და უფლებრივი შეგნება მასისა დაბალ საფეხურზე სდგას. ამ გარემოებას უერთდება ისიც, რომ მშრომელ ხალხს არ რჩება დრო ახლო და აქტიური მონაწილეობის მიღებისათვის პოლიტიკურ ცხოვრებაში. გარდა ამისა ხალხის პირდაპირი უფლება-შემოქმედებისათვის საჭიროა სახელმწიფოს დანაწილება ისეთ წვრილ და ადგილობრივ საქმეების შესახებ საკითხების გადაწყვეტაში დამოუკიდებელ ერთეულებათ, რომ შესაძლებელი გახდეს თითოეულ ერთეულის ადგილად შეკრება და ყრილობაზე საკანონმდებლო საკითხების გადაწყვეტა. მაგრამ, თუ ხალხის პირდაპირი უფლება-შემოქმედება საძნელთა თანამედროვე პირობებში, დემოკრატია პოულობს გამოსავალს იმაში, რომ ახორციელებს ხალხის თავისუფალ და დამოუკიდებელ ნებას დემოკრატიულ წარმომადგენლობის საშუალებით<sup>15</sup>.

წარმომადგენლობითი სისტემა წარმოადგენს გარდამავალ საფეხურს ხალხის პოლიტიკურ ცხოვრების მოწყობისა. ჩვენ გვაქვს ისეთი სახელმწიფოებრივი ნიმუშები, სადაც წარმომადგენლობითი პრინციპი შერეულია ხალხის დამოუკიდებელ ნების პირდაპირ გამომჟღავნების პრინციპებთან, რეფერენდუმთან და სახალხო ინიციატივასთან.

იმის და მიხედვით, თუ რას ენება რეფერენდუმი, კონსტიტუციას თუ ჩვეულებრივ კანონმდებლობას, განირჩევა კონსტიტუციონური და ჩვეულებრივი საკანონმდებლო რეფერენდუმი, რეფერენდუმს დემოკრატიისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან ხალხს ეძლევა საშუალება კონტროლი გაუკეთოს თავის წარმომადგენლებს. ძნელი მოსალოდნელია, რომ ხალხის პოლიტიკური ზრახვანი წარმომადგენლებმა სავსებით შეიგნონ და კანონებში გამოხატონ, რეფერენდუმის საშუალებით ხალხს შეუძლია გააბათილოს მისთვის არახელსაყრელი დადგენილებანი საკანონმდებლო ორგანოსი.

განსხვავდებიან აგრეთვე ფაქულტატიური და სავალდებულო რეფერენდუმი. პირველი ფორმა რეფერენდუმისა გულისხმობს აუცილებლობას უკვე შემუშავებული კანონის საერთო კენჭისყრით მიღებისას ანუ უარყოფისას, თუკი ამას მოითხოვს განსაზღვრული რიცხვი მოქალაქეებისა. ამ ფორმით რეფერენდუმი არსებობს შვეიცარიის კანტონების უმეტეს კანტონებში. რეფერენდუმის მეორე ფორმა კი გულისხმობს ყოველივე კანონ-პროექტის საერთო კენჭისყრით დაკანონების აუცილებლობას, როგორც მაგალითად, მიღებული არის შვეიცარიის კანტონების ზოგიერთ კანტონებში.

სახალხო ინიციატივაც იყოფა კონსტიტუციონურზე და საკანონმდებლოზე იმის და მიხედვით, თუ რას ენება იგი, კონსტიტუციის შეცვლას და გადასინჯვას.

<sup>14</sup> კანონი ის არის, რასაც ხალხი ბრძანებს და აწესებს.

<sup>15</sup> შვეიცარიის ზოგიერთ კანტონებში საკანონმდებლო ფუნქციებს ახორციელებს თვით ხალხი — ხმის უფლებით მოსილ პირთა თავისუფალი ყრილობა. სხვებში კი არსებობს წარმომადგენლობითი ყრილობა, ერთბაშად ინიციატივით მარლამენტი.

ვას, თუ ჩვეულებრივ კანონების გამოცემას. სახალხო ინიციატივა ყალბდება  
ორ ფორმაში. პირველი ფორმა წარმოადგენს ხალხის წინადადებას, რათა აქ-  
ნეს შემუშავებული საკანონმდებლო ორგანოს მიერ კანონი ან შეცვლილი  
კონსტიტუციის რომელიმე მუხლი თანახმად ხალხის ინსტრუქციისა; მეორე  
კი — შემუშავებული კანონის მიწოდებას. ასეთ წინადადებას შვეიცარიის კონ-  
სტიტუციით შეიძლება მოჰყვეს შემდეგი შედეგი: ან პარლამენტი იღებს ამ  
წინადადებას და იმუშავებს შესაფერ კანონს ან და უარყოფს. უარყოფის  
მნიშვნელობა ექნება იმასაც, თუ პარლამენტი ერთი წლის განმავლობაში არ  
იძლევა პასუხს ხალხის წინადადებაზე. ამ ორ შემთხვევაში ხალხი უყრის კენჭს  
და თუ წინადადება იქნა მიღებული, პარლამენტი იძულებული ხდება დაემორ-  
ჩილოს ხალხის ნებას და შეიმუშაოს კანონი თანახმად ხალხის ინსტრუქციისა.  
იმ შემთხვევაში, როდესაც ხალხი აწოდებს შემუშავებულ კანონ-პროექტს,  
პარლამენტი ან თანხმობას აცხადებს და მას ურდგენს ხალხს კენჭის საყრელად,  
ან და არ ეთანხმება. უკანასკნელ შემთხვევაშიც ის იძულებული ხდება წარუდ-  
გინოს კანონ-პროექტი ხალხს კენჭის საყრელად; მაგრამ მასთან მას არ ეკარ-  
გება საშვალება ამ კანონ-პროექტს დაუპირისპიროს კონტრ-კანონპროექტი.

სახალხო ინიციატივა და რეფერენდუმი არის საუკეთესო საშვალებანი  
ხალხის პოლიტიკურად მომზადებისა და აღზრდისა და მასთან ხალხის მთლიან  
ხელმწიფების განმტკიცებისა.

თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოებში გაბატონებული არის წარ-  
მომადგენლობითი სისტემა. თითქმის ყველგან ხალხის წარმომადგენლობა ხა-  
სიათდება ორი პალატის არსებობით<sup>16</sup>, რომლის უპირატესობას ერთ პალატას-  
თან შედარებით ზოგიერთი თეორეტიკოსი იმით ასაბუთებს, რომ მეორე  
პალატა, აგებული პირველისაგან განსხვავებულ პრინციპზე, ცხრილის როლს  
თამაშობს<sup>17</sup>, რომ ეს პალატა იარაღია პირველი, დემოკრატიული პალატის ტი-  
რანიის წინააღმდეგ მიმართული. „საკანონმდებლო ორგანოს ორ პალატად  
გაყოფას, — სწერს პროფესორი ესმენი თავის შრომაში „Основы конститу-  
ционного права“ — ნამდვილათ ის მიზანი აქვს, რომ დაასუსტოს გავ-  
ლენა საკანონმდებლო ძალისა, რომელსაც წარმომადგენლობითი სახით დიდი  
გავლენა აქვს, მაშასადამე საშიშია“. მართლაც, ხალხის წარმომადგენლობას  
საზოგადოოდ და განსაკუთრებით კი, თუ ის აშენებულია დემოკრატიულ პრინ-  
ციპზე, ძლიერ დიდი ძალა აქვს, რადგან მას კუთვნილი უფლებაშემოქმედების  
საშვალებით შეუძლია შემოიღოს და დაამკვიდროს ცხოვრებაში პოლიტიკური  
და სოციალური ხასიათის პროგრესიული წესები. ის საკითხი კი, თუ ვისთვის  
წარმოადგენს დიდ საფრთხეს დემოკრატიულ პრინციპზე აგებული ხალხის  
წარმომადგენლობის ძლევა-მოსილება, ადვილათ წყდება, თუკი მივიღებთ  
მხედველობაში საზოგადოებაში ანუ სახელმწიფოში არსებულ კლასობრივ  
ინტერესთა წინააღმდეგობას და ბრძოლას.

ხალხის წარმომადგენლობის საკანონმდებლო ძალა, რომელიც უფლება-  
შემოქმედებას უფარდება ხალხის საერთო ნებას და სურვილს, არ უნდა იზ-  
ღუდებოდეს მეორე პალატათი, რა პრინციპებზედაც არ უნდა იქნეს ეს უკა-  
ნასკნელი აგებული, მით უმეტეს, თუ მეორე პალატა აღმოცენებულია ისეთ  
ნიადაგზე, რომელიც ეწინააღმდეგება თანასწორუფლებიანობის პრინციპს. თუ  
ამ ორი პალატის ორგანიზაცია ერთ და იმავე პრინციპზე არის აშენებული,

<sup>17</sup> В. Вильсонъ, Государство, გამ. 1905, გვ. 434.

<sup>16</sup> ერთპალატიანი პარლამენტი, მაგალითად არსებობს შვეიცარიის კანტონებში, ნორვეგიაში.

მაშინ საკითხია, თუ რით უნდა განსხვავდებოდეს მეორე პალატა, რათა მან პირველი პალატის მოქმედება ერთგვარ ცხრილში გაატაროს.

მიუხედავად იმისა, თუ რამდენ საფეხურიანი იქნება საკანონმდებლო ორგანო, უკანასკნელის ნაყოფიერ და მიზანშეწონილ საქმიანობას მაინც მჭიდრო კავშირი აქვს მის შემადგენლობასთან. ჩვენ გვაქვს მაგალითები ევროპიელ სახელმწიფოებისა — საფრანგეთისა და ინგლისისა. ამ სახელმწიფოების ქვემო პალატები, რომელთაც აქვთ წამდელი საკანონმდებლო ძლიერება, სხვა და სხვა შემადგენლობის არიან, ეს სხვა და სხვაობა შესაფერ დაღს აჩენს მათ მოღვაწეობის მიმართულებას.

ის გარემოება, რომ ინგლისის პარლამენტში ერთი პარტია აწარმოებს მთელ სახელმწიფო პოლიტიკას, რომ ამ პარტიის ხელში არის მთელი სახელმწიფოებრივი ძალა-უფლება, აიხსნება იმით, რომ პოლიტიკურ ცხოვრებამ და მის ვითარებამ წარმოშვა დიდი და ძლიერი პარტია. ინგლისელების ვერც ერთ კანონში ვერ ვიპოვნით ისეთ დებულებას, რომლითაც კანონდებოდეს იქ არსებული მართველობა; დამყარებული საკანონმდებლო ორგანოს ძლიერებაზე ასეთი მდგომარეობა იქ განმტკიცდა მხოლოდ ჩვეულებით, ტრადიციით, რომელსაც ინგლისელების უფლებამოქმედებაზე ისეთივე ძალა აქვს, როგორც კანონს.

ინგლისის პარლამენტის მოღვაწეობას რომ გადავხედოთ, დავინახავთ, რომ მას ედება ის ფერი, რა ფერითაც არის შეღებილი უდიდესი პარტია, რომელიც ადგენს მინისტრთა კაბინეტს, და რომელსაც უკავია ლობთარის ადგილი საკანონმდებლო ორგანოს კონცერტში.

სახელმწიფოს პოლიტიკური ცხოვრება და საკანონმდებლო მოღვაწეობა მიმდინარეობს ისეთ ფარგლებში, რომელსაც ნახულობს ეს პარტია სახელმწიფოსათვის სასარგებლოდ. ამიტომ მართალია სიდნეი ლოუ (ინ. Сидней Лоу. Государственный строй Англии), როდესაც ამბობს, რომ ინგლისის პარლამენტის საკანონმდებლო მოღვაწეობა გამოიხატება განსაკუთრებით ამა თუ იმ კანონპროექტის კანონად ცნობის და გამოქვეყნების შესახებ — ხმის მიცემაში.

იშვიათი მოვლენა არის, რომ რომელიმე საკითხის გარშემო ინგლისის პარლამენტში დიდი დავა და კამათი ასტყდეს. მხოლოდ მაშინ, როდესაც საკითხი იმდენად რთული და დიდმნიშვნელოვანია, რომ თავისი შინაარსით სახელმწიფოს პოლიტიკური ცხოვრების დრმა და მნიშვნელოვან ინტერესებს ეხებოდეს, შესაძლებელია ინგლისის პარლამენტი ატორტმანდეს და ახმაურდეს.

პარტიულ გეგმონიაზე აკებული საკანონმდებლო ორგანოს მოღვაწეობა ყველა სახელმწიფოსათვის არ არის სასურველი და სასარგებლო. საზოგადოდ უნდა აღინიშნოს, რომ კანონმდებლობის ამგვარ მიმართულებას დიდი ნაყოფი შეუძლია მოუტანოს იმ სახელმწიფოს, სადაც პოლიტიკური ცხოვრება მომწიფებულია; მხოლოდ ამავე დროს განუვითარებელ, პოლიტიკურად ჩამორჩენილ ან ახლად შობილ სახელმწიფოსათვის, მას არ შეუძლია ხელი შეუწყოს სახელმწიფოს ძალაუფლების განმტკიცებას, თუ გინდ მხოლოდ იმიტომ, რომ ეს სისტემა არ არის წარმოშობილი თავისი პოლიტიკური ვითარებისაგან.

იმისათვის, რომ პარლამენტში გაბატონებულმა პარტიამ აწარმოვოს საღი და კეშმარტი სახელმწიფოებრივი პოლიტიკა საჭიროა, რომ მას ჰქონდეს დიდი პოლიტიკური გამორცდილება და ტრადიცია სახელმწიფოებრივი მოღვაწეობის და შემოქმედების სფეროში; წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნე-

ლია, რომ მან დიდი და საჭირობოროტო შეცდომები ჩაიდინოს და სახელმწიფოს ნაცივ დაღუპვისაკენ წარმართოს. შესაძლებელია, გაბატონებულ პარტიამ ამ ისეთ ზომებს მიმართოს, რომლებიც სახელმწიფოს ინტერესების პირდაპირი უარყოფა იქნება.

საქართველოში გამეფებულმა პარტიამ (სოციალდემოკრატიამ) ამგვარ შესაძლებლობას ალღო აუღო და მომენტის შესაფერი ნაბიჯები გადადგა. ცხადია, რომ ამ პარტიას მომენტმა შესთავაზა ლოტბარის კვერთხი, ან და უკეთ რომ ვთქვათ, განსაზღვრულმა პოლიტიკურმა მომენტმა აიძულა ხელთ აეღო სახელმწიფო ცხოვრების საკე. საერთო პოლიტიკური კონიუნქტურა ომით და რევოლუციით შექმნილი, უკარნახებდა ძლიერ პარტიას ხელთ აეღო სახელმწიფოებრივი ძალაუფლება<sup>18</sup> და ჯერ ერთი უზრუნველ ეყო საქართველო რუსეთის ანარქიის ჩანთქმისაგან და მეორე დაეცვას და განემტკიცებინოს რევოლუციით მონაპოვარი თავისუფლებანი.

სოციალდემოკრატიული პარტიის ზეგავლენით საქართველოს სწორედ იმ გზას დაადგა, რა გზაც რუსეთის რევოლუციის გაბოროტებულ ხელმძღვანელებმა უარყვეს, ე. ი. კოალიციონურ გზას, პარტიულად შერეულ მთავრობის განმტკიცებით. მის მოთავეებმა კარგათ იცოდნენ, რომ პარტიული გვეგმონია ვერ შეუწყობდა ხელს წეს-რიგის დამყარებას და რევოლუციით მონაპოვარ თავისუფლებების განმტკიცებას, რომ საჭირო იყო ყველა დემოკრატიულ ელემენტების გაერთიანება და სახელმწიფოებრივ საქმიანობაში ჩაბმა რომ ამ გზით ერთი ძლიერი ფრონტი შეექმნათ და მით უზრუნველყოთ სახელმწიფოს არსებობა ყოველნაირ ანარქიისაგან და რევოლუცია კი სრული დამარცხებისაგან. კოალიციონური პრინციპი დაედგა სარჩულად ახალ საქართველოს აღმშენებლობას. თუმცა ეროვნულ საბჭოში უმეტესობას სოციალ-დემოკრატია წარმოადგენს, მაგრამ სახელმწიფოს მართვა-გამგეობა განსაკუთრებულად მას ვერ უკისრნია სხვადასხვა მიზეზების გამო, რომელთა შორის ყურადსაღებია ის, რომ მართვა-გამგეობის პარტიულის მხრივ ერთსახოვნათ ჩამოყალიბება ხელს ვერ შეუწყობდა ანარქიისთან ბრძოლას და წესრიგის დამყარებას.

ჩვენ არ ვიცით, თუ რა შემადგენლობის იქნება საქართველოს დამფუძნებელი კრება. ვიტყვით მხოლოდ, რომ საქართველოს ნორმალური პოლიტიკური ვითარება დამოკიდებული იქნება იმაზე, იქნება თუ არა რომელიმე პარტია იმდენად გაბატონებული საკანონმდებლო წარმომადგენლობაში, რომ მხოლოდ მას შეეძლოს სახელმწიფოს ძალა-უფლების ხელში ჩაგდება. სასურველია ისეთ პარტიათა განწყობილება, რომ საკანონმდებლო მოღვაწეობა იწოთბოდეს პარტიათა შორის ბრძოლის ცეცხლში და არ მიმდინარეობდეს უბრალო ხმის მიცემის წესით. ამ პირობებში სახელმწიფოს ყოველ ღონისძიებებს შედეგათ მოყვება მტკიცე და ხალხისათვის სასარგებლო ზომები.

## VII. აღმასრულებელი ორგანო

აღმასრულებელი ძალა მართავს სახელმწიფოს საკეს და ამოძრავებს მთელ მის მექანიზმს. როგორც მონარქიულ წესწყობილების არსებობის პირობებში ისე რესპუბლიკანურის უზენაესი აღმასრულებელი ძალის მატარებელი არის

<sup>18</sup> რუსეთში მეუმრავლესეთა გაბატონების შემდეგ ამიერკავკასიის ცხოვრება ჩადა და მოუკიდებლობის პირობებში. პოლიტიკური ლოტბარობა ხედა ქართველ სოციალდემოკრატებს, ამიტომ ამიერ კავკასიის საკეს მართვა სწარმოებდა მათ. კომპასის მიხედვით.

ან ერთი პირი ან კოლლევია. ამ ძალის მატარებლათ მონარქიაში ითვლება მონარქი, რესპუბლიკაში კი პრეზიდენტი<sup>19</sup>. რაც შეეხება უზენაესი აღმასრულებელი ძალის მატარებლის კოლლევიალობას, ეს უკანასკნელი გატარებულია მხოლოდ ისეთ დემოკრატიულ სახელმწიფოში, სადაც ხალხს აქვს პირდაპირი უშუალო გავლენა სახელმწიფოს უფლებაშემოქმედებაზე, მართვა-გამგებობაზე.

იმ სახელმწიფოში, სადაც აღნიშნული ძალა-უფლება ერთ პირს ეკუთვნის, ასეთი პირის გვერდით არსებობს აღმასრულებელ ძალა-უფლებით აღჭურვილი კოლევია, რომელიც გამოდის საკუთარ ასპარეზზე მთავრობის სახით. მთავრობა წარმოადგენს დამხმარე მექანიზმს, ის აწარმოებს საშინაო და საგარეო პოლიტიკას იმის და მიხედვით, თუ რა გვარ პრინციპზე აშენებულია ურთიერთობა ორ აქტიურ ძალათა შორის — აღმასრულებელს და საკანონმდებლოს. ამ მხრივ განირჩევა — პარლამენტარული და საერთო-კონსტიტუციონური მთავრობა<sup>20</sup>. პირველი იმით განსხვავდება მეორესაგან, რომ მისი წევრნი წარმოადგენენ თანამოაზრეთა ჯგუფს და ამორჩეულნი არიან იმ პირის მიერ, რომელიც, ვითარცა სახელმწიფოს უზენაესი აღმასრულებელი ძალის მატარებელი, ასახელებს ერთ რომელიმე, რა თქმა უნდა გავლენიან, წევრს უდიდეს პოლიტიკურ პარტიისა; ეს უკანასკნელი კი ადგენს კაბინეტს მის თანამოაზრეთა პირდაგან. ამ პირობებში უზენაესი აღმასრულებელი ძალის მატარებელს ეკარგება საკუთარ მოქმედებაში ის თავისუფლება, რომელიც მას აქვს საკანონმდებლო ორგანოს წინაშე უპასუხისმგებლო მთავრობის არსებობის პირობებში.

მთავრობის პასუხისმგებლობის პირობებში თითოეული განკარგულება ან ზომა სახელმწიფოს უზენაესი აღმასრულებელი ძალისა უნდა იქნეს ხელის მოწერით დადასტურებული მინისტრის მიერ. უამისოდ ასეთ აქტს არ ექნება კანონიერი ძალა. რა თქმა უნდა, მთავრობის არც ერთი წევრი არ დაადასტურებს ისეთ ზომას ან განკარგულებას, რომელსაც მისი აზრით, ვერ გაიზიარებს საკუთარი პარტია ანუ პარლამენტის უმრავლესობა. თავიდან რომ აიცილინოს პასუხისმგებლობა, ის არ აღიარებს ხელის მოწერით განკარგულებაზე ანუ ზომაზე თავის თანხმობას. სულ სხვა მდგომარეობას აქვს ადგილი საერთო-კონსტიტუციონურ რეჟიმის პირობებში, სადაც არ არსებობს მთავრობის სოლიდარული პასუხისმგებლობა ხალხის წარმომადგენლობის წინაშე პოლიტიკის მიზანშეწონილობისათვის. აქ მთავრობა განცალკევებული არის საკანონმდებლო ორგანოსაგან. ამრიგად, მთავრობის განწყობილებას საკანონმდებლო ორგანოსთან შეიძლება ჰქონდეს საძირკველად პარლამენტარული ან და კონსტიტუციონური პრინციპი, საკანონმდებლო ორგანოსაგან გათიშვა-განცალკევების პრინციპი. როგორც ერთს, ისე მეორე, პრინციპს აქვს ადგილი თანამედროვე სახელმწიფოების წესწყობილებაში და, რა თქმა უნდა, ორივეს ყავთ დამცველნი პოლიტიკოსებსა და თეორეტიკოსებთა შორის.

<sup>19</sup> ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებში უზენაესი აღმასრულებელი ძალა-უფლება ეკუთვნის პრეზიდენტს, პრუსიაში — მეფეს, ბელგიაში — მეფეს განსაზღვრულ ფარგლებში, შვეიცარიის კანტონებში — კანტონის საბჭოს.

<sup>20</sup> პარლამენტარულ მთავრობას მაგალითად, აქვს ადგილი ინგლისის და ბელგიის მონარქიაში და საფრანგეთის რესპუბლიკაში.



აღმასრულებელ და საკანონმდებლო ძალთა განცალკევების მომხრენი ამგვარ გათიშვაში ზედავენი თავისუფლების საუკეთესო და უაღრეს გარანტიას (იხ. Montesquie. Духъ законовъ).

ეს თეორია ცხოვრებამ დაარღვია ისეთი აღმასრულებელი ძალის ორგანიზაციის შექმნით, სადაც ადგილი არა აქვს საკანონმდებლო და აღმასრულებელ სახელმწიფოებრივ ორგანოთა შორის არავითარ გათიშვას და განცალკევებას, მაგრამ მასთან თავისუფლების პრინციპების არსებობას კი უაღრესი გარანტიები აქვს. კლასიკურ მაგალითს მთავრობის ამ სახით მოწყობისას იძლევა ინგლისი, სადაც მოქალაქეთა უფლებაშეგნება ისეთ მაღალ საფეხურზე სდგას, როგორც არსად.


ინგლისი იყო და არის მაგალითი და ნიმუში მთავრობის პარლამენტარულ პრინციპზე მოწყობისა. „შეიძლება სამართლიანად ითქვას, — ამბობს ინგლისელი პროფესორი დისი, — რომ პარლამენტარული მართველობა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, არ არსებობს არსად მანამდის, მინამ აღმასრულებლისათვის ყოველი წევრის ადგილზე ყოფნას არ დაადასტურებს თვით პარლამენტი და მათი ადგილზე დარჩენაც არ იქნება დამოკიდებული პარლამენტის ნებასურვილზე, რადგანაც მხოლოდ ამ პირობებში შეიძლება ითქვას, რომ პარლამენტარულმა წესმა მიიღწია განვითარების უკიდურეს წერტილამდის და დამყარდა გამგეობა პარლამენტისა“<sup>21</sup>.

მთავრობის წევრები, არჩეულნი პარლამენტის წევრთა შორის, წარმოადგენენ ნამდვილ გარანტიას იმისას, რომ მთავრობის პოლიტიკას ექნება ერთსახეობა. პარლამენტარული მთავრობა ინარჩუნებს ორგანიულ კავშირს თვით პარლამენტთან, ეს კი უზრუნველყოფს მთავრობის მოქმედებას სახელმწიფოებრივ ორგანოთა შორის უთანხმოებისაგან და წინააღმდეგობისაგან, რასაც შეიძლება ადგილი აქვს სახელმწიფოს სხვა გვარ ფორმით არსებობის პირობებში. პარლამენტარულ მთავრობის უპირატესობა კიდევ იმაში მდგომარეობს, რომ მისი წევრთა მოღვაწეობა დამყარებული არის სოლიდარულ პასუხისმგებლობის პრინციპზე.

მართალია, პარლამენტარულ წყობილების პირობებში შეიძლება იქნეს უთანხმოება და შეტაკება მთავრობასა და საკანონმდებლო ორგანოს შუა, მაგრამ ამის თავიდან აცილება არც სხვა რომელიმე პირობებში შეიძლება. მაშინ, როდესაც პარლამენტარული მართველობის სისტემა მთავრობისათვის უზრუნველყოფს თავისუფალ მოქმედებას; პრეზიდენტის მართველობის პირობებში მთავრობა სრულ დამოკიდებულებაში არის საკანონმდებლო ორგანოსაგან და მის მრავალ რიცხოვან კომიტეტებისაგან, რომელთაც აქვთ უფლება კონტროლი გაუყეთოს მთავრობის ყოველ ნაბიჯს; ეს კი რა თქმა უნდა, სავსებით სპობს მთავრობისათვის თავისუფალ პოლიტიკურ შემოქმედების შესაძლებლობას<sup>22</sup>. ამგვარ პირობებზე საკანონმდებლო ორგანოს, რომელიც, ვუდრო ვილსონის სი-

<sup>21</sup> А. В. Дайси, Основы государственного права Англии.

<sup>22</sup> ავიღოთ, მაგალითად, ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატები. იქ აღმასრულებელი ძალის მატარებელთა ითვლება ხალხის მიერ არჩეული პრეზიდენტი, რომელიც მინისტრთა ოწვევს თანამოაზრეს კონგრესთან წინასწარ შეთანხმებით. ვინაიდან პოლიტიკის საერთო მიმართულება დამოკიდებულია კონგრესისაგან და უკანასკნელის კომიტეტებს აქვთ უშვალთ გაუღწია მთავრობის მოღვაწეობაზე. ცხადია, რომ მინისტრებს ეკარგება საშუალება საკუთარ პოლიტიკის თავისუფალ წარმოებისა.



ტყვიით, უნდა იყოს ხალხის სურვილების გამოძახილი და გამომხატველი თავის ამომრჩევლების სიბრძნისა და ნებისა, არ ეძლევა საშვალება, რომ გვეცნოს მთავრობის ყოველმხრიულ მოქმედებას.

პრეზიდენტის გამგეობის ნაკლოვანებას მშვენივრად აღწერს იგივე ვუდრო ვილსონი შემდეგ სიტყვებში. „ჩვენში<sup>23</sup>, — ამბობს იგი, — ყოველ წამში შეიძლება ასტყდეს პარტიული განხეთქილება აღმასრულებელ ძალის და კონგრესის შორის. ეს გარემოება კი თვალსაჩინოთ ართულებს ჩვენს სამთავრობო სისტემას, სადაც მომქმედი ძალის როლს პარტიები თამაშობენ. საპრეზიდენტო არჩევნები პარტიულ გავლენის სასწორს ერთ მხარეზე ხრიან, მხოლოდ შემდეგ არჩევნებს კი კონგრესში შეუძლია სავსებით შესცვალონ პარტიული ძალთა განწყობილება, ამიტომ ჩვენ იშვიათად ვსარგებლობთ ერთსახოვან, პარტიულის მხრივ მთავრობის უპირატესობით, როდესაც მთელი სახელმწიფოს უფლებბრივი ძალა ერთ პოლიტიკურ პარტიის ხელში არის, იმ პარტიის, რომელიც სარგებლობს საერთო ნდობით და კისრულობს თავის თავზე საერთო პასუხისმგებლობას. ჩვენ არა გვყავს პარტიული მთავრობა, რომლის ყოლაც კი ძლიერ სასურველია ჩვენთვის და რომლის არსებობაც შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობებში თუ წარმომადგენლობით ორგანოს მინიჭებული აქვს სახელმწიფო ძალის უმადლესი ორგანოს მდგომარეობა, თუ მას ევალება თვალყურის დევნება ადმინისტრაციის მოქმედებაზე, დანიშნა ყველა მოხელეებისა და ხელმძღვანელობა მთავრობის პოლიტიკისა<sup>24</sup>.

პარლამენტარულ მართველობას უფრო მეტი სიმტკიცე აქვს ისეთ სახელმწიფოში, სადაც პოლიტიკურ განვითარებას შედეგათ დიდი პოლიტიკური პარტიების დაარსება და შექმნა მოჰყავს, როგორც ინგლისში — ვინემ ისეთ ქვეყანაში, სადაც პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზზე გამოდის დიდი რიცხვი წვრილ პოლიტიკურ პარტიებისა. ასეთ პირობებში პარლამენტარულ მართველობის შექმნისათვის საჭირო არის კოალიციონური მთავრობა. ასეთი მთავრობა კი, როგორც პარტიების დროებითი კავშირის შედეგი, წამოყენებული განსაზღვრულ პოლიტიკურ მიზანთა მისაღწევათ ირღვევა ამ მიზანთა განხორციელებასთან ერთად.

კოალიციაში შესულს ერთ-ერთ პარტიას შეუძლია ოპოზიციაში ჩასდგეს და მაშინ მთავრობა, როგორც უმცირესობის წარმომადგენელი, იძულებული ხდება ძალა-უფლება აიყაროს. ამგვარ ცვალებადობას არ განიცდის პარლამენტარული მთავრობა, შემდგარი თანამოაზრეთაგან და დაყრდნობილი ისეთ პარტიაზე, რომლის გარშემოც თავმოყრილია საკანონმდებლო დაწესებულების უმრავლესობა.

რა შემადგენლობისაც არ უნდა იქნეს მთავრობა პარლამენტარულ წყობილებაში, იქნება ის შემდგარი პარტიული ერთი სახით თუ განსხვავებულით, მაინც ცხადია, რომ ამგვარი მართველობითი ფორმა ხელს უწყობს იმას, რომ აღმასრულებელი ძალა უადრესად შეესაბამებოდეს პოლიტიკური ცხოვრების განვითარებას. მხოლოდ ამ სისტემით აღმასრულებელი ძალის შექმნა უზრუნველყოფს საკანონმდებლო დაწესებულების გავლენას და მის სახელმწიფოებრივ უზენაეს ძალას, ვინაიდან საკანონმდებლო ორგანოს სიმამრე და სიმ-

<sup>23</sup> ეს ეხება ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებს.  
<sup>24</sup> В. Вильсонъ, Государственный строй Соединенных Штатовъ. გამ. 1905 წ., გვ. 226

ტიცი ბევრად არის დამოკიდებული აღმასრულებელი ძალის დანიშვნა-გადაყენების შესაძლებლობაზე.

დემოკრატიულ სახელმწიფოში მთავრობის შექმნის შესახებ საკითხთა მჭიდროდ დაკავშირებულია ის საკითხიც, თუ როგორი უნდა იყოს სახელმწიფოს მოთავე, კოლევიალური თუ ერთპიროვნული.

სახელმწიფოს მოთავეს არსებობა იხსნება სხვა სახელმწიფოების წინაშე წარმომადგენლობის ყოლის აუცილებლობით, არ არის ისეთი სახელმწიფო, რომელსაც არ ყავდეს თავის ოფიციალური წარმომადგენელი სხვა ერთა წინაშე, სულ ერთია, რა სახით იარსებებს სახელმწიფოს წარმომადგენლობა, პრეზიდენტის თუ მეფის სახით, ერთს და მეორეს მიკუთვნებული აქვთ ერთგვარი უფლება სახელმწიფოს წარმომადგენლობისა. ამ უფლებების გამოყენების შესაძლებლობა სახელმწიფოს სასარგებლოდ თუ საზიანოდ არსებობს იქ მეტად, სადაც სახელმწიფოს წარმომადგენლის მინდობილობათა ვადა უფრო ხანგრძლივია. ყოველი ნაბიჯი სახელმწიფოს წარმომადგენლებისა ერთგვარ განწყობილებასა ქმნის პოლიტიკურ წრეებში. ეს იწვევს აზრთა ურთიერთობის მოძრაობას საზოგადოებაში. ამგვარი რყევა კი ნაკლებად არის იქ; სადაც სახელმწიფოს მოთავეს მინდობილებების ვადა მოკლეა და სადაც თვით მინდობილებანი განისაზღვრებიან ფორმალურ წარმომადგენლობის საზღვრებით, როგორც ეს მიღებულია შვეიცარიის კავშირში<sup>25</sup>. მაშინ კი, როდესაც მთავრობის მოთავე კოლევიალურია, სახელმწიფოს ინტერესები გაცილებით ხელსაყრელ პირობებში იქნებიან ჩაყენებული.

დემოკრატიის ინტერესების თვალსაზრისით სრულიად არ არის სულ ერთი ის, თუ ვინ არის სახელმწიფოს ინტერესების წარმომადგენელი საერთაშორისო ურთიერთობის სფეროში, რა ადგილი უკავია ერთპიროვნულ ან კოლევიალურ წარმომადგენელს, არის ის დამოუკიდებელი იმ ორგანოსაგან, რომელსაც ხალხისაგან აქვს მინიჭებული უზენაესი მინდობილობანი, თუ სიმტკიცე და ხანგრძლივობა მათი წარმომადგენლობისა არის დაფუძნებული მის მიერ წარმოებულ სახელმწიფოსთვის ხელსაყრელ საგარეო პოლიტიკაზე. უეჭველია, რომ დემოკრატიულ სახელმწიფოში ყოველივე უნდა ემორჩილებოდეს ხალხის ნება-სურვილს. დემოკრატიის ინტერესები მოითხოვენ, რომ ხალხს უსმენდენ და ანგარიშს უწევდენ ის ორგანოები, რომლებიც არიან შედეგი ხალხის ნების გამომჟღავნებისა, რომ სახელმწიფოს მოთავე იყოს პასუხისმგებელი არა მარტო იმ დანაშაულობისათვის, რომელნიც კონსტიტუციით იქნებიან განსაზღვრული<sup>26</sup>, არამედ იმ შემთხვევაშიდაც, თუ კი ის გადაუხვევს ან უღალატებს ხალხის ჭეშმარიტ ნებას. თავისთავად იბადება საკითხი, რა პირობებში შეიძლება, რომ ეს დებულებანი იქნენ განმტკიცებულნი სახელმწიფოს ცხოვრებაში? ყოფილ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის პრაქტიკას რომ მივმართოდ, ვიპოვ-

<sup>25</sup> შვეიცარიაში აღმასრულებელი ძალა ეკუთვნის კოლევიალს — კავშირის საბჭოს, რომელიც შესტგება შვიდ წევრისაგან. უკანასკნელებს ირჩევს ორივე პალატის შეერთებული კრება. აღნიშნულ შემადგენლობიდან პალატები ირჩევენ პრეზიდენტს და მის თანაშემწეს. პრეზიდენტს ეკუთვნის თემგვარობა მთავრობის საბჭოში და უფლება გამოვიდეს უცხო ქვეყნების წარმომადგენლების მიღების დროს საბჭოს სახელით, მაგრამ მას სრულიად არა აქვს მინიჭებული აღმასრულებელი ძალაუფლება.

<sup>26</sup> 1875 წლის 25 თებერვლის კონსტიტუციონურ კანონის მე-6 მუხლის ძალით საფრანკეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი პასუხისმგებელია მხოლოდ სახელმწიფოს დელატის გამო. შეერთებულ შტატების კონსტიტუციით 17 ენკენისთვის 1787 წლისა პრეზიდენტი პასუხისმგებელია დელატის, მექრთამობის და სხვა მძიმე, ბოროტმოქმედობის გამო.

ნით პასუხს იმ საკითხზე, თუ რა საფუძველზე უნდა იქნეს აგებული სახელმწიფოს წარმომადგენლობა სხვა ერთა წინაშე, რომ ის სავსებით აკმაყოფილებდეს ხალხის სახელმწიფოებრივ ინტერესს. ამიერ-კავკასიის მთავრობამ კავშირის საკუთარი ორგანიზაცია პარლამენტარულ-კაბინეტურ პრინციპის თანახმად, ხოლო კოალიციონურ შემადგენლობის ხასიათით. ამ კაბინეტის ყველა წევრი იყვნენ ამორჩეულნი სეიმის შემადგენლობიდან. მთავრობის შედგენა გამოძღინარეობდა სეიმის თავმჯდომარის წინადადებიდან, რომელიც მოქმედებდა თითოეულ შემთხვევაში ხალხის წარმომადგენელთა ნებით და სახელით; აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ იმ გზას, რომელიც აირჩიეს ხალხის წარმომადგენლებმა, საეჭვოა, კავშირი ჰქონდეს იმ აუცილებლობის გაგებასთან, რომ ამგვარ წესს მოითხოვდა პოლიტიკური ნაყოფიერი საქმიანობა. ეს იყო გამოწვეული მხოლოდ ახალ რესპუბლიკის პოლიტიკურ მდგომარეობით. ჭეშმარიტ ფედერატიულ სახელმწიფოს დამყარებამდის პოლიტიკურ ურთიერთობის გართულება ითხოვდა იმას, რომ კავშირის საერთო მთავრობას ანგარიში გაეწია ყოველგვარ მოვლენებისათვის, რომლებიც ეხებოდნენ მისი, კავშირის, დამოუკიდებლობას და ტერიტორიის შეუხებლობას.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკაში როგორც შინაგან პოლიტიკას, ისე საგარეოს აწარმოებდა სეიმის წინაშე პასუხისმგებელი მთავრობა, რომელიც თითოეულ თავის ნაბიჯს უთანხმებდა კონსტანტინოპოლის საერთო ნებას. ამ მთავრობას სრულიად არ ემჩნეოდა ფედერატიულ სახელმწიფოსათვის საჭირო ძლიერება. აიხსნება ეს იმით, რომ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკა მხოლოდ სიტყვიერად იყო ფედერატიული სახელმწიფო. სულ სხვა მდგომარეობას ექნებოდა ადგილი იმ შემთხვევაში, ამ კავშირს რომ დაეარგოდა კომფედერაციის თვისება და მიეღო ნამდვილი ფედერაციის ხასიათი. ამ პირობებში პასუხისმგებელ მთავრობას, რომლის ორგანიზაცია იყო აშენებული პარლამენტარულ-კაბინეტურ პრინციპზე, შეეძლო უფრო ნაყოფიერად და ხალხისათვის სასარგებლოთ აესრულებინა დაკისრებული მოვალეობა, რაც საზოგადოდ აწევს კისერზე რესპუბლიკის მოთავეს — პრეზიდენტს.

ეხსანდელი საქართველოს მართვა-გამგეობაც უარყოფს ერთპიროვნულ სახელმწიფოს მოთავეს საჭიროებას. მთელი მთავრობის შემადგენლობა აწარმოებებს შინაგან და საგარეო პოლიტიკას. ეჭვს გარეშეა, რომ მთავრობის პოლიტიკური ნაბიჯები უნდა მიმდინარეობდნენ საკანონმდებლო ორგანოს მიერ ნაჩვენებ კალაპოტში. იმ შემთხვევაში, თუ რომ მთავრობა გადაუხვევს სახელმწიფოს უზენაეს ძალის მიერ დასახულ გზას ან და მთავრობის მიერ მიღებული პოლიტიკური კურსი არ შეესაბამება ხალხის სულიერ განწყობილებას, იგი, მთავრობა, იძულებული ხდება ადგილიდან გადადგეს. ამის უახლოეს მაგალითს საუცხოვო სიცხადით იძლევა ყოფილი ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის არაშორეული წარსული.

გეგეჭკორის კაბინეტის შეხედულება ომის შესახებ ხალხის წარმომადგენლებმა უარყვეს. ამ გარემოებამ გამოიწვია კაბინეტის დაცემა. ასეთ პირობებში მთავრობის მოთავეობა უნდა მიეღო სეიმის თავმჯდომარეს მოწოდებით ისეთ პირს, რომლის პოლიტიკა უკეთეს იმედებს იძლეოდა იმაზე, რომ სახელმწიფოს საქმეებს ექნებოდა ხალხისათვის უფრო ხელსაყრელი შედეგები. აი ამ იმედების გამოხატველი შეიქმნა აკაკი ჩხენკელი. გეგეჭკორის კაბინეტის დაცემის შემდეგ დიდი დრო არ დაჭირვებია ამიერ-კავკასიის რესპუბლიკას, რომ ის, როგორც აშენებული არა რეალურ ნიადაგზე, დამწვლილიყო. ჩხენკელის კაბი-

ნეტი შეუდგა საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკის წარმოებას ისე, როგორც ეს სურდა ქართველი ხალხის მოწინავე ჯგუფებს. დამოუკიდებელ საქართველოს რესპუბლიკაში მართვა-გამგეობის პრინციპი ისეთივე დარჩა, რაიც საძირკვლად ედგა ყოფილ რესპუბლიკას. საქართველოს რესპუბლიკამ შეითვისა პარლამენტარული პრინციპი სახელმწიფოს მართვა-გამგეობისა. მისი პოლიტიკური ცხოვრების მიმდინარეობა ნათლად ამტკიცებს, რომ სახელმწიფოს კეთილდღეობისათვის სრულიად არ არის საჭირო ერთპიროვნული სახელმწიფოს მოთავე, რომლის მოვალეობის ასრულება პარლამენტარულ რეჟიმის პირობებში პასუხისმგებელ მთავრობისაგან ხალხისათვის უფრო სასარგებლო იქნება. საქართველომ მძიმე გარდამავალ ხანაში თავისი წარმომადგენლობითი ორგანოს და მთავრობის საქმიანობის საშვალეობით შესძლო ეწარმოებინა სწრაფი და საღი ეროვნული პოლიტიკა, რაც იმის უტყუარი მაჩვენებელია, რომ ნორმალურ პირობებში მისი პასუხისმგებელი მთავრობა შესძლებს უფრო მეტ ნაყოფერ საქმიანობას საგარეო პოლიტიკაში და მით ნათლად დაამტკიცებს, რომ არ არსებობს არავითარი საჭიროება ერთპიროვნულ სახელმწიფოს მოთავეში.

## VIII. სასამართლო ორგანო

სახელმწიფოს არსებობის პირველ ხანაში, როდესაც ხელმწიფების ფუნქციების განსაზღვრას ანუ განაწილებას არ ჰქონდა ადგილი, მთელ ძალაუფლებას ახორციელებდა ერთი ორგანო. იმ პირობებში სასამართლოს განკერძოებული არსებობა არ შეადგენდა აუცილებლობას, რადგან საზოგადოებრივი ცხოვრება არ იყო ისე რთული, რომ ადამიანის აზრი შეჩერებულყო რამოდენიმე ორგანოთა შორის სახელმწიფოს კომპეტენციის განაწილების საჭიროებაზე. საზოგადოების ცხოვრების გამწვავებამ და ადამიანთა ურთიერთობის გართულებამ გამოიწვიენ ორგანოების დაარსების და მათ შორის სახელმწიფოებრივი ფუნქციების განაწილების აუცილებლობა. წარმოიშვენ საკანონმდებლო და სასამართლო ორგანოები და სამართველოდგან გამოიყვენ ის ფუნქციები, რომლებიც შეადგენენ სასამართლოს კომპეტენციას. მაგრამ გამოყოფის პროცესი ჯერ არ დამთავრებულა ზოგიერთ სახელმწიფოებში, სადაც მართლმსაჯულობის ფუნქციებს ასრულებენ ადმინისტრაციული ორგანოებიც.

თანამედროვე პირობებში სასამართლოს ფუნქციების ასრულება არსებითად არ შეუძლია თავის თავზე მიიღოს არც იმ ორგანოს, რომლის მოღვაწეობა სწარმოებს უფლებაშემოქმედების სფეროში, და არც იმას, რომელსაც მოჰყავს მოძრაობაში სახელმწიფოს მთელი ორგანიზმი, უიმიოდ, რომ რაიმე ზიანი ან ვნება არ მიაყენოს ხალხის ინტერესს.

სასამართლოს მოქმედების და მოღვაწეობის წყაროს შეადგენს სახელმწიფოს კანონები; ამ კანონების ფარგლებში სწარმოებს მისი ძირითადი დავალების ასრულება — უფლების დაცვა. უფლების დაცვის ნიადაგზე იბადება სასამართლოს უფლებაშემოქმედება, რომელიც შეადგენს უფლებაწყობილების აუცილებელ ელემენტს. მსაჯულთა უფლებაშემოქმედებას კი საზოგადოდ ადგილი აქვს მაშინ, როდესაც სასამართლოს წინაშე აღძრულია კანონიერი წესით იურიდიული საკითხი დავის სახით. ამ პირობებში მოსამართლე ვალდებულია გადასწყვიტოს საკითხი მიუხედავად იმისა, თუ გინდ რომ კანონებში ვერ პოულობდეს პირდაპირ პასუხს.

სასამართლოს დანიშნულება არ უნდა განისაზღვრებოდეს იმ დავის გარ-

ჩვეთ, რომელიც ეხება სწორუფლებიან პირთა უფლებრივ ურთიერთობის სფეროს. მასვე შეიძლება და აუცილებელიც არის დაევალოს საკანონმდებლო ორგანოს მიერ შემუშავებულ კანონების გასინჯვა იმ მხრივ, თუ რამდენად ისინი შეესაბამებიან კონსტიტუციას. ჩვეულებრივ საკანონმდებლო ძალამ შეიძლება გამოსცეს ისეთი კანონები, რომელნიც ეწინააღმდეგებიან კონსტიტუციას. ამიტომ თუ სასამართლოს არ მიენიჭა უფლება საკანონმდებლო ძალის მოღვაწეობის გადასინჯვისა, ადვილი შესაძლებელია გამეფდეს ხალხის უზენაეს ინტერესების დამოკიდებულება ჩვეულებრივ კანონმდებლის თვითნებურ უფლებაშემოქმედებისაგან. ამ პირობებში დამფუძნებელი კრების გადაწყვეტილება დარჩება მხოლოდ სიტყვათ.

აღნიშნული უფლება სასამართლოს აქვს მინიჭებული ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებში. კონსტიტუციის მე-6 მუხლის ძალით სასამართლოსათვის სავალდებულოა ჩვეულებრივ საკანონმდებლო ორგანოს მიერ გამოცემული კანონები, თუ კი ისინი შედგენილი არიან კონსტიტუციის თანახმად. აქედან ის გამომდინარეობს, რომ ფედერალურ სასამართლოს შეუძლია კონგრესის მიერ გამოცემული კანონი განიხილოს იმ თვალსაზრისით, თუ რამდენად ეთანხმება კონსტიტუციას, და თუ დაინახა, რომ კანონმდებელი გამოვიდა კონსტიტუციით ნაჩვენებ ფარგლებიდან, ასეთი კანონი შეუძლია გამოაცხადოს კანონის ძალას მოკლებულათ, რის გამოც ის ცხოვრებაში არ ტარდება. მაგრამ მსაჯულთა ასეთ მოქმედებას აქვს ადგილი ჩრდილო ამერიკის ფედერაციაში მაშინ, როდესაც სასამართლოს წინაშე აღძრულია იურიდიული საკითხი დავის სახით. იქ მსაჯულნი ფართოდ სარგებლობენ აღნიშნულ უფლებით. ზოგიერთ შტატების კონსტიტუციაში იმ მიზნით, რომ ეს თუ ის ჩვეულებრივ საკანონმდებლო ორგანოს მიერ გამოცემული კანონი დაცული იქნეს სასამართლოს კონტროლისაგან, შეტანილი იყვნენ ისეთი დადგენილებანი, რომელთაც არა აქვთ კონსტიტუციონურ დებულების ხასიათი. იქ ამას შედეგათ მოჰყვა კონსტიტუციის გადინდება და სხვა და სხვა ხასიათის დებულებების არეც-დარეცა.

ექვს გარეშეა, რომ სასამართლოსათვის აღნიშნულ კონტროლის უფლების მინიჭება ზედმეტი იქნებოდა მაშინ, თუ კი ხალხს აქვს კონტროლის უფლება რეფერენდუმის და ინიციატივის სახით. მაგრამ როდესაც ასეთ მდგომარეობას ადგილი არა აქვს, ერთად ერთი ორგანო, რომელსაც უნდა ჰქონდეს საკანონმდებლო ორგანოს მოღვაწეობის შესახებ კონტროლის უფლება, სასამართლო არის. აღნიშნულ წესის განმტკიცების საჭიროებას განსაკუთრებით იწვევს პოლიტიკური ცხოვრება პარლამენტარულ რეჟიმის პირობებში.

პარლამენტში ერთი პარტიის ანუ პარტიათა კოალიციის ბატონობასთან კავშირი აქვს პარლამენტარული მთავრობის უაღრესს გავლენას კანონმდებლის მოღვაწეობაზე, უფლებაშემოქმედებაზე. ექვს გარეშეა, რომ ამა თუ იმ კანონის გამოცემაში უაღრესად დაინტერესებულია მთავრობა, რომელიც აწარმოებს შინაგან და საგარეო პოლიტიკას. მთავრობას საკანონმდებლო ინიციატივის საშვავლებით შეუძლია შეიტანოს პარლამენტში განსახილველად ისეთი კონსტიტუციის რომელიმე დებულების საწინააღმდეგო კანონ-პროექტი, რომლის დაკანონება მის პარტიის კლასობრივ ან პოლიტიკურ მომენტის ინტერესს წარმოადგენს. ეს კანონ-პროექტი კანონად იქნება ცნობილი, ვინაიდან მთავრობას უექველად მხარს დაუჭერს პარლამენტის უმრავლესობა. ამ პირობებში, თუ კონსტიტუციით არ იქნა ცნობილი სასამართლოს ისეთი უფლება, რომელიც მას აძლევს იურიდიულ საშვავლებას აღიაროს ასეთი კანონი კანონის ძალას მოკ-

ლებულად, ადვილი შესაძლოა, რომ გამოცემულნი იქნებიან ისეთი კანონები, რომლებიც ბოლოს და ბოლოს გააბათილებენ თვით კონსტიტუციას.

სასამართლოს კონტროლი უნდა გავრცელდეს აგრეთვე აღმასრულებელ ხელის ანუ მისი ორგანოების მოღვაწეობაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში ხალხის უფლებები არ იქნებიან უზრუნველყოფილნი მთავრობის ან მისი აგენტების არაკანონიერ მოქმედებისაგან.

მთავრობის მოქმედებანი შეიძლება შეეხონ ორ სფეროს: კერძო და საჯარო უფლების გავლენის სფეროს, ორივე შემთხვევაში მთავრობის მოქმედება ისინჯება სასამართლოს მიერ იმ თვალსაზრისით, გამოცემულნი განკარგულებანი ან მოქმედება ეწინააღმდეგებიან არსებულ კანონებს თუ არა. სასამართლო აცხადებს არაკანონიერ აქტს მთავრობისას ძალა მოკლებულად და მით ის ბათილდება. ხოლო საკითხია, საჭიროა თუ არა თითოეულ შემთხვევის შესახებ აღძრულ იქნეს დავა. აქ რა თქმა უნდა კერძო პირთა; საზოგადოების, თუ დაწესებულების ინიციატივას უნდა ჰქონდეს ადგილი. მაგრამ ამით სასამართლო სრულიად არ თავისუფლდება იმ მოვალეობისაგან, რომ თუ კი თვითონ დაინახავს ადმინისტრაციის მოქმედებაში არაკანონიერებას აღიაროს ის ძალას მოკლებულად.

ზოგიერთ სახელმწიფოში მთავრობის ან ადმინისტრაციულ ორგანოების არაკანონიერ მოქმედების შესახებ აღძრულ საქმეების განსახილველად და გასარჩევად არსებობს ადმინისტრაციული იუსტიცია. ასეთ ინსტიტუტის არსებობა უარყოფა არის საერთო უფლების ბატონობისა, უარყოფაა კანონის წინაშე მოქალაქეთა და მოხელეთა სრული თანასწორობისა და იწვევს ადმინისტრაციის აგენტების პრივილეგიებს.

ადმინისტრაციული სასამართლო არსებობს იქ, სადაც სახელმწიფო ცხოვრებაში განმტკიცებულია ის დებულება, რომ ჩვეულებრივ სასამართლოს არა აქვს უფლება ჩაერიოს ადმინისტრაციის მოქმედებაში; როდესაც უკანასკნელი უკანონობის გზას დაადგა. ამ დებულების წყაროს შეადგენს ის შეხედულება, რომ სამოქალაქო მსაჯულს არ აქვს ადმინისტრაციული იუსტიციისათვის საჭირო გამოცდილება და ცოდნა საჯარო უფლებისა იმისათვის, რომ სავსებით აწონ-დაწონოს ადმინისტრაციული განკარგულების ფაქტიური საფუძვლები<sup>27</sup>. ადმინისტრაციული იუსტიცია, მაგალითად, არსებობს საფრანგეთს პარლამენტარულ რესპუბლიკაში. ეს იმით აიხსნება, რომ საფრანგეთის პოლიტიკურ ცხოვრებას თავი არ მიუხედავია სახელმწიფოებრივი ძალის გაყოფის პრინციპისათვის, რაც სასამართლოს არ აძლევს იურიდიულ საშვალებას ჩაერიოს ადმინისტრაციის მოქმედებაში, თუ გინდ ეს უკანასკნელი არღვევდეს არსებულ კანონს. სულ სხვა მდგომარეობა არის ინგლისში, სადაც ცხოვრებაში გატარებულია ის პრინციპი, რომ სახელმწიფოს წევრი, იქნება ეს კერძო თუ თანამდებობის პირი, ემორჩილება ერთ კანონს, თანასწორია კანონის წინაშე. ეს თანასწორობა იმას ნიშნავს, რომ უფლების დაცვა უნდა მიმდინარეობდეს, საერთო პირობებში, რომ უფლების დამრღვეველი პასუხისმგებელი არის ჩვეულებრივ სასამართლოს წინაშე. ასეთივე მდგომარეობა აქვს სასამართლოს ჩრდილო ამერიკის ფედერაციაში.

ამრიგად საკანონმდებლო და აღმასრულებელ ორგანოების მოღვაწეობის განხილვით და განსჯით უფლებაზომიერების (правомѣрности) თვალსაზრი-

<sup>27</sup> Проф. Г. Радбрухъ, Введение въ науку права, 1915, ст. 94.

სით სასამართლოს ევალემა, რომ ის იყოს დარაჯი და მცველი იმისა, რომ მთელი სახელმწიფოს სამმართველო მოძრაობდეს კანონებში განმტკიცებულ უფლებებრივ ნორმების ფარგლებში.

სასამართლოს აღნიშნულ ფუნქციების პირნათლად ასრულებისათვის საკმარისი კი არ არის ის, რომ კანონში იქნეს დადასტურებული მისი უფლება ამ სფეროში; საჭიროა, რომ ის იყოს ჩაყენებული ისეთ მდგომარეობაში, რომელიც უზრუნველყოფს ამის შესაძლებლობას. ეს არის სრული მისი დამოუკიდებლობა საკუთარ მოღვაწეობაში როგორც აღმასრულებელ ორგანოსგან ისე საკანონმდებლოსაგან. აქ აქვს მნიშვნელობა იმ გარემოებას, ვის ეკუთვნის უფლება მსაჯულთა დანიშვნის თუ ამორჩევისა და მათი გადაყენების, დათხოვნის და გადაყვანისა.


სახელმწიფოს მოხელეთა არჩევა დემოკრატიის ერთ პრინციპთაგანია. ამ პრინციპის განხორციელება პოლიტიკურ ცხოვრებაში დამოკიდებულია იმაზე, თუ რა პირობებში მიმდინარეობს სახელმწიფოს პოლიტიკური ცხოვრება, თუ რა წესწყობილება არის დამყარებული, პირდაპირი, უშვალო დემოკრატია თუ წარმომადგენლობითი.

პირდაპირ დემოკრატიაში შეუძლებელია გამეფებული იყოს სხვა პრინციპი გარდა არჩევნებისა. წარმომადგენლობით დემოკრატიაში კი არჩევნებით პრინციპს არა აქვს ფართო ნიადაგი. აქ ძალაში არის ან დანიშვნის პრინციპი ან შერეული, ე. ი. დანიშვნის და არჩევისა.

სახელმწიფო მოსამსახურეთა რიგში მსაჯულთ უჭირავთ ღრმად მნიშვნელოვანი ადგილი და ამას პირდაპირი კავშირი აქვს მათ დანიშნულებასთან. ექვს გარეშეა, რომ ის დავალება, რომელიც დაკისრული აქვთ მსაჯულებს, განირჩევა საერთოდ მოხელეების დანიშნულებისაგან როგორც არსებითად, ისე სიმძიმით და სირთულით. მოხელე არის პირდაპირი აღმასრულებელი ნების და განკარგულების აღმასრულებელი ძალისა, რომელიც თავის განკარგულებას ამყარებს კანონმდებლის ბრძანებაზე და ნებაზე, მოსამართლე კი იცავს უფლებას არსებულ კანონების მიხედვით. ასეთი დანიშნულება მსაჯულისა მოითხოვს უზრუნველყოფას მისი მოღვაწეობისა გარეშე გავლენისაგან, განსაკუთრებით აღმასრულებელ ძალისა. თუ მივიღებთ მხედველობაში იმას, რომ მსაჯულთა დანიშნულება შეიძლება გამოიხატოს კანონმდებლის მოღვაწეობის გასინჯვაში უფლებაზომიერების თვალსაზრისით, უნდა მივიღეთ იმ დასკვნამდის, რომ ამ შემთხვევაში მსაჯული უნდა იქნეს ჩაყენებული ისეთ მდგომარეობაში, რომელიც შეუძლებლად ხდის კანონმდებლის გავლენას მსაჯულთა მოღვაწეობის მიმართულებაზე. ეს კი შესაძლოა იმ პირობაში, თუ მსაჯულთა თანამდებობაზე დანიშვნის, თანამდებობიდან დათხოვნის, გადაყენების და ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანის პირობები, რომლებიც უზრუნველყოფებენ მის დამოუკიდებლობას, კონსტიტუციით იქნებიან გამტკიცებული. ამ შემთხვევაში მსაჯულნი თავისუფალნი იქნებიან ჩვეულებრივ საკანონმდებლო ძალის გავლენისაგან, თუ გინდ მისი ნებით სწარმოებდეს მათი დანიშვნა თანამდებობაზე.

(დასასრული შემდეგ ნომერში).





საქართველოს რესპუბლიკის კანონი

საქართველოს რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მსაჯულთა არჩევნებისა და გაწვევის წესის შესახებ

თავი I

მსაჯულთა არჩევნების ორგანიზაცია

მუხლი 1. არჩევნების დანიშვნის წესი

საქართველოს რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მსაჯულთა არჩევნებს ნიშნავს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილება მსაჯულთა არჩევნების დანიშვნის შესახებ პრესაში ქვეყნდება არა უგვიანეს 30 დღისა მათი უფლებამოსილების ვადის გასვლამდე.

მსაჯულთა არჩევნების დანიშვნის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დადგენილების საფუძველზე აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოები ადგენენ რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მსაჯულთა არჩევნების ჩატარების ვადას შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკის მიხედვით.

რესპუბლიკური დაქვემდებარების რაიონებისა და ქალაქების რაიონების (ქალაქის) სასამართლოების მსაჯულთა არჩევნების ჩატარების ვადას ადგენს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო.

მუხლი 2. არჩევნების ორგანიზაცია

რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მსაჯულთა არჩევნებს აწყობენ სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოები.

სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანო:

- ა) კონტროლს უწევს ამ კანონის შესრულებას რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მსაჯულთა არჩევნების მომზადებისა და ჩატარების დროს;
- ბ) განიხილავს განცხადებებსა და საჩივრებს რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მსაჯულთა არჩევნების არასწორად ჩატარების შესახებ;
- გ) განსაზღვრავს რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მსაჯულთა არჩევნების შედეგებს რაიონის, ქალაქის, ქალაქის რაიონის მიხედვით, ადგენს და ამტკიცებს არჩეულ მსაჯულთა სიას;
- დ) აძლევს არჩეულ მსაჯულებს მსაჯულის მოწმობას;
- ე) აქვეყნებს ცნობას რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მსაჯულთა არჩევნების შედეგების შესახებ;
- ვ) ახორციელებს სხვა უფლებამოსილებას ამ კანონის შესაბამისად.

მუხლი 3. არჩევნების ჩატარების წესი

რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მსაჯულთა არჩევნები ტარდება მოქალაქეთა კრებებზე მათი სამუშაო ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მსაჯულთა ასარჩევად კრებებს იწვევენ

პოლიტიკური პარტიები, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, შრომითი კოლექტივები.

მოქალაქეთა კრებას მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ხელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანო.

კრებები ტარდება შრომით კოლექტივებში, დასახლებულ პუნქტებში, სადაც ამომრჩეველთა რიცხვი 100 კაცზე ნაკლები არ არის, თუ ამომრჩეველთა რიცხვი მათში 100 კაცზე ნაკლებია, არჩევნები ტარდება სხვა შრომით კოლექტივებთან, სხვა დასახლებულ პუნქტებში მცხოვრებ ამომრჩეველებთან ერთად.

დიდ შრომით კოლექტივებში კრებები შეიძლება ჩატარდეს საამქროების, უბნების, ცვლების, ბრიგადების, განყოფილებების მიხედვით.

მსაჯულთა ასარჩევი კრების დროისა და ადგილის შესახებ მოქალაქეებს აცნობებენ კრებაზე არა უგვიანეს სამი დღისა.

კრება უფლებამოსილია, თუ მასში მონაწილეობს მოცემული შრომითი კოლექტივის ამომრჩეველთა უმრავლესობა ან ამომრჩეველთა უმრავლესობა მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მსაჯულთა კანდიდატურებს ასახელებენ პოლიტიკური პარტიები, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, შრომითი კოლექტივები.

კრების ყოველ დამსწრეს უფლება ეძლევა მონაწილეობა მიიღოს დასახელებული კანდიდატურების განხილვაში, მხარი დაუჭიროოს წამოყენებულ კანდიდატურებს ან შეიტანოს წინადადებანი მათი აცილების შესახებ.

რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მსაჯულთა არჩევა ხდება კენჭისყრით თითოეული კანდიდატურისათვის ცალ-ცალკე.

რაიონის (ქალაქის) სასამართლოს მსაჯულებად არჩეულად ჩაითვლებიან ის პირები, რომლებმაც მიიღეს მოცემული შრომითი კოლექტივის ამომრჩეველთა ხმების ნახევარზე მეტი, ანდა ამომრჩეველთა ხმების უმრავლესობა მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

კრებაზე ირჩევენ პრეზიდიუმს და ადგენენ ოქმს.

**მუხლი 4.** მსაჯულთა საარჩევნო კრების ოქმი

ხმის მიცემის შედეგები შეაქვთ კრების ოქმში, რომელსაც ხელს აწერს კრების პრეზიდიუმის მთელი შემადგენლობა.

კრების ოქმში აღნიშნული უნდა იყოს: იმ ორგანიზაციის ან დასახლებული პუნქტის სახელწოდება, სადაც გაიმართა კრება; კრების ჩატარების ადგილი და დრო; ამომრჩეველთა საერთო რიცხვი მოცემულ კოლექტივში, დასახლებულ პუნქტში; კრების მონაწილე ამომრჩეველთა რიცხვი; მსაჯულობის თითოეული კანდიდატის გვარი, სახელი და მამის სახელი; მსაჯულობის თითოეული კანდიდატის სასარგებლოდ და წინააღმდეგ მიცემული ხმების რაოდენობა; თითოეული არჩეული მსაჯულის გვარი, სახელი, მამის სახელი, ასაკი, საქმიანობა, საცხოვრებელი ადგილი, აგრეთვე იყო თუ არა იგი ადრე არჩეული მსაჯულად.

კრების ოქმი ხელმოწერის შემდეგ დაუყოვნებლივ გადაეგზავნება სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივ ორგანოს.

**მუხლი 5.** მსაჯულთა არჩევნების შედეგების დადგენა

სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოების კრების ოქმების საფუძველზე დაადგენენ მსაჯულთა არჩევნების შედეგებს და შეადგენენ მოცემული რაიონის (ქალაქის), ქალაქის რაიონის სასამართლოს მსაჯულთა სიას.

სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს შეუძლიათ არჩე-

ნები ბათილად ცნონ არჩევნების დროს დაშვებული ამ კანონის დარღვევების გამო.

სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანო არჩევნებს ჩატარებულად არ ჩათვლის, თუ მასში მონაწილეობდა მოცემული შრომითი კოლექტივის ამომრჩეველთა ან დასახლებულ პუნქტში მცხოვრებთა ნახევარზე ნაკლები.

მსაჯულთა სიას დაამტკიცებს მმართველობის ადგილობრივი ორგანო და გადაუგზავნის რაიონის (ქალაქის), ქალაქის რაიონის სასამართლოს.

## თავი II

ხელახალი არჩევნები. გამოკლავაშულთა ნაცვლად ახალ მსაჯულთა არჩევნები.  
მსაჯულთა არჩევნები ახლად შექმნილ რაიონში, ქალაქში, ქალაქის რაიონში

**მუხლი 6.** ხელახალი არჩევნები, გამოკლებულთა ნაცვლად ახალ მსაჯულთა არჩევნები

თუ მსაჯულის არჩევნები ბათილად იქნა ცნობილი ან ჩატარებულად არ ჩათვალა, სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოები აწყობენ ხელახალ არჩევნებს

იმ შემთხვევაში, თუ რაიონის (ქალაქის) სასამართლოს გამოაკლდა მსაჯული მისი უფლებამოსილების ვადის გასვლამდე, შეიძლება ჩატარდეს ახალი არჩევნები.

ხელახალი არჩევნები და გამოკლებულთა ნაცვლად ახალ მსაჯულთა არჩევნები ტარდება ამ კანონის მოთხოვნათა დაცვით.

**მუხლი 7.** მსაჯულთა არჩევნები ახლად შექმნილ რაიონში, ქალაქში, ქალაქის რაიონში და დამატებითი არჩევნები

ახლად შექმნილ რაიონში, ქალაქში, ქალაქის რაიონში მსაჯულთა არჩევნები ჩატარდება იმ შემთხვევაში, როდესაც რაიონის (ქალაქის) სასამართლოს შექმნა შეუძლებელია ახლად შექმნილი რაიონის, ქალაქის, ქალაქის რაიონის შემადგენლობაში შემავალ ტერიტორიაზე არჩეულ მსაჯულთა არყოფნის გამო.

მსაჯულთა დამატებითი არჩევნები ჩატარდება იმ შემთხვევაში, როდესაც რაიონის (ქალაქის) სასამართლოს შესაქმნელად არასაკმარისია ახლად შექმნილი რაიონის, ქალაქის, ქალაქის რაიონის შემადგენლობაში შემავალ ტერიტორიაზე არჩეულ მსაჯულთა რაოდენობა, აგრეთვე, როდესაც საჭიროა შესაბამისი სასამართლოს მსაჯულთა რიცხვის გაზრდა.

ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში მსაჯულთა არჩევნებს ნიშნავენ შესაბამისად საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოები არა უგვიანეს ერთი თვისა რაიონის (ქალაქის) სასამართლოს შექმნის ან რაიონის (ქალაქის) სასამართლოში მსაჯულთა რაოდენობის გაზრდის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან; არჩევნები ტარდება ამ კანონის მოთხოვნათა დაცვით.



**მსაჯულთა მოწმობა. საარჩევნო დოკუმენტების ფორმატი და მათი შენახვის წესი. საარჩევნო ყუთის ნიმუში**

**მუხლი 8. მსაჯულთა მოწმობა**

სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოები რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მსაჯულთა სიის დამტკიცების შემდეგ თითოეულ არჩეულ მსაჯულს აძლევენ შესაბამისი რაიონის (ქალაქის) სასამართლოს მსაჯულის მოწმობას.

**მუხლი 9. საარჩევნო დოკუმენტების ფორმები და საარჩევნო ყუთის ნიმუში**

ამომრჩეველთა სიის, ხმის მიცემის უფლების მოწმობის, საარჩევნო კომისიების ოქმების ფორმებს, საარჩევნო ბიულეტენის ფორმასა და ჯერს, საარჩევნო ყუთის ნიმუშს, რაიონის (ქალაქის) სასამართლოს მსაჯულთა სიისა და მსაჯულის მოწმობის ფორმებს აწესებს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი.

**მუხლი 10. საარჩევნო დოკუმენტების შენახვის წესი**

საქართველოს რესპუბლიკის რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მსაჯულთა არჩევნების საარჩევნო კომისიების საქმისწარმოების მასალებს საარჩევნო კომისიები თავიანთი მუშაობის დამთავრების შემდეგ გადასცემენ სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივ ორგანებს.

რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მსაჯულთა არჩევნების საარჩევნო დოკუმენტების შენახვის წესს ადგენს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმი.

**თავი IV**

**მსაჯულთა გაწვევის წესი**

**მუხლი 11. მსაჯულის გასაწვევი კრების ჩატარების წესი**

რაიონის (ქალაქის) სასამართლოს მსაჯული შეიძლება გაწვეულ იქნეს იმ შრომითი კოლექტივის ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა კრების გადაწყვეტილებით, რომლებმაც იგი აირჩიეს.

კრებები იმართება ამომრჩეველთა სამუშაო ან საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

კრებებს იწვევენ პოლიტიკური პარტიები, კოოპერაციული და სხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, შრომითი კოლექტივები, მოქალაქეთა კრებას მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით იწვევენ სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოები.

კრება უფლებამოსილია, თუ მასში მონაწილეობს მოცემული შრომითი კოლექტივის ამომრჩეველთა უმრავლესობა, ანდა ამომრჩეველთა უმრავლესობა მათი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

გადაწყვეტილება მსაჯულის გაწვევასთან დაკავშირებით მიიღება ღია კენჭისყრით.

კრებაზე აირჩევა პრეზიდიუმი და დგება ოქმი.

**მუხლი 12. მეფალყურეობა გაწვევის შესახებ კანონის შესრულებისადმი**



მსაჯულის გაწვევისას ამ კანონის შესრულებას მეთვალყურეობას უწევს სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანო.

**მუხლი 13.** მსაჯულის გასაწვევი კრების ოქმი

ამომრჩეველთა კრების ოქმში უნდა აღინიშნოს: იმ ორგანიზაციის ან დასახლებული პუნქტის სახელწოდება, სადაც გაიმართა კრება, კრების ჩატარების ადგილი და დრო; ამომრჩეველთა საერთო რიცხვი მოცემულ კოლექტივში, დასახლებულ პუნქტში; კრების მონაწილე ამომრჩეველთა რიცხვი; გასაწვევი მსაჯულის გვარი, სახელი, მამის სახელი; მსაჯულის გაწვევის სასარგებლოდ და წინააღმდეგ მიცემული ზმების რაოდენობა.

ამომრჩეველთა კრების ოქმს ხელს აწერს კრების პრეზიდიუმის ყველა წევრი და იგი დაუყოვნებლივ წარედგინება სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივ ორგანოს.

**მუხლი 14.** მსაჯულის გაწვევის შედეგების დადგენა

სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანო განიხილავს მსაჯულის გასაწვევად გამართული კრების ოქმს და თუ გაწვევა ამ კანონის მოთხოვნათა დაცვით მოხდა, ამის შესახებ აცნობებს შესაბამისი რაიონის (ქალაქის) სასამართლოს თავმჯდომარეს.

მსაჯული გაწვეულად ჩაითვლება, თუ მის გაწვევას ხმა მისცა მოცემული შრომითი კოლექტივის ამომრჩეველთა, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით ამომრჩეველთა ნახევარზე მეტმა.

მსაჯულის გასაწვევად კენჭისყრის მოწყობის დროს ამ კანონის დარღვევის თაობაზე საჩივრებს განიხილავს სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანო.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. ბაშსაძე ურდობს.  
თბილისი, 1991 წლის 29 მარტი.

## საქართველოს რესპუბლიკის კანონი

საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საკოდექსო და საქართველოს სსრ სამართლის საპროცესო კოდექსებში შემდეგი ცვლილებები და დამატებები  
საკრძალს კოდექსებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო და საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსებში შემდეგი ცვლილებები და დამატებები:

1. საქართველოს სსრ 1960 წლის 30 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში:

1) კოდექსის დასახელებასა და ტექსტში სიტყვები: „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა“, „საქართველოს სს რესპუბლიკა“, „საქართველოს სსრ“, „სახალხო სისა-

მართლო“, „საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო“, „სახალხო მოსამართლე“, „სახალხო მსაჯული“, „რაიონული (საქალაქო)“ შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით „საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლო“, „სახალხო მოსამართლე“, „მსაჯული“, „რაიონის (ქალაქის)“.

2) პირველი მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სისხლის სამართლის საქმეთა წარმოების წესი საქართველოს რესპუბლიკის შიდა ტერიტორიაზე განხორციელება საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის სამსახურის კოდექსითა და სხვა ხაზონმდებელ აქტებით“;

3) მე-2 მუხლში:

პირველი ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვა „საბჭოთა“;

მეორე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სისხლის სამართლის სამართალწარმოებამ ხელი უნდა შეუწყოს კანონიერებისა და მართლწესრიგის განმტკიცებას, დანაშაულის თავიდან აცილებასა და აღმოფხვრას, საზოგადოების ინტერესების, მოქალაქის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვას, მოქალაქის აღზრდას საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციისა და კანონების განუსრუტად დაცვის სულისკვეთებით“;

4) 61 მუხლის პირველი ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები: „სსრ კავშირისა და...“

5) მე-9 მუხლის მეოთხე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვა „სოციალისტური“;

6) მე-12 და მე-13 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

## „მუხლი 12. მართლმსაჯულების განხორციელება კანონისა და სასამართლოს წინაშე მოქალაქეთა თანახმობის საფუძველზე“

მართლმსაჯულება სისხლის სამართლის საქმეებზე ხორციელდება კანონისა და სასამართლოს წინაშე მოქალაქეთა თანახმობის საფუძველზე წარმოშობის, სოციალური, თანამდებობრივი და ქონებრივი მდგომარეობის, რასობრივი და ეროვნული კუთვნილების, პარტიულობის, ხქების, განათლების, ენის, რელიგიისა და სხვა ფაქტორების, საქმიანობის სახეობისა და ხასიათის, ხაცხოვრებითი ადგილის და სხვა გარემოებათა მიუხედავად“.

## „მუხლი 13. სამართალის განხილვის კოლმეტიურობა“

სასამართლოებში სისხლის სამართლის საქმეებს განიხილვენ მოსამართლეები, რომლებიც დანიშნული ან არჩეული არიან, და მსაჯულები, რომლებიც არჩეული არიან კანონით დადგენილი წესით.

პირველი

საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად საქმეები იმ დანაშაულობათა გამო, რომელთა ჩადენისათვის კანონით გათვალისწინებულია სიკვდილით დასჯა, განიხილება მოსამართლისა და ექვსამდე მსაჯულის შემადგენლობით.

დანაშაულობათა საქმეების განხილვისას, რომელთა ჩადენისათვის კანონით გათვალისწინებულია თავისუფლების აღკვეთა ათ წელზე მეტი ვადით, მსაჯულთა რაოდენობის საქითხს გადაწყვეტს სასამართლო სამართალში მიცემის სტადიაში.

პირველი ინსტანციის ყველა სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეები განიხილება მოსამართლისა და ორი მსაჯულის შემადგენლობით.

მსაჯულები სარგებლობენ სასამართლო ხდლობის თავმჯდომარის თანაბარი უფლებებით ყველა იმ საქითხის გადაჭრაში, რომლებიც წამოიჭრება საქმის განხილვისა და განაჩენის დადგენის დროს.

საკაბაციო და საწინადადებლო წესით საქმეები განიხილება არანაკლებ სამი მოსამართლის შემადგენლობით“;

7) მე-14 მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები: „სოციალისტური მართლმსაჯულების შესაბამისად“;

8) მე-15 მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს რესპუბლიკაში სისხლის სამართლის საქმეებზე სამართალწარმოება ხორციელდება ქართულ ენაზე, ავტონომიურ რესპუბლიკაში — ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ენაზე“;

9) მე-17 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 17. ეკვმითანილის, ბრალდებულისა და განსახლების დაცვის უფლების უზრუნველყოფა**



ეკვმითანილს, ბრალდებულსა და განსახლებას აქვთ დაცვის უფლება; მომკვლევო პირი, გამომძიებელი, პროკურორი და სასამართლო მოვალე არიან უზრუნველყონ ეკვმითანილისათვის, ბრალდებულისა და განსახლებისათვის კანონით დადგენილი საშუალებებითა და ხერხებით დაცვის შენახულობა; აგრეთვე მათი პირადი და ქონებრივი უფლებების დაცვა“;

10) მე-19 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 19. ზემდგომი სასამართლოების წესდამხდველობა სასამართლო საქმიანობისაში“**

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო წესდამხდველობას უწევს საქართველოს რესპუბლიკის ყველა სასამართლოს სასამართლო საქმიანობას, ხოლო აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოები; თბილისის საქალაქო სასამართლო შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკის და ქალაქ თბილისის სასამართლოების სასამართლო საქმიანობას“;

11) მე-20 მუხლში:

პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სისხლის სამართლის სამართალწარმოებაში საქართველოს რესპუბლიკის, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონების ზუსტი და ერთგვაროვანი შესრულებისადაში წესდამხდველობას ახორციელებენ საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი და მისდამი დაქვემდებარებული პროკურორები“;

მესამე ნაწილში სიტყვები: „სსრ კავშირის“ შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს რესპუბლიკის“;

12) 25-ე მუხლში:

პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1) „სასამართლო“ — გულისხმობს რაიონის (ქალაქის) სასამართლოს, თბილისის საქალაქო სასამართლოს, ავტონომიური რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოს; საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოს“;

მე-5 პუნქტში ამოღებულ იქნეს სიტყვები „ავტონომიური ოლქის“ „სსრ კავშირის გენერალური პროკურორის“, „ოლქის“ ხოლო სიტყვები „საქართველოს სსრ პროკურორის“ შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორის“;

13) 32-ე მუხლის სათაურში, ტექსტსა და შენიშვნაში სიტყვები „და ავტონომიური ოლქის სასამართლოს“ ამოღებულ იქნეს.

14) 33-ე მუხლის ტექსტში სიტყვები „ქალაქ თბილისსა და ავტონომიურ ოლქში“ შეიცვალოს სიტყვებით „და ქალაქ თბილისის შემადგენლობაში“;

15) 37-ე მუხლის მეორე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „ავტონომიური ოლქის“, „ავტონომიური ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე“;

16) 43-ე მუხლის პირველი, მეხუთე და მეექვსე ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ადვოკატი დამუშავდა საქმეში მონაწილეობისათვის ბრალდების წარდგენის მომენტიდან, ხოლო იმ შემთხვევაში, როცა დანაშაულის ჩადენაში ეკვმითანილ პირს დააკავებენ ან მის მიმართ გამოყენებენ ადვოკატის ღონისძიებას, — ბრალდების წარდგენამდე დამატარების ხანით მისთვის დაკავების ოქმის ან ამ ადვოკატის ღონისძიებების გამოყენების შესახებ დადგენილების გამოცხადების მომენტისადაც. თუ ამ ვადაში ეკვმითანილის ან ბრალდებულის მიერ არჩეული ადვოკატის გამოცხადება შეუძლებელია, მომკვლევ პირს, გამომძიებელს და პროკურორს უფლება აქვთ შესთავაზონ ეკვმითანილს ან ბრალდებულს სხვა ადვოკატის მოწვევა ან უზრუნველყოფენ მას ადვოკატი იურიდიული კონსულტაციის მიწვევებით“;

იურიდიული კონსულტაციის გამოც ან ადვოკატთა კონტაქტის პრინციპში ვალდებული არიან გამოყონ ადვოკატი ეკვმითანილის; ბრალდებულის ან განსახლების დახმავად, იურიდიული კონსულტაციის გამოც ან ადვოკატთა კონტაქტის პრინციპში, აგრეთვე მოკვლევების, წინასწარი გამოძიების ორგანოს; პროკურორს; სასამართლოს; რომელთა წარმომხმარებელი არის საქმე, უფლება

აქვთ გაათავისუფლდნენ ექვმიტანილი, ბრალდებული ან განსახილველი შილიანად ან ნაწილობრივ იურიდიული დახმარების სახელურის გადახდისაგან.

იურიდიული კონსულტაციის გაშვების ან ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის მიერ ანაწილებული გადახდისაგან გათავისუფლების შემთხვევაში ადვოკატის შრომის ანაწილებულობა ხდება ადვოკატთა კოლეგიის სახსრების სხვა შემთხვევებში — სახელმწიფოს ხარჯზე, ადვოკატთა შრომის ანაწილებულობის ხარჯები საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს მიერ დადგენილი წესით ანაწილებულობა ხიუტრების ხარჯზე იმ შემთხვევაში, როცა ადვოკატი მონაწილეობდა მოკვლევაში. წინასწარ გამოძიება და სასამართლოში — დანიშვნის შედეგად, ასეთ შემთხვევაში სახელმწიფოსათვის ხარჯების ანაწილებულობა შეიძლება დაეკისროს მსჯავრდებულს, ადვოკატის შრომის სახელმწიფოს ხარჯზე ანაწილებულობისას მოკვლევებს; გამოძიებებს; პროკურორის გამოაქვთ დადგენილება ან სასამართლოს განჩინება; რომელიც ერთდროულად ეტყობება მოკვლევის, გამოძიების, პროკურორის ან სასამართლოს ადვოკატურის მიხედვით იურიდიულ კონსულტაციის ცნობისათვის და საერთაშორისო ორგანიზაციის შესასრულებლად“.

მეოთხე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „აგრეთვე სხვა პირები“.

17) 44-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგ რედაქციით:

**„მუხლი 44. დამცველის საბალდებულო მონაწილეობა სისხლის სამართლის სამართალწარმომადგომში“**

დამცველის მონაწილეობა მოკვლევის, წინასწარი გამოძიებისა და სასამართლო გარჩევის დროს სავალდებულოა არასრულწლოვანთა, ყრუ-მუნჯთა, უსინათლოთა და სხვა ისეთ პირთა საქმეებზე, რომლებსაც თავიანთი ფიზიკური ან ფსიქიკური ნაკლის გამო არ ძალუძთ თავად განახორციელონ თავიანთი დაცვის უფლება, აგრეთვე ისეთ პირთა საქმეების გამო; რომლებიც არ ფლობენ სამართალწარმოებაში მხარებულ ენას. ასეთ შემთხვევაში დამცველი დანიშნება საქმეში მონაწილეობისათვის ამ კოდექსის 44-ე მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნული მომენტიდან.

ისეთ დანაშაულობათა ჩადენაში ბრალდებულ პირთა საქმეების გამო; რომლებსაც თავიანთი დასჯის ღონისძიებამ შეიძლება სიკვდილით დასჯა დაინიშნოს; დამცველის მონაწილეობა სავალდებულოა ბრალდების წარდგენის მომენტიდან.

სასამართლო განხილვის დროს დამცველის მონაწილეობა სავალდებულოა ისეთ საქმეებზე, რომლებშიც მონაწილეობს სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ბრალმძებელი; აგრეთვე განსახილველია ინტერესებს შორის წინააღმდეგობის არსებობისას თუ ერთ მათგანს მინც მყავს დამცველი.

თუ ამ მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევებში თვით ბრალდებულს; განსახილველს ან მათი დავალებით სხვა პირებს დამცველი არ მოუწვევიათ; სასამართლო ან შესაბამისად პროკურორი, გამოძიებელი და მოკვლევითი ვალდებული არიან უზრუნველყონ დამცველის მონაწილეობა საქმეში“;

18) 521 მუხლში, 63-ე მუხლის პირველ ნაწილში, 117-ე მუხლის მესამე პუნქტში, 378-ე მუხლის პირველ ნაწილში და 385-ე მუხლებში ამოღებულ იქნეს სიტყვები „სსრ კავშირის და“, „და სოციალისტური მართლმადიდებელი“, „სამკურნალო-შრომით პროფილაქტიკურებში“ და „და ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს პრეზიდიუმი“, „და ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს“, „ან ავტონომიური ოლქის სასამართლოს პრეზიდიუმის“, „ან ავტონომიური ოლქის სასამართლოში“, „და ავტონომიური ოლქის“, „და ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლოს“;

19) 88-ე 89-ე, 130-ე და 134-ე მუხლებიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის“, „ავტონომიური ოლქის პროკურორმა“, „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პროკურორმა“, ზოლო სიტყვები „საქართველოს სსრ პროკურორის“, „საქართველოს სსრ პროკურორმა“, შეიცვალეს სიტყვებით „საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი“ და „საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორმა“;

20) 114-ე მუხლის მეოთხე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვა „სოციალისტური“;

21) 119-ე მუხლიდან ამოღებულ იქნეს მეორე პუნქტი, მესამე პუნქტი ჩაითვალოს მეორე პუნქტად.

22) 142-ე მუხლის მეოთხე ნაწილში, 153-ე მუხლის პირველ, 168-ე მუხლის პირველ ნაწილში; 174-ე მუხლის მეხუთე ნაწილსა და 177-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები სახალხო ლეპტატთა სიდაბო, სასოფლო საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს“, შეიცვალეს სიტყვებით „მმართველობის ადგილობრივ ორგანოს“;



23) 202-ე მუხლის მეორე ნაწილში სიტყვის „მონაწილეობა“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „დაკავების ან“;

24) 241-ე მუხლში სიტყვების „კანონით დადგენილი წესით“ შემდეგ დაემატოს სიტყვები „დანიშნული ან“;

25) 374<sup>ა</sup>, 374<sup>ბ</sup>, 375-ე, 376-ე და 338-ე მუხლებში სიტყვები „სახალხო დემოკრატიის რიონული“ (საქალაქო) საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტთან შეიცვალოს სიტყვებით „მმართველობის ადგილობრივ ორგანოებთან“.

26) 382-ე მუხლის მესამე ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს და მათ მოადგილეებს უფლება აქვთ შეიტანონ პროტესტი რაიონის (ქალაქის) სასამართლოების, თბილისის საქალაქო სასამართლოს, აღსაზრთის ახსრ და აპარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოების საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს ხისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინებზე, გან, ჩინებება და დადგენილებებზე, გარდა ამისა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს და საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს უფლება აქვთ შეიტანონ პროტესტი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილებებზე“.

ამავე მუხლში მეორე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „სსრ კავშირისა და“, ხოლო მეოთხე ნაწილში სიტყვები „ასრ უმაღლესი“, „ასრ პროკურორს“ შეიცვალოს სიტყვებით „ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი“, „ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორს“; სიტყვები „ავტონომიური ოლქის სასამართლოს თავმჯდომარეს“, „და ავტონომიური ოლქის სასამართლოს“, „ავტონომიური ოლქის პროკურორს“ ამოღებულ იქნეს;

27) 384-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს და მათ მოადგილეებს უფლებამოსილება აქვთ შეაჩერონ საქართველოს რესპუბლიკის წინამძღოლი სასამართლოს გაპროტესტებული განჩინების, განჩინებისა და დადგენილების აღსრულება; გარდა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილებისა“.

28) 388-ე და 397-ე მუხლებში სიტყვები „საქართველოს სსრ პროკურორის“, „რესპუბლიკის პროკურორის“, „საქართველოს სსრ პროკურორი“ შეიცვალოს შესაბამისად სიტყვებით „რესპუბლიკის გენერალური პროკურორის“, „რესპუბლიკის გენერალური პროკურორი“, „საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი“, სიტყვები „ავტონომიური ოლქის სასამართლოს პრეზიდიუმის“, „ავტონომიური ოლქის პროკურორი“, „ავტონომიური ოლქის“ ამოღებულ იქნეს.

2. საქართველოს სსრ 1964 წლის 26 დეკემბრის კანონით დამტკიცებულ საქართველოს სსრ სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსში:

1) კოდექსის დასახელებასა და ტექსტში სიტყვები „საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა“, „საქართველოს სს რესპუბლიკა“, „საქართველოს სსრ“, „უმაღლესი სასამართლო“, „სახალხო სასამართლო“, „სახალხო მოსამართლე“, „სახალხო მსაჯული“, „რაიონული (საქალაქო) შეიკვალოს სიტყვებით: „საქართველოს რესპუბლიკა“, „უზენაესი სასამართლო“, „სასამართლო“, „მოსამართლე“, „მსაჯული“, „რაიონის (ქალაქის)“;

2) პირველი მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სამოქალაქო საქმეების წარმოების წესი საქართველოს რესპუბლიკის ყველა სასამართლოში განისაზღვრება საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსითა და ხდება საკანონმდებლო აქტებით“;


მეორე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „სსრ კავშირისა და“...

3) მე-2 მუხლში ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„სამოქალაქო სამართალწარმოების ამოცანაა მოქალაქეთა კანონით დაცული ინტერესების აგრეთვე სახელმწიფო საწარმოების, დაწესებულებების, ორგანიზაციების, კოოპერაციული ორგანიზაციების, მათი გაერთიანებებისა და ხევა ხალხთაგანობრივი ორგანიზაციების უფლებათა და კანონით დაცული ინტერესების დაცვის მიზნით სამოქალაქო საქმეების წყობა და წარაღვი განხილვა და გადაწყვეტა“;

4) მე-5 მუხლში სიტყვის „სოციალური“ შემდეგ დაემატოს სიტყვა „თანამდებობრივი“, ხოლო სიტყვის „კუთვნილების“ შემდეგ დაემატოს სიტყვა „პარტიულობის“;

5) მე-6 მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:



„საქართველოს რესპუბლიკის ყველა სასამართლოში სამოქალაქო საქმეებს განიხილავენ კონსტიტუციური სასამართლოები“;

6) მე-8 მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „სოციალისტური მართლშეგნების შესახებ“;

7) მე-9 მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:  
„სამართალწარმოება ხორციელდება ქართულ ენაზე; ავტონომიურ რესპუბლიკაში — ავტონომიური რესპუბლიკის სახელმწიფო ენაზე“;

8) მე-12 მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:  
„სასამართლო ვალდებულია საქმეები გადაწყვიტოს საქართველოს რესპუბლიკის, ავტონომიური რესპუბლიკების კანონების, სახელმწიფო მმართველობის უმაღლესი ორგანოების დადგენილებათა საფუძველზე. სასამართლო იუვენებს აგრეთვე სახელმწიფო ზედსუფლებებისა და მმართველობის სხვა ორგანოების მიერ მიხთვის მიწიჭებული კომპეტენციის ფარგლებში გამოცემულ აქტებს“;

9) მე-13 მუხლში:  
პირველი ნაწილი ამოღებულ იქნეს;  
ამ მუხლის მეორე ნაწილი შესაბამისად ჩაითვალოს პირველ ნაწილად, მესამე ნაწილი — მეორე ნაწილად და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:  
„აფხაზეთის ასსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უწინაესი სასამართლოები, თბილისის საქალაქო სასამართლო ზედამხედველობას ახორციელებენ შესაბამისად ავტონომიური რესპუბლიკებისა და ქაფაქ თბილისის რაიონების სასამართლოების სასამართლო საქმიანობაზე“;

10) მე-14 მუხლში:  
პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:  
„სამოქალაქო სამართალწარმოებაში კანონების ზუსტად და ერთგვაროვნად შესრულებისადმი ზედამხედველობას ახორციელებენ საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი და მისდამი დაქვემდებარებული პროკურორები“;

მესამე ნაწილში სიტყვები: „სსრ კავშირის“ შეიცვალოს სიტყვებით „საქართველოს რესპუბლიკის“.

11) 28-ე მუხლის მე-5 და მე-6 ნაწილებიდან, 132-ე მუხლის მეორე ნაწილიდან, 129-ე მუხლიდან, 298-ე მუხლის პირველი ნაწილიდან და 341-ე მუხლის მესამე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „და ავტონომიური ოლქის სასამართლოში“, „და ავტონომიური ოლქის სასამართლო“, „და ავტონომიური ოლქის“, „ან ავტონომიური ოლქის სასამართლოს თავმჯდომარე“, „სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საოლქო სასამართლო“, „ავტონომიური ოლქის სასამართლოს“, „ავტონომიური ოლქის პროკურორი“;

12) 47-ე მუხლის მეორე ნაწილში, 117-ე მუხლის მე-2 ნაწილში, 118-ე მუხლში, 120-ე მუხლის პირველ ნაწილში სიტყვები „სახალხო დეპუტატების სადაბო ან სასოფლო საბჭოების აღმასრულებელი კომიტეტების“ და „ან სახალხო დეპუტატების სადაბო ან სასოფლო საბჭოს“ შეიცვალოს სიტყვებით „მმართველობის ადგილობრივი ორგანოების“ და „ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების“;

13) 248-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:  
„გაცნობადებას მოქალაქეებისათვის გადახანადების, სოფლის მოსახლეობის თვითდაზვერვის და სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევის ნარჩენების გადახდევინების შესახებ შეიტანს მმართველობის ადგილობრივი ორგანოების საფინანსო განუყოფილება ან სახელმწიფო დაზღვევის ორგანო სასამართლოში მენარჩენის საცხოვრებელი ადგილის ან მისი ქონების ადგილსამყოფელის მიხედვით“;

14) 252-ე მუხლში სიტყვები „სსრ კავშირის“ შეიცვალოს სიტყვით „მოქმედი“;

15) 294-ე მუხლის მე-2 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:  
„ავტონომიური რესპუბლიკებისა და თბილისის რაიონის სასამართლოების გადაწყვეტილებაში, რომლებიც კანონიერ ძალაში არ არიან შეხული, შეიძლება გასაჩივრდეს ან გაპროტესტდეს შესაბამისი ავტონომიური რესპუბლიკების უწინაესი სასამართლოებისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლო კოლეგიაში; ხოლო გადაწყვეტილებები, გამოტანილი რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მიერ, რომლებიც ტერიტორიულად არ შედიან ავტონომიურ რესპუბლიკაში და ქ. თბილისში, აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების უწინაესი სასამართლოების და თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებებში; რომლებიც არ არიან“

კანონიერ ძალაში შესული, — საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა სასამართლოს კოლეგიაში“;

16) 331-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„საქართველოს რესპუბლიკის უფლება სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, განჩინება და დადგენილება, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმის დადგენილებას გარდა, შეიძლება გადაინიჭოს სასამართლო შემადგენლობის წევრთა ამ კოლეგიის 3/2-ე მუხლში ჩამოთვლილ თანამდებობის პირთა პარტეტების საფუძველზე“;

17) 332-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„პროტესტის შეტანის უფლება აქვთ:

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს, საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორსა და მათ მოადგილეებს — რაიონის (ქალაქის) სასამართლოების; თბილისის საქალაქო სასამართლოს; აფხაზეთის ახსრ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოებისა და საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის გადაწყვეტილებებზე; განჩინებებსა და დადგენილებებზე, გარდა ამისა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს და საქართველოს რესპუბლიკის გენერალურ პროკურორს უფლება აქვთ შეიტანონ პროტესტი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილებებზე;

ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს და თბილისის საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარეს; ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორს; თბილისის ქალაქის პროკურორს — რაიონის (ქალაქის) სასამართლოს გადაწყვეტილებასა და განჩინებებზე და შენაბამისად ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის განჩინებებზე, თუ ისინი ვინაილიდან საქმეს საკანონო წესით“;

18) 335-ე მუხლში:

ბრველი ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „და ავტონომიური ოლქის სასამართლოს პრეზიდიუმში“;

მეორე და მესამე ნაწილები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„თუ პირველი ინსტანციის ან საკანონო ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისას მოწაწილობას იღებდა ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს ან თბილისის საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმის წევრთა უმრავლესობა, შენაბამისი სასამართლოს თავმჯდომარე საქმეს წარუდგენს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს სხვა ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოში საქმის ვაჭვავის შესახებ საერთის გადასაწყვეტად“;

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგია განიხილავს პროტესტებს ავტონომიური რესპუბლიკების უზენაესი სასამართლოებისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს; აგრეთვე იმ რაიონის (ქალაქის) სასამართლოების მიერ გამოტანილ; კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებებსა და განჩინებებზე; რომლებიც ავტონომიური რესპუბლიკისა და ქალაქ თბილისის შემადგენლობაში არ შედიან; თუ ეს გადაწყვეტილებანი და განჩინებანი არ უსაფრთხო საკანონო განხილვის საგანი საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოში; აგრეთვე პროტესტებს უფლება შემოაღიშნული სასამართლოს მოსამართლეების დადგენილებებზე“.

მე-4 ნაწილში სიტყვები „თბილისის საქალაქო სასამართლოსა და ავტონომიური ოლქის სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილებებზე“ შეიცვალეს სიტყვებით „და თბილისის საქალაქო სასამართლოს პრეზიდიუმის დადგენილებებზე“;

19) 352-ე მუხლის მე-15 და მე-16 პუნქტებში და 353-ე მუხლის მე-9 და მე-10 პუნქტებში სიტყვები: „სახალხო დემოკრატთა რაიონული, საქალაქო, ქალაქის რაიონული სამკომისიო აღმასრულებელი კომიტეტების გადაწყვეტილება“ შეიცვალეს სიტყვებით: „მმართველობის ადგილობრივი ორგანოებს გადაწყვეტილება“.

11. ეს კანონი სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს გამტკვეყნებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე ზ. ბაზბანურდია.

თბილისი, 1989 წლის 28 დეკემბერი.

საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის, სისხლის  
სამართლის საკრძაპო და ადვინისტრაციულ  
სამართალდარღვევათა კოდექსაში ცვლილებათა და დამატებათა  
შეტანის შესახებ

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

1. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს 1960 წლის 30 დეკემბრის კანონით დატკი-  
ცებულ საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსს (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს  
უწყებები, 1961 წ., № 1, მუხ. 10) დაემატოს შემდეგი შინაარსის 86 (პრიმა 1), 242 (პრიმა 3),  
242 (პრიმა 4) და 242 (პრიმა 5) მუხლები:

„მუხლი 86 (პრიმა 1). საქართველოს რესპუბლიკის საპაერო სიერცის გამოყენების წესების  
დარღვევა

საქართველოს რესპუბლიკის საპაერო სიერცის გამოყენების წესების დარღვევა საპა-  
ერო ხომალდის მართვისას იმ პირების მიერ, რომლებიც არ არიან საპაერო ტრანსპორტის მუ-  
შაკები; რაკეტების გაშვებისას, ყველანაირი სახის სროლის, ასაფეთქებელი სამუშაოების წარ-  
მოშობისას ან სხვა საქმიანობისას, რაც დაკავშირებული მატერიალური ობიექტების საპაერო  
სიერცეში აზიდვასთან, გადაადგილებასა ან გაშვებასთან და რამაც გამოიწვია უბედური შემ-  
თხვევები ან სხვა მძიმე შედეგი, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორიდან ათ წლამდე.

იგივე ქმედება, რამაც არ გამოიწვია, მაგრამ წინასწარ შეცნობით ქმნიდა ამ მუხლის  
პირველი ნაწილით გათვალისწინებული შედეგის დადგომის საფრთხეს, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამ წლამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით  
ვადით ოთ წლამდე“.

„მუხლი 242 (პრიმა 3). სატრანსპორტო კომუნიკაციების ბლოკირება

სატრანსპორტო კომუნიკაციების განზრახ ბლოკირება დაბრკოლებების, საგუშაგოების  
მოწყობის გზით ან სხვა ხერხით, რამაც შეაფერხა ან შეეძლო გამოეწვია რკინიგზის, საპაერო,  
წყლის, საავტომობილო და მაგისტრალური მილსადენი ტრანსპორტის ნორმალური მუშაობის  
შეფერება, —

ისჯება ჯარიმით ათას მანეთამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ოთ წლამდე,  
ან თავისუფლების აღკვეთის იმავე ვადით.

იგივე ქმედება, რასაც თან სდევს ადამიანის სიცოცხლისა ან ჯანმრთელობისათვის საფრ-  
თხის შექმნა, ან ჩადენილი განმეორებით, ან პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, ან  
დაკავშირებული ტვირთის, ბარგის უკანონო გასინჯვასთან ან დოკუმენტების შემოწმებასთან, —

ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთიდან ოთ წლამდე ან თავისუფლების აღ-  
კვეთით ოთ წლამდე.

ამ მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით გათვალისწინებული ქმედება, რამაც გამოიწ-  
ვია უბედური შემთხვევები, ან სხვა მძიმე შედეგი, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან თხუთმეტ წლამდე“.

„მუხლი 242 (პრიმა 4). ტრანსპორტის მუშაკის იძულება

რკინიგზის, საპაერო, წყლის, საავტომობილო ან სხვა სახის ტრანსპორტის მუშაკის იძუ-  
ლება არ შესრულოს თავისი სამსახურებრივი მოვალეობა, ამ მუშაკის ან მის ახლო ნათესავ-  
თა მოკვლის, სხეულის მძიმე დაზიანების, ან ქონების განადგურების მუქარით, —

ისჯება ჯარიმით ხუთას მანეთამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთ წლამ-  
დე, ან თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

იგივე ქმედება, ჩადენილი განმეორებით ან პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმე-  
ბით, —

ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ოთ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვა-  
დით ხუთ წლამდე.

„მუხლი 242 (პრიმა 5). ტელერადიომაუწყებლობისა და კავშირგაბმულობის დაწესებუ-  
ლებათა ბლოკირება

საქართველოს რესპუბლიკის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის დეპარტამენტის და  
საქართველოს რესპუბლიკის კავშირგაბმულობის სამინისტროს სატელევიზიო და რადიოპროგ-

რამდენიმე მომზადებისა და მათემატიკის ობიექტების, კავშირგაბმულობის რაიონული და სხვა ქალაქი კვანძების, ცენტრალური ტელეგრაფის ბლოკირება დაბრკოლებების შექმნით, ქვეყნის რეზონანსი ან სხვა ხერხით, რამაც შეაფერხა ან შეეძლო გამოეწვია ამ ობიექტებისა და დაწესებულებათა ნორმალური მუშაობის შეფერხება, —

ისჯება ჯარიმით ათას მანეთამდე ან გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით იმავე ვადით.

იგივე ქმედება, რასაც თან სდევს ადამიანის სიცოცხლის ან ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნა, ან ჩადენილია განმეორებით, ან პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, —

ისჯება გამასწორებელი სამუშაოებით ვადით ერთიდან ორ წლამდე ან თავისუფლების აღკვეთით ვადით ოთხ წლამდე.

ამ მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით გათვალისწინებული ქმედება, რამაც გამოიწვია უბედური შემთხვევა ან სხვა მძიმე შედეგი, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან თხუთმეტ წლამდე“.

2. მუხლის 242 (პრიმა 2) ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 242 (პრიმა 2).** რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის, საჰაერო, საზღვაო ან სამდინარო ხომალდის გატაცება, სატრანსპორტო დაწესებულებებისა თუ ტვირთის ხელში ჩაგდება რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის, საჰაერო, საზღვაო ან სამდინარო ხომალდის გატაცება ან ხელში ჩაგდება, აგრეთვე ვაგზის, აეროდრომის, ნავსადგურის ან სხვა სატრანსპორტო დაწესებულების, საწარმოს, ორგანიზაციის ხელში ჩაგდება, აგრეთვე ტვირთის ხელში ჩაგდება მისი გატაცების მიზნის გარეშე, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ორ წლამდე.

იგივე ქმედება, ჩადენილი პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით, აგრეთვე ძალადობის ან მუქარის გამოყენებით, ან მოქმედება, რამაც გამოიწვია ამ მუხლის პირველ ნაწილში მითითებული სატრანსპორტო საშუალებების ავარია, ან სხვა მძიმე შედეგი, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით სამიდან ათ წლამდე ქონების კონფისკაციით ან უამისოდ.

ამ მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით გათვალისწინებული მოქმედება, თუ მან გამოიწვია ერთი ან მეტი პირის სიკვდილი ან სხეულის მძიმე დაზიანება, —

ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან თხუთმეტ წლამდე ქონების კონფისკაციით“.

3. მე-8 (პრიმა 1) მუხლის მეორე ნაწილში სიტყვები „საჰაერო ხომალდის გატაცება“ შეიცვალოს სიტყვებით „რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის, საჰაერო, საზღვაო ან სამდინარო ხომალდის გატაცება, სატრანსპორტო დაწესებულებისა თუ ტვირთის ხელში ჩაგდება“.

4. 44-ე მუხლის პირველ და მეორე ნაწილებში სიტყვები „საჰაერო ხომალდის გატაცებისათვის“ შეიცვალოს სიტყვებით „რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის, საჰაერო, საზღვაო ან სამდინარო ხომალდის გატაცების, სატრანსპორტო დაწესებულებისა თუ ტვირთის ხელში ჩაგდებისათვის“.


5. 54 (პრიმა 1) მუხლის პირველი ნაწილის მე-3 პუნქტში სიტყვები „საჰაერო ხომალდის გატაცებისათვის“ შეიცვალოს სიტყვებით „რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის, საჰაერო, საზღვაო ან სამდინარო ხომალდის გატაცების, სატრანსპორტო დაწესებულებისა თუ ტვირთის ხელში ჩაგდებისათვის“.

6. 55-ე მუხლის მე-6 ნაწილის მე-2 პუნქტში სიტყვები „საჰაერო ხომალდის გატაცებისათვის“ შეიცვალოს სიტყვებით „რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის, საჰაერო, საზღვაო ან სამდინარო ხომალდის გატაცების, სატრანსპორტო დაწესებულებისა თუ ტვირთის ხელში ჩაგდებისათვის“.

7. 206-ე მუხლში სიტყვები „საჰაერო ხომალდის გატაცება“ შეიცვალოს სიტყვებით „რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის, საჰაერო, საზღვაო ან სამდინარო ხომალდის გატაცება, სატრანსპორტო დაწესებულებისა თუ ტვირთის ხელში ჩაგდება“.

11. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს 1960 წლის 30 დეკემბრის კანონით დამტკიცებული საქართველოს სსრ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1961 წ., № 1, მუხ. 11) 126-ე მუხლის III ნაწილში ციფრს „86“ დაემატოს ციფრი „86 (პრიმა 1)“, ხოლო ციფრი „242 (პრიმა 2)“ შეიცვალოს ციფრებით: „242 (პრიმა 2) — 242 (პრიმა 5)“.

111. საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს მიერ 1984 წლის 15 დეკემბერს მიღებულ საქართველოს სსრ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1984 წ., № 12, მუხ. 420):



1. დამატოს შემდეგი შინაარსის III (პრიმა 1) მუხლი:

„**მუხლი III (პრიმა 1).** საქართველოს რესპუბლიკის საპარო სივრცის დარღვევის შემთხვევაში საქართველოს რესპუბლიკის საპარო სივრცის გამოყენების წესების დარღვევა საპარო ხომალდების ფრენისას, რაკეტების გაშვებისას, ყველანაირი სახის სროლის, ასაფეთქებელი საშუალების წარმოებისას ან სხვა საქმიანობისას, რაც დაკავშირებულია მატერიალური ობიექტების საპარო სივრცეში აზიდვისთან, გადაადგილებისა ან გაშვებისთან, — გამოიწვევს მოქალაქეთა დაჯარიმებას და იქნება ას მანეთამდე იმ საგნის სასყიდლოთ ჩამორთმევით, რომელიც სამართალდარღვევის იარაღი იყო, ან უამისოდ, ხოლო თანამდებობის პირებისა — ოციდან ორას მანეთამდე“

2. 213-ე მუხლის I ნაწილში სიტყვები „109-III მუხლებით“ შეიცვალოს სიტყვებით „109-III (პრიმა 1) მუხლებით“, ხოლო მეშვიდე ნაწილს ციფრის „III“ შემდეგ დამატოს ციფრი „III (პრიმა 1)“.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე **ზ. ბაგსაძე**  
**თბილისი. 1991 წლის 20 მარტი.**

## საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი


### ზოგიერთი დანაშაულისათვის სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიების — სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ

ხელმძღვანელობს რა ჰუმანურობისა და კაცთმოყვარეობის პრინციპებით, აგრეთვე მოქალაქეების, შრომითი კოლექტივებისა და ორგანიზაციების მოთხოვნით იმის თაობაზე, რომ სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება — სიკვდილით დასჯა, როგორც დროებითი და იძულებითი ღონისძიება, არ იქნეს გამოყენებული ზოგიერთი დანაშაულისათვის, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭო ადგენს:

I. გაუქმდეს სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება — სიკვდილით დასჯა დანაშაულისათვის, რომელიც გათვალისწინებულია საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 88-ე მუხლით (ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდების დამზადება ან გასაღება), 89-ე მუხლით (სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევა), 96-ე მუხლით (სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ქონების განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცება) და 189-ე მუხლით (ქრთმის აღება).

II. ამასთან დაკავშირებით შეტანილ იქნეს საქართველოს სსრ 1960 წლის კანონით 30 დეკემბერს დამტკიცებულ საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსში (საქართველოს სსრ უზენაესი საბჭოს უწყებები, 1961 წ., № 1, მუხ. 10) შემდეგი ცვლილება:

1. 24-ე მუხლის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:  
„სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიების სახით, მის სრულ გაუქმებამდე, დაიშვება სიკვდილით დასჯის — დახვრეტის გამოყენება სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულისათვის ამ კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში, განზრახ მკვლელობისათვის დამამძიმებელ ვარემოებებში, რაც აღნიშნულია ამ კოდექსის მუხლებში, რომლებიც აწესებენ პასუხისმგებლობას განზრახ მკვლელობისათვის, ხოლო საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლო-



ბით სპეციალურად გათვალისწინებულ ცალკეულ შემთხვევებში, — აგრეთვე ზოგიერთი სხვა განსაკუთრებით მძიმე დანაშაულისათვის“.

2. 88-ე მუხლის მეორე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „ან ისჯება სიკვდილით, ქონების კონფისკაციით“.

3. 89-ე მუხლის მეორე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „ან სიკვდილით, ქონების კონფისკაციით“.

4. 96<sup>1</sup> მუხლიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „ან ისჯება სიკვდილით, ქონების კონფისკაციით“.

189-ე მუხლის მესამე ნაწილიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები „ხოლო განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებებში — სიკვდილით, ქონების კონფისკაციით“.

III. იმ განაჩენში, რომლითაც ამ კანონის პირველ მუხლში აღნიშნული დანაშაულისათვის დადგენილია სასჯელის განსაკუთრებული ღონისძიება — სიკვდილით დასჯა და ამ კანონის სამოქმედოდ შემოღებამდე არ არის მოყვანილი სისრულეში, ზემდგომი სასამართლო სიკვდილით დასჯას შეცვლის თავისუფლების აღკვეთით თხუთმეტ წლამდე ვადით.


IV. ეს კანონი სამოქმედოდ შემოღებულ იქნეს მიღებისთანავე.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი ხაბკოს თავმჯდომარე ზ. ბამსახურაძე.

თბილისი. 1991 წლის 20 მარტი.



ს  
(  
2  
J  
)



# კონვენცია ომის დროს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ

1949 წლის 12 აგვისტო\*

1949 წლის 21 აპრილიდან 12 აგვისტომდე ჟენევაში ომის დროს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ კონვენციის შემუშავების მიზნით მიმდინარე დიპლომატიურ კონფერენციაზე დამსწრე მთავრობათა ქვემოთ ხელისმომწერი უფლებამოსილი წარმომადგენლები შეთანხმდნენ შემდეგი მუხლების გამო:

## კარი I. ზოგადი დებულებანი\*\*

**მუხლი 4.** მოცემული კონვენცია იცავს პირთ, რომლებიც რომელიმე მონაწილეში ან რაიმე მიზეზით კონფლიქტის ან ოკუპაციის დროს იმ მხარის ხელისუფლების ქვეშ არიან, რომელიც კონფლიქტის მონაწილეა ან აღმოჩნდნენ ოკუპაციის მომხდენი სახელმწიფოს ხელისუფლების ქვეშ და არ არიან მისი მოქალაქეები.

მოქალაქეები იმ სახელმწიფოსი, რომელიც არ არის ამ კონვენციის მონაწილე არ სარგებლობენ მისი მფარველობით. რომელიმე ნეიტრალური სახელმწიფოს მოქალაქეები, რომლებიც ერთ-ერთი მეომარი ქვეყნის ტერიტორიაზე იმყოფებიან ან რომელიმე თანამეომარი ქვეყნის მოქალაქეები არ ისარგებლებენ მფარველობით იმ დრომდე, ვიდრე სახელმწიფოს, რომლის მოქალაქეებიც ეს პირნი არიან, არ ეყოლება ნორმალური დიპლომატიური წარმომადგენლობა იმ სახელმწიფოში, რომლის ხელისუფლებასაც ექვემდებარებიან აღნიშნული პირნი.

მაგრამ II კარის დებულებანი უფრო ფართოდ გამოიყენება, რაც განსაზღვრულია მე-13 მუხლით.

პირნი, რომლებიც სარგებლობენ ენევის 1949 წლის 12 აგვისტოს მოქმედ არმიასი დაჭრილთა და ავადმყოფთა ხვედრის გაუმჯობესების შესახებ კონვენციის, ენევის 1949 წლის 12 აგვისტოს საზღვაო შეიარაღებულ ძალებში

\* კონვენცია ძალაში შევიდა 1950 წლის 21 ოქტომბერს. სსრკ უმაღლესე საბჭოს მიერ რატიფიცირებულია 1954 წლის 17 აპრილს.

\*\* ამ კარის 1-3 და 8-11 მუხლები იდენტურია სამხედრო ტყვეებთან მოპყრობის შესახებ კონვენციის პირველი კარის 1-3 და 7-11 მუხლების ტექსტებისა იმ განსხვავებით, რომ სიტყვები „სამხედრო ტყვეები“ ამ კონვენციაში შეცვლილია სიტყვებით „მფარველობის ქვეშ მყოფი პირნი“.



დაკრილთა. ავადმყოფთა და გემის კატასტროფაში მოკლილ პირთა ხვედრის გაუმჯობესების შესახებ კონვენციის, ენევის 1949 წლის 12 აგვისტოს სამზედრო ტყვეებთან მოპყრობის შესახებ კონვენციის მფარველობით, არ სარგებლობენ ამ კონვენციის მფარველობით.

**მუხლი 5.** თუ კონფლიქტში მონაწილე მხარეს სერიოზული საფუძველი აქვს იფიქროს, რომ მის ტერიტორიაზე მყოფი პირი, რომელიც მოცემული კონვენციის მფარველობით სარგებლობს, ეწევა ამ სახელმწიფოს უშიშროებისათვის მტრულ მოღვაწეობას ან როდესაც ამგვარი მოღვაწეობა დამტკიცებულია, ასეთ პირს უფლება არა აქვს ისარგებლოს ამ კონვენციით მინიჭებული იმგვარი უფლებებით და უპირატესობებით, რომლებიც ზიანს მიაყენებს ამ სახელმწიფოს უშიშროებას.

თუ გასუპირებულ ტერიტორიაზე ჯაშუშობის ან დივერსიის გამო დაკავებული იქნება მფარველობის ქვეშ მყოფი პირი, ან თუ ის კანონიერად ეჭვმიტანილია ოკუპაციის მომხდენი ქვეყნისათვის სახიფათო მოღვაწეობაში, აუცილებელი საომარი უშიშროების მოსაზრებების გამო მას შეეძლება ჩამოერთვას ამ კონვენციით მინიჭებული უფლებების დამყარების უფლება.

ზემო აბზაცებში მითითებულ ყველა შემთხვევაში პირნი ისარგებლებენ პუბლიკური მოპყრობით და სასამართლოს წესით დევნის შემთხვევაში მათ არ ჩამოერთმევათ მოცემული კონვენციით გათვალისწინებული სამართლიანი და ნორმალური სასამართლო საკმის წარმოების უფლება. მათ სახელმწიფოს ან ოკუპაციის მომხდენი ქვეყნის უშიშროებასთან შესაბამის უმოკლეს დროში, სრულად დაუბრუნდებათ მოცემული კონვენციით მფარველობის ქვეშ მყოფ პირთათვის გათვალისწინებული უფლებანი და უპირატესობანი.

**მუხლი 6.** მოცემული კონვენცია გამოიყენება მე-2 მუხლში მითითებული ყოველგვარი კონფლიქტის ან ოკუპაციის დაწყებიდან.

კონფლიქტში მონაწილე მხარეების ტერიტორიებზე კონვენციის მოქმედება წყდება საომარი მოქმედებების საყოველთაოდ დასრულების შემდეგ.


ოკუპირებულ ტერიტორიაზე მოცემული კონვენციის მოქმედება წყდება საომარი მოქმედებების დასრულებიდან 1 წლის შემდეგ, მაგრამ დამპყრობელი ქვეყანა იმ მოცულობით, რამდენადაც იგი მოცემულ ტერიტორიაზე მთავრობის ფუნქციებს ასრულებს, ოკუპაციის პერიოდში დაიცავს მოცემული კონვენციის 1-12, 27, 29, 30, 31, 32, 33, 34, 47, 49, 51, 52, 53, 59, 61-77 და 143-ე მუხლების დებულებებს.

მფარველობის ქვეშ მყოფი პირნი, რომელთა გათავისუფლება, რეპატრიაცია ან მოწყობა მოხდება ამ ვადების შემდეგ, მთელი ამ დროის განმავლობაში მოცემული კონვენციის მფარველობით სარგებლობენ.

**მუხლი 7.** გარდა 11, 14, 15, 17, 36, 108, 109, 132, და 133-ე მუხლებში მითითებულ შემთხვევებისა, მრლაპარაკებაში მონაწილე მხარეებს შეუძლიათ დადონ სხვა სპეციალური შეთანხმებები ნებისმიერ საკითხზე, რომლის რეგულირებასაც ისინი საჭიროდ ჩათვლიან.

არც ერთმა სპეციალურმა შეთანხმებამ ზარალი არ უნდა მიაყენოს მოცემული კონვენციით განსაზღვრულ მფარველობის ქვეშ მყოფ პირთა მდგომარეობას, არ უნდა შეზღუდოს მათთვის მინიჭებული უფლებები.

მფარველობის ქვეშ მყოფი პირნი აგრძელებენ ამ შეთანხმებათა უპირატესობებით სარგებლობას მთელი დროის განმავლობაში, ვიდრე მათ მიმართ გამოიყენება მოცემული კონვენცია. გარდა საწინააღმდეგო ხასიათის პირობების



არსებობისა ზემოხსენებულ ან მოგვიანებით მიღებულ შეთანხმებებში, ასევე იმ შემთხვევებში, როდესაც კონფლიქტში მყოფი ესა თუ ის მხარე შეუძლებელია ახორციელებს ბევრად უფრო ხელსაყრელ ღონისძიებებს.

**მუხლი 8-12** — იხ. შენიშვნა\*\*.

**პარი 11. ზოგადი ხასიათის დავულვაგაი ომის ზოგადი შედეგისაგან სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ**

**მუხლი 13.** ამ კარის დებულებები ეხება კონფლიქტში მყოფი ქვეყნების მთელ მოსახლეობას, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე რასის, ეროვნების, რელიგიის ან პოლიტიკური შეხედულებების საფუძველზე. დებულებებმა უნდა შეამსუბუქოს ომით მიყენებული ტანჯვა.

**მუხლი 14.** მშვიდობიან პერიოდში მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეებს, ხოლო საომარი მოქმედებების დროს — კონფლიქტში მყოფ მხარეებს შეუძლიათ თავიანთ ტერიტორიაზე, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში — ოკუპირებულ ტერიტორიებზე შექმნან სანიტარული და უსაფრთხოების ზონები და ადგილები იმგვარად ორგანიზებულბ, რომ საომარი მოქმედებებისაგან დაიცვას დაჭრილები და ავადმყოფები, ინვალიდები, მოხუცები, 15 წლამდე ასაკის ბავშვები, ფეხმძიმე ქალები და დედები 7 წლამდე ასაკის ბავშვებით.

კონფლიქტის დასაწყისში და მისი მიმდინარეობის დროს დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ დადონ შეთანხმებანი მათ მიერ შექმნილი ზონების და ადგილების ორმხრივად აღიარების შესახებ. ამ მიზნით შეუძლიათ გამოიყენონ მოცემულ კონვენციაზე დართული შეთანხმების პროექტის დებულებანი\* (პროექტი მოყვანილი არ არის. იხ. კრებული. გამოშვება XVI. გვ. 271-274). მათ შეუძლიათ მასში შეიტანონ ცვლილებები, რომლებსაც აუცილებლად ჩათვლიან.

მფარველმა სახელმწიფოებმა და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტმა ხელი უნდა შეუწყონ ამ სანიტარული და უსაფრთხოების ზონების და ადგილების შექმნასა და აღიარებას.

**მუხლი 15.** კონფლიქტში მყოფ ყოველ მხარეს უშუალოდ, ნეიტრალური სახელმწიფოს ან ჰუმანიტარული ორგანიზაციის მეშვეობით შეუძლია მიმართოს მოწინააღმდეგე მხარეს წინადადებით, ომის რაიონებში შეიქმნას ნეიტრალური ზონები ომთან დაკავშირებული საფრთხისაგან შემდეგი პირების დასაცავად:


- a) ავადმყოფი და დაჭრილი კომბატანტები და არაკომბატანტები.
- b) სამოქალაქო მოსახლეობა, რომელიც არ მონაწილეობს საომარ მოქმედებებში და არავითარ სამხედრო სახის სამუშაოს არ ასრულებს ამ ზონებში ყოფნის დროს.

როგორც კი კონფლიქტში მყოფი მხარეები შეთანხმდებიან ნეიტრალური ზონის ადგილსამყოფლის, ხელმძღვანელობის, მომარაგების და კონტროლის შესახებ, შეადგენენ წერილობით ხელშეკრულებას და მასზე ხელს აწერენ კონფლიქტში მყოფი მხარეების წარმომადგენლები, აღნიშნული შეთანხმებით დადგინდება ამ ზონის ნეიტრალიზაციის დასაწყისი და ხანგრძლივობა.

**მუხლი 16.** განსაკუთრებული დაცვით სარგებლობენ დაჭრილები, ავადმყოფები, ინვალიდები და ფეხმძიმე ქალები.

რამდენადაც ამის საშუალებას იძლევა ომის პირობები, კონფლიქტში მონაწილე ყოველი მხარე ხელს შეუწყობს დაჭრილთა და მოკლულთა მოძიებას, დახმარებას გაუწევს გემის კატასტროფაში მოყოლილ პირებს და სხვა პირებს,

რომელთაც ემუქრებათ სერიოზული საფრთხე, დაიცავს მათ გაძარცვისა და უდიერად მოპყრობისაგან.



**მუხლი 17.** კონფლიქტში მყოფი მხარეები შეეცდებიან დადონ ადგილობრივი შეთანხმებები ალყაშემორტყმული ზონიდან დაჭრილების, ავადმყოფების, ინვალიდების, მოზრეების, ბავშვებისა და მშობიარეების ევაკუაციის და ამ ზონაში ყველა აღმსარებლობის სასულიერო პირის, სანიტარული პერსონალის და სანიტარული ტვირთის შეშვების შესახებ.

**მუხლი 18.** დაჭრილების, ავადმყოფების, ინვალიდების და მშობიარეების დასახმარებლად ორგანიზებული სამოქალაქო საავადმყოფოები არავითარ გარემოებაში არ ხდებიან თავდასხმის ობიექტი, ყოველთვის სარგებლობენ კონფლიქტში მყოფი მხარეების პტივისციემით და მფარველობით.

კონფლიქტში მყოფი სახელმწიფოები ყველა სამოქალაქო საავადმყოფოს უზრუნველყოფენ მოწმობით, რომელშიც აღნიშნულია, რომ ეს სამოქალაქო საავადმყოფოებია და მათ მიერ დაკავებული შენობები არ გამოიყენება იმგვარი მიზნებისათვის, რომელთა გამოც შეიძლება მათ უარი ეთქვათ მე-19 მუხლის თანახმად მინიჭებულ მფარველობაზე.

სამოქალაქო საავადმყოფოები სახელმწიფოთა ნებართვით აღინიშნება 1949 წლის 12 აგვისტოს მოქმედ არმიასი დაჭრილთა და ავადმყოფთა ხვედრის გაუმჯობესების შესახებ ჟენევის კონვენციის 38-ე მუხლში მითითებული ემბლემით.

კონფლიქტში მყოფი მხარეები, რამდენადაც ამის საშუალებას იძლევა საომარი პირობები, მიიღებენ ყველა აუცილებელ ზომას, რათა სამოქალაქო საავადმყოფოების აღმნიშვნელ განმასხვავებელ ნიშნებს მკაფიოდ არჩევდნენ მოწინააღმდეგის სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო ძალები ყოველგვარი აგრესიის თავიდან აცილების მიზნით.

ვინაიდან სამხედრო ობიექტებთან ახლომდებარე საავადმყოფოები დიდი საშიშროების ქვეშ არიან, რეკომენდებულია მათი გადატანა ამ ობიექტებისაგან დაშორებულ ადგილებში.

**მუხლი 19.** სამოქალაქო საავადმყოფოების მფარველობა შეიძლება შეწყდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი გამოიყენება არა მარტო ჰუმანიტარული მიზნებისათვის, არამედ მოწინააღმდეგის სამტროდ მიმართული ქმედებებისთვისაც. მაგრამ მფარველობა წყდება ნებისმიერ შემთხვევაში სათანადო გაფრთხილებით დაწესებული მისაღები ვადის გასვლის შემდეგ, თუ გაფრთხილებამ შედეგი არ მოიტანა;

მოწინააღმდეგის სამტროდ მოქმედებად არ ჩაითვლება ამგვარ საავადმყოფოებში დაჭრილი ან ავადმყოფი სამხედრო მოსამსახურეების მკურნალობა, ასევე მათთვის ჩამორთმეული პირადი იარაღის და საომარი მარაგის ქონა, რომელიც ჯერ არ ჩაუბარებიათ სათანადო ორგანოსათვის.

**მუხლი 20.** პირნი, რომლებიც სისტემატურად ეწევიან მხოლოდ სამოქალაქო საავადმყოფოების მომსახურებას და აღმინისტრირებას დაჭრილი და ავადმყოფი სამოქალაქო პირების ან ინვალიდების და მშობიარეების მოსაძებნი, გადასაყვანი და მკურნალი პერსონალის ჩათვლით უნდა სარგებლობდნენ პტივისციემით და მფარველობით.

ოკუპირებულ ტერიტორიაზე და საომარი მოქმედებების ზონაში ზემოაღნიშნული პერსონალის გამორჩევა ხდება პირადობის მოწმობით, რომელშიც მითითებულია მფლობელის სტატუსი, ჩაკრულია ფოტოსურათი და დასმული

აქვს პასუხისმგებელ ხელისუფალთა რელიეფური ბეჭედი, სამსახურებრივი მოვალეობების აღსრულების დროს პერსონალი მარჯვენა ხელზე ატარებს შტამპირებულ, ნესტისგამძლე სამკლაურს. სამკლაური გაიცემა სახელმწიფოს მიერ და მასზე აღბეჭდილი იქნება მოქმედ არმიაში დაჭრილთა და ავადმყოფთა ზვედრის გაუმჯობესების შესახებ კონვენციის 38-ე მუხლში მითითებული ემბლემა.

ნებისმიერ სხვა პერსონალს, რომელიც სამოქალაქო საავადმყოფოებს ემსახურება და აწარმოებს მათ ადმინისტრირებას, პატივს სცემენ და მფარველობენ; მას უფლება აქვს ატაროს ზემოხსენებულის და ამ მუხლის დებულებების თანახმად, სამკლაური იმ დრომდე, ვიდრე მას იყენებენ ამგვარი მოვალეობების შესასრულებლად, მათ პირადობის მოწმობაში აღნიშნული უნდა იყოს, რა მოვალეობებს ასრულებენ.

ყოველი სამოქალაქო საავადმყოფოს ადმინისტრაცია ვალდებულია შესაბამისი ეროვნული ან საოკუპაციო ხელისუფლებისათვის წარსადგენად მზად ჰქონდეს მოცემულ მომენტში საავადმყოფოში მომუშავე პერსონალის სია.

**მუხლი 21.** დაჭრილი და ავადმყოფი სამოქალაქო პირების, ინვალიდების და მშობიარეების ტრანსპორტირება, განხორციელებული ხმელეთზე სატრანსპორტო კოლონებით და სანიტარულ მატარებლებით ან საზღვაო გზებით ამგვარი ტრანსპორტირებისათვის განკუთვნილი გემებით, სარგებლობს მე-18 მუხლში მითითებული პატივისცემით და მფარველობით, როგორც სამოქალაქო საავადმყოფოები. სატრანსპორტო საშუალებანი აღნიშნული უნდა იყოს მოქმედ არმიაში დაჭრილთა და ავადმყოფთა ზვედრის გაუმჯობესების შესახებ კონვენციის 38-ე მუხლში მითითებული ემბლემით.

**მუხლი 22.** საფრენი აპარატები, რომლებიც გამოიყენება მხოლოდ დაჭრილი და ავადმყოფი სამოქალაქო პირების, ინვალიდების და მშობიარეების, ან სანიტარული პერსონალის გადასაცემად და სანიტარული ტვირთის გადასაზიდად, არ განიცდიან თავდასხმას, მათ პატივისცემით ეპყრობიან, თუ ისინი ფრენენ კონფლიქტში მყოფი ყველა დაინტერესებული მხარის შეთანხმებით დადგენილ სიმაღლეზე, დადგენილი მარშრუტითა და განსაზღვრულ დროს.

ისინი აღინიშნება მოქმედ არმიაში დაჭრილთა კონვენციის 38-ე მუხლში მითითებული ემბლემით.

გარდა სხვა სახის შეთანხმებებისა, ფრენა მოწინააღმდეგის ან მის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე იკრძალება;

საფრენი აპარატი უნდა დაემორჩილოს დაშვების ყოველ მოთხოვნას, მოთხოვნის საფუძველზე დაშვების შენდგომ მას შეუძლია ფრენა განაგრძოს მგზავრებითურთ დათვალიერების შემდგომ, თუ ამგვარს ადგილი ექნა.

**მუხლი 23.** მოლაპარაკებაში მონაწილე ყველა მხარე თავისუფლად გაატარებს ყველა ამანათს სამედიცინო და სანიტარული ნივთებით, ასევე მხოლოდ სამოქალაქო პირთათვის განკუთვნილ, რელიგიური სამსახურისათვის საჭირო საგნებს, თუნდაც ეს ამანათი განკუთვნილი იყოს მოწინააღმდეგე მხარის სამოქალაქო მოსახლეობისთვის, ასევე თავისუფლად გატარდება ყველა ამანათი 15 წლამდე ასაკის ბავშვების, ორსული ქალების და მშობიარეთათვის საჭირო კვების პროდუქტებით, სტარებელი საგნებით და გამაჯავებელი საშუალებებით;

მოლაპარაკებაში მონაწილე მხარის ვალდებულება, თავისუფლად გაატაროს წინა აბზაცში მითითებული ყველა ამანათი დამოკიდებულია იმაზე, დარწმუნდა თუ არა მოცემული ქვეყანა, რომ არ არსებობს სერიოზული საფუძველები შეშფოთებისათვის იმის გამძა, რომ:

a) ამანათები ვერ მოხვდება დანიშნულების ადგილზე;

b) კონტროლი იქნება არაეფექტური;

c) ამანათის გატარებამ შეიძლება ხელი შეუწყოს მოწინააღმდეგე მხარის სამხედრო ძალების ან ეკონომიკის აღმავლობას, თუ ამანათის შემადგენელი საგნები ცვლიან საქონელს, რომელიც უნდა ეწარმოებინა ამ ქვეყანას ან თუ ამანათების გაგზავნა გამოათავისუფლებს ამ საქონლის წარმოებისათვის საჭირო ნედლეულს, საგნებსა და სამუშაო ძალას.

პირველ აბზაცში მითითებული ამანათების გატარებაზე თანხმობა ქვეყანამ შეიძლება დათანხმების პირობად ითხოვოს ამანათების განაწილების დროს მფარველი სახელმწიფოს მიერ ადგილზე კონტროლის განხორციელებისას.

ამანათების გადაგზავნა უნდა მოხდეს უსწრაფესად, მათ გატარებაზე თანხმობის მიმცემ ქვეყანას უფლება აქვს დააწესოს გადაგზავნისთვის საჭირო ტექნიკური პირობები.

**მუხლი 24.** კონფლიქტში მყოფი მხარეები მიიღებენ აუცილებელ ზომებს, რათა 15 წლამდე ასაკის დაობლებული ან იმის შედეგად ოჯახს დაცლებული ბავშვები საკუთარ თავის ანაბარად არ დარჩნენ, რომ გაიზარდოს მათზე ზრუნვა, მათ რელიგიასა და აღზრდასთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულება. მათი აღზრდა, თუ ეს შესაძლებელია, უნდა დაეკისროს იმავე კულტურული ტრადიციის ადამიანს.

კონფლიქტში მყოფი მხარეები ხელს შეუწყობენ ამ ბავშვების მიღებას ნეიტრალურ ქვეყანაში კონფლიქტის პერიოდში მფარველი სახელმწიფოს თანხმობით, თუ ამგვარი არსებობს და იმის გარანტიებით, რომ შესრულდება პირველ აბზაცში მითითებული პრინციპები.


გარდა ამისა, ისინი შეეცდებიან მიიღონ აუცილებელი ზომები, რათა დადგინდეს 12 წლამდე ასაკის ბავშვების ვინაობა ამოსაცნობი მედალიონის ან ნებისმიერი სხვა საშუალებით.

**მუხლი 25.** ყოველ პირს, რომელიც კონფლიქტში მყოფი მხარის ან მის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე იმყოფება, შეუძლია დაუკავშირდეს თავისი ოჯახის წევრებს, სადაც არ უნდა იმყოფებოდნენ ისინი, აგრეთვე მიიღოს მათგან ოჯახური ხასიათის ცნობები. ეს მიმოწერა უნდა გადაიგზავნოს სწრაფად და ყოველგვარი დახანების გარეშე, თუ ეს არ არის გამოწვეული აუცილებლობით.

თუ შექმნილი მდგომარეობის გამო გართულებულია ან შეუძლებელია ფოსტით მიმოწერა, დაინტერესებული მხარეები მიმართავენ ნეიტრალურ შუამავალს, მაგალითად — 140-ე მუხლში მითითებულ ცენტრალურ სააგენტოს, რათა მასთან ერთად განსაზღვრონ, როგორ უნდა უზრუნველყონ მათი მოვალეობების უკეთესად აღსრულება, კერძოდ — წითელი ჯვრის (წითელი ნახევარმთვარის, წითელი ღვთისა და მზის) ეროვნული კომიტეტების დახმარებით.

თუ კონფლიქტში მყოფი მხარეები აუცილებლად მიიჩნევენ ოჯახური მიმოწერის შეზღუდვას, ეს შემოიფარგლება სტანდარტული ბლანკების შემოღებით, რომლებზეც ეტევა ნებისმიერი ტექსტის 25 სიტყვა. თვეში გასაგზავნი ბლანკების რაოდენობა შეიძლება ერთამდე შეიზღუდოს.

**მუხლი 26.** მოლაპარაკებაში მონაწილე ყოველი მხარე ხელს შეუწყობს იმის შედეგად დაცლებულ ოჯახის წევრთა ძებნას და შესაძლებლობის შემთხვევაში, ოჯახის შეერთებას. კერძოდ, იგი ხელს შეუწყობს იმ ორგანიზაციის მუშაობას, რომელიც ამ საქმით არის დაკავებული, იმ შემთხვევაში, თუ ეს



ორგანიზაციები მისაღებია სახელმწიფოსათვის და ემორჩილებიან მეს მიერ დადგენილ უსაფრთხოების ღონისძიებებს.

**პარი III. მფარველობის ქვეშ მყოფ პირთა სტატუსი და მათთან მოპყრობა**

**ნაწილი I. კონფლიქტში მყოფი მხარეების ლეგიტიმაცია და მოპყრობის საფუძვლები**

**მუხლი 27.** მფარველობის ქვეშ მყოფ პირთ უფლება აქვთ ნებისმიერ გარემოებაში პატივი სცენ მათ პიროვნებას, სინდისს, ოჯახურ უფლებებს, რელიგიურ წარმოდგენებს და წესებს, ჩვევებს და ადათებს. მათ ყოველთვის მოეპყრობიან ჰუმანურად, და კერძოდ, ისინი დაცული იქნებიან ბრბოს მხრივ ძალადობის ან დაშინების ყოველგვარი აქტებისაგან, შეურაცხყოფისა და ცნობის-მოყვარეობისაგან.

ქალებს სპეციალურად დაიცავენ ყოველგვარი თავდასხმისაგან მათ პატიოსნებაზე და კერძოდ, გაუპატიურებისაგან, ძალდატანებითი პროსტიტუციისაგან ან მათ ღირსებაზე ნებისმიერი სხვა ფორმით თავდასხმისაგან.

ჯანმრთელობასა, ასაკსა და სქესთან დაკავშირებული დებულებების გათვალისწინებით, კონფლიქტში მყოფი მხარე მფარველობის ქვეშ მყოფ პირებს მოეპყრობა თანაბრად, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე რასის, რელიგიური ან პოლიტიკური შეხედულებების საფუძველზე.

მაგრამ ამ პირთა მიმართ კონფლიქტში მყოფ მხარეებს შეუძლიათ მათ მიმართ გამოიყენონ კონტროლის და უშიშროების უზრუნველყოფის ისეთი ღონისძიებები, რომლებიც აუცილებელი იქნება საომარი პირობებიდან გამომდინარე.

**მუხლი 28.** მფარველობის ქვეშ მყოფი პირის ყოფნა რომელიმე პუნქტსა ან რაიონში არ შეიძლება გამოყენებული იქნეს ობიექტების დასაცავად საომარი ოპერაციებისაგან.

**მუხლი 29.** კონფლიქტში მყოფი მხარე, რომლის ხელისუფლებას ექვემდებარებიან მფარველობის ქვეშ მყოფი პირნი, პასუხს აგებს ამ პირთა მიმართ თავისი წარმომადგენლობის მოპყრობაზე, ამასთან, ეს არ უხსნის პირად პასუხისმგებლობას წარმომადგენლებს.

**მუხლი 30.** მფარველობის ქვეშ მყოფ პირებს ეძლევათ ყოველგვარი შესაძლებლობა, მიმართონ მფარველ სახელმწიფოებს, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს, იმ ქვეყნის წითელი ჯვრის (წითელი ნახევარმთვარის, წითელი ლომის და მზის) ეროვნულ საზოგადოებას, რომელშიც ისინი იმყოფებიან, ასევე ნებისმიერ ორგანიზაციას, რომელსაც შეუძლია დაეხმაროს მათ.

ხელისუფალნი ამ ორგანიზაციებს გაუწევენ დახმარებას ყოველგვარი საშუალებით, რომლებიც შეესაბამება საომარ მოთხოვნებს.

გარდა მფარველი სახელმწიფოების და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის დელეგატების ჩამოსვლისა, რაც გათვალისწინებულია 143-ე მუხლში, დამპყრობელი სახელმწიფოები ან სახელმწიფოები, რომელთა ხელისუფლებას ექვემდებარებიან მფარველობის ქვეშ მყოფი პირნი, შესაძლებლობის ფარგლებში ხელს შეუწყობენ მფარველ პირთა სხვა ორგანიზაციების წარმომადგენელთა მიერ მონახულებას, მათთვის სულიერი და მატერიალური დახმარების გაწევისათვის.

**მუხლი 31.** მფარველობის ქვეშ მყოფ პირთა მიმართ არ უნდა მიმართონ

არც ფიზიკურ, არც მორალური ძალდატანების არანაირ ფორმას, რათა მათგან ან მესამე პირთაგან საინტერესო ცნობები.

**მუხლი 32.** მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეები სპეციალურად შეთანხმდებიან იმის შესახებ, რომ მათ ეკრძალებათ მიიღონ ისეთი ზომები, რამაც შეიძლება ფიზიკური ტანჯვა მიაყენოს ან მოაკვდინოს მათ ხელისუფლებაში მყოფი პირნი. ეს აკრძალვა ეხება არა მხოლოდ მკვლელობას, წამებას, სხეულის დასახიჩრებას, სამედიცინო ან სამეცნიერო ცდებს, რომლებიც არ არის აუცილებელი მფარველობის ქვეშ მყოფ პირთა მკურნალობისათვის, ასევე თანაბრად ყოველგვარ სხვა სახის მკაცრად მოპყრობას სამოქალაქო ან სამხედრო ხელისუფალთა წარმადგენლების მხრიდან.

**მუხლი 33.** მფარველობის ქვეშ მყოფი არც ერთი პირის დასჯა არ შეიძლება სამართალდარღვევისათვის, რომელიც მას პირადად არ ჩაუდენია, კოლექტიური სასჯელები, ასევე დაშინების ყოველგვარი ღონისძიებანი ან ტერორი იკრძალება.

აკრძალულია გაძარცვა.

რეპრესალიები მფარველობის ქვეშ მყოფი პირების და მათი ქონების მიმართ აკრძალულია.

**მუხლი 34.** მძევლად აყვანა იკრძალება.

### ნაწილი III. ოპოზიციური პარტიების


**მუხლი 35.** მფარველობის ქვეშ მყოფ ნებისმიერ პირს, რომელმაც სურვილი გამოთქვა დატოვოს ტერიტორია კონფლიქტის დასაწყისში ან კონფლიქტის დროს, უფლება აქვს გააკეთოს ეს იმ შემთხვევაში თუ აღნიშნული არ ეწინააღმდეგება ქვეყნის სახელმწიფო ინტერესებს. ამ პირთა გამგზავრების შესახებ შუამდგომლობის განხილვა ხდება დადგენილი წესის მიხედვით. გადაწყვეტილება მიღებული უნდა იქნეს უმოკლეს დროში.

იმ პირებს, რომლებმაც გამგზავრების უფლება მიიღეს, შეუძლიათ უზრუნველყონ თავიანთი თავი მგზავრობისათვის საჭირო ფულით და თან წაიღონ პირადი მონძარების საგნები და ნივთები.

თუ რომელიმე პირს უარი უთხრეს გამგზავრებაზე, მას უფლება აქვს ითხოვოს უმოკლეს დროში ამ უარის გადასინჯვა სასამართლოს ან ამ მიზნით სახელმწიფოს მიერ დანიშნული შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ.

თუკი არსებობს ამგვარი შუამდგომლობა, მფარველი სახელმწიფოს წარმომადგენლებს შეუძლიათ, როდესაც ამის საშუალებას იძლევა უშიშროების მოსაზრებანი ან თუ უარს არ ამბობენ დაინტერესებული პირნი, მიიღონ შეტყობინება ტერიტორიის დატოვების შესახებ ნებისმიერ შუამდგომლობაზე უარის თქმის მიზეზების შესახებ. ასევე, რაც შეიძლება უმოკლეს დროში მიიღონ ყველა პირის გვარები, რომლებსაც უარი უთხრეს გამგზავრებაზე.

**მუხლი 36.** გამგზავრება, რომელიც ნებადართულია წინა მუხლის თანახმად, ხორციელდება უშიშროების, ჰიგიენის, ჯანმრთელობისა და კვების თვალსაზრისით დამაკმაყოფილებელ პირობებში. მასთან დაკავშირებულ ხარჯებს იმ ქვეყნის ტერიტორიის გასამგზავრებელ პუნქტიდან, რომლის ხელისუფლების ქვეშაც არიან მფარველობის ქვეშ მყოფი პირნი, იღებს სახელმწიფო, რომელშიც ისინი მიემგზავრებიან, ნეიტრალურ ქვეყანაში ყოფნის შემთხვევაში — ქვეყანა, რომლის მოქალაქენიც სარგებლობენ ამ შესაძლებლობით. ამ გადაადგილებათა პრაქტიკული პირობები აუცილებლობის შემთხვევაში განსაზღვ-



რული იქნება სპეციალური შეთანხმებებით დაინტერესებულ მხარეებს შორის.

ზემოხსენებული არ ეხება სპეციალურ შეთანხმებებს, რომლებიც შედგება დაიდოს კონფლიქტში, მყოფ მხარეებს შორის მოწინააღმდეგის ხელში მონგვედრილი მათი მოქალაქეების გაცვლისა და რეპატრიაციის საკითხზე.

**მუხლი 37.** მფარველობის ქვეშ მყოფ პირთ, რომლებიც წინასწარ არიან აყვანილი ან იხდიან სასჯელს თავისუფლების აღკვეთით, ეპყრობიან ჰუმანურად.

გათავისუფლებისთანავე მათ შეუძლიათ ითხოვონ ტერიტორიის დატოვების ნებართვა წინა მუხლის შესაბამისად.

**მუხლი 38.** გარდა ამ კონვენციით და კერძოდ, 27-ე და 41-ე მუხლებით გათვალისწინებული განსაკუთრებული ღონისძიებებისა, მფარველობის ქვეშ მყოფ პირთა მდგომარეობა რეგულირებული იქნება მშვიდობიან დროს უცხოელებთან მოპყრობის წესებით. ნებისმიერ შემთხვევაში მათ უფლება აქვთ:

- 1) მიიღონ მათთვის გამოგზავნილი ინდივიდუალური ან კოლექტიური დახმარება;
- 2) მიიღონ სამედიცინო დახმარება, იმკურნალონ საავადმყოფოში, როგორც დაინტერესებული ქვეყნის მოქალაქეებმა მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამისად;
- 3) აღასრულონ რელიგიური მოვალეობანი და მიიღონ სულიერი დახმარება თავიანთი აღმსარებლობის სამღვდელოების პირისაგან;
- 4) გაემგზავრონ დაინტერესებული ქვეყნის მოქალაქეების მსგავსად რაიონიდან, რომელიც განსაკუთრებული საომარი საფრთხის ქვეშ არის;
- 5) 15 წლამდე ასაკის ბავშვები, ორსული ქალები და დედები 7 წლამდე ასაკის ბავშვებით სარგებლობენ იგივე უპირატესობებით, რომლებიც გააჩნიათ დაინტერესებული ქვეყნის მოქალაქეებს.

**მუხლი 39.** მფარველობის ქვეშ მყოფ პირებს, რომლებმაც ხელფასი დაკარგეს კონფლიქტის გამო, საშუალება უნდა მიეცეთ იშოვონ ანაზღაურებადი სამსახური. უშიშროების მოთხოვნების და მე-40 მუხლის დებულებათა გათვალისწინებით, ეს შესაძლებლობა იმგვარივე უნდა იყოს, როგორც აქვთ იმ ქვეყნის მოქალაქეებს, რომლის ტერიტორიაზეც არიან ეს პირნი.

როდესაც ქვეყანა, რომლის ხელისუფლების ქვეშაც ისინი არიან, იმგვარად აკონტროლებს, რომ მათ არ შეუძლიათ საკუთარი არსებობის უზრუნველყოფა და უშიშროების ინტერესებიდან გამომდინარე, არ შეუძლიათ მიიღონ მათთვის მისაღები პირობებით ანაზღაურებადი სამუშაო, ამ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს მათი და მათ კმაყოფაზე მყოფ პირთა არსებობა.

მფარველობის ქვეშ მყოფ პირებს ყველა შემთხვევაში შეუძლიათ მიიღონ დახმარება თავიანთი ქვეყნის, მფარველი სახელმწიფოს ან 30-ე მუხლში მითითებული, დამხმარე ორგანიზაციებისაგან.

**მუხლი 40.** მფარველობის ქვეშ მყოფი პირნი იძულებით შეიძლება ამუშაონ მხოლოდ იმ მოცულობით, რამდენადაც კონფლიქტში მყოფი იმ ქვეყნის მოქალაქეებს ამუშაებენ, რომლის ტერიტორიაზეც იმყოფებიან ეს პირნი.

თუ მფარველობის ქვეშ მყოფი პირნი მოწინააღმდეგე მხარის მოქალაქენი არიან, ისინი შეიძლება აიძულონ შეასრულონ იმგვარი სამუშაო, რომელიც აუცილებელია საკვებით, საცხოვრებლით, ტანსაცმლით, ტრანსპორტით ადამიანე-



ბის უზრუნველყოფისათვის და რომელსაც არა აქვს უშუალო კავშირი საომარ მოქმედებასთან.

წინა აბზაცებში მითითებულ შემთხვევებში მფარველობის ქვეშ მყოფი პირნი, რომლებიც იძულებით მუშაობენ, სამუშაო პირობებით და გარანტიებით, კერძოდ — ხელფასის, სამუშაო დღის ნაწარმოების, ტანსაცმლისა და აღჭურვილობის, მოსამზადებელი სწავლების, მუშაობის დროს უბედური შემთხვევებისა და პროფესიული დაავადებების გამო კომპენსაციის სფეროში უთანაბრდებიან მოცემული ქვეყნის მუშებს.

ზემოხსენებული დებულებების დარღვევის შემთხვევაში მფარველობის ქვეშ მყოფ პირებს უფლება აქვთ ისარგებლონ 30-ე მუხლში მითითებული გასაჩივრების უფლებით.

**მუხლი 41.** შეიძლება ქვეყანამ, რომლის ხელისუფლების ქვეშ არიან მ. მ. პირნი, მოცემულ კონვენციაში მითითებული კონტროლის ზომები არასაკმარისად ჩათვალოს, მაგრამ მან არ უნდა გამოიყენოს უფრო მკაცრი ზომები. ვიდრე ეს არის გარკვეულ ადგილზე იძულებით დასახლება ან ინტერნირება 42-ე და 43-ე მუხლების შესაბამისად.


39-ე მუხლის მეორე აბზაცის დებულებათა გამოყენების დროს პირების მიმართ, რომელთაც მოითხოვს დაეტოვებინათ თავიანთი ჩვეული საცხოვრებელი ადგილები სხვა ადგილზე იძულებით გადასახლების გამო, სახელმწიფომ, რომლის ხელისუფლების ქვეშ იმყოფებიან მფარველობის ქვეშ მყოფი პირნი, რაც შეიძლება ზუსტად უნდა დაიცვას ინტერნირებულებთან მოპყრობის წესები (ამ კონვენციის კარი III, ნაწილი IV).

**მუხლი 42.** განკარგულება მ. მ. პირთა ინტერნირების ან იძულებითი დასახლების შესახებ შეიძლება გაიცეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა ეს აუცილებელია ქვეყნის უშიშროებისათვის.

თუ რომელიმე პირი მფარველი სახელმწიფოს მეშვეობით ნებაყოფლობით ითხოვს ინტერნირებას, და თუ ეს აუცილებელია მისი პირადი მდგომარეობისათვის, სახელმწიფო, რომლის ხელისუფლების ქვეშაც ის იმყოფება, დააკმაყოფილებს მის თხოვნას.

**მუხლი 43.** მფარველობაში მყოფ ინტერნირებულ ან გარკვეულ ადგილზე იძულებით დასახლებულ პირს უფლება აქვს ითხოვოს ამ გადაწყვეტილებათა გადასინჯვა უმოკლეს დროში სასამართლოს ან ამ მიზნით სახელმწიფოს მიერ დანიშნული შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ. თუ ინტერნირება ან გარკვეულ ადგილზე იძულებით დასახლება ძალაში რჩება, სასამართლომ ან შესაბამისმა ადმინისტრაციულმა ორგანომ პერიოდულად, ყოველ შემთხვევაში — წელიწადში ორჯერ მაინც უნდა გადასინჯოს საკითხი, რათა ამ პირისათვის ხელსაყრელად შეიცვალოს პირველადი გადაწყვეტილება, თუ რა თქმა უნდა, მდგომარეობა ამის საშუალებას იძლევა.

თუ დაინტერესებული მფარველობის ქვეშ მყოფი პირნი არ გამოთქვამენ უკმაყოფილებას, სახელმწიფომ, რომლის ხელისუფლების ქვეშ არიან ინტერნირებულები, რაც შეიძლება სწრაფად უნდა აცნობოს მფარველ სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ მყოფი ყველა პირის გვარი, რომელიც ინტერნირებულია ან გარკვეულ ადგილზე იძულებით დასახლებული. ასევე იმ პირთა გვარები, რომლებიც გათავისუფლდნენ ინტერნირების ან იძულებითი დასახლების ადგილებიდან, პირველ აბზაცში მითითებულ სასამართლოების ან ადმინისტრაცი-



ციული ორგანოების გადაწყვეტილებები ასევე სასწრაფოდ უნდა მფარველ სახელმწიფოს.

**მუხლი 44.** მოცემულ კონვენციაში მითითებული კონტროლის ზომების გამოყენებისას ქვეყანა, რომლის ხელისუფლების ქვეშაც არიან მფარველობის ქვეშ მყოფი პირნი, არ უნდა მოეპყროს ლტოლვილებს, რომლებიც ფაქტიურად, არც ერთი მთავრობის მფარველობით არ სარგებლობენ, როგორც მოწინააღმდეგე მხარის მოქალაქეებს მხოლოდ მათი იურიდიული კუთვნილების გამო მოწინააღმდეგე მხარისადმი.

**მუხლი 45.** მ. მ. პირნი არ გადაეცემათ ამ კონვენციის არაწევრ სახელმწიფოს.

მოცემული დებულება ხელს არ უშლის მფარველობაში მყოფი პირების რეპატრიაციას ან მათ დაბრუნებას უწინდელ საცხოვრებელ ადგილზე საომარი მოქმედებების დამთავრების შემდგომ.

მფარველობის ქვეშ მყოფი პირნი ქვეყანამ, რომლის ხელთ არიან ისინი, შეიძლება გადასცეს მხოლოდ კონვენციის წევრ ქვეყანას მაშინ, როცა დარწმუნდება, რომ ამ სახელმწიფოს სურს და შეუძლია შეასრულოს კონვენციის დებულებანი, როდესაც განხორციელდება ამგვარ პირთა გადაცემა, კონვენციის გამოყენებაზე პასუხისმგებლობა დაეკისრება მიმღებ ქვეყანას. პასუხისმგებლობა ვრცელდება მთელ პერიოდზე, რომლის განმავლობაშიც მას ჩაბარებული ყავს ეს — პირნი, მაგრამ თუ იგი ვერ შეასრულებს კონვენციის რომელიმე დებულებას, ქვეყანამ, რომელმაც გადასცა მითითებული პირნი, მფარველი სახელმწიფოს შეტყობინების საფუძველზე უნდა მიიღოს ეფექტური ზომები, რათა გამოასწოროს მდგომარეობა ან ითხოვოს პირთა დაბრუნება. ეს თხოვნა უნდა დაკმაყოფილდეს.

მფარველობის ქვეშ მყოფი პირი არ უნდა გადაეცეს ქვეყანას, რომელმაც შეიძლება მოახდინოს მისი შევიწროება ამ პირის პოლიტიკური ან რელიგიური შეხედულებების გამო.

ამ სტატიის დებულებები არ ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩამდენი მფარველობის ქვეშ მყოფი პირების გადაცემას საომარი მოქმედებების დაწყებამდე გადაცემის შესახებ დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე.

**მუხლი 46.** მფარველობის ქვეშ მყოფი პირების მიმართ მიღებული შეზღუდვის ღონისძიებანი გაუქმდება, თუ ეს ადრევე არ მოხდა, საომარი მოქმედებების დამთავრებიდან უმოკლეს დროში.

მათი ქონების შესახებ შემოღებული შეზღუდვები გაუქმდება საომარი მოქმედებების დამთავრებიდან უმოკლეს დროში იმ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად, რომლის ხელისუფლების ქვეშაც არიან მითითებული პირნი.

**ნაწილი III. ოკუპირებული ტერიტორიები**

**მუხლი 47.** მფარველობის ქვეშ მყოფი პირნი, რომლებიც ოკუპირებულ ტერიტორიაზე იმყოფებიან, არავითარ შემთხვევაში არ არიან მოკლებული ამ კონვენციით გათვალისწინებულ უპირატესობებს მოცემულ ტერიტორიაზე მოქმედ დადგენილებებში ან ოკუპაციის გამო მმართველობაში მომხდარი ცვლილებების გამო, არც ოკუპირებულ და დამპყრობელ ქვეყნებს შორის დადებული ხელშეკრულების, არც დამპყრობელი ქვეყნის მიერ მთელი ტერიტორიის ან მისი ნაწილის ანექსიის გამო.

**მუხლი 48.** მფარველობის ქვეშ მყოფ პირებს, რომლებიც არ არიან ოკუპირ-

რებული ქვეყნის მოქალაქენი, შეუძლიათ დატოვონ იგი 35-ე მუხლის დებულებათა დაცვით. გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხზე მიიღებს დამპყრობელი ქვეყანა მითითებულ მუხლში წარმოდგენილი პროცედურის შესაბამისად.

**მუხლი 49.** იკრძალება ნებისმიერი მოტივით მფარველობის ქვეშ მყოფი პირების გატაცება ან დეპორტირება ოკუპირებული ქვეყნიდან დაპყრობილი ქვეყნის ტერიტორიაზე ან ნებისმიერი სხვა ოკუპირებული თუ არაოკუპირებული ქვეყნის ტერიტორიაზე.

მაგრამ დამპყრობელ ქვეყანას შეუძლია მოსახლეობის უშიშროების დასაცავად ან საომარი ხასიათის მოსაზრებათა გამო მოახდინოს გარკვეული ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობის სრული ან ნაწილობრივი ევაკუაცია, ასეთ დროს მფარველობის ქვეშ მყოფ პირებს გადაიყვანენ ოკუპირებული ტერიტორიის სიღრმეში გარდა შემთხვევებისა, როცა ამის პრაქტიკულად განხორციელება შეუძლებელია. ამგვარად, ევაკუირებული მოსახლეობა საცხოვრებელ ადგილს დაუბრუნდება მოცემულ რეგიონში საომარი მოქმედებების დამთავრებისთანავე.

ამ გადაადგილებათა და ევაკუაციათა დროს დამპყრობელმა ქვეყანამ შესაძლებლობის ფარგლებში უნდა უზრუნველყოს მფარველობის ქვეშ მყოფი პირნი სათანადო შენობით. გადაყვანა უნდა მოხდეს უშიშროების, ჰიგიენის, ჯანმრთელობის და კვების თვალსაზრისით დამაკმაყოფილებელ პირობებში, არ შეიძლება ერთი ოჯახის წევრთა დაშორება.

გადაადგილებათა და ევაკუაციათა განხორციელების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებენ მფარველ სახელმწიფოს.

დამპყრობელმა ქვეყანამ მფარველობის ქვეშ მყოფი პირნი შეიძლება სახიფათო რაიონში დააკავოს მხოლოდ მოსახლეობის უშიშროების უზრუნველყოფის და საომარი ხასიათის მოსაზრებებიდან გამომდინარე.


დამპყრობელ ქვეყანას არ შეუძლია მოახდინოს თავისი სამოქალაქო მოსახლეობის ნაწილის დეპორტირება ან გადაყვანა მის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე.

**მუხლი 50.** დამპყრობელმა ქვეყანამ ეროვნული და ადგილობრივი ხელისუფლების მეშვეობით დახმარება უნდა გაუწიოს ბავშვებზე ზრუნვით და მათი აღზრდით დასაქმებულ დაწესებულებებს მათი წარმატებით მუშაობის უზრუნველყოფისათვის.

იგი ყველა საჭირო საშუალებით უნდა ეცადოს დადგინდეს ბავშვების ვინაობა, მოხდეს მათი ნათესაური კავშირების რეგისტრაცია. არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეიცვალოს ბავშვების სამოქალაქო მდგომარეობა, არ უნდა ჩაირიცხონ ისინი დამპყრობელ სახელმწიფოზე დამოკიდებულ ფორმირებებსა და ორგანიზაციებში.

თუ ადგილობრივ დაწესებულებებს არ შეუძლიათ ამ ფუნქციათა შესრულება, დამტყვევებელმა ქვეყანამ უნდა მიიღოს ზომები ობოლი ან ომის შედეგად ახლობლებს დაცილებული ბავშვების მოვლისა და სწავლებისათვის, თუ მათზე ვერ ზრუნავენ ახლო ნათესავეები ან მეგობრები, სწავლებას უნდა უძღვებოდნენ შესაძლებლობის მიხედვით, მათივე ეროვნების, რელიგიური მრწამსის და მათ ენაზე მოლაპარაკე პირები.

136-ე მუხლის თანახმად შექმნილი ბიუროს სპეციალური განყოფილება ყველა ზომას მიიღებს ბავშვთა ვინაობის ზუსტად დასადგენად. მათ განკარ-



გულებში მქონე მონაცემები ბავშვების მშობლების და სხვა ახლო ნათესავების შესახებ რეგისტრირებული უნდა იყოს.

დამპყრობელმა ქვეყანამ არ უნდა გააძნელოს პრევენციული ზომების მიღება 15 წლამდე ასაკის ბავშვების, ორსული ქალებისა და 7 წლამდე ასაკის ბავშვების დედების კვების, სამედიცინო მოვლისა და საომარი მოქმედებისაგან დაცვის სფეროში.

**მუხლი 51.** დამპყრობელ ქვეყანას არ შეუძლია იძულოს მფარველობის ქვეშ მყოფი პირი იმსახუროს მის შეიარაღებულ ძალებში ან დამხმარე ძალებში, ყოველგვარი ზეგავლენა ან პრესიანდა არმიაში ნებაყოფლობით შესვლის შესახებ იკრძალება.

დამპყრობელ ქვეყანას იძულებით სამუშაოებზე შეუძლია გაგზავნოს მხოლოდ 18 წელს გადაცილებული მფარველობაში მყოფი პირნი: ისინი იგზავნებიან სამუშაოზე, რომელიც აუცილებელია საოკუპაციო არმიის საჭიროებისათვის, ან დაკავშირებულია დაკავებული ადგილის კომუნალურ მომსახურებასთან, მოსახლეობის საკვებით, საცხოვრებლით, ტანსაცმლით, ტრანსპორტით უზრუნველყოფასთან, მათი ჯანმრთელობის დაცვასთან. მფარველობის ქვეშ მყოფი პირნი იძულებით არ უნდა ასრულებდნენ სამუშაოს, რომელიც გამოიწვევს საომარ ოპერაციებში მონაწილეობას, დამპყრობელ ქვეყანას არ შეუძლია მითითებულ პირებს მოთხოვოს ძალის გამოყენებით დაიცვან ნაგებობანი, რომლებშიც ასრულებენ სამუშაოს.

სამუშაო სრულდება მხოლოდ ოკუპირებული ტერიტორიის ფარგლებში, სადაც იმყოფებიან მოცემული პირნი. ყოველი მათგანი შესაძლებლობების მიხედვით დატოვებული იქნება ჩვეულ სამუშაო ადგილზე. მუშაობა სამართლიანად იქნება ანაზღაურებული. იგი უნდა პასუხობდეს მომუშავეთა ფიზიკურ და ინტელექტუალურ შესაძლებლობებს, ოკუპირებულ ქვეყანაში მოქმედი კანონები სამუშაო პირობების და შრომის დაცვის შესახებ, კერძოდ — სამუშაო დღის ხანგრძლივობის, აღჭურვილობის, თავდაპირველი მომზადების, სამუშაოზე უბედური შემთხვევებისა და პროფესიონალური დაავადებების კომპენსაციის შესახებ გამოიყენება მფარველობის ქვეშ მყოფი პირების მიმართ, რომლებიც ასრულებენ ამ მუხლში მითითებულ სამუშაოებს.

იძულებით შრომით საქმიანობაში ჩაბმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა იწვევდეს მომუშავეთა მობილიზაციას სამხედრო ან ნახევრად სამხედრო ხასიათის ორგანიზაციებში.

**მუხლი 52.** არავითარი კონტრაქტით, შეთანხმებით ან დებულებით ნებაყოფლობით ან იძულებით მომუშავე პირებს არ ჩამოერთმევათ უფლება შეამდგომლობის თხოვნით მიმართონ მფარველ სახელმწიფოს.

ყოველგვარი ღონისძიება, მიმართული უმუშევრობის გამოწვევის ან ოკუპირებულ ტერიტორიაზე სამუშაოს შეზღუდვისაკენ, რათა იმუშაონ დამპყრობელი ქვეყნის სასარგებლოდ, იკრძალება.

**მუხლი 53.** კერძო პირების ან სახელმწიფოს, საზოგადოებრივი ან კოოპერაციული ორგანიზაციების ინდივიდუალურ ან კოლექტიურ საკუთრებაში მყოფი მოძრავი ან უძრავი ქონების განადგურება დამპყრობელი ქვეყნის მიერ, რაც არ არის გამოწვეული საომარი მოსაზრებებით, იკრძალება.

**მუხლი 54.** დამპყრობელ ქვეყანას აკრძალული აქვს შეცვალოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე თანამდებობის პირთა ან მოსამართლეთა სტატუსი, მიმართოს მათ წინააღმდეგ სანქციებს, იძულების ღონისძიებებს ან მოახდინოს მათი

შევიწროება იმის გამო, რომ სინდისის კარნახით ისინი თავს არიდებენ მრავალ-  
ლობათა შესრულებას.

ეს უკანასკნელი აკრძალვა არ ეწინააღმდეგება 51-ე მუხლის პირველი აბ-  
ზაცის დებულებათა გამოყენებას. იგი არ ეხება დამპყრობელი ქვეყნის უფლე-  
ბას მოხსნას თანამდებობის პირნი დაკავებული პოსტებიდან.

**მუხლი 55.** დამპყრობელმა ქვეყანამ ყველა არსებული საშუალებით უნდა  
უზრუნველყოს სამოქალაქო მოსახლეობა სურსათით და სანიტარული მასალით.  
კერძოდ, შემოუტანოს სურსათის მარაგი, სანიტარული ქონება და სხვა საგნები  
იმ შემთხვევაში, როცა ოკუპირებული ტერიტორიის რესურსები არასაკმარი-  
სია. დამპყრობელმა ქვეყანამ შეიძლება მოახდინოს ოკუპირებულ ტერიტორი-  
აზე არსებული სურსათის მარაგის ან სხვა საგნების, ასევე სანიტარული ქონე-  
ბის რეკვიზიცია საოკუპაციო არმიისა და ადმინისტრაციისათვის, მაგრამ უნდა  
გათვალისწინოს სამოქალაქო მოსახლეობის საჭიროებანი. სხვა საერთაშორისო  
კონვენციათა დებულებების გათვალისწინებით დამპყრობელმა ქვეყანამ უნ-  
და მიიღოს ზომები და უზრუნველყოს, რომ ყოველგვარი რეკვიზიცია სამართ-  
ლიანად ანაზღაურდეს.

მფარველ სახელმწიფოს უფლება აქვს ნებისმიერ დროს ყოველგვარი დაბ-  
რკოლების გარეშე შეამოწმოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე სურსათით და სა-  
ნიტარული მასალით მომარაგების მდგომარეობა, გადაუდებელი საომარი მოთ-  
ხოვნებით გამოწვეული დროებითი შეზღუდვების გათვალისწინებით.

**მუხლი 56.** დამპყრობელი სახელმწიფო ვალდებულია მის ხელთ არსებუ-  
ლი ყველა საშუალებით უზრუნველყოს და ერთგული და ადგილობრივი ხელი-  
სუფლების ხელშეწყობით მხარი დაუჭიროს ოკუპირებულ ტერიტორიაზე სანი-  
ტარული დაწესებულებების და სამსახურების, საავადმყოფოების მუშაობას,  
ჯანდაცვას და საზოგადოებრივი ჰიგიენის დაცვას. კერძოდ, უნდა გამოიყენოს  
პროფესიონალური და პრევენტული ზომები, რომლებიც აუცილებელია გა-  
დამდებ სნეულებებსა და ეპიდემიების წინააღმდეგ ბრძოლისათვის. ყველა კა-  
ტეგორიის სანიტარულ პერსონალს ნებადართული აქვს შეასრულოს თავისი  
მოვალეობანი.

თუ ოკუპირებულ ტერიტორიაზე შეიქმნება ახალი საავადმყოფოები, ხო-  
ლო ოკუპირებული სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოები არ ფუნქციონი-  
რებენ, დამპყრობელი ქვეყნის ხელისუფლებამ აუცილებლობის შემთხვევაში  
უნდა აღიაროს ეს საავადმყოფოები მე-18 მუხლის თანახმად, ანალოგიურ გა-  
რემოებებში დამპყრობელმა ხელისუფლებამ უნდა აღიაროს საავადმყოფოთა  
პერსონალი და გადასაცვანი საშუალებანი მე-20 და 21-ე მუხლების დებულე-  
ბათა ძალით.

დამპყრობელმა ქვეყანამ ჯანდაცვის და ჰიგიენის სფეროში ღონისძიებათა  
მიღებისას უნდა გაითვალისწინოს ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობის  
მორალური და ეთიკური მოთხოვნილებები.

**მუხლი 57.** დამპყრობელ ქვეყნისა შეუძლია სამოქალაქო საავადმყოფოთა  
რეკვიზიცია მხოლოდ დროებით და ისიც, დაჭრილი და ავადმყოფი სამხედრო  
მოსამსახურეების მოვლის უკიდურესი საჭიროებისათვის იმ პირობით, რომ დრო-  
ულად იქნება მიღებული შესაბამისი ზომები ამ საავადმყოფოში მყოფი ავად-  
მყოფების მკურნალობისა და მოვლისათვის; სამოქალაქო მოსახლეობის საავად-  
მყოფოში მკურნალობის საჭიროებანი უზრუნველყოფილი იქნება.

სამოქალაქო საავადმყოფოთა ქონების და საწყობების რეკვიზიცია არ შე-

იძლება იმ დრომდე, ვიდრე ისინი აუცილებელია სამოქალაქო მოსახლეობის საჭიროებისათვის.

**მუხლი 58.** დამპყრობელი ქვეყანა ნებას დართავს კულტის მსახურთ ხელის დახმარება გაუწიონ ერთმორწმუნეებს.

დამპყრობელი ქვეყანა მიიღებს რელიგიური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად წიგნების და საგნების შემცველ ამანათებს და ხელს შეუწყობს მათ გავრცელებას ოკუპირებულ ტერიტორიაზე.

**მუხლი 59.** თუ მთელი ოკუპირებული ტერიტორიის და მისი ნაწილის მოსახლეობის მომარაგება არასაკმარისია, დამპყრობელი ქვეყანა უნდა დათანხმდეს მოცემული მოსახლეობის დასახმარებლად გაწეულ ღონისძიებებს და ხელი შეუწყოს მათ განხორციელებას მის განკარგულებაში არსებული ყველა საშუალებით.

ამგვარი ღონისძიება შეიძლება განხორციელდეს ან სახელმწიფოს ან მიუზნობელი პუბლიკური ორგანიზაციების — მაგალითად, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის მიერ, ისინი მოიცავენ სურსათის, სანიტარული მასალების და ტანსაცმლის გაგზავნას.

მოლაპარაკებაში მონაწილე ყოველმა მხარემ თავისუფლად უნდა გაატაროს ეს ამანათები და მათი დაცვა უნდა უზრუნველყოს.

სახელმწიფოს, რომელიც თავისუფლად ატარებს ამანათებს კონფლიქტში მონაწილე მოწინააღმდეგე მხარის მიერ ოკუპირებულ ტერიტორიაზე უფლება აქვს შეამოწმოს ამანათები, მოახდინოს მათი გაგზავნის რეგულირება დადგენილი ვადებით და მარშრუტებით და მფარველი სახელმწიფოს შუამავლობით დარწმუნდეს, რომ ეს ამანათები ნამდვილად გაჭირვებული მოსახლეობის დასახმარებლად იქნება გამოყენებული და არა დამპყრობელი ქვეყნის ინტერესებისათვის.

**მუხლი 60.** დახმარების ტვირთი არავითარ შემთხვევაში არ ათავისუფლებს დამპყრობელ სახელმწიფოს 53, 55, 56-ე მუხლებით მასზე დაკისრებული პასუხისმგებლობისაგან. სახელმწიფომ დახმარების ტვირთებს არავითარი სხვა დანიშნულება არ უნდა მისცეს; გარდა აუცილებელი საჭიროების გამოჩენის შემთხვევებისა ოკუპირებული ტერიტორიების მოსახლეობის ინტერესებისათვის და მფარველი სახელმწიფოს თანხმობით.

**მუხლი 61.** ზემოხსენებულ მუხლებში მითითებული დასახმარებელი ტვირთის განაწილება ხდება მფარველი სახელმწიფოს ხელშეწყობით და კონტროლით. ეს ვალდებულება დამპყრობელ ქვეყანასა და ნეიტრალურ სახელმწიფოს შორის ხელშეკრულების თანახმად შეიძლება გადაეცეს ნეიტრალურ ქვეყანას, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს ან ნებისმიერ სხვა მიუზნობელ პუბლიკურ ორგანიზაციას.

ეს ტვირთი ოკუპირებულ ტერიტორიაზე თავისუფლდება ყოველგვარი გადასახადების, საბაჟო ბეგარისაგან, იმ შემთხვევების გამოკლებით, როცა ეს უკანასკნელი აუცილებელია მოცემული ტერიტორიის ეკონომიკისათვის, დამპყრობელი ქვეყანა უნდა ეცადოს ამ ტვირთის რაც შეიძლება სწრაფად განაწილებას.

მოლაპარაკებაში მონაწილე ყველა მხარე უნდა ეცადოს ნებადართული იყოს ოკუპირებულ ტერიტორიაზე გასავლენი ტვირთის გადატანა და ტრანსპორტირება უფასოდ.

**მუხლი 62.** ოკუპირებულ ტერიტორიაზე მფარველობის ქვეშ მყოფი პი-

რები იმ შემთხვევაში, როცა ეს საფრთხეს არ უქმნის უშიშროების ინტერესებს მიიღებენ პერსონალურად გადაგზავნილ ამანათებს.

**მუხლი 63.** განსაკუთრებული ხასიათის უშიშროების მოსაზრებებიდან გამომდინარე დამპყრობელმა ქვეყანამ შეიძლება გამოწვევის სახით შემოიღოს დროებითი ღონისძიებანი.

ამ ღონისძიებათა შესრულების შემთხვევაში:

a) წითელი ჯვრის (წითელი ნახევარმთვარის, წითელი ლომის და მზის) აღიარებულ ეროვნულ საზოგადოებებს შეუძლიათ განაგრძონ წითელი ჯვრის საერთაშორისო კონფერენციებით დადგენილი წითელი ჯვრის პრინციპების შესაბამისი მოღვაწეობა, სხვა დამხმარე ორგანიზაციებს ნებას დართავენ განაგრძონ თავიანთი ჰუმანიტარული მოღვაწეობა იმავე პირობებში;

b) დამპყრობელ ქვეყანას არ შეუძლია ითხოვოს ამ ორგანიზაციათა სტრუქტურასა და პერსონალში ცვლილებების შეტანა, თუ ეს ცვლილებები დაზარალებს აღნიშნულ მოღვაწეობას.

იგივე პრინციპები გამოიყენება უკვე არსებული ან შემდგომში შექმნილი არასაომარი ხასიათის სპეციალური ორგანიზაციების მოღვაწეობისა და პერსონალისადმი. ეს ორგანიზაციები იქმნება სამოქალაქო მოსახლეობის ცხოვრების პირობების უზრუნველყოფისათვის ძირითადი საზოგადოებისათვის სასარგებლო სამსახურების მხარდაჭერით; დახმარების განაწილების და გადარჩენის ღონისძიებათა ორგანიზებით.

**მუხლი 64.** ოკუპირებული ტერიტორიის სისხლის სამართლის კანონმდებლობა ძალაში რჩება იმ შემთხვევების გამოკლებით, როცა მის გაუქმებას ან შეჩერებას ახდენს დამპყრობელი ქვეყანა, თუ აღნიშნული კანონმდებლობა საფრთხეს უქმნის დამპყრობელი ქვეყნის უშიშროებას ან ხელს უშლის კონვენციის გამოყენებას. ზემოხსენებული მოსაზრების და მართლმსაჯულების ეფექტურად აღსრულების უზრუნველყოფის აუცილებლობიდან გამომდინარე ოკუპირებული ტერიტორიის სასამართლო ორგანოები აგრძელებენ თავიანთი ფუნქციების აღსრულებას ამ კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სამართალდარღვევის შემთხვევაში.

ამასთან, დამპყრობელ ქვეყანას შეუძლია ოკუპირებული ტერიტორიის მოსახლეობა დაუმორჩილოს კონვენციის თანახმად მისი ვალდებულებების აღსრულების, ტერიტორიის ნორმალური მართვის და დამპყრობელი ქვეყნის უშიშროების უზრუნველყოფისათვის აუცილებელ, საოკუპაციო არმიის ან აღმინისტრაციის პირადი შემადგენლობის და ქონების, შის მიერ გამოყენებული ობიექტების და საკომუნიკაციო გზების შენახვისათვის საჭირო დებულებების მოქმედებას.

**მუხლი 65.** დამპყრობელი ქვეყნის მიერ გამოქვეყნებული დადგენილებები, რომლებიც ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, ძალაში შედის მას შემდეგ, რაც ისინი გამოქვეყნდება და მათ გაცნობა მოსახლეობათვის ენახე, ამ დადგენილებებს უეჭვადების ძალა არა აქვთ.

**მუხლი 66.** დამპყრობელი ქვეყნის მიერ 64-ე მუხლის მეორე აბზაცის საფუძველზე გამოცემული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ დადგენილებების დარღვევის შემთხვევაში დამპყრობელ ქვეყანას შეუძლია ბრალდებულნი გადასცეს შესაბამისად შექმნილ არაპოლიტიკურ სამხედრო სასამართლებებს იმ პირობით, რომ სასამართლოები ოკუპირებული ქვეყნის ტერი-

ტორიაზე იქნება. მეორე ინსტანციის სასამართლოების სხდომები უპირატესად ოკუპირებულ ქვეყანაში გაიმართება.

**მუხლი 67.** ამ სასამართლოებს შეუძლიათ გამოიყენონ მხოლოდ სამართალდარღვევამდე მოქმედი კანონიერად შემუშავებული დადგენილებანი, რომლებიც ძირითად პრინციპებს, კერძოდ — სასჯელის შესაბამისობის პრინციპს ჰასუხობს. მათ მხედველობაში უნდა მიიღონ ის ფაქტი, რომ ბრალდებული არ არის დამპყრობელი ქვეყნის მოქალაქე.

**მუხლი 68.** თუ მფარველობის ქვეშ მყოფი პირი სამართალდარღვევას სჩადის ერთადერთი მიზნით — აენოს დამპყრობელ ქვეყანას, და ეს სამართალდარღვევა არ წარმოადგენს საოკუპაციო არმიის ან ადმინისტრაციის პირადი შემადგენლობის ფიზიკური ხელშეუხებლობის ან სიცოცხლის ხელყოფას, არ ქმნის სერიოზულ კოლექტიურ საშიშროებას და მნიშვნელოვან ზიანს არ აყენებს საოკუპაციო არმიის ან ადმინისტრაციის ქონებას ან მათ მიერ გამოყენებულ ობიექტებს, ხდება ამ პირის დაპატიმრება ან ინტერნირება, ამასთან, დაპატიმრების ან ინტერნირების ვადა უნდა შეესაბამებოდეს ჩადენილ სამართალდარღვევას. მხოლოდ აღნიშნული ზომები გამოიყენება მფარველობის ქვეშ მყოფ პირთათვის თავისუფლების აღკვეთას მიზნით. მოცემული კონვენციის 66-ე მუხლში მითითებულ სასამართლოებს შეუძლიათ დაპატიმრება შეცვალონ იმავე ვადით ინტერნირებით.

დამპყრობელი ქვეყნის მიერ 64-ე და 65-ე მუხლების შესაბამისად გამოცემული სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის შესახებ დადგენილებები შეიძლება ითვალისწინებდეს მფარველობის ქვეშ მყოფი პირების სიკვდილით დასჯას იმ შემთხვევებში, როცა მათ ბრალად ედებათ ჯაშუშობა, დამპყრობელი ქვეყნის სამხედრო ობიექტების წინააღმდეგ ჩადენილი დივერსიულ აქტებში მონაწილეობა, წინასწარგანზრახული სამართალდარღვევების განხორციელება, რის შედეგადაც დაიღუპა ერთი ან რამდენიმე ადამიანი, აღნიშნული განაჩენი გამოტანილი იქნება იმ შემთხვევაში, თუ ოკუპაციამდე მოქმედი დამპყრობელი ქვეყნის კანონმდებლობა ითვალისწინებდა სიკვდილით დასჯას მსგავსი დანაშაულებისათვის.

სასიკვდილო განაჩენი არ შეიძლება გამოუტანონ მფარველობის ქვეშ მყოფ პირს იმ შემთხვევაში, თუ სასამართლოს ყურადღება გამახვილდება იმ ფაქტზე, რომ ბრალდებული არ არის დამპყრობელი ქვეყნის მოქალაქე და მისდამი ერთგულების ვალდებულებით არ არის დაკავშირებული. სასიკვდილო განაჩენის გამოტანა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, თუ სამართალდარღვევის ჩადენის მომენტში დამნაშავე ჯერ არ იყო 18 წლის.

**მუხლი 69.** ყველა შემთხვევაში წინასწარი პატიმრობის ვადა ჩაითვლება პატიმრობის ვადაში, რომელიც შეიძლება მიესაჯოს მფარველობის ქვეშ მყოფ პირს.

**მუხლი 70.** დამპყრობელ ქვეყანას არ შეუძლია მოახდინოს მფარველობის ქვეშ მყოფი პირების დაპატიმრება, დევნა ან გასამართლება ოკუპაციამდე ან ოკუპაციის დროებითი შეწყვეტის მომენტში ჩადენილი ქმედებების ან გამოთქმული მოსაზრებებისათვის, გარდა ომის კანონების და წესების დარღვევის შემთხვევებისა.

დამპყრობელი ქვეყნის მოქალაქე, რომელიც კონფლიქტის დაწყებამდე ოკუპირებულ ტერიტორიაზე იმებდა თავშესაფარს, შეიძლება დაპატიმრებული. სასამართლოსათვის გადაცემული, გასამართლებული ან ტერიტორიის გა-



რეთ დეპორტირებული იქნეს საომარი მოქმედებების დაწყებამდე ან შემდეგ ჩადენილი სამართალდარღვევისათვის, რომელთა გამოც ოკუპირებული ტერიტორიის კანონმდებლობით გათვალისწინებულია დამნაშავეის გადაცემა მშვიდობიან პერიოდშიც.

**მუხლი 71.** დამპყრობელი ქვეყნის კომპეტენტურ სასამართლო ორგანოებს არ შეუძლიათ განაჩენის გამოტანა, თუ საქმე არ განხილულა დადგენილი პროცესუალური წესით.

ნებისმიერ პირს, რომლის მიმართაც დამპყრობელი ქვეყნის მიერ წაყენებულია ბრალდება, ამის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობებენ წერილობით მისთვის გასაგებ ენაზე, ბრალდების დაწვრილებით მითითებით. მისი საქმე განხილული იქნება უმოკლეს დროში. მფარველ სახელმწიფოს აცნობებენ მფარველობის ქვეშ მყოფ პირთა დევნის ყოველი შემთხვევის შესახებ. ეს ეხება დევნას იმგვარი დანაშაულებისთვის, რომლებიც ისჯება სიკვდილით ან ორ წელზე მეტ ხანს თავისუფლების აღკვეთით. მფარველ სახელმწიფოს ნებისმიერ დროს შეუძლია გაეცნოს აღნიშნულ საქმეთა მიმდინარეობას, ამას გარდა უფლება აქვს მიიღოს ყველა მონაცემი ამგვარი საქმეების და მფარველობის ქვეშ მყოფი პირების დევნის შესახებ.

მფარველი სახელმწიფოსადმი ამ მუხლის მეორე აბზაცში მითითებული შეტყობინება იგზავნება დაუყოვნებლივ, ყოველ შემთხვევაში — მფარველმა სახელმწიფომ შეტყობინება უნდა მიიღოს საქმის მოსმენის დაწყებამდე სამი კვირით ადრე. საქმის მოსმენა ვერ დაიწყება თუ არ დასაბუთდა, რომ მოცემული კონვენციის ყველა დებულება აღნიშნული საკითხის გარშემო. შესრულებულია. შეტყობინება უნდა შეიცავდეს შემდეგ მონაცემებს:

- a) ბრალდებულის ვინაობა;
- b) ინტერნირების ან პატიმრობის ადგილი;
- c) ბრალდების ან ბრალდებათა დაწვრილებით გადმოცემა იმ დადგენილებათა მითითებით, რომლებსაც ეყრდნობა ბრალდება და რომლებიც ითვალისწინებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას;
- d) სასამართლოს დასახელება, რომელმაც უნდა მოისმინოს საქმე;
- e) საქმის მოსმენის დრო და ადგილი.

**მუხლი 72.** ყოველ ბრალდებულს უფლება აქვს მოიყვანოს თავდასაცავად საჭირო საბუთები, კერძოდ, ითხოვოს სასამართლოში მოწმეთა გამოძახება; მას უფლება აქვს აირჩიოს კვალიფიციური დამცველი, რომელიც შეუზღუდავად მოინახულებს მას და რომელსაც ყველა საშუალება ექნება, რათა მოემზადოს დაცვისათვის.

თუ ბრალდებული თავად არ ირჩევს დამცველს, მას ნიშნავს მფარველი სახელმწიფო. როცა წაყენებული ბრალდება სერიოზულია და არ არსებობს მფარველი სახელმწიფო, დამპყრობელი ქვეყანა ბრალდებულის თანახმობის საფუძველზე უნიშნავს მას დამცველს.

ყველა ბრალდებული გარდა მის მიერ გამოთქმული უარის შემთხვევაში, წინასწარი გამოძიების დროს, ასევე სასამართლოს სხდომებზე სარგებლობს თარჯიმნის დახმარებით. მას შეუძლია მოითხოვოს თარჯიმნის შეცვლა.

**მუხლი 73.** ყოველ გასამართლებულს შეუძლია გამოიყენოს სასამართლო კანონმდებლობით გათვალისწინებული გასაჩივრების უფლება. იგი სრულად იქნება ინფორმირებული ამ უფლების, ასევე გასაჩივრების ვადების შესახებ. ამ ნაწილში მითითებული სასამართლო-პროცესუალური წესი რამდენადაც

შესაძლებელია, გამოყენებული უნდა იქნეს გასაჩივრების უფლების მიმართაც, იმ შემთხვევაში, როცა სასამართლოს მიერ გამოყენებულ კანონმდებლობაში არ შედის გასაჩივრების უფლებასთან დაკავშირებული დებულებანი, გასამართლებულ პირს შეუძლია განაჩინოს გასაჩივროს დამპყრობელი ქვეყნის შესაბამისი ხელისუფლების წინაშე.

**მუხლი 74.** მფარველი სახელმწიფოს წარმომადგენლებს უფლება აქვთ დაესწრონ საქმის განხილვას გარდა იმ შემთხვევისა, როცა საქმის მოსმენა დახურულია დამპყრობელი ქვეყნის უშიშროების ინტერესების დასაცავად; ასეთ შემთხვევაში მფარველი სახელმწიფო წინასწარ გაფრთხილებული უნდა იყოს, მას შეატყობინებენ საქმის მოსმენის დაწყების დროს და თარიღს.

ყოველი განაჩენის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს სიკვდილით დასჯას ან თავისუფლების აღკვეთას ორი ან მეტი წლით, უმოკლეს დროში აცნობებენ მფარველ სახელმწიფოს გამოტანილი განაჩენის დასაბუთებით, შეტყობინებაში მითითებული იქნება 71-ე მუხლის თანახმად გაკეთებული შეტყობინების შესახებ, ხოლო თავისუფლების აღკვეთის შესახებ განაჩენის გამოტანისას მითითებული უნდა იყოს ადგილი, სადაც მოიხდინან სასჯელს. ზემოაღნიშნულის გარდა მონაცემები სხვა საქმეთა შესახებ ინახება სასამართლოში და გადასინჯვისათვის წარედგინება მფარველ სახელმწიფოს წარმომადგენლებს,

როცა განაჩენი ითვალისწინებს სიკვდილით დასჯას ან ორი წლით და მეტი ხნით პატიმრობას, მისი მოხდის ვადა არ დაიწყება იმ დრომდე, ვიდრე გამოტანილ განაჩენს არ აცნობებენ მფარველ სახელმწიფოს.

**მუხლი 75.** სიკვდილმისჯილს უარს არ ეუბნებიან შეწყალების გამო შუამდგომლობაზე.

სასიკვდილო განაჩენი სისრულეში იქნება მოყვანილი სულ მცირე, 6 თვიანი ვადის გასვლის შემდეგ იმ მომენტიდან, რაც მფარველმა სახელმწიფომ მიიღო შეტყობინება საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილების შესახებ, რომელიც ამტკიცებს განაჩენს ან შეწყალებაზე უარის გადაწყვეტილებას. ცალკეულ შემთხვევებში, როდესაც განსაკუთრებული მდგომარეობის გამო საფრთხე ექმნება დამპყრობელი ქვეყნის ან მისი შეიარაღებული ძალების უშიშროებას, ეს ექვესთვიანი ვადა შეიძლება შემცირდეს; მფარველ სახელმწიფოს ყოველთვის აცნობებენ ვადის შემცირების შესახებ და მას საშუალება ექნება მიმართოს კომპეტენტურ საოკუპაციო ხელისუფლებას ამ სასიკვდილო განაჩენის გამო, მას მისცემენ გარკვეულ დროს ამის აღსრულებისათვის.

**მუხლი 76.** ბრალდებული მფარველობის ქვეშ მყოფი პირნი დაპატიმრებული იქნებიან ოკუპირებულ ქვეყანაში და იქვე მოიხდინან სასჯელს, შესაძლებლობების შემთხვევაში მათ სხვა პატიმრებისაგან განცალკევებით მოათავსებენ, დაწესდება ჯანმრთელობის ნორმალური მდგომარეობის შენარჩუნებისათვის საჭირო სანიტარული და კვების რეჟიმი, ყოველ შემთხვევაში ისეთი, რომელიც შეესაბამება ოკუპირებული ქვეყნის ციხეების რეჟიმს.

ისინი მიიღებენ მათი ჯანმრთელობის მდგომარეობისათვის აუცილებელ სამედიცინო დახმარებას.

მათ უფლება აქვთ სასულიერო პირისაგან დახმარების მიღებისა.

ქალები თავსდებიან ცალკე შენობაში ქალთა პერსონალის უშუალო ზედამხედველობის ქვეშ.

ყურადღებას მიაქცევენ არასრულწლოვანთათვის განკუთვნილ სპეციალურ რეჟიმს.

დაპატიმრებული მფარველობის ქვეშ მყოფი პირნი შეიძლება მოინახუ-  
ლონ მფარველი სახელმწიფოს და წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის  
წარმომადგენლებმა 143-ე მუხლის თანახმად.

გარდა ამისა, მათ შეიძლება მიიღონ თვეში არანაკლებ ერთი დახმარების  
აშანათი.

**მუხლი 77.** ოკუპირებულ ტერიტორიაზე ბრალდებული ან გასამართლე-  
ბული მფარველობის ქვეშ მყოფი პირნი ოკუპაციის დასრულებისას მათ სა-  
ხელზე გახსნილი საქმეებითურთ გადაეცემა გათავისუფლებული ტერიტორიის  
ხელისუფალთ.

**მუხლი 78.** თუ უშიშროების მოსაზრებებით დამპყრობელი ქვეყანა აუცი-  
ლებლად ჩათვლის მიიღოს უსაფრთხოების ზომები მფარველობის ქვეშ მყოფი  
პირების მიმართ, უკიდურეს ზომას წარმოადგენს იძულებით დასახლება გარ-  
კვეულ ადგილზე ან ინტერნირება.

გადაწყვეტილება გარკვეულ ადგილზე იძულებით დასახლების ან ინტერნი-  
რების შესახებ მიიღება დამპყრობელი ქვეყნის მიერ მოცემული კონვენციის  
საფუძველზე შემუშავებული ნორმალური პროცედურის თანახმად, ეს პროცე-  
დურა უნდა ითვალისწინებდეს დაინტერესებულ პირთა მხრივ აპელაციის უფ-  
ლებას. აპელაციის შესახებ გადაწყვეტილება მიღებული იქნება უმოკლეს  
დროში. თუ მიღებული გადაწყვეტილება იძულებით დასახლების ან ინტერნი-  
რების შესახებ ძალაში რჩება, შესაბამისი ქვეყნის მიერ შექმნილი კომპეტენ-  
ტური ორგანო მოახდენს გადაწყვეტილების გადასინჯვას პერიოდულად; ყოვე-  
ლი 6 თვის განმავლობაში ერთხელ მაინც.

მფარველობის ქვეშ მყოფი პირნი, რომლებიც იძულებით არიან დასახლე-  
ბული გარკვეულ ადგილზე და დატოვებული აქვთ მუდმივი საცხოვრებელი  
ადგილი, სარგებლობენ ამ კონვენციის 39-ე მუხლით გათვალისწინებული ყვე-  
ლა უპირატესობით.

#### ნაწილი IV. ინტერნირებაზე და მფარველობის წესები

##### თავი I. ზოგადი დებულებანი

**მუხლი 79.** კონფლიქტში მყოფ მხარეებს მფარველობის ქვეშ მყოფი პირე-  
ბის ინტერნირება შეუძლიათ მხოლოდ 41, 42, 43, 68 და 78-ე მუხლების დე-  
ბულებათა შესაბამისად.

**მუხლი 80.** ინტერნირებულნი სრულიად ინარჩუნებენ თავიანთ სამოქალაქო  
უფლებათანაირიანობას და სარგებლობენ კუთვნილი უფლებებით იმდენად, რამ-  
დენადაც ამის საშუალებას იძლევა ინტერნირების პირობები.

**მუხლი 81.** კონფლიქტში მონაწილე მხარეები, რომლებმაც მოახდინეს  
მფარველობის ქვეშ მყოფი პირების ინტერნირება, ვალდებული არიან უზრუნ-  
ველყონ მათი არსებობა, გაუწიონ ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაბამისი  
სამედიცინო დახმარება.

გაწეული ხარჯების ანაზღაურებისათვის დაუშვებელია ინტერნირებულთა  
დახმარების თანხიდან ან ხელფასიდან ან მათთვის კუთვნილი თანხიდან ნაწილის  
დაქვითვა.

სახელმწიფო, რომლის ხელისუფლების ქვეშაც იმყოფებიან ინტერნი-  
რებულნი, უნდა დაეხმაროს ინტერნირებულთა კმაყოფაზე მყოფ პირებს, რო-

მელთაც არა აქვო საარსებო საშუალებანი ან არ შეუძლიათ თავიანთი თავის უზრუნველყოფა.

**მუხლი 82.** სახელმწიფო, რომლის ხელისუფლების ქვეშაც არიან ინტერნირებულები, შესაძლებლობის მიხედვით მოათავსებს მათ განცალკევებით მოქალაქეობის, ენისა და ადათების საფუძველზე. ერთი და იმავე ქვეყნის მოქალაქეებს არ მოათავსებენ განცალკევებით მხოლოდ ენობრივი განსხვავების გამო.

ინტერნირების მთელი პერიოდის მანძილზე ერთი ოჯახის წევრები, განსაკუთრებით მშობლები და შვილები მოთავსდებიან ერთად, გარდა შემთხვევებისა, როცა სამუშაო ან ჯანმრთელობის მდგომარეობა, ან ამ ნაწილის IX თავის დებულებები დროებით განშორებას აუცილებელს ხდის. ინტერნირებულებს შეუძლიათ მოითხოვონ, რომ მათი შვილები, რომლებიც არ არიან ინტერნირებულნი და მოკლებული არიან მშობლების მზრუნველობას, ინტერნირებული იქნენ მათთან ერთად.

ყველა შესაძლო შემთხვევაში ერთი ოჯახის წევრები მოთავსდებიან ერთ შენობაში და სხვებისაგან განცალკევებით იცხოვრებენ, მათ შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ წარმართონ ოჯახური ცხოვრება.

#### თავი 11. ინტერნირების ადგილები

**მუხლი 83.** სახელმწიფო, რომლის ხელისუფლების ქვეშ არიან ინტერნირებულები, ინტერნირების ადგილებს არ განალაგებს თავდასხმის თვალსაზრისით სახიფათო რაიონებში.

სახელმწიფო, რომლის ხელისუფლების ქვეშ არიან ინტერნირებულები, მოწინააღმდეგე-მხარეს მფარველი სახელმწიფოს მეშვეობით აცნობებს ყველა მონაცემს ინტერნირების ადგილების გეოგრაფიული მონაცემების შესახებ.

ყოველ დროს, როცა ამის შესაძლებლობას იძლევა საომარი მდგომარეობა, ინტერნირების ბანაკები აღინიშნება ასოებით „IC“ ისე, რომ გარკვევით ჩანდეს ჰაერიდან. მაგრამ დაინტერესებული მხარეები შეიძლება შეთანხმდნენ აღნიშვნის სხვაგვარ წესზე. არც ერთი სხვა ობიექტი, გარდა ინტერნირებულთა ბანაკისა არ შეიძლება ამგვარად აღინიშნოს.

**მუხლი 84.** ინტერნირებულები სამხედრო ტყვეებისა და სხვა მიზეზით თავისუფლებადაკვეთილი პირებისაგან განცალკევებით თავსდებიან და აქვთ საკუთარი ადმინისტრაცია.

**მუხლი 85.** სახელმწიფო, რომლის ხელისუფლების ქვეშ არიან ინტერნირებულნი, ვალდებულია მიიღოს ყველა აუცილებელი და შესაძლო ზომა, რათა ინტერნირებული მფარველობის ქვეშ მყოფი პირნი განლაგდნენ ისეთ შენობებსა და ნაგებობებში, რომლებიც ჰიგიენის და ჯანმრთელობის შენარჩუნების თვალსაზრისით უზრუნველყოფენ საკმარისად დაცვას მკაცრი კლიმატური პირობების, ასევე საომარი მოქმედებებისაგან. ინტერნირების ადგილები არავითარ შემთხვევაში არ უნდა განლაგდეს არაჯანსაღ ადგილებში ან ისეთ ადგილებში, რომელთა კლიმატი მავნებელია ინტერნირებულებისათვის. იმ შემთხვევებში, როცა მფარველობის ქვეშ მყოფი პირნი დროებით არიან ჯანმრთელობისათვის მავნე ადგილებში, შესაძლებლობისთანავე უნდა მოხდეს მათი გადაყვანა ინტერნირების სხვა ადგილზე.

**მუხლი 86.** სახელმწიფო, რომლის ხელისუფლების ქვეშ არიან ინტერნირებულნი, მათი აღმსარებლობისაგან დამოუკიდებლად გამოყოფს შესაბამის შენობებს რელიგიური წესების აღსრულებისათვის.

**მუხლი 87.** ინტერნირების ადგილებში, იმ ადგილების გარდა, სადაც სხვა შესაძლებლობანი არსებობს, მოეწყობა ფარდულები ადგილობრივ საბაზრო ფასებზე არაუმეტესი ფასით პროდუქტის და თამბაქოს ჩათვლით, ყოველდღიური მოხმარების იმ საგნების გასაყიდად, რომლებიც გააუმჯობესებენ ინტერნირებულთა ყოფას.

ნაგებობები საკმარისად უნდა იყოს დაცული ნესტისაგან, კარგად უნდა თბებოდეს და ნათლებოდეს, განსაკუთრებით სიბნელის დადგომასა და სინათლის ჩართვის დადგენილ დროს შორის ინტერვალში, საძილე შენობები უნდა იყოს საკმარისად ფართო და კარგად უნდა ნიავედებოდეს, ინტერნირებულებს უნდა ჰქონდეთ საჭირო საძილე მოწყობილობანი, საკმარისი რაოდენობა საბნებისა. ამასთან, გასათვალისწინებელია კლიმატი, ინტერნირებულთა ასაკი, სქესი და ჯანმრთელობის მდგომარეობა.

ინტერნირებულის განკარგულებაში დღისით და ღამით იქნება სანიტარული დანადგარები, რომლებიც პასუხობენ ჰიგიენის წესებს და საპნის საკმარის რაოდენობას ყოველდღიური ტუალეტისა და თეთრეულის რეცხვისათვის, ამისათვის მათ დაეთმობათ საჭირო დანადგარები. ამას გარდა, მათთვის მოწყობილი უნდა იყოს საშხაპეები და აბანოები, ინტერნირებულებმა უნდა იზრუნონ დალაგების და ჰიგიენის დაცვისათვის.

იმ გამონაკლის შემთხვევებში, როცა ინტერნირებული მამაკაცების ბანაკში ათავსებენ ქალებს, რომლებიც არ არიან მათი ოჯახის წევრები, ქალებისათვის გამოყოფილი იქნება ცალკე საძინებლები და სანიტარული დანადგარები.

ფარდულების საქმიანობისაგან მიღებული მოგება შედის ინტერნირების ადგილებში შექმნილ დახმარების ფონდში და გამოიყენება ამ ადგილზე მცხოვრებ ინტერნირებულების ინტერესებისათვის. 102-ე მუხლის შესაბამისად შექმნილ ინტერნირებულთა კომიტეტს უფლება აქვს მეთვალყურეობა გაუწიოს ფარდულებში საქმის მიმდინარეობას და ფონდის გამოყენებას.

ინტერნირების რომელიმე ადგილის ლიკვიდაციის შემთხვევაში ფონდის თანხების ნარჩენი გადადის იმავე ეროვნების ინტერნირებულთა სხვა ბანაკში, ან თუ ასეთი ადგილი არ არსებობს, დახმარების ცენტრალურ ფონდში, რომელიც თანხებს გაანაწილებს მოცემულ სახელმწიფოს ხელისუფლების ქვეშ მყოფ ინტერნირებულთა შორის.

საყოველთაო გათავისუფლების შემთხვევაში მონაგები თანხა რჩება სახელმწიფოს, რომლის ხელისუფლების ქვეშ იმყოფებოდნენ ინტერნირებულები, თუ დაინტერესებულ მხარეებს შორის სხვა შინაარსის შეთანხმება არ არის.

**მუხლი 88.** ინტერნირების ყოველ ადგილზე საპაერო თავდასხმების და ომის სხვა საფრთხისაგან დაცვის უზრუნველყოფის მიზნით უნდა აშენდეს საკმარისი რაოდენობის თავშესაფრები. განგაშის შემთხვევაში ინტერნირებულები რაც შეიძლება სწრაფად მიემართებიან თავშესაფრებში, იმ პირობა გამოკლებით, რომლებიც იცავენ შენობებს, მოსახლეობის დაცვისათვის განხორციელებული ყველა ზომა თანაბრად ვრცელდება ინტერნირებულებზეც, ინტერნირების ადგილებში გატარდება ხანძარსაწინააღმდეგო ყველა ღონისძიება.



**მუხლი 89.** ინტერნირებულთა კვების დღიური ნორმა საკმარისი რაოდენობის და ხარისხის უნდა იყოს და იმდენად მრავალფეროვანი, რომ უზრუნველყოს მათი ჯანმრთელობის ნორმალური მდგომარეობის შენარჩუნება და ალკეითოს არასაკმარისი საკვებით გამოწვეული მოვლენები. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ინტერნირებულებისათვის ჩვეული კვების რეჟიმი.

გარდა ამისა, ინტერნირებულებს თავად შეუძლიათ მოიმზადონ კერძები მათ განკარგულებაში მყოფი პროდუქტებისაგან.

მათ ექნებათ საკმარისი რაოდენობის სასმელი წყალი. თამბაქოს მოწევა ნებადართული უნდა იყოს.

მომუშავე ინტერნირებულებს შეუძლიათ მიიღონ დამატებითი საკვები მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესაბამისად.

ორსულმა და მშობიარე ქალებმა, 15 წლის ასაკამდე ბავშვებმა უნდა მიიღონ დამატებითი საკვები მათი ფიზიოლოგიური მოთხოვნილებების შესაბამისად.

**მუხლი 90.** ინტერნირებულებს შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ დაკავების მომენტში მოიმარაგონ ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, საცვლები და შეიძინონ ისინი აუცილებლობის შემთხვევაში. თუ ინტერნირებულს კლიმატური პირობების შესაბამისი საკმარისი ტანსაცმელი არა აქვს და არ შეუძლია მისი შეძენა, სახელმწიფომ, რომლის ხელისუფლების ქვეშაც იმყოფება ეს პირი, უფასოდ უნდა უზრუნველყოს იგი.

ტანსაცმელი, რომლითაც სახელმწიფო უზრუნველყოფს ინტერნირებულებს, და მასზე დატანებული გარეგნული ნიშნები არ უნდა იყოს შეურაცხმყოფელი და არ უნდა იძლეოდეს დაცინვის საბაზს.

მომუშავეები შესასრულებელი სამუშაოს სპეციფიკის შესატყვის სამუშაო აღჭურვილობას და სპეცტანსაცმელს მიიღებენ.

#### თავი IV. ჰიგიენა და სამედიცინო დახმარება

**მუხლი 91.** ინტერნირების ყოველ ადგილს აქვს შესაბამისი ლაზარეთი კვალიფიციური ექიმის ხელმძღვანელობით, სადაც ინტერნირებულები იღებენ საჭირო დახმარებას და იმყოფებიან კვების შესაბამის რეჟიმზე. გადამდები სნეულებებით დაავადებულების და სულიერად ავადმყოფებისათვის შეიქმნება იზოლატორები.

მშობიარენი და ინტერნირებულნი, რომლებიც მძიმედ არიან დაავადებული ან რომელთა ჯანმრთელობის მდგომარეობა ითხოვს სპეციალურ მკურნალობას, ქირურგიულ ჩარევას ან ჰოსპიტალიზაციას, მიღებული იქნებიან ნებისმიერ დაწესებულებაში, სადაც შეიძლება მათ საჭირო მკურნალობა გაუწიონ, ისინი ადგილობრივი მოსახლეობის თანაბრად მიიღებენ შესაბამისი სახის სამედიცინო დახმარებას.

ინტერნირებულებს სამედიცინო დახმარებას გაუწევს უპირატესად, მათივე თანამოქალაქე სამედიცინო პერსონალი.

არ შეიძლება ხელი შეუშალოს ინტერნირებულს მიღებაზე მივიდეს სამედიცინო ხელისუფლებასთან, იმ ქვეყნის სამედიცინო ხელისუფლება, რომლის ძალაუფლების ქვეშ არიან ინტერნირებულები, ყოველ პირს მისი თხოვნის



საფუძველზე აძლევს ოფიციალურ ცნობებს. ცნობაში არის მონაცემები მესა-  
 ავადმყოფობის ან დაჭრის, მკურნალობის ხანგრძლივობის და მიღებული  
 მარების შესახებ, ამ ცნობის ასლი ეგზავნება 140-ე მუხლში მითითებულ ცენ-  
 ტრალურ სააგენტოს.

მკურნალობა, ასევე ჯანმრთელობის ნორმალური მდგომარეობის შენარჩუ-  
 ნებისათვის საჭირო დანადგარებით უზრუნველყოფა კბილის ან სხვა პრო-  
 თეზების და სათვალეების ჩათვლით, უფასოა.

**მუხლი 92.** ინტერნირებულთა სამედიცინო შემოწმება ჩატარდება თვეში  
 სულ ცოტა — ერთხელ, მათი მიზანია გამოკვლეული იქნეს ჯანმრთელობის, კვებ-  
 ბის და სისუფთავის ზოგადი მდგომარეობა, გამოვლინდეს გადაძვინები სნეულე-  
 ბანი, განსაკუთრებით — ტუბერკულოზი, ვენერიული დაავადებანი და მალა-  
 რიები. ამ შემოწმებებში შედის ყოველი ინტერნირებულის აწონვა და რენტგენ-  
 ნით გაშუქება წელიწადში სულ ცოტა — ორჯერ.

**თავი V. რელიგია, ინტელექტუალური და ფიზიკური მოღვაწეობა**

**მუხლი 93.** ინტერნირებულებს სრული თავისუფლება ენიჭებათ მათი აღმ-  
 სარებლობის შესაბამისი რიტუალების აღსრულებაში წირვებზე დასწრების  
 ჩათვლით იმ პირობით, რომ შესრულდება დისციპლინის დაცვის ხელისუფლე-  
 ბის მიერ დადგენილი წესები.

ინტერნირებულ სასულიერო პირს შეუძლია სრულად აღასრულოს თავისი  
 მოვალეობანი ერთმორწმუნეთა შორის. ამ მიზნით სახელმწიფო, რომლის ხე-  
 ლისუფლების ქვეშ არიან ინტერნირებულნი, იზრუნებს, რათა ისინი თანაბრად  
 განაწილდნენ ინტერნირების ადგილებში, სადაც არიან ერთსა და იმავე ენაზე  
 მოლაპარაკე და ერთი აღმსარებლობის ინტერნირებულები; როდესაც სასული-  
 ერო პირნი არასაკმარისი რაოდენობით არიან, სახელმწიფო შეუქმნის მათ სა-  
 თანადო პირობებს, კერძოდ — დაუთმობს სატრანსპორტო საშუალებებს, რათა  
 შეძლონ ადგილიდან ადგილზე გადასაცვლება, მათ უფლება აქვთ მოინახულონ  
 საავადმყოფოებში მყოფი ინტერნირებულნი. სასულიერო პირნი სარგებლობენ  
 ინტერნირების მომხდენი ქვეყნის სასულიერო ხელისუფლებასთან და რამდენა-  
 დაც ეს შესაძლებელია — მათი აღმსარებლობის საერთაშორისო რელიგი-  
 ურ ორგანიზაციებთან თავისუფალი მიმოწერის უფლებით. ეს მიმოწერა არ  
 ექვემდებარება 107-ე მუხლში მითითებულ ნორმას, მაგრამ მასზე ვრცელდება  
 112-ე მუხლის დებულებანი.

იმ შემთხვევაში, როცა ინტერნირებულნი ვერ სარგებლობენ მათი აღმსა-  
 რებლობის, სასულიერო პირის სულიერი დახმარებით ან იმ შემთხვევაში,  
 თუ ეს უკანასკნელი არასაკმარისად არიან, იმავე აღმსარებლობის სასულიე-  
 რო ხელისუფალთ ინტერნირების მომხდენი სახელმწიფოს თანხმობით შეუძ-  
 ლიათ დანიშნონ იმავე აღმსარებლობის ან თუ რელიგიური თვალსაზრისით  
 დასაშვებია, ანალოგიური აღმსარებლობის სასულიერო პირი ან მცოდნე სა-  
 მოქალაქო პირი. ეს უკანასკნელი სარგებლობს უპირატესობებით მასზე დაკის-  
 რებული მოვალეობების გამო. ამგვარად დანიშნულმა პირებმა უნდა შეასრუ-  
 ლონ დისციპლინის და უშიშროების ინტერესების დასაცავად დადგენილი ყვე-  
 ლა წესი, მიღებული ინტერნირების მომხდენი სახელმწიფოს მიერ.

**მუხლი 94.** სახელმწიფო, რომლის ხელისუფლების ქვეშ არიან ინტერნი-  
 რებულნი, წაახლისებს მათ ინტელექტუალურ, საგანმანათლებლო და სპორტულ

მოდვაწეობას, ასევე გართობას. ინტერნირებულებს შეუძლიათ მიიღონ ან არ მიიღონ მონაწილეობა ამგვარ მოღვაწეობაში. სახელმწიფომ ამგვარი მოღვაწეობა უნდა უზრუნველყოს ყველა აუცილებელი საშუალებით და კერძოდ — შენობებით.

ინტერნირებულები ისარგებლებენ შეღავათებით, რათა გააგრძელონ შეწყვეტილი სწავლის კურსი ან დაიწყონ ახალი უზრუნველყოფილი უნდა იყოს ბავშვების და მოზარდების სწავლება, მათ შეუძლიათ სკოლებში იარონ ინტერნირების ბანაკებში ან მათ ფარგლებს გარეთ.

ინტერნირებულებს შესაძლებლობა ექნებათ მისდიონ სპორტს, შეასრულონ სპორტული ვარჯიშები ან თამაშები სუფთა ჰაერზე, ამ მიზნით ინტერნირების ყველა ბანაკში გამოყოფილი იქნება საკმარისი ზომის მოედნები, მოზარდების და ბავშვებისათვის გამოყოფილი იქნება სპეციალური ნაკვეთები. e


**მუხლ 95.** სახელმწიფოს, რომლის ხელისუფლების ქვეშ არიან ინტერნირებულები, შეუძლია მათი გამოყენება სამუშაოზე. მათი სურვილის თანახმად ნებისმიერ შემთხვევაში. იკრძალება სამუშაო, რომელიც, თუ მას შეასრულებდნენ არაინტერნირებული მფარველობის ქვეშ მყოფი პირნი წარმოადგენს ამ კონვენციის 49-ე და 51-ე მუხლების დარღვევას, ასევე დამამცირებელი და შეურაცხყოფელი სამუშაოს შესრულება.

6 კვირის მუშაობის შემდეგ ინტერნირებულს შეუძლია ნებისმიერ დროს შეწყვიტოს მუშაობა და ამის შესახებ აცნობოს 8 დღით ადრე.

ეს დებულებანი ხელს არ შეუშლის ინტერნირების მომხდენ სახელმწიფოს აიძულოს ინტერნირებული ექიმები, კბილის ექიმები და სანიტარული პერსონალის სხვა წევრები შეასრულონ თავიანთი მოვალეობანი სხვა ინტერნირებულთა სასარგებლოდ; გამოიყენონ ინტერნირებულნი ბანაკების მოვლასა და მოწესრიგებასთან დაკავშირებულ სამუშაოებზე; შეასრულებინონ მათ სამზარეულო ან სხვა სამეურნეო სამუშაოები და ბოლოს, გამოიყენონ ისინი დაბომბვისა და ომის სხვა საფრთხეთაგან თავდაცვით სამუშაოებში, მაგრამ არც ერთმა ინტერნირებულმა იძულებით არ უნდა შეასრულოს სამუშაო, რომლისთვისაც ადმინისტრაციის მიერ დანიშნული ექიმის დასკვნით ის გამოუსადეგარა.

ინტერნირების მომხდენი სახელმწიფო თავის თავზე იღებს სრულ პასუხისმგებლობას მუშაობის პირობებისთვის, სამედიცინო დახმარებისთვის, ხელფასის, ასევე იმის უზრუნველყოფისათვის, რომ ინტერნირებულნი, დაცული იყვნენ სამუშაოზე უბედური შემთხვევებისაგან, დაშვებისა და პროფესიონალური დაავადებებისაგან, სამუშაო პირობები, უბედური შემთხვევებისა და პროფესიონალური დაავადებებისათვის კომპენსაცია უნდა შეესაბამებოდეს ეროვნულ კანონმდებლობას და არსებულ პრაქტიკას. ხელფასი დადგინდება ინტერნირებულისა და სახელმწიფოს შორის სპეციალური შეთანხმების თანახმად, სამართლიანად; საჭიროების შემთხვევაში — სახელმწიფოს გარდა სხვა სამუშაოს მიმცემებთან შეთანხმებებითაც ამასთან გათვალისწინებული უნდა იყოს ის ფაქტი, რომ ინტერნირების მომხდენი ქვეყანა, მათ არსებობას და სამედიცინო დახმარებას უზრუნველყოფს უფასოდ. ინტერნირებულები, რომლებიც მუდმივად ასრულებენ ამ მუხლის მეცამე აბზაცში მითითებულ სამუშაოებს, მიიღებენ ხელფასს მათი მუშაობის პირობები, კომპენსაციის მოცულობა სამუშაოზე დაშვების და პროფესიონალური დაავადების გამო არ უნდა იყოს უფრო ცუდი და ნაკლები, ვიდრე მოცემულ რაიონში ანალო-





გიურ სამუშაოებზე დაკავებული პირების მუშაობის პირობები და კომპლექსური მოვლის მოცულობა.

**მუხლი 96.** ყოველი სამუშაო რაზმი ეკუთვნის ინტერნირების რომელიმე ადგილს. ინტერნირების მომხდენი სახელმწიფოს შესაბამისი ხელისუფალნი და მოცემული ბანაკის კომენდანტი პასუხს აგებენ სამუშაო რაზმებში მოცემული კონვენციის დებულებათა დაცვაზე. კომენდანტს წესრიგში უნდა ჰქონდეს მის გამგებლობაში მყოფი სამუშაო რაზმების სიმრავლე და დაეცემა იგი მფლობელ სახელმწიფოს, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტს და სხვა შემადგენელ ტარული ორგანიზაციების წარმომადგენლებს ინტერნირების ბანაკში ჩასვლის დროს.

**თავი VI. პირადი ქონება და ფულადი სახსრები**

**მუხლი 97.** ინტერნირებულებს შეუძლიათ დაიტოვონ პირადი მონძარების საგნები. ფულადი სახსრების, ჩეკების, ფასიანი ქაღალდების და სხვა ასევე ძვირფასი ნივთების ჩამორთმევა შეიძლება მხოლოდ დადგენილი პროცედურის თანახმად. ამის შესახებ გაიცემა დაწვრილებითი ხელწერილი ფულადი სახსრები ჩაირიცხება ინტერნირებულის პირად ანგარიშზე 98-ე მუხლის თანახმად. არ შეიძლება მათი გაცემა სხვა ვალუტაზე მფლობელის თანხმობის გარეშე, თუ მას არ ითხოვს მოცემულ ტერიტორიაზე მოქმედი კანონმდებლობა.

სუბიექტური ფასეულობის ან მოსაგონარი ნივთების ჩამორთმევა აკრძალულია.

ინტერნირებულნი ქალების ჩხრეკას ახდენს მხოლოდ ქალი. გათავისუფლების ან რეპატრაციის შემთხვევაში ინტერნირებული ხელზე იღებს ფულს, რომელიც მის სახელზე გახსნილი პირადი ანგარიშის საკრედიტო სალდოა, ასევე მიიღებს ინტერნირების მომენტში ჩამორთმეულ ფულს, ჩეკებს, ფასიან ქაღალდებს და სხვა. გამონაკლისს შეადგენს საგნები ან ძვირფასეულობა, რომელიც მოქმედი კანონმდებლობით ინტერნირების მომხდენ სახელმწიფოს უნდა დარჩეს. როდესაც ინტერნირებულის კუთვნილი ქონება დაკავებულია, ამის შესახებ მფლობელი მიიღებს დაწვრილებით ინფორმაციას.

საოჯახო დოკუმენტები და პირადობის მოწმობები, რომლებიც ხელზე აქვთ ინტერნირებულებს, ჩამოერთმევა მხოლოდ ხელწერილით. ინტერნირებული არავითარ შემთხვევაში არ უნდა დარჩეს პირადობის მოწმობის გარეშე. მათ ვისაც პირადობის მოწმობა არა აქვთ, ხელისუფლება ურიგებს განსაკუთრებულ მოწმობებს, რომლებიც ინტერნირების დასასრულამდე ცვლის პირადობის მოწმობებს.

ინტერნირებულებს შეიძლება ხელზე ჰქონდეთ გარკვეული რაოდენობის ფულადი თანხა ნაღდად ან შესასყიდი ტალონების სახით.

**მუხლი 98.** ყველა ინტერნირებული რეგულარულად მიიღებს სურსათის ან ისეთი საგნების, როგორცაა — თამბაქო, ტუალეტის საგნები და სხვ. შესაძენად საჭირო თანხას კრედიტის ან შესასყიდი ტალონების სახით.

გარდა ამისა, ინტერნირებულებმა შეიძლება დახმარება მიიღონ სახელმწიფოსაგან, რომლის მოქალაქეებიც არიან, მფარველი სახელმწიფოსაგან, ყოველგვარი დამხმარე ორგანიზაციის ან თავიანთი ოჯახებისაგან, ასევე შეიძლება მიიღონ შემოსავალი თავიანთი ქონებიდან ინტერნირების მომხდენი სახელმწიფოსაგან.

ფოს კანონმდებლობის თანახმად. დახმარებათა მოცულობა, რომელსაც ეგუბანის სახელმწიფო, რომლის მოქალაქენიც არიან ინტერნირებულნი, ეკუთვნის უნდა იყოს ყველა კატეგორიის ინტერნირებულისათვის (ინვალიდები, ავადყოფნები, ორსული ქალები და ა. შ.). ამ სახელმწიფოს მიერ დადგენილი დახმარების მოცულობა, ასევე მისი განაწილება ინტერნირების მომხდენი სახელმწიფოს მიერ არ უნდა ხდებოდეს დისკრიმინაციის საფუძველზე, რასაც კრძალავს ამ კონვენციის 27-ე მუხლი.

ინტერნირების მომხდენი სახელმწიფო ყოველი ინტერნირებულის სახელზე ხსნის პირად ანგარიშს, ანგარიშის კრედიტში შედის მოცემულ მუხლში მითითებული გადასახადები, ხელფასი, ასევე მის სახელზე გადმორიცხული თანხები, ჩამორთმეული თანხა, რომლითაც შეუძლია ისარგებლოს მოცემულ ტერიტორიაზე მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, ინტერნირებულებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად საშუალება ექნებათ ფულადი დახმარება გაუგზავნონ ოჯახებს და მათზე მატერიალურად დამოკიდებულ პირებს.

ინტერნირების მომხდენი სახელმწიფოს მიერ დაწესებულ თანხას ხელზე იღებენ პირადი ხარჯებისათვის. ნებისმიერ დროს შესაძლებლობა ექნებათ გაეცნონ თავიანთი ანგარიშების მდგომარეობას და მიიღონ ამონაწერები. ანგარიშების მდგომარეობას მათი თხოვნით გაეცნობა მფარველი სახელმწიფო. ინტერნირებულს სხვა ადგილზე გადასვლისას თან მიაქვს ანგარიში.

## თავი VII. ხელმძღვანელობა და დისციპლინა

**მუხლი 99.** ინტერნირების ყოველ ადგილს სათავეში უდგას ოფიცერი ან პასუხისმგებელი თანამდებობის პირი რეგულარული შეიარაღებული ძალების შემადგენლობიდან ან იმ სახელმწიფოს სამოქალაქო ადმინისტრაციის კადრებიდან, რომლის ხელისუფლების ქვეშ არიან ინტერნირებულები. ინტერნირების ადგილის ხელმძღვანელ ოფიცერს ან თანამდებობის პირს აქვს ამ კონვენციის ტექსტი ოფიციალურ ან ერთ-ერთ ოფიციალურ ენაზე და პასუხს აგებს მისი შესრულებისათვის. ზედამხედველი პერსონალი უნდა გაეცნოს კონვენციის დებულებებს და მისი გამოყენების წესებს.


მოცემული კონვენციის ტექსტი, ასევე მოცემული კონვენციის შესაბამისად დადებული სპეციალური შეთანხმებების ტექსტები, დაწერილია ინტერნირების ბანაკის გამოსაჩენ ადგილზე ან ექნება ინტერნირებულთა კომიტეტს.

ინტერნირებულთ მათთვის გასაგებ ენაზე ეცნობებათ ყოველგვარი წესები, ბრძანებები, განცხადებები და შეტყობინებები. ისინი გამოიკვრება თვალსაჩინო ადგილზე.

ცალკეულ პირს ყოველგვარ ბრძანებას და განკარგულებას მისცემენ მისთვის გასაგებ ენაზე.

**მუხლი 100.** დისციპლინა ინტერნირების ადგილებში უნდა შეესაბამებოდეს ჰუმანიზმის პრინციპებს და არავითარ შემთხვევაში არ უნდა მოიცავდეს წესებს, რომლებიც ინტერნირებულებისაგან მოითხოვს მათი ჯანმრთელობისათვის სახიფათო ფიზიკურ დაძაბულობას, წარმოადგენს ფიზიკურ ან მორალურ დაცინვას; იკრძალება ტატუირება ან დაშანთვა, სხვა ამოსაცნობი ნიშნების დადება სხეულზე.

იკრძალება, ინტერნირებულნი დიდი ხნის განმავლობაში იძულებით დააყენონ ფეხზე, ხანგრძლივად აწარმოებინონ გადაძაბილი, ფიზიკურად ავარჯიშონ



დასჯის მიზნით, ატარებინონ სამხედრო წვრთნა, შეუზღუდონ საკვები.

**მუხლი 101.** ინტერნირებულთ უფლება აქვთ ხელისუფალთ მიმართონ მთელი მუხლი შეამდგომლობით დადგენილი რეჟიმის თაობაზე.

მათ უფლება აქვთ ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე ინტერნირებულთა კომიტეტის მეშვეობით ან თუ საჭიროდ თვლიან, უშუალოდ მიმართონ მფარველი სახელმწიფოს წარმომადგენლებს და აცნობენ მათ ინტერნირების რომელი პირობებისადმი აქვთ საჩივარი.

ეს შეამდგომლობანი და საჩივრები გადაეცემა სასწრაფოდ და უცვლელად. თუნდაც ისინი მიჩნეულ იქნეს დაუსაბუთებლად, ამას არ უნდა მოჰყვეს დასჯა.

ინტერნირებულთა კომიტეტს შეუძლია მფარველი სახელმწიფოს წარმომადგენლებს პერიოდულად გაუგზავნოს მოხსენება ინტერნირების ადგილებში არსებული მდგომარეობის და ინტერნირებულთა საჭიროებების შესახებ.

**მუხლი 102.** ინტერნირების ყოველ ადგილზე თავისუფალი, ფარული კენჭისყრით ყოველ 6 თვეში ერთხელ ირჩევენ კომიტეტის წევრებს, კომიტეტი ინტერნირებულებს წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლების, მფარველი სახელმწიფოს, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის და ყველა სხვა დამხმარე ორგანიზაციის წინაშე. შეიძლება ამ კომიტეტის წევრთა გადაარჩევა.

არჩეულნი თავიანთი მოვალეობების აღსრულებას შეუდგებიან მას შემდეგ, რაც მათ არჩევენ დაამტკიცებს ინტერნირების განმახორციელებელი ხელისუფლება, კომიტეტის წევრთა დამტკიცებაზე ან შეცვლაზე უარის შემთხვევაში მიზეზები უნდა ეცნობოს დაინტერესებულ მფარველ სახელმწიფოს.

**მუხლი 103.** ინტერნირებულთა კომიტეტმა ხელი უნდა შეუწყოს ინტერნირებულთა ფიზიკურ, მორალურ და ინტელექტუალურ კეთილდღეობას.


კერძოდ, თუ ინტერნირებულნი გადაწყვეტენ შექმნან ურთიერთდამხმარების ორგანიზაციები, ისინი მოექცევა კომიტეტის გამგებლობაში და კომიტეტი ამ მოვალეობასაც აღასრულებს კონვენციით დაკისრებული სხვა მოვალეობების გარდა.

**მუხლი 104.** ინტერნირებულთა კომიტეტის წევრებს იძულებით არ უნდა შეასრულებინონ სამუშაო, რომელიც დააბრკოლებს მათი ძირითადი ფუნქციების აღსრულებას.

კომიტეტის წევრებს შეუძლიათ ინტერნირებულთა რიცხვიდან აირჩიონ დამხმარეები. მათ ექნებათ ყველა პრაქტიკული საშუალება, მათ შორის — გადაადგილების გარკვეული თავისუფლება, რათა შეასრულონ მოვალეობანი (სამუშაო რაზმების მონახულება, ტვირთის მიღება და სხვ.).

კომიტეტის ყველა წევრს თანაბარი უფლება ექნება აწარმოოს საფოსტო და სატელეგრაფო მიმოწერა ინტერნირების მომხდენ სახელმწიფოსთან, მფარველ სახელმწიფოსთან, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტთან და მათ წარმომადგენლებთან, ასევე ინტერნირებულთა დამხმარე ორგანიზაციებთან. სამუშაო რაზმების კომიტეტთა წევრები იგივე შეღავათებით სარგებლობენ ინტერნირების ძირითადი ადგილის კომიტეტთან მიმოწერის დროს, ამ მიმოწერისათვის არ არის დაწესებული არავითარი შეზღუდვა და იგი არ შედის 107-ე მუხლით დაწესებულ ნორმაში.

კომიტეტის არც ერთი წევრის სხვა ადგილზე გადაყვანა არ შეიძლება, თუ მას არ ექნება სათანადო დრო, რათა საქმის კურსში შეიყვანონ შემცვლელი.



**მუხლი 105.** მფარველობის ქვეშ მყოფ პირთა ინტერნირების ხელშეწყობები, რომლის ხელისუფლების ქვეშ ისინი არიან, აცნობებენ ამ პირებს, სახელმწიფოებს, რომლის მოქალაქეებიც ისინი არიან, და მფარველ სახელმწიფოს ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გათვალისწინებულია ამ თავის დებულებათა შესასრულებლად, ისინი დაინტერესებულ მხარეებს აცნობებენ ამ ღონისძიებებში შეტანილი ყოველგვარი ცვლილებების შესახებ.

**მუხლი 106.** ყოველი ინტერნირებულის დაკავების მომენტიდან ან ბანაკში მისვლიდან არა უგვიანეს, ერთი კვირის ვადაში, ასევე ავადმყოფობის გამო რომელიმე საავადმყოფოში გაგზავნის ან ინტერნირების სხვა ადგილზე გადაყვანის შემთხვევაში შესაძლებლობა აქვს ერთის მხრივ ოჯახს, მეორეს მხრივ— 140-ე მუხლით გათვალისწინებულ ცენტრალურ სააგენტოს გაუგზავნოს ბარათი-შეტყობინება ინტერნირების შესახებ; თუ შესაძლებელია, ბარათი-შეტყობინება შედგენილი უნდა იყოს მოცემულ კონვენციასზე დართული ნიმუშის მიხედვით\*.

**მუხლი 107.** ინტერნირებულებს ნებადართული აქვთ გააგზავნონ და მიიღონ წერილები და საფოსტო ბარათები. ინტერნირების მომხდენმა სახელმწიფომ შეიძლება შეეცადოს ჩათვალს შეზღუდოს ყოველი ინტერნირებულის მიერ გაგზავნილი წერილების და საფოსტო ბარათების რაოდენობა, დაშვებული უნდა იყოს ოვეში სულ ცოტა ორი წერილის და ოთხი ბარათის გაგზავნა. წერილი და ბარათი შესაძლებლობის მიხედვით შედგენილი უნდა იყოს ამ კონვენციასზე დართული ნიმუშების მიხედვით.\*\*

ინტერნირებულებს, რომელთაც დიდი ხანია არ მიუღიათ ცნობები თავიანთი ოჯახიდან ან საშუალება არა აქვთ მიიღონ შეტყობინება, ან დიდი მანძილით არიან დაშორებული ახლობლებს, არ შეუძლიათ ჩვეულებრივი საშუალებით გაგზავნონ შეტყობინება, ნებადართული აქვთ გაგზავნონ დეპეშები იმ პირობით, რომ გადაიხადონ საფასური იმ ვალუტით, რომელიც ხელზე აქვთ მათ შეუძლიათ ამ უპირატესობით ისარგებლონ იმ შემთხვევებშიც, როცა საკითხი გადაუდებელია.

ოგორც წესი, ინტერნირებულები კორესპონდენციას აწარმოებენ მშობლიურ ენაზე. კონფლიქტში მყოფმა მხარეებმა შეიძლება ნება დართონ მიმოწერის სხვა ენებზე წარმოებას.

**მუხლი 108.** ინტერნირებულებს შეუძლიათ ფოსტით ან სხვა საშუალებით

\* (ბარათის ფორმა მოყვანილი არ არის, იხ. კრებული, გამოშვება XVI, გვ. 276). ბარათში უნდა იყოს მონაცემები ინტერნირების და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, ასევე მისი მისამართი, ეს ბარათები გადაიგზავნება სასწრაფოდ, არავითარ შემთხვევაშიც არ შეიძლება მათი დაბრკოლება.

\*\* (წერილის და ბარათის ნიმუში მოყვანილი არ არის, იხ. იქვე, გვ. 277-278), თუ საჭიროა შეზღუდოს ინტერნირებულის სახელზე გამოგზავნილი კორესპონდენცია, შეზღუდვას აწარმოებს სახელმწიფო, რომლის მოქალაქეებიც არიან ინტერნირებულები. ზოგ შემთხვევაში ეს ხდება ინტერნირების მომხდენი სახელმწიფოს თხოვნით. აღნიშნული წერილები და ბარათები იგზავნება ჩვეულებრივი სისწრაფით, არ შეიძლება მათი დაკავება ან აღრესატისთვის ჩაბარების შეფერხება ვიცეკონის დაცვის მოსაზრებით.

მიიღონ ინდივიდუალური ან კოლექტიური ამანათები. ამანათებში შეიძლება იყოს კვების პროდუქტები, ტანსაცმელი, მედიკამენტები, ასევე მათი რელიგიური მოთხოვნების საგნები განათლების ან გართობისათვის საჭირო წიგნები, ან საგნები. ეს ამანათები არავითარ შემთხვევაში არ ათავისუფლებს ინტერნირების მომხდენ სახელმწიფოს მასზე ამ კონვენციით დაკისრებული ვალდებულებებისაგან.

თუ საომარი პირობების გამო აუცილებელია ამგვარი ამანათების გაგზავნის შეზღუდვა, შეტყობინება აღნიშნულის შესახებ გაეგზავნება მფარველ სახელმწიფოს, წითელი ჯვრის, საერთაშორისო კომიტეტს ან ინტერნირებულთა დამხმარე სხვა ორგანიზაციებს, რომელთაც ექისრებათ ამ ამანათების გადაგზავნა.

საჭიროების შემთხვევაში ინდივიდუალური და კოლექტიური ამანათების გაგზავნის რიგითობა დადგინდება დაინტერესებულ მხარეთა სპეციალური შეთანხმებით. მათ არავითარ შემთხვევაში არ უნდა შეაფერხონ სამხედრო ტყვეთა დასახმარებლად გამოგზავნილი ამანათების მიღება, არ შეიძლება წიგნების ჩადება პროდუქტებთან და ტანისამოსთან ერთად. სანიტარული საქონელი როგორც წესი, იგზავნება კოლექტიური ამანათებით.

**მუხლი 109.** როდესაც კონფლიქტში მყოფი მხარეები სპეციალურად არ შეთანხმებულან კოლექტიური ამანათების მიღების და განაწილების თაობაზე, გამოყენებული იქნება ამ კონვენციაზე დამატების სახით დართული წესები კოლექტიური ამანათების შესახებ\* (წესები მოყვანილი არ არის, იხ. კრებული, გამომშვება XVI, გვ. 274-275).

ზემოხსენებული სპეციალური შეთანხმებები არავითარ შემთხვევაში არ ზღუდავენ ინტერნირებულთა კომიტეტების უფლებას მიიღონ ინტერნირებულთა სახელზე გამოგზავნილი კოლექტიური ამანათები, გაანაწილონ ისინი და გამოიყენონ მიმღებ პირთა ინტერესებისათვის.

ასევე არ იზღუდება კოლექტიური ამანათების განაწილებაზე მფარველი სახელმწიფოს, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის ან ინტერნირებულთა დამხმარე ნებისმიერი სხვა ორგანიზაციის მხრივ კონტროლის უფლება, როცა მათი წარმომადგენლები პასუხისმგებელი არიან აღნიშნული ამანათების გადაცემაზე.

**მუხლი 110.** ინტერნირებულთათვის განკუთვნილი დახმარების ამანათები თავისუფლდება საბაჟო ბეგარის და სხვა გადასახადებისაგან.

ყველა საფოსტო გზავნილი, დახმარების ამანათების ჩათვლით, რომელიც იგზავნება ფოსტით, ასევე სხვა ქვეყნებიდან მათ სახელზე გადაარიცხული ფულადი თანხები ან უშუალოდ ფოსტით გაგზავნილი ფული, 136-ე მუხლში მითითებულ ცნობათა ბიუროს და 140-ე მუხლით მითითებულ ცენტრალურ ცნობათა სწავგენტოს მეშვეობით, თავისუფლდება ყოველგვარი საფოსტო გადასახადისაგან როგორც გამგზავნ, ისე მიმღებ და შუალედურ ქვეყნებში. ამ მიზნით 1947 წლის მსოფლიო საფოსტო კონვენციით და მსოფლიო საფოსტო კავშირის ხელშეკრულებებით გათვალისწინებული გათავისუფლება საფოსტო გადასახადებისაგან ბანკებსა და სამოქალაქო ციხეებში მყოფი მოწინააღმდეგის სამოქალაქო პირებისა, გავრცელდება მოცემულ კონვენციაში მითითებულ ყველა კატეგორიის ინტერნირებულ მფარველობის ქვეშ მყოფ პირზე. ქვეყნები, რომლებიც მითითებული ხელშეკრულებების წევრები არ არიან, ვალდებულ-

ნი არიან იმავე პირობებით განხორციელონ საფოსტო გადასახადებისაგან გათავისუფლება.

ინტერნირებულებისათვის განკუთვნილი დახმარების ამანათების გაგზავნის ხარჯებს, რომლებიც თავიანთი წონის ან რაიმე სხვა მიზეზის გამო ვერ იგზავნება ფოსტით, იღებს ინტერნირების მომხდენი სახელმწიფო თავისი კონტროლის ქვეშ მყოფ მთელ ტერიტორიაზე. კონვენციის მონაწილე სხვა ქვეყნები იხდიან ხარჯებს თავიანთ ტერიტორიაზე ამანათების გადაგზავნისათვის.

იმ ტვირთის გადაგზავნა, რომელიც არ ხვდება წინა აბზაცების მოქმედებაში, ანაზღაურებული იქნება გამგზავნის მიერ.

მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეები შეეცდებიან შეძლებისამებრ შეამცირონ ინტერნირებულთა მიერ გაგზავნილი ან მათთვის განკუთვნილი დეპეშებისათვის ტარიფები.

**მუხლი 111.** იმ შემთხვევებში, როცა საომარი ოპერაციები ხელს უშლის დაინტერესებულ მხარეებს 106, 107, 108 და 113-ე მუხლებში მითითებული მათი ვალდებულებების შესრულებას, დაინტერესებული მფარველი სახელმწიფოები, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი ან კონფლიქტში მყოფი მხარეების მიერ აღიარებული ნებისმიერი სხვა ორგანიზაცია კისრულობს ამ ამანათების გადაგზავნას შესაბამისი სატრანსპორტო საშუალებებით (ვაგონები, საბარგო ავტომანქანები, გემები, თვითმფრინავები და ა. შ.), ამ მიზნით მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეები ცდილობენ გამოყონ სატრანსპორტო საშუალებები და დააწესონ მათი მოძრაობა სპეციალური საშვის მეშვეობით.

ამავე სატრანსპორტო საშუალებებმა შეიძლება გადაიტანონ:

a) კორესპონდენცია, სიები და მოხსენებები; რომლებსაც ცვლიან 140-ე მუხლში მოხსენებული ცნობათა ცენტრალური სააგენტო და 136-ე მუხლში მოხსენებული ეროვნული ბიურო;

b) ინტერნირებულთა შესახებ კორესპონდენცია და მოხსენება, რომლებსაც ცვლიან მფარველი სახელმწიფოები; წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი ან ინტერნირებულთა დამხმარე ნებისმიერი ორგანიზაცია როგორც თავის წარმომადგენლებთან, ისე კონფლიქტში მყოფ მხარეებთან.

მოცემული დებულებანი არ ზღუდავს კონფლიქტში მყოფი ნებისმიერი მხარის უფლებას გამოიყენოს ტრანსპორტირების სხვა საშუალებები ან გასცეს საშვი ორმხრივი შეთანხმებებით დადგენილი პირობების დაცვით.


სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებასთან დაკავშირებულ ხარჯებს გაგზავნილი ამანათების ღირებულების პროპორციულად გაიღებენ კონფლიქტში მყოფი მხარეები, რომელთა მოქალაქეებსაც უწევს დახმარებას.

**მუხლი 112.** ინტერნირებულებისათვის განკუთვნილი ან მათ მიერ გაგზავნილი კორესპონდენციის ცენზურა უნდა მოხდეს უმოკლეს დროში.

ინტერნირებულებისათვის გამოგზავნილი ამანათების დათვალიერება ხდება ისეთ პირობებში, რომ არ გაფუჭდეს მასში შემავალი პროდუქტები, დათვალიერებას ესწრება ადრესატი ან მის მიერ უფლებამოსილი მეგობარი. ინტერნირებულებისათვის ინდივიდუალური ან კოლექტიური ამანათების გადაცემა არ უნდა შეაფერხოს ცენზურამ.

კონფლიქტში მყოფი მხარეების მიერ სამხედრო ან პოლიტიკური მიზეზებით შემოღებული კორესპონდენციის ნებისმიერი სახის აკრძალვა შეიძლება იყოს დროებითი და მისი ვადა უნდა იყოს რაც შეიძლება ხანმოკლე.

**მუხლი 113.** ინტერნირების მომხდენი სახელმწიფოები უზრუნველყოფენ



მფარველი სახელმწიფოს ან 140-ე მუხლში მითითებული ცენტრალური სააგენტოს, ან სხვა შესაბამისი საშუალებით ინტერნირებულთათვის განკუთვნილ მათ მიერ შედგენილი ანდერძების, მინდობილობების და სხვა სახის დოკუმენტების გადაგზავნას.

ინტერნირების მომხდენი სახელმწიფოები ყველა შემთხვევაში დაეხმარებიან ინტერნირებულებს ამგვარი დოკუმენტების სათანადოდ შედგენასა და დამოწმებაში, კერძოდ, ნებას დართავენ მიიღონ კონსულტაცია იურისტისაგან.

**მუხლი 114.** სახელმწიფო, რომლის ხელისუფლების ქვეშ იმყოფებიან ინტერნირებულები, აძლევს მათ ინტერნირების პირობების და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ყველა შეღავათს, რათა მათ განაგონ თავიანთი ქონება, ამისათვის შესაძლებლობა ექნებათ აუცილებლობის შემთხვევაში, თუ ეს დასაშვებია არსებული გარემოებებით, გავიდნენ ინტერნირების ადგილის ფარგლებს გარეთ.

**მუხლი 115.** ყველა შემთხვევაში, როცა ინტერნირებული სასამართლოში ერთ-ერთი მხარეა, მისი მოთხოვნის საფუძველზე სახელმწიფომ, რომლის ხელისუფლების ქვეშ ეს პირია, უნდა აცნობოს სასამართლოს მისი დაკავების შესახებ. მან კანონიერების ფარგლებში თვალი უნდა ადევნოს, რომ არ დაზიანდეს მისი საქმის მომზადება და წარმართვა ან ნებისმიერი სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება მითითებული პირის ინტერნირების გამო.

**მუხლი 116.** ყოველ ინტერნირებულს ნებადართული აქვს დროის გარკვეული ინტერვალის შემდეგ და შესაძლებლობის მიხედვით, რამდენადაც შეიძლება ხშირად მოინახულოს პირველ რიგში, უახლოესი ნათესავები.

უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში და შესაძლებლობის ფარგლებში, განსაკუთრებით ერთ-ერთი ნათესავის გარდაცვალების ან მძიმე ავადმყოფობის შემთხვევაში, დაინტერესებულ პირს ნებას დართავენ ეწვიოს თავის ოჯახს.

### თავი IX. სისხლის სამართლის და დისციპლინური სასჯელები

**მუხლი 117.** ამ თავის დებულებათა გათვალისწინებით იმ ტერიტორიის კანონმდებლობა, რომელზეც იმყოფებიან ინტერნირებულები, გამოყენებული იქნება ინტერნირებულთა მიმართ, რომელთაც ჩაიდინეს სამართალდარღვევა.

თუ კანონებში, დადგენილებებსა ან განკარგულებებში მითითებულია, რომ ინტერნირებულის მიერ ჩადენილი ქმედება ისჯება, მაშინ როცა ანალოგიური ქმედებისათვის არაინტერნირებულნი არ ისჯებიან აღნიშნულ ქმედებებისათვის, ინტერნირებული დაისჯება მხოლოდ ადმინისტრაციული წესით. ერთი და იგივე სამართალდარღვევისათვის ერთი და იგივე ინტერნირებული ისჯება მხოლოდ ერთხელ.

**მუხლი 118.** სასჯელის განსაზღვრისას სასამართლოები და ხელისუფალნი მხედველობაში მიიღებენ იმ ფაქტს, რომ ბრალდებული არ არის ინტერნირების მომხდენი ქვეყნის მოქალაქე. ისინი თავისუფალნი არიან არჩევანში — შეარბილონ თუ არა ჩადენილი სამართალდარღვევისათვის გათვალისწინებული სასჯელი, არ არიან ვალდებული გამოიტანონ ამ სასჯელის მინიმუმი.

იკრძალება პატიმართა მოთავსება ადგილებში, სადაც არ არის დღის შუქი, ასევე ყოველგვარი სახის სისასტიკის გამოყენება.

ინტერნირებულს დისციპლინური ან სისხლის სამართლის დანაშაულისათ-

ვის სასჯელის მოხდის შემდეგ ექცევიან ისე, როგორც სხვა ინტერნირებულებს.

წინასწარი პატიმრობის პერიოდი ყველა შემთხვევაში სისხლის სამართლის ან დისციპლინური წესით დადებული სასჯელით გათვალისწინებული თავისუფლების აღკვეთის ვადაში შედის.

ინტერნირებულთა კომიტეტებს ეცნობებათ იმ ინტერნირებულთა მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმეთა და მათი შედეგების შესახებ, რომელთა რწმუნებულებაც წარმოადგენენ.

**მუხლი 119.** ინტერნირებულები შეიძლება დისციპლინური წესით დასაჯონ შემდეგნაირად:

1) ჯარიმის გადახდევინება. ჯარიმა არ უნდა აღემატებოდეს 95-ე მუხლით გათვალისწინებულ ზღვრის 50-%-ს, დაჯარიმების ვადა სულ დიდი — 30 დღეა;

2) ჩამოერთვათ უპირატესობები, რომლებიც აჭარბებს ამ კონვენციით დადგენილ უპირატესობებს;

3) რიგგარეშე განაწესები დღეში არაუმეტეს 2 საათისა, დაკავშირებული ბანაკის მოვლის სამუშაოებთან;

4) დაპატიმრება.

დისციპლინური სასჯელი არ უნდა იყოს არაადამიანური, სასტიკი ან ინტერნირებულის ჯანმრთელობისათვის საშიში. სასჯელის განსაზღვრისას გასათვალისწინებელია ასაკი, სქესი და ჯანმრთელობის მდგომარეობა.

ერთი და იგივე სასჯელის მაქსიმალური ვადა არასოდეს არ უნდა აღემატებოდეს 30 კალენდარულ დღეს იმ შემთხვევაშიც, როცა სასჯელის გამოტანის მომენტისათვის ინტერნირებულს უკვე დადებული ჰქონდა დისციპლინური სასჯელი რაიმე დარღვევების გამო, დამოუკიდებლად იმისაგან, დაკავშირებულია თუ არა ერთმანეთთან ეს დარღვევები.

**მუხლი 120.** გაქცევის ან გაქცევის მცდელობის შემდეგ დაჭერილი ინტერნირებულები რეციდივის შემთხვევაშიც კი ისჯებიან მხოლოდ დისციპლინური წესით.

118-ე მუხლის მესამე აბზაცის გვერდის ავლით, გაქცევის ან გაქცევის მცდელობის გამო დასჯილი ინტერნირებულები შეიძლება მოექცნენ განსაკუთრებული ზედამხედველობის ქვეშ, მაგრამ იმ პირობით, რომ ეს ზედამხედველობა ზიანს არ მიაყენებს მათ ჯანმრთელობას, განხორციელდება ინტერნირების ადგილზე და არ გამოიწვევს ამ კონვენციით მინიჭებული არცერთი გარანტიის შეზღუდვას.

გაქცევაში ან გაქცევის მცდელობაში თანამონაწილე ინტერნირებულნი ისჯებიან მხოლოდ დისციპლინური წესით.

**მუხლი 121.** გაქცევა ან გაქცევის მცდელობა რეციდივის შემთხვევაშიც კი არ ჩაითვლება დამამძიმებელ გარემოებად, როცა ინტერნირებული სასამართლოს წინაშე პასუხს აგებს გაქცევის დროს ჩადენილი სამართალდარღვევებისათვის.

კონფლიქტში მყოფი მხარეები ყურადღებას მიაქცევენ, რომ შესაბამისმა ხელისუფლებამ გულისხმიერება გამოიჩინოს საკითხის გადაწყვეტისას, რათა ინტერნირებულისთვის დისციპლინური თუ სისხლის სამართლის სასჯელი იქნეს გამოტანილი სამართალდარღვევისათვის, განსაკუთრებით, ეს ეხება გაქცევისას და გაქცევის მცდელობასთან დაკავშირებულ დარღვევებს.



**მუხლი 122.** დისციპლინის დარღვევის ფაქტები დაუყოვნებლივ უნდა იქნეს გამოძიებული. ეს ეხება, კერძოდ, გაქცევას ან გაქცევის მცდელობას. დაჭრილი ინტერნირებული უმოკლეს დროში უნდა გადაეცეს შესაბამის ხელისუფლებას.

ყველა ინტერნირებულისთვის წინასწარი პატიმრობის ვადა მინიმალური უნდა იყოს და არ აღემატებოდეს ორ კვირას. ყველა შემთხვევაში წინასწარ პატიმრობაში გატარებული დრო შედის თავისუფლების აღკვეთის ვადაში.

124-ე და 125-ე მუხლები გამოიყენება ინტერნირებულთა მიმართ, რომელნიც დისციპლინური ხასიათის დარღვევების გამო იმყოფებიან წინასწარ პატიმრობაში.

**მუხლი 123.** სასამართლო ორგანოს და უმაღლესი ხელისუფლების კომპეტენციაზე დაყრდნობით დისციპლინური სასჯელის დადება შეუძლია ინტერნირების ადგილის კომენდანტს ან ოფიცერს ან პასუხისმგებელ თანამდებობის პირს, რომელსაც მან გადასცა დისციპლინური ხელისუფლება.

ვიდრე გამოტანილი იქნება რაიმე დისციპლინური სასჯელი, ბრალდებულს დაწვრილებით აცნობებენ მისთვის წაყენებული ბრალდების შესახებ, მას შეუძლია განმარტოს თავისი ქმედება და დაიცვას თავი, გამოიძახოს მოწმეები და აუცილებლობის შემთხვევაში, მიმართოს კვალიფიციური მთარგმნელის დახმარებას. განაჩენი გამოცხადდება ბრალდებულის და ინტერნირებულთა კომიტეტის ერთ-ერთი წევრის თანდასწრებით.

დისციპლინური სასჯელის გამოტანიდან მის აღსრულებამდე თვეზე მეტი არ უნდა გავიდეს.

თუ ინტერნირებულს ახალი სასჯელი დაედო, თითოეულის აღსრულებას შორის უნდა გავიდეს არანაკლებ 3 დღე, როცა თითოეული სასჯელის ვადა 10 ან მეტი დღეა.

ინტერნირების ადგილის კომენდანტმა უნდა აწარმოოს გამოტანილი დისციპლინური სასჯელების რეგისტრაცია, სარეგისტრაციო წიგნი საჭიროების შემთხვევაში მფარველი სახელმწიფოების წარმომადგენელთა განკარგულებაში იქნება.

**მუხლი 124.** ინტერნირებულებს დისციპლინური სასჯელის მოსახდელად არავითარ შემთხვევაში არ გადაიყვანენ გამოსასწორებელ დაწესებულებაში (ციხეები, გამოსასწორებელი დაწესებულებები, საკატორლო ციხეები და სხვ.).

დისციპლინური სასჯელის მოხდისათვის გათვალისწინებული შენობები უნდა პასუხობდეს ჰიგიენის მოთხოვნებს და უზრუნველყოფილი იყოს საძირკე მოწყობილობებით, დასჯილ ინტერნირებულებს შესაძლებლობა ექნებათ დაიცვან სისუფთავე.

ინტერნირებულ ქალებს დისციპლინური სასჯელის მოსახდელად ათავსებენ კაცებისაგან განცალკევებით, ქალთა პერსონალის უშუალო ზედამხედველობის ქვეშ.

**მუხლი 125.** ინტერნირებულებს, რომლებიც დისციპლინურ სასჯელს იხდიან, შესაძლებლობა ექნებათ ყოველდღიურად ისეირნონ და სუფთა ჰაერზე გაატარონ ხუთ ცთა ორი საათი.

შეუძლიათ თხოვნის საფუძველზე ყოველდღიურად გამოცხადდნენ მიღებაზე ექიმთან. ისინი მიიღებენ მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესაფერ სამედიცინო დახმარებას, ხოლო აუცილებლობის შემთხვევაში მოთავსდებიან ინტერნირების ადგილის ლაზარეთში ან საავადმყოფოში.

მათ ნებადართული ექნებათ იკითხონ და წერონ, ასევე გაგზავნონ და მიიღონ წერილები. მაგრამ მათთვის ამანათების და ფულადი გადახდების დადგენა შეიძლება გადაიდოს სასჯელის მოხდამდე, ისინი გადაეცემათ კომიტეტს, რომელსაც ლაზარეთში მყოფთათვის მიაქვს ამანათებში შემავალი ადვილადფუჭებადი პროდუქტები.

დისციპლინური სასჯელის მომხდელ ინტერნირებულს არ ჩამოერთმევა 107-ე და 143-ე მუხლებით გათვალისწინებული უფლებები.

**მუხლი 126.** 71-დან 76-ე მუხლის ჩათვლით გათვალისწინებული დებულებანი ანალოგიურად გამოიყენება სისხლის სამართლის საქმეების მიმართაც, რომლებიც აღძრულია ინტერნირების მომხდენი სახელმწიფოს კუთვნილ ტერიტორიაზე.

### თავი X. ინტერნირებულთა გადაადგილება

**მუხლი 127.** ინტერნირებულთა გადაყვანა ხდება ჰუმანურად. როგორც წესი, ეს ხდება ტრანსპორტის საშუალებებით და იმ პირობებში, რომლებიც უკიდურეს შემთხვევაში იგივეა, რა პირობებშიც ხორციელდება ინტერნირების მომხდენი სახელმწიფოს მეომრების გადაყვანა. თუ გამონაკლის შემთხვევაში, გადაყვანა ქვეითად ხორციელდება, მას ადგილი ექნება მაშინ, როცა ამის საშუალებას იძლევა ინტერნირებულთა ფიზიკური მდგომარეობა. ქვეითად გადაადგილებამ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დააღლოს ისინი.

ინტერნირების მომხდენმა სახელმწიფომ ინტერნირებულები უნდა უზრუნველყოს სასმელი წყლით და საკმარისი რაოდენობის და კარგი ხარისხის საკვებით, რათა შენარჩუნებული იქნეს მათი ჯანმრთელობის ნორმალური მდგომარეობა. ინტერნირებულებს მისცემენ ტანსაცმელს, შესაფერის თავშესაფარს და აუცილებელ სამედიცინო დახმარებას გაუწევენ. სახელმწიფო მიიღებს ყველა ზომას, რათა უზრუნველყოს ამ პირთა უსაფრთხოება გადაადგილების დროს. გამგზავრების წინ შეადგენს გადასაცვან ინტერნირებულთა სრულ სიას.

ავადმყოფი, დაჭრილი ან ინვალიდი ინტერნირებულების, ასევე მშობიარეების გადაყვანა არ მოხდება, თუ გადაადგილებამ შეიძლება ზიანი მიაყენოს მათ ჯანმრთელობას, გარდა შემთხვევებისა, როცა ამას ითხოვს მათი უშიშროება.

ფრონტის ხაზის მოახლოებისას ინტერნირების რომელიმე ადგილთან, იქ მყოფი ინტერნირებულნი გადაყვანილი იქნებიან იმ შემთხვევაში, როცა მათი გადაადგილება შეიძლება განხორციელდეს საკმარისი უშიშროების პირობებში, ან, თუ ადგილზე დატოვება უფრო სახიფათოა, ვიდრე გადაადგილება.

სახელმწიფომ, რომლის ხელისუფლების ქვეშ არიან ინტერნირებულნი, მათი გადაადგილებისას მხედველობაში უნდა მიიღოს ინტერნირებულთა ინტერესები, კერძოდ, ისეთი არაფერი არ უნდა ჩაიდინოს, რაც გაართულებს მათ რეპარტიაციას ან მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნებას.

**მუხლი 128.** გადაადგილების შემთხვევაში ინტერნირებულებს ოფიციალურად აცნობებენ გამგზავრების შესახებ და ახალ საფოსტო მისამართს. ეს შეტყობინება წინასწარ უნდა გაკეთდეს, რათა მათ შეძლონ ნივთების შეკვრა და ოჯახის გაფრთხილება.

მათ შეუძლიათ თან წაიღონ პირადი ნივთები, კორესპონდენცია და მათ

სახელზე გამოგზავნილი ამანათები. თუ გადაადგილების პირობები ამას მოითხოვს, შეიძლება ნივთების წონა შეიზღუდოს, მაგრამ ყოველ ინტერნირებულს შეეძლება წაიღოს არანაკლებ 15 კგ.

მათი აღრინდელი ინტერნირების ადგილზე მისული კორესპონდენცია და ამანათები გადაიგზავნება დაუბრკოლებლად.

აუცილებლობის შემთხვევაში ინტერნირების ადგილის კომენდანტი ინტერნირებულთა კომიტეტთან შეთანხმებით მიიღებს აუცილებელ ზომებს ინტერნირებულთა კოლექტიური ქონების და მოცემული მუხლის მე-2 აბზაცით გათვალისწინებული შეზღუდვის გამო დატოვებული ნივთების გადაგზავნისათვის.

## ნ. თავი XI. ინტერნირებულთა გარდაცვალება

**მუხლი 129.** ინტერნირებულებს შეუძლიათ თავიანთი ანდერძები გადასცენ პასუხისმგებელ ხელისუფლებას, რომელიც უზრუნველყოფს მათ შენახვას. გარდაცვალების შემთხვევაში ანდერძებს გადასცემენ ინტერნირებულის მიერ მითითებულ პირებს.

ყოველი ინტერნირებულის გარდაცვალების კონსტატაციას ახდენს ექიმი, რის შემდეგაც დგება აქტი სიკვდილის მიზეზების და გარემოებების მითითებით.

მოცემულ ტერიტორიაზე მოქმედი პროცედურის თანახმად შედგენილი სათანადოდ რეგისტრირებული გარდაცვალების ოფიციალური აქტი და სათანადოდ დამოწმებული ასლი გადაეცემა მფარველ სახელმწიფოს, ასევე 140-ე მუხლით გათვალისწინებულ ცნობათა ცენტრალურ სააგენტოს.

**მუხლი 130.** ინტერნირების მომხდენი ხელისუფალნი თვალს ადევნებენ ინტერნირებულთა პატივით და თუ შესაძლებელია გარდაცვლილის რელიგიური რწმენის თანახმად დაკრძალვის განხორციელებას. საფლავებს პატივით უნდა მოეპყრან, ისინი წესრიგში უნდა იყოს და იმგვარად აღნიშნული, რომ ყოველთვის შეიძლებოდეს მათი მონახვა.

გარდაცვლილი ინტერნირებულები იკრძალებიან ცალ-ცალკე საფლავებში გარდა შემთხვევებისა, როცა გადაუღებელი გარემოებანი ითხოვს მათ სამძრო საფლავში დაკრძალვას. კრემაცია მოხდება მხოლოდ სანიტარული ხასიათის მოსაზრებებით, გარდაცვლილთა რელიგიური რწმენის ან მათ მიერ გამოთქმული სურვილის საფუძველზე. კრემაციის შემთხვევაში მითითებული იქნება გარდაცვალების აქტში. ფერფლს ინახავს ინტერნირების მომხდენი სახელმწიფო და უმოკლეს დროში გადასცემს გარდაცვლილის ნათესავებს მათი თხოვნის საფუძველზე.

როგორც კი ამის საშუალებას მისცემს გარემოებანი და არაუგვიანეს საომარი მოქმედებების დამთავრებისა, ინტერნირების მომხდენი სახელმწიფო 136-ე მუხლით გათვალისწინებული ცნობათა ბიუროს მეშვეობით ქვეყნებს. რომელთა სახელზეც ირიცხებიან გარდაცვლილი ინტერნირებულები, გადასცემს გარდაცვლილთა საფლავების სიებს. ამ სიებში უნდა იყოს მონაცემები, რომლებიც აუცილებელია გარდაცვლილთა ვინაობის დასადგენად, ასევე ზუსტად უნდა იყოს მითითებული საფლავთა ადგილმდებარეობა.

**მუხლი 131.** იხ. სამხედრო ტყვეების შესახებ კონვენციის 120-ე მუხლი. ბოლო აბზაცში გამოთქმა დამტყვევებელი ქვეყანა „შეიცვლება გამოთქმით ინტერნირების მომხდენი ქვეყანა“.

**მუხლი 182.** ყოველ ინტერნირებულს სახელმწიფო, რომლის ხელისუფლების ქვეშ ის იმყოფება, გათავისუფლებს მას როგორც კი შეწყდება ინტერნირების გამომწვევი მიზეზები.

გარდა ამისა, კონფლიქტში მყოფი მხარეები ეცდებიან საომარი მოქმედებების დროს დადონ შეთანხმებები ცალკეული კატეგორიების ინტერნირებულების გათავისუფლების, რეპატრიაციის, საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნების ან ნეიტრალურ ქვეყანაში ჰოსპიტალიზაციის შესახებ, ეს განსაკუთრებით ეხებათ ბავშვებს, ფეხმძიმე ქალებს და ჩვილი ან მცირეწლოვანი ასაკის შვილების პატრონ დედებს; დაჭრილებს და ავადმყოფებს, ასევე ინტერნირებულებს, რომლებიც დიდი ხანია ინტერნირების ადგილებში იმყოფებიან.

**მუხლი 183.** ინტერნირება უნდა შეწყდეს საომარი მოქმედებების დამთავრებიდან უმოკლეს დროში.

მაგრამ კონფლიქტში მყოფი რომელიმე მხარის ტერიტორიაზე მყოფი ინტერნირებულები, რომლებიც სასამართლოს წინაშე წარდგენენ სამართალდარღვევისათვის, რომელიც არ ითვალისწინებს დისციპლინური სასჯელის დადების, შეიძლება დაკავებულნი იყვნენ სასამართლოს დამთავრებამდე, ან შესაბამის შემთხვევებში — სასჯელის მოხდამდე.

ინტერნირების მომხდენ ქვეყანასა და დაინტერესებულ სახელმწიფოებს შორის შეთანხმებით საომარი მოქმედებების ან ტერიტორიის ოკუპაციის დამთავრების შემდგომ შეიძლება შეიქმნას კომისიები სხვადასხვა ადგილზე გაბნეული ინტერნირებულების მოსაძებნად.

**მუხლი 184.** მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეებმა საომარი მოქმედებების ან ოკუპაციის დამთავრების შემდგომ ხელი უნდა შეუწყონ ყოველი ინტერნირებულის მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნებას ან მათ რეპატრიაციას.

**მუხლი 185.** სახელმწიფო, რომლის ხელისუფლების ქვეშ არიან ინტერნირებულები, გაიღებს გათავისუფლებული ინტერნირებულების იმ ადგილებამდე დაბრუნების ხარჯებს, სადაც ისინი ცხოვრობდნენ ინტერნირებამდე, თუ ისინი დაკავებულნი იყვნენ მოგზაურობის დროს ან ღია ზღვაში, სახელმწიფო გაიღებს თანხებს, რათა მათ განაგრძონ მოგზაურობა ან დაბრუნდნენ მათი გამგზავრების პუნქტში.

თუ ინტერნირების მომხდენი სახელმწიფო ინტერნირებულს, რომლის მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ადრე მის ტერიტორიაზე მდებარეობდა, უარს ეუბნება მას განაგრძოს ცხოვრება წინანდელ ადგილზე, იგი გაიღებს მისი რეპატრიაციის ხარჯებს, მაგრამ, თუ ინტერნირებულს სურს წავიდეს თავის ქვეყანაში საკუთარი პასუხისმგებლობით ან იმ მთავრობის ზედამხედველობით, რომელთანაც დაკავშირებულია. ერთგულების ვალდებულებით, სახელმწიფო, რომლის ხელისუფლების ქვეშ არის ინტერნირებული, არ არის ვალდებული გადაიხადოს მისი ტერიტორიის გარეთ ინტერნირებულის მგზავრობის ხარჯები. სახელმწიფო, რომლის ხელისუფლების ქვეშაც არიან ინტერნირებულები, არ არის ვალდებული აანაზღაუროს იმ ინტერნირებულთა რეპატრიაციის ხარჯები, რომელთა რეპატრიაცია მოხდა მათი თხოვნით.

თუ ინტერნირებულები გადაეცემიან სხვა სახელმწიფოს 45-ე მუხლის

შესაბამისად, გადამცემი და მიმღები სახელმწიფოები მოილაპარაკებენ, ხარკების რომელი ნაწილი აიღოს თავის თავზე თითოეულმა მათგანმა.

ზემოხსენებული დებულებანი ზარალს არ უნდა აყენებდეს სპეციალურ შეთანხმებებს, რომლებიც შეიძლება დაიდოს კონფლიქტში მყოფ მხარეებს შორის მოწინააღმდეგის ხელში მყოფი მოქალაქეების გაცვლისა და რეპატრაციის შესახებ.

**ნაწილი V. ცნობათა ბიურო და ცნობათა ცენტრალური სააგენტო**

**მუხლი 136.** კონფლიქტის დასაწყისიდანვე და ოკუპაციის ყველა შემთხვევაში კონფლიქტში მყოფი ყოველი მხარე დააარსებს ოფიციალურ ცნობათა ბიუროს, რომელმაც უნდა შეაგროვოს და გადასცეს ცნობები მისი ხელისუფლების ქვეშ მყოფი პირების შესახებ.


შესაძლებლობის მიხედვით უმოკლეს ვადაში კონფლიქტში მყოფი თითოეული მხარე მითითებულ ცნობათა ბიუროს გადასცემს მონაცემებს გატარებული ზომების შესახებ თითოეული მფარველობის ქვეშ მყოფი პირის მიმართ, რომელიც ორ კვირაზე მეტია დაპატიმრებულია, იძულების წესით არის დასახლებული გარკვეულ ადგილზე ან ინტერნირებულია, გარდა ამისა, იგი თავის სხვადასხვა დაინტერესებულ ორგანოებს დაავალებს დაუხანებლად მიაწოდონ აღნიშნულ ბიუროს მონაცემები, რომლებიც ეხება ყოველგვარ ცვლილებას ამ პირთა შესახებ, მაგალითად — მათ გადაყვანას, გათავისუფლებას, რეპატრაციას, გაქცევას, ჰოსპიტალიზაციას, დაბადებას და გარდაცვალებას.

**მუხლი 137.** ეროვნული ცნობათა ბიურო დაუყოვნებლივ გადასცემს ერთის მხრივ, მფარველ სახელმწიფოს, მეორეს მხრივ — 140-ე მუხლში მითითებული ცენტრალური სააგენტოს მეშვეობით ცნობებს მფარველობის ქვეშ მყოფი პირების შესახებ სახელმწიფოს, რომლის მოქალაქეებიც არიან ეს პირნი, ან სახელმწიფოს, რომლის ტერიტორიაზეც ისინი ცხოვრობდნენ. ბიურო უპასუხებს ყველა შეკითხვას, რომელიც შეეხება ამ პირებს.

ცნობათა ბიურო გადასცემს მონაცემებს მფარველობის ქვეშ მყოფი პირების შესახებ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამ ცნობების გადაცემამ შეიძლება ავნოს მოცემულ პირს ან მის ოჯახს. მაგრამ ამ შემთხვევაშიც უარი არ უნდა ეთქვას ცენტრალური სააგენტოსთვის მონაცემების გადაცემას. სააგენტო გაფრთხილებული უნდა იყოს არსებული გარემოებების შესახებ და იგი მიიღებს უსაფრთხოების საჭირო ზომებს 140-ე მუხლის თანახმად.

ბიუროდან მიღებული ყველა წერილობითი შეტყობინება დამოწმებულია ხელმოწერით ან ბეჭდით.

**მუხლი 138.** ეროვნული ცნობათა ბიუროს მიერ მიღებული და გადაცემული ცნობები შესაძლებლობას უნდა იძლეოდეს ზუსტად დადგინდეს მფარველობის ქვეშ მყოფი პირის ვინაობა და შეტყობინება უნდა გადაეცეს მის ოჯახს. ცნობაში მითითებული უნდა იყოს სულ მცირე — ამა თუ იმ პირის გვარი, სახელი — დაბადების ადგილი და ზუსტი თარიღი, მოქალაქეობა, უკანასკნელი საცხოვრებელი ადგილი, განსაკუთრებული ნიშნები, მამის სახელი და დედის ქალიშვილობის გვარი, ამ პირის მიმართ გატარებული ღონისძიებების ზასიათი და მათი გატარების თარიღი, ადგილი, სადაც ის მიიღეს, მისამართი, რომელზედაც ეგზავნება კორესპონდენცია, იმ პირის მისამართი და გვარი, რომელიც ინფორმირებული უნდა იყოს.



**მუხლი 182.** ყოველ ინტერნირებულს სახელმწიფო, რომლის ხელისუფლების ქვეშ ის იმყოფება, გაათავისუფლებს მას როგორც კი შეწყდება ინტერნირების გამომწვევი მიზეზები.

გარდა ამისა, კონფლიქტში მყოფი მხარეები ეცდებიან საომარი მოქმედებების დროს დადონ შეთანხმებები ცალკეული კატეგორიების ინტერნირებულების გათავისუფლების, რეპატრიაციის, საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნების ან ნეიტრალურ ქვეყანაში ჰოსპიტალიზაციის შესახებ, ეს განსაკუთრებით ეგებათ ბავშვებს, ფეხმძიმე ქალებს და ჩვილი ან მცირეწლოვანი ასაკის შვილების პატრონ დედებს; დაჭრილებს და ავადმყოფებს, ასევე ინტერნირებულებს, რომლებიც დიდი ხანია ინტერნირების ადგილებში იმყოფებიან.

**მუხლი 183.** ინტერნირება უნდა შეწყდეს საომარი მოქმედებების დამთავრებიდან უმოკლეს დროში.

მაგრამ კონფლიქტში მყოფი რომელიმე მხარის ტერიტორიაზე მყოფი ინტერნირებულები, რომლებიც სასამართლოს წინაშე წარდგენენ სამართალდარღვევისათვის, რომელიც არ ითვალისწინებს დისციპლინური სასჯელის დადების, შეიძლება დაკავებულნი იყვნენ სასამართლოს დამთავრებამდე, ან შესაბამის შემთხვევებში — სასჯელის მოხდამდე.

ინტერნირების მომხდენ ქვეყანასა და დაინტერესებულ სახელმწიფოებს შორის შეთანხმებით საომარი მოქმედებების ან ტერიტორიის ოკუპაციის დამთავრების შემდგომ შეიძლება შეიქმნას კომისიები სხვადასხვა ადგილზე გაბნეული ინტერნირებულების მოსაძებნად.

**მუხლი 184.** მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეებმა საომარი მოქმედებების ან ოკუპაციის დამთავრების შემდგომ ხელი უნდა შეუწყონ ყოველი ინტერნირებულის მუდმივ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნებას ან მათ რეპატრიაციას.

**მუხლი 185.** სახელმწიფო, რომლის ხელისუფლების ქვეშ არიან ინტერნირებულები, გაიღებს გათავისუფლებული ინტერნირებულების იმ ადგილებამდე დაბრუნების ხარჯებს, სადაც ისინი ცხოვრობდნენ ინტერნირებამდე, თუ ისინი დაკავებულნი იყვნენ მოგზაურობის დროს ან ღია ზღვაში, სახელმწიფო გაიღებს თანხებს, რათა მათ განაგრძონ მოგზაურობა ან დაბრუნდნენ მათი გამგზავრების პუნქტში.

თუ ინტერნირების მომხდენი სახელმწიფო ინტერნირებულს, რომლის მუდმივი საცხოვრებელი ადგილი ადრე მის ტერიტორიაზე მდებარეობდა, უარს ეუბნება მას განაგრძოს ცხოვრება წინანდელ ადგილზე, იგი გაიღებს მისი რეპატრიაციის ხარჯებს, მაგრამ, თუ ინტერნირებულს სურს წავიდეს თავის ქვეყანაში საკუთარი პასუხისმგებლობით ან იმ მთავრობის ზედამხედველობით, რომელთანაც დაკავშირებულია ერთგულების ვალდებულებით, სახელმწიფო, რომლის ხელისუფლების ქვეშ არის ინტერნირებული, არ არის ვალდებული გადაიხადოს მისი ტერიტორიის გარეთ ინტერნირებულის მგზავრობის ხარჯები. სახელმწიფო, რომლის ხელისუფლების ქვეშაც არიან ინტერნირებულები, არ არის ვალდებული ანაზღაუროს იმ ინტერნირებულთა რეპატრიაციის ხარჯები, რომელთა რეპატრიაცია მოხდა მათი თხოვნით.

თუ ინტერნირებულები გადაეცემიან სხვა სახელმწიფოს 45-ე მუხლის

შესაბამისად, გადამცემი და მიმღები სახელმწიფოები მოილაპარაკებენ, ხარვეზების  
ბის რომელი ნაწილი აიღოს თავის თავზე თითოეულმა მათგანმა.

ზემოხსენებული დებულებანი ზარალს არ უნდა აყენებდეს სპეციალურ  
შეთანხმებებს, რომლებიც შეიძლება დაიდოს კონფლიქტში მყოფ მხარეებს  
შორის მოწინააღმდეგის ხელში მყოფი მოქალაქეების გაცვლისა და რეპატრია-  
ციის შესახებ.

#### ნაწილი V. ცნობათა ბიურო და ცნობათა ცენტრალური სააგენტო

**მუხლი 136.** კონფლიქტის დასაწყისიდანვე და ოკუპაციის ყველა შემთხ-  
ვევაში კონფლიქტში მყოფი ყოველი მხარე დააარსებს ოფიციალურ ცნობათა  
ბიუროს, რომელმაც უნდა შეაგროვოს და გადასცეს ცნობები მისი ხელისუფ-  
ლების ქვეშ მყოფი პირების შესახებ.

შესაძლებლობის მიხედვით უმოკლეს ვადაში კონფლიქტში მყოფი თითო-  
ეული მხარე მითითებულ ცნობათა ბიუროს გადასცემს მონაცემებს გატარებუ-  
ლი ზომების შესახებ თითოეული მფარველობის ქვეშ მყოფი პირის მიმართ,  
რომელიც ორ კვირაზე მეტია დაპატიმრებულია, იძულების წესით არის და-  
სახლებული გარკვეულ ადგილზე ან ინტერნირებულია, გარდა ამისა, იგი თა-  
ვის სხვადასხვა დაინტერესებულ ორგანოებს დაავალებს დაუხანებლად მიაწო-  
დონ აღნიშნულ ბიუროს მონაცემები, რომლებიც ეხება ყოველგვარ ცვლი-  
ლებას ამ პირთა შესახებ, მაგალითად — მათ გადაყვანას, გათავისუფლებას,  
რეპატრიაციას, გაქცევას, ჰოსპიტალიზაციას, დაბადებას და გარდაცვალებას.

**მუხლი 137.** ეროვნული ცნობათა ბიურო დაუყოვნებლივ გადასცემს ერ-  
თის მხრივ, მფარველ სახელმწიფოს, მეორეს მხრივ — 140-ე მუხლში მითითე-  
ბული ცენტრალური სააგენტოს მეშვეობით ცნობებს მფარველობის ქვეშ მყო-  
ფი პირების შესახებ სახელმწიფოს, რომლის მოქალაქეებიც არიან ეს პირნი, ან  
სახელმწიფოს, რომლის ტერიტორიაზეც ისინი ცხოვრობდნენ. ბიურო უპასუ-  
ხებს ყველა შეკითხვას, რომელიც შეეხება ამ პირებს.

ცნობათა ბიურო გადასცემს მონაცემებს მფარველობის ქვეშ მყოფი პირე-  
ბის შესახებ, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ამ ცნობების გადაცემამ შეიძ-  
ლება ავნოს მოცემულ პირს ან მის ოჯახს. მაგრამ ამ შემთხვევაშიც უარი არ  
უნდა ეთქვას ცენტრალური სააგენტოსთვის მონაცემების გადაცემას. სააგენტო  
გაფრთხილებული უნდა იყოს არსებული გარემოებების შესახებ და იგი მი-  
იღებს უსაფრთხოების საჭირო ზომებს 140-ე მუხლის თანახმად.

ბიუროდან მიღებული ყველა წერილობითი შეტყობინება დამოწმებულია  
ხელმოწერით ან ბეჭდით.

**მუხლი 138.** ეროვნული ცნობათა ბიუროს მიერ მიღებული და გადაცე-  
მული ცნობები შესაძლებლობას უნდა იძლეოდეს ზუსტად დადგინდეს მფარ-  
ველობის ქვეშ მყოფი პირის ვინაობა და შეტყობინება უნდა გადაეცეს მის  
ოჯახს. ცნობაში მითითებული უნდა იყოს სულ მცირე — ამა თუ იმ პირის  
გვარი, სახელი — დაბადების ადგილი და ზუსტი თარიღი, მოქალაქეობა, უკა-  
ნასკნელი საცხოვრებელი ადგილი, განსაკუთრებული ნიშნები, მამის სახელი და  
დედის ქალიშვილობის გვარი, ამ პირის მიმართ გატარებული ღონისძიებების  
ხასიათი და მათი გატარების თარიღი, ადგილი, სადაც ის მიიღეს, მისამართი,  
რომელზედაც ეგზავნება კორესპონდენცია, იმ პირის მისამართი და გვარი, რო-  
მელიც ინფორმირებული უნდა იყოს.

რეგულარულად. თუ შესაძლებელია ყოველწვირეულად, გადაიცემა მონაცემები შიშიმედ ავადმყოფი ან შიშიმედ დაჭრილი ინტერნირებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ.

**მუხლი 139.** გარდა ამისა, ეროვნული ცნობათა ბიურო ვალდებულია შეაგროვოს მფარველობის ქვეშ მყოფი პირების მიერ 136-ე მუხლში მითითებული პირადი ნივთები, დატოვებული რეპატრიაციის, გათავისუფლების, გაქცევის ან გარდაცვალების შედეგად. ეს ნივთები გადაეცემა დაინტერესებულ პირებს უშუალოდ აუცილებლობის შემთხვევაში — ცენტრალური სააგენტოს მეშვეობით. ამ ნივთებს გადასცემენ ბიუროს ბუჭდიანი პაკეტებით. პაკეტს ერთვის განცხადება მფლობელის ვინაობის დასადგენად აუცილებელი მონაცემებით, ასევე პაკეტის შემადგენლობის სრული ნუსხა. იწარმოებს აღნიშნული სახის ნივთების მიღების და გაცემის დაწვრილებითი რეგისტრაცია.

**მუხლი 140.** მფარველობის ქვეშ მყოფი პირების, კერძოდ, ინტერნირებულთა საქმეების ცენტრალური ცნობათა სააგენტო შეიქმნება ნეიტრალურ სახელმწიფოში. თუ საჭიროდ ჩათვლის, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტი შესთავაზებს დაინტერესებულ მხარეებს შეიქმნას სააგენტო, რომელიც შეიძლება იყოს 1949 წლის 12 აგვისტოს ჟენევის სამხედრო ტყვეებთან მოპყრობის შესახებ კონვენციის 123-ე მუხლში მითითებული სააგენტო.

სააგენტოს ევალება მოახდინოს 136-ე მუხლში მითითებული ყველა ცნობის კონცენტრაცია, რომელიც მიღებულია ოფიციალური ან კერძო არხებით. ეს ცნობები გადაიცემა ინტერნირებულთა სამშობლოში ან ქვეყანაში, რომლის ტერიტორიაზეც ცხოვრობდნენ, გარდა შემთხვევებისა, როცა ცნობების გადაცემამ შეიძლება ავნოს შესაბამის პირებს ან მათ ოჯახებს, კონფლიქტში მყოფი მხარეები ყოველგვარ შესაძლებლობას შეუქმნიან სააგენტოს აღნიშნული ცნობების გადაცემისათვის.

მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეებს, განსაკუთრებით მათ, რომელთა მოქალაქეებიც სარგებლობენ ცენტრალური სააგენტოს მომსახურებით, სთხოვენ ფინანსური დახმარება გაუწიოს მას.

ეს დებულებანი არ ზღუდავს წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის და 141-ე მუხლში მითითებული დახმარების ორგანიზაციების ჰუმანიტარულ მოღვაწეობას.


**მუხლი 141.** ეროვნული ცნობათა ბიურო და ცნობათა ცენტრალური სააგენტო თავისუფლდებიან ყოველგვარი საფოსტო გადასახადებისაგან და სარგებლობენ 110-ე მუხლში გათვალისწინებული შეღავათებით. მაქსიმალური შესაძლებლობის ფარგლებში უფლება აქვთ უფასოდ ისარგებლონ ტელეგრაფით, ან უკიდურეს შემთხვევაში — ისარგებლონ მკვეთრად შემცირებული ნიხრით.

## პარი IV. კონვენციის შესრულება

### ნაწილი I. ზოგადი დებულებანი

**მუხლი 142.** გარდა უშიშროების ან რაიმე სხვა საჭირო მოთხოვნებისათვის აუცილებელი ღონისძიებების გატარებისა, სახელმწიფოები, რომლის ხელისუფლების ქვეშ არიან მფარველობის ქვეშ მყოფი პირნი, საუკეთესოდ მიიღებენ რელიგიურ, დამხმარე ან ნებისმიერ სხვა საზოგადოებას, რომელიც მოცემულ პირებზე ზრუნავს. ამ საზოგადოებებს, ასევე შესაბამისად აკრედიტებულ





ყველა წარმომადგენელს საშუალება ექნება მოინახულოს ინტერნირებულნი, გაანაწილოს ამანათები და სხვადასხვა საგნები, განკუთვნილი აღმზრდელობიანი და რელიგიური მიზნებისათვის, გართობისათვის; ინტერნირების ადგილებში თავისუფალი დროის შინაარსიანად გატარების უზრუნველყოფისათვის ზემოხსენებული ორგანიზაციები ან საზოგადოებები შეიძლება დაარსდეს იმ ქვეყნის ტერიტორიაზე, რომლის ხელისუფლების ქვეშ არიან ინტერნირებულნი, ან შეიძლება მათ ჰქონდეთ საერთაშორისო ხასიათი.

ინტერნირების მომხდენ სახელმწიფოს შეუძლია შეზღუდოს იმ საზოგადოებების და ორგანიზაციების რიცხვი, რომელთაც ნება დართო იმუშაონ მის ტერიტორიაზე მისი კონტროლის ქვეშ. მაგრამ ამ შეზღუდვამ ხელი არ უნდა შეუშალოს მფარველობის ქვეშ მყოფი პირებისათვის ქმედითი და საჭირო დახმარების გაწევას.

ყოველთვის პატივი უნდა ეცეს და აღიარებული იყოს წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის განსაკუთრებული მდგომარეობა ამ სფეროში.

**მუხლი 143.** მფარველი სახელმწიფოების წარმომადგენლებს ან დელეგატებს შეუძლიათ მოინახულონ ინტერნირებულთა სამყოფელი ადგილები, კერძოდ, ინტერნირების, პატიმრობის და სამუშაო ადგილები.

მათ უფლება აქვთ შევიდნენ ინტერნირებულთათვის განკუთვნილ შენობებში ესაუბრონ მათ მოწმეების გარეშე და აუცილებლობის შემთხვევაში — თარჯიმნის დახმარებით.

მონახულება შეიძლება აიკრძალოს მხოლოდ უკიდურესი საომარი აუცილებლობით და მას შეიძლება ჰქონდეს დროებითი და გამონაკლისი ხასიათი. მონახულებათა რიცხვი და ხანგრძლივობა შეუზღუდავია.

მფარველი სახელმწიფოების წარმომადგენლები ან დელეგატები თავად ირჩევენ მონახულების ობიექტებს. სახელმწიფო, რომლის ხელისუფლების ქვეშ არიან ინტერნირებულნი ან ოკუპაციის მომხდენი სახელმწიფო, მფარველი სახელმწიფო და შესაბამის შემთხვევებში სახელმწიფო, რომლის მოქალაქენიც არიან მოსანახულებელი პირნი, შეიძლება შეთანხმდნენ და ინტერნირებულთა თანამოქალაქეები დაუშვან მათ მოსანახულებლად.

იგივე უფლებებით სარგებლობენ წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტის დელეგატები, მათ დანიშვნას უნდა დაეთანხმოს ქვეყანა, რომლის კონტროლის ქვეშ არის ტერიტორია, რომელზედაც დელეგატებმა უნდა განახორციელონ თავიანთი ვალდებულებების შესრულება.

**მუხლი 144.** მოლაპარაკებაში მონაწილე მხარეები ვალდებულებას იღებენ როგორც მშვიდობიან, ისე საომარ დროს ფართოდ გაავრცელონ მოცემული კონვენციის ტექსტი თავიანთ ქვეყნებში. კერძოდ, ჩართონ მისი სწავლება სამხედრო და თუ შესაძლებელია, სამოქალაქო განათლების კურსში, რათა მის პრინციპებს გაეცნოს მთელი მოსახლეობა.

სამოქალაქო, სამხედრო საპოლიციო და სხვა ხელისუფლებას, რომელსაც შეიძლება დაეკისროს მფარველობის ქვეშ მყოფ პირებზე პასუხისმგებლობა ეხება კონვენციის ტექსტი და გაეცნობა მის დებულებებს.

**მუხლი 145.** იგივეა, რაც სამხედრო ტყვეებთან მოპყრობის შესახებ კონვენციის 128-ე მუხლი.

**მუხლი 146.** იგივეა, რაც მოქმედ არმიაში დაჭრილებთან მოპყრობის შესახებ კონვენციის 49-ე მუხლი.

**მუხლი 147.** წინა მუხლში ნახსენებ სერიოზულ დარღვევებს მიეკუთვნება

ზოგიერთი ქმედება, მიმართული მფარველობის ქვეშ მყოფი პირების ან მათი ქონების საწინააღმდეგოდ: წინასწარგანზრახული მკვლელობა, წამება, დევნა ადამიანური მოპყრობა, ბიოლოგიური ექსპერიმენტების ჩათვლით წინასწარგანზრახვით მძიმე ტანჯვის ან სერიოზული დაზავების მიყენება, ჯანმრთელობის დაზიანება, უკანონო დებორტაცია, გადაადგილება და დაპატიმრება; მფარველობის ქვეშ მყოფი პირის იძულება იმსახუროს მოწინააღმდეგე ქვეყნის შეიარაღებულ ძალებში, მოცემული კონვენციით გათვალისწინებული მიუმხრობელი და ნორმალური სასამართლო საქმის წარმოების უფლების ჩამორთმევა, მძევლად აყვანა, ფართო მასშტაბის ნგრევა და ქონების მითვისება, რაც არ არის გამოწვეული საომარი აუცილებლობით.

**მუხლი 148-149.** იდენტურია მოქმედ არმიაში დაჭრილთა... კონვენციის 51-52-ე მუხლებისა.

## ნაწილი II. დასკვნითი დებულებანი

**მუხლი 150.** იდენტურია მოქმედ არმიაში დაჭრილთა... კონვენციის 55-ე მუხლისა.

**მუხლი 151.** ეს კონვენცია, დათარიღებული მოცემული რიცხვით 1950 წლის 12 თებერვლამდე, შეიძლება ხელმოწერილი იქნეს 1949 წლის 21 აპრილს ჟენევაში გახსნილ კონფერენციაზე წარმოდგენილი სახელმწიფოების მიერ.

**მუხლი 152-158.** იდენტურია მოქმედ არმიაში დაჭრილთა... კონვენციის 57-58-ე მუხლებისა.

**მუხლი 154.** სახელმწიფოებს შორის ურთიერთობებში, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ჰააგის კონვენციებით ხმელეთზე ომის კანონების და წესების შესახებ, იქნება ეს 1899 წლის 29 ივლისის თუ 1907 წლის 18 ოქტომბრის კონვენციები, და რომლებიც ამ კონვენციის მონაწილენიც არიან, ეს უკანასკნელი ავსებს ზემოხსენებულ ჰააგის კონვენციებზე დართული რეგლამენტის II და III ნაწილებს.

**მუხლი 155-159.** იდენტურია მოქმედ არმიაში დაჭრილთა... კონვენციის 60-64-ე მუხლებისა.

\* \* \*

ომის დროს სამოქალაქო მოსახლეობის დაცვის შესახებ კონვენციის ხელმოწერისას საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ საჭიროდ ჩათვალა განეცხადებინა შემდეგი:

მიუხედავად იმისა, რომ მოცემული კონვენცია არ ვრცელდება მოწინააღმდეგის მიერ არაოკუპირებული ტერიტორიის სამოქალაქო მოსახლეობაზე, რის გამოც სრულად არ პასუხობს ჰუმანიზმის მოთხოვნებს, საბჭოთა დელეგაცია აღიარებს, რომ კონვენცია პასუხობს ოკუპირებული ტერიტორიის სამოქალაქო მოსახლეობის, ასევე ზოგიერთ სხვა შემთხვევაში მათი ინტერესების დაცვას. იგი აცხადებს, რომ სსრკ მთავრობის მიერ უფლებამოსილია ხელი მოაწეროს მოცემულ კონვენციას შემდეგი შენიშვნებით:

მე-11 მუხლის შესახებ: „იმ სახელმწიფოს მიმართვას, რომლის ხელისუფლების ქვეშ არიან მფარველობის ქვეშ მყოფი პირნი, ნეიტრალური სახელმწიფოს ან ჰუმანიტარული ორგანიზაციისადმი მფარველი სახელმწიფოს ფუნქ-

ციების თავის თავზე აღების თხოვნით სსრკ უკანონოდ ჩათვლის, თუ ამას დაეთანხმა სახელმწიფო, რომლის მოქალაქეებიც არიან მფარველობის ქვეშ მყოფი პირნი“.

45-ე მუხლის შესახებ: „სსრკ თვლის რომ, სახელმწიფო, რომელმაც მისი ხელისუფლების და მფარველობის ქვეშ მყოფი პირნი გადასცა სხვა სახელმწიფოს, არ თავისუფლდება გადაცემულ პირთა მიმართ მოცემული კონვენციის დებულებების შესრულების პასუხისმგებლობისაგან მთელი დროის განმავლობაში, ვიდრე ისინი მიღებაზე დათანხმებული ქვეყნის მზრუნველობის ქვეშ არიან“.

არაოფიციალური თარგმანი შეასრულა ეპა სუშბათაშვილმა.

\*\*\* (სსრკ-ს მიერ უცხოეთის სახელმწიფოებთან დადებული მოქმედი ხელშეკრულებების, შეთანხმებების და კონვენციების კრებული. გამოცემა XVI, მოსკოვი 1957, გვ. 204-280).

## არჩევა

საქართველოს რესპუბლიკის ადვოკატთა კონფედერაციამ 1991 წლის 21 თებერვალს, საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის პრაზიდენტის თამაჯდომარაძე აირჩია წამბაპურ კაპიტონის ძე ბაქრაძე.

წამბაპურ კაპიტონის ძე ბაქრაძე დაიბადა ქ. თბილისში 1929 წელს. 1947 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა. 1952 წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1958-1988 წლებში იგი მუშაობდა ადვოკატად, ხოლო 1988 წლიდან არის სამართლებრივი საკონსულტაციო კაბინეტ „თემიდა-1“-ის გამგე. ამავე დროს, წლების განმავლობაში პარალელურად მოღვაწეობდა ყორდანიას სახელობის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტში უფროს

მეცნიერ-თანამშრომლად — სოციოლოგად და არსებიდან დღემდე იგი არის ამ ინსტიტუტთან არსებულ „ნაყოფიერებისა და უნაყოფობის“ (გამრავლების) სამეცნიერო რესპუბლიკური საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე სოციოლოგიის დეპარტ. 1988 წლიდან იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატია.

ქ. კ. ბაქრაძე უპარტიოა. არის 48 სამეცნიერო შრომის ავტორი. მყავს ცოლი და სამი შვილი.

ბიოგრაფი ტყეშელაძე

# თანამონაწილეობის პრობლემის სინტეზის გამოკვლევა\*

თანამონაწილეობის პრობლემატიკაში უპირველესი მნიშვნელობა აქვს თავად თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძვლის პრობლემას და ეს სრულიად ბუნებრივია: თანამონაწილეობის ცნების იურიდიული კონსტრუქციის აგება შეუძლებელია ისე, თუ იმთავითვე დადგენილი არ არის მისი დასჯადობის სფერო. ამ თვალსაზრისით ოთარ გამყრელიძემ მართლაც რომ ხარს რქაში წავლო ხელი, როდესაც აქცენტი თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველზე გადაიტანა. და ეს მაშინ, როდესაც „...თითქმის ვერ შევხვდებით ნაშრომს, რომელშიც თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი და საზოგადოდ თანამონაწილეობის რომელიმე საკითხი მართლწინააღმდეგობის პრობლემაზე დაყრდნობით იყოს გაშუქებული“ (გვ. 8).

მართლაც, სხვა ავტორები თანამონაწილეობის ცნებას, უპირატესად, მართლწინააღმდეგობის მომენტის გაუთვალისწინებლად განიხილავენ. ამიტომ ო. გამყრელიძეს თავდაპირველად კრიტიკულად უნდა შეეფასებინა ამ ავტორების თვალსაზრისი; ბოლო შემდეგ მართლწინააღმდეგობის პლანში განიხილა ბუნებრივი პრობლემა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მას უნდა გაერქვა პრობლემის კვლევის ამჟამინდელი მდგომარეობა. საბედნიეროდ, იგი სწორედ ასე მოიქცა.

სარეცენზიო ნაშრომის შესავალში მითითებულია, რომ თანამედროვე სისხლის სამართლის მეცნიერებაში არსებობს ორი ძირითადი მიმართულება, რომლებიც სხვადასხვაგვარად აშუქებენ თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველს. ერთ-ერთია, ე. წ. ბრალეული თანამონაწილეობის მოძღვრება, რომელიც გაბატონებულია შვეიცარიის სისხლის სამართლის თეორიაში, მეორე მიმართულება მიწოდების მომენტს გამოყოფს. ამ თვალსაზრისის ემხრობა ჩვენს და ზოგიერთი სხვა ქვეყნის სისხლისსამართლებრივი დოქტრინა.

რაკი შესავალშივე პრობლემის კვლევის ამჟამინდელი მდგომარეობა გააშუქა, იქვე ო. გამყრელიძე ასეთნაირად აკონკრეტებს მისი ნაშრომის მიზანდასახულობას: „მართლწინააღმდეგობის, უფრო ზუსტად, სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემაზე დაყრდნობით, ვფიქრობთ, უნდა გადაიჭრას ობიექტური და სუბიექტური მომენტების ურთიერთობის საკითხი თანამონაწილეობის ცნების სტრუქტურაში. ამიტომაც, შევეცდები დასახელებული პრობლემა სწორედ ამ კუთხით გავაშუქო“ (გვ. 8). და კიდევ: „ძირითადი, რომელიც დასახელებული პრობლემის გადაჭრისათვის არის აუცილებელი, არის უმართლობის ე. წ. სუბიექტური ნიშნების საკითხი. აქვს თუ არა მნიშვნელობა სუბიექტური ნიშნებს უმართლობის ცნების სტრუქტურისათვის?“ (იქვე).

ამ მიზნების კვალობაზე ნაშრომი სამი თავისაგან შედგება: I. თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი; II. თანამონაწილეობის სუბიექტური მხარე და მისი მნიშვნელობა თანამონაწილის დასჯადობისათვის; III. სისხლისსამართლებრივი უმართლობა და მისი მნიშვნელობა თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძვლისათვის.

პირველ თავში ო. გამყრელიძე გერმანულ ენაზე გამოკვეყნებული ლიტერატურული წყაროების მომარჯვებით კრიტიკულად განიხილავს ბრალეული თანამონაწილეობის მოძღვრებას, რომელიც გაბატონებულია შვეიცარიულ დოქტრინაში.

\* ო. გამყრელიძე, სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის პრობლემა და თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი, თბ., 1989.

შვეიცარიელი კრიმინალისტი ს. ტრეტსელი დანაშაულის თანამონაწილის დასჯადობას ე. წ. კორუფციის იდეაზე აფუძნებს. იგი უარყოფ მიზეზობრიობას თანამონაწილეობის დროს და ვმტკიცებს, რომ თანამონაწილე, კერძოდ, წამქეზებელი ისჯება ამსრულებლის კორუფციისათვის მისი აზრით, წამქეზებლის პასუხისმგებლობა პირობადებულა იმით, რომ იგი ამსრულებელს შეაცდენს და სასჯელს დაამსახურებინებს. მაშასადამე, ამსრულებელი პასუხს აგებს სისხლის ხამართლის კერძო ნაწილით დაცული სამართლებრივი სიკეთის დაზიანების (ან საფრთხის შექმნის) გამო, ხოლო თანამონაწილე ხელყოფს თვის ამსრულებლის პიროვნებას, ახდენს მის სულიერ დეგრადაციას და ა. შ. „ამრიგად, სოციალური ინტეგრაცია, — წერს თ. გამყრელიძე, — ყოფილა დამოუკიდებელი სამართლებრივი სიკეთე. ეს უკვე იმაზე მიგვანიშნებს, რომ წამქეზებლობა თანამონაწილეობა კი არა, ისიც დანაშაულის გამოვლინების ისეთი დამოუკიდებელი ფორმა ყოფილა, როგორც ამსრულებლობაა. წამქეზებლობა, ამ თვალსაზრისის თანახმად დამოუკიდებელი შინაარსის უმართლსაამ, რადგანაც იგი ამსრულებლისაგან განსხვავებულ სამართლებრივ სიკეთეს აზიანებს. აქედან უკვე ერთადერთი დასკვნა უნდა გაკეთდეს: ბრალეული თანამონაწილეობის მოძღვრება სავითოდ უარყოფს დანაშაულში თანამონაწილეობის ცნებას და შლის ყველგვარ ზღვარს თანამონაწილეობასა (წამქეზებლობა) და ამსრულებლობას შორის“ (გვ. 18-14).

სხვაგვარად ასაბუთებს ბრალეულ თანამონაწილეობას ზოგიერთი გერმანელი კრიმინალისტი. პ. მაიერს, მაგალითად, მიაჩნია, რომ წამქეზებელი ქმნის დანაშაულებს, წამქეზებელი მკვლელობას კი არ ხნადის, არამედ ქმნის მკვლელს. თანაც პ. მაიერი უარყოფს მიზეზობრიობას თანამონაწილეობის დროს, რადგან მიზეზობრიობა შეუთავსებელია ნების თავისუფლებასთან, არ იძლევა წაქეზებისა და ფსიქიკური დაზიანების გათქმვის შესაძლებლობას და ა. შ. თ. გამყრელიძე პ. მაიერის თვალსაზრისის სპეციფიკას იმაში ხედავს, რომ პ. მაიერი, განსხვავებით შვეიცარიელი კრიმინალისტიებისაგან, თანამონაწილეობის დასჯადობას ამყარებს თანამონაწილეობა ნების ერთიანობაზე. ამით მან მატერიალური საფუძველი გამოაცალა კორუფციის იდეას. პ. მაიერის აზრით, როდესაც თანამონაწილე თავის ბრალეულ ნებას ამსრულებლის ნებას უერთებს, ამით იგი არ ხელყოფს ამსრულებლის ნებას და არ იწვევს მის „სოციალურ დენინტეგრაციას“. პირიქით, ნების ერთიანობის შესაბამისად, ნებაც იქით უნდა წარიმართოს, საითაც ამსრულებლის ნება მიმართული.

საბოლოოდ, თ. გამყრელიძე ბრალეული თანამონაწილეობის მოძღვრების შეფასებისას აღნიშნავს, რომ ეს მოძღვრება მკვლარ ფილოსოფიურ საფუძველზე, კერძოდ, აბსოლუტური თავისუფლების იდეაზეა აგებული: „ამ იდეის თანახმად წამქეზებლის მოქმედება არ შეიძლება იყოს მიზეზობრივად დაკავშირებული დანაშაულებრივ შედეგთან, რადგანაც ამსრულებელი გადაწყვეტილების მიღების მომენტში სრულიად თავისუფალია გარეშე ძალების ზეგავლენისაგან. ამსრულებელი გადაწყვეტილების მიღების დროს იწვევს ახალ მიზეზობრივ კავშირს, რომელიც დამოუკიდებელია, მოწყვეტილია წამქეზებლის მოქმედებას. მაგრამ თანამონაწილის მოქმედების კალაქური დამოკიდებულება ამსრულებლის მიერ გამოწვეული შედეგისათვის ფაქტია, რის უარყოფაც არავითარ თეორიას არ ძალუძს“ (გვ. 18-14).

გვიქრობ, თ. გამყრელიძის აღნიშნული დებულება ერთგვარ კორექტივს მოითხოვს, როგორც უკვე ითქვა: შვეიცარიული დოქტრინის მიხედვით წამქეზებლის შემოქმედების გამო ამსრულებელი დანაშაულებს იტყვევებს. ამ მიმართებაში ამსრულებლის ნება არ ყოფილა არა თუ აბსოლუტურად თავისუფალი გარეშე ძალების, ამ შემთხვევაში წამქეზებლის შემოქმედებისაგან. თუ წამქეზებელი შემოქმედებს ამსრულებელზე, რა ვუწოდოთ ასეთ შემოქმედებას? არის თუ არა ეს მიზეზი ამსრულებლის დენინტეგრაციისა? ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ მიზეზობრიობა, თუნდაც ფაქტობრივად, მათ სწორედ ამ ფარგლებში აქვთ გააზრებული?

ამჟამად ჩვენს სისხლისსამართლებრივ თეორიაში ერთსულოვნად აღიარებენ მიზეზობრიობას თანამონაწილეობის დასჯადობის ობიექტურ საფუძველად, ოდნოდ სადავოდ ითვლება ის საკითხი, თუ მიზეზობრიობის რომელი კონცეფცია უნდა დაედოს საფუძველად თანამონაწილის დასჯადობას. ამის გამო, თ. გამყრელიძე კრიტიკულად აფასებს პროფ. ა. პიონტკოვსკის აუცილებელი მიზეზობრიობის თეორიას და მართებულად თვლის პროფ. თ. წერეთლის მიერ ამ თეორიის ძირითადი დებულებების გამაბათილებელ მოსაზრებებს.

თავის დროზე მეტ მომიხდა სხენებულ საკითხზე ერთი-ორი მოსაზრება გამოთქვას: აქ მიზანშეწონილად მიმაჩნია გამოთქმული ზოგიერთი დებულების განმეორება.

1 См. Трешелиадзе Г. Т. Концепция причинной связи Т. В. Церетели. — Уголовно-правовые исследования. Сбор., посвященный 80-летию со дня рождения Т. В. Церетели. Тб., 1987, с. 50—59.

პროფ. ა. პიონტოვსკი და მისი მიმდევრები უარყოფენ შემთხვევითი მიზეზობრივი კავშირის მნიშვნელობას სისხლის სამართალში და პასუხისმგებლობას უკავშირებენ ადამიანის მხოლოდ იმ მოქმედებას, რომელმაც აუცილებლობით გამოიწვია დანაშაულებრივი შედეგი. დაამდგარი შედეგისათვის პასუხისმგებლობის საკითხი შეიძლება დაისვას და დადებითად ვადაწქდეს "სხლოდ მაშინ, როცა ეს შედეგი იყო აუცილებელი, კანონზომიერი შედეგი ჩადენილი მოქმედებისა, როცა მოქმედება იყო ამ შედეგის საფუძველი"<sup>2</sup>. პროფ. თ. წერეთელი მიუღებლად თვლის მიზეზობრიობის ასეთ გაგებას. მისი აზრით, დანაშაულებრივი შედეგი ერთდროულად აუცილებლობის გამოვლინებაც არის და შემთხვევითობისაც. მას ასეთი მაგალითი აქვს მოტანილი სასამართლო პრაქტიკიდან. ს.მ. უსისტემო სროლა ატება ორ მატარებელს შორის ვიწრო გასასვლელში, სადაც ბევრი ხალხი ირეოდა და ორი კაცი მოკლა. „აუცილებელი მიზეზობრიობის“ მომხრეები ამტკიცებენ, რომ კავშირი ადამიანის მოქმედებასა (სროლას) და დამდგარ შედეგს შორის (ორი კაცის სიკვდილი) აუცილებელი, კანონზომიერი ხასიათს ატარებს. მაშასადამე, შედეგი შინაგანად თანაარსია მოქმედებისათვის მისი ჩადენის კონკრეტულ პირობებში.

პროფ. თ. წერეთელი ამ საკითხზე წერდა: „შეესაბამება თუ არა ასეთი მტკიცება აუცილებლობისა და შემთხვევითობის დააღქტიკურ გაგებას? ფიქრობთ, რომ არა, თუ გავითვალისწინებთ აუცილებლობისა და შემთხვევითობის დააღქტიკურ ბუნებას. შემდეგ დასკვნამდე მივალთ: ის, რომ ადამიანი იბადება, ვითარდება და ბოლოს კვდება, ბუნებრივი აუცილებლობაა, რადგან ადამიანის ორგანიზმის ბუნებრივი თვისებებითაა განპირობებული, ამ გაგებით ორი ადამიანის სიკვდილი ადამიანის ორგანიზმის განვითარების კანონი გამოვლინდა. მაშასადამე, აღნიშნულ ადამიანთა სიკვდილი აუცილებლობას წარმოადგენდა. ზოლოდ ის, რომ ეს ადამიანები მოკვდნენ ტყვიით — შემთხვევითობაა, რადგან ადამიანის ორგანიზმის შინაგანი თვისებებიდან გამომდინარეობს საერთოდ ადამიანის სიკვდილის აუცილებლობა. მაგრამ სრულიად არ გამოდინარეობს ის, რომ იგი მოკვდეს მოცემული მიზეზით, მოცემულ დროს და მოცემულ კონკრეტულ პირობებში. ს.ს. გასროლით შეიძლება მომკვდარიყვნენ სხვა პირები, ტყვია შეიძლება მოცემულ პირებს მოხვედროდა, მაგრამ ისინი არ მომკვდარიყვნენ ა. შ.“<sup>3</sup>.

ფიქრობ, პროფ. თ. წერეთლისა და მისი მიმდევრების აღნიშნული თვალსაზრისი ერთგვარ დაუუსტებასა და დაკონკრეტებას მოითხოვს. ფილოსოფიურ ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ „...არ არსებობს აუცილებლობა და შემთხვევითობა საერთოდ, არამედ არსებობს აუცილებელი და შემთხვევითი განსაზღვრულ კავშირში (ურთიერთობაში), რომ უკველგვარი მოვლენა ერთდროულად, მაგრამ სხვადასხვა მიმართებაში შემთხვევითიცაა და აუცილებელიც“<sup>4</sup>. ამ თვალსაზრისით სწორი უნდა იყოს პროფ. ა. პიონტოვსკის შემდეგი დებულება: „როგორც ამტკიცებენ, რომ დააღქტიკური მატერიალიზმის მიერ აუცილებლობის გაგება აუცილებლობისა და შემთხვევითობის განსხვავებით გამოსადეგია მთლიანად ბუნებისა ან საზოგადოების განსახილველად და არ შეეხება ცალკეულ და ინდივიდუალურ მოვლენებს, მაგალითად, ადამიანთა ცალკეულ მოქმედებებს, რასთანაც, კერძოდ, საქმე აქვს სისხლის სამართალსა და სამოქალაქო სამართალს. მაგრამ ასეთი ცდა, განაჩიღონ სისხლის სამართალსა და სამოქალაქო სამართალში დააღქტიკური მატერიალიზმის მიხედვით აუცილებლობის გაგება მიზეზობრივი კავშირისაგან, დაუსაბუთებელია. აუცილებლობისა და შემთხვევითობის კატეგორიები თავიანთ სრულ მნიშვნელობას ინარჩუნებენ ინდივიდუალურ მოვლენათა განხილვის დროსაც“<sup>5</sup>.

მაგრამ საკითხავი სწორედ ის არის. შეიძლება თუ არა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ობიექტურ საფუძველად მივიჩნიოთ მხოლოდ აუცილებელი მიზეზობრივი კავშირი და სისხლის სამართლის გარეთ დავტოვოთ შემთხვევითი მიზეზობრივი კავშირი? პროფ. თ. წერეთელი ამ ძირეულ საკითხზე კი სრულიად დასაბუთებულ პასუხს ვვაძლევს: სისხლისსამართლებრივი განსჯისმგებლობისათვის რაღვემანტაშრიპ უკველგვარნი მიზეზობრივი კავშირი პირის მომხმამებებს (უმომხმამებებს) და საზოგადოებრივად საშიშ შემთხვევებს შორის.


მ. გამყრელიძეს სწორად არ მიაჩნია პროფ. თ. ბურჩაქის მოსაზრება, თითქოსდა პროფ.

<sup>2</sup> Курс советского уголовного права. Преступление, М., II, М., 1973, с. 156.

<sup>3</sup> წერეთელი თ. ტყეშელაძე, გ. მოძღვრება დანაშაულებზე, თბ., 1969, გვ. 243.

<sup>4</sup> См. Пилипенко Н. В. Причинная обусловленность необходимого и случайного. — Сб. «Современный детерминизм и наука», т. I, Новосибирск, 1975, с. 171.

<sup>5</sup> Пионтковский А. А., Проблемы причинной связи в праве. «Уч. записки ВЮИМ и ВЮА», М., 1949, с. 83.



თ. წერეთელმა შექმნა მიწეზობრივი კავშირის სპეციალური სისხლისსამართლებრივი ცნება. როცა შეიტანა თავის კონსტრუქციაში იურიდიული ნიშნები. თ. ბურჩაკი ამ შემთხვევაშიც გული-სამობს თ. წერეთლის თვალსაზრისს, რომ მოსამართლე მიწეზობრივი კავშირის კვლევას წყვეტს იქ, სადაც „მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული მოქმედება უკვე აღარ იგულისხმება“. ო. გამყრელიძის პოზიციის განსამტკიცებლად ჩემი მხრივ ასეთი ზოგადი არგუმენტიც შეიძლება მივიშველო: დიალექტიკურ-მატერიალისტური მოძღვრება არის მეცნიერული განზოგადების უმაღლესი საფეხური. ამის გამო, ეს მოძღვრება შეიცავს დებულებებს, რომლებსაც ზოგადი მნიშვნელობა აქვთ მატერიის მოძრაობის ყველა ფორმის, საზოგადოებისა და ადამიანის პრაქტიკული მოღვაწეობისათვის. ამიტომ განზოგადების ასეთი მაღალი დონე არ შეიძლება შეიცავდეს კონკრეტულ პასუხებს იმ წმინდა სპეციფიკური საკითხების გადასწყვეტად, რომლებიც წარმოიშობა მეცნიერების სხვადასხვა დარგში მიწეზობრიობის ცნების გამოყენებისას. მაშასადამე, სისხლის სამართალში მიწეზობრიობის სპეციფიკური საკითხების გადაწყვეტა ცოდნის ამ დარგის კომპეტენციას წარმოადგენს, რასაკვირველია, ეს შეეხება არა მარტო მიწეზობრივ კავშირს, არამედ სხვა ფილოსოფიურ თუ ფსიქოლოგიურ კატეგორიებსა და ცნებებს, რომელთა გამოყენება აუცილებელი ხდება ხოლმე სისხლის სამართლის მეცნიერებაში.

მოქმედი სისხლის სამართლის კანონმდებლობის ანალიზის საფუძველზე ო. გამყრელიძე დაასკვნის, რომ კანონმდებელი თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის ობიექტურ საფუძველად მიიჩნევს მიწეზობრიობას. ამასთან, იგი შენიშნავს, რომ ზოგიერთ შემთხვევაში წამქეზების მოქმედება მიმართულია ამსრულებლის წინააღმდეგ და ამით წინას განცდის ამსრულებლის პიროვნება. ასეთია, მაგალითად, საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 284-ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს არასრულწლოვანის ჩაბმას დანაშაულებრივ საქმიანობაში, ლოთობაში ჩათრევას, მათხოვრობაზე, პრასტიტუციაზე, აზარტულ თამაშზე დაყოლიებას ან სხვა ანტიზოგადოებრივი მოქმედების ჩადენაზე. ასეთი მოქმედება ჩვეულებრივად წაქეზების ფორმით ხდება. ამის გამო, აქ წამქეზების მოქმედება, ვთქვათ, მკვლელობის შემთხვევაში დაკვალიფიცირდება დანაშაულთა ერთობლიობით (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-19, 105-ე და 284-ე მუხლებით). ეს კი ო. გამყრელიძეს ახალ არგუმენტს აძლევს ეპოპოლინოს შვიცარიული დოქტრინის ნაკლი, რადგან წამქეზების მოქმედება რომ ყველა შემთხვევაში იყოს მიმართული დანაშაულის ამსრულებლის წინააღმდეგ, მაშინ კანონმდებელს არ დასჭირდებოდა კოდექსის კერძო ნაწილში 284-ე მუხლით გათვალისწინებული სპეციალური უემადგენლობის შემოტანა. ვინაიდან წამქეზების მოქმედება ჩვეულებრივად მიმართული არ არის წაქეზებულის, ე. ი. დანაშაულის ამსრულებლის წინააღმდეგ; ამიტომ, კანონმდებელი იძულებულია ცალკე დანაშაულის შემადგენლობად ჩამოაყალიბოს წამქეზების ისეთი მოქმედება, რომელიც ფაქტურად წაქეზებულის პიროვნებას შეეხება. წამქეზებელი რომ ყველა შემთხვევაში ხელყოფდეს წაქეზებულს, ე. ი. დანაშაულის ამსრულებლის პიროვნებას, მაშინ კოდექსის კერძო ნაწილში უნდა შემოგვედო სპეციალური მუხლი წაქეზების ყველა შემთხვევისათვის, ეს კი ფაქტობრივად თანამონაწილეობის ინსტიტუტს ბოლოს მოუღებდა.

რასაკვირველია, წამქეზების მოქმედება მეტ-ნაკლებად ხელყოფს ამსრულებლის პიროვნებასაც და ამიტომ, როგორც ო. გამყრელიძე აღნიშნავს, მაგალითად, მკვლელობის წამქეზებელი, რომელიც წაქეზების საშუალებად მუქარას იყენებს, ხელყოფს ორ სიკეთეს: ა) სხვის სიცოცხლეს და ბ) ამსრულებლის პიროვნებას, რომელსაც ეზღუდება ან მთლიანად ერთმევა მოქმედების თავისუფლება. სწორედ ეს გარემოება გაითვალისწინა კანონმდებელმა, როდესაც საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 28-ე მუხლით პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად მიიჩნია და დანაშაულის ჩადენა მუქარის ან იძულების გავლენით (პ. მე-2) „ამით კანონმდებელმა, მართალია, აღიარა რომ მუქარის ან იძულების გავლენით დანაშაულის ჩადენის დროს ხდება აგრეთვე ამსრულებლის პიროვნების ხელყოფაც, მაგრამ ეს გარემოებანი პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებათა შორის, რომლებიც მომდევნო, 33-ე მუხლშია ჩამოთვლილი; აღარ გაუთვალისწინებია, რაც ჩემი აზრით, ერთგვარ ნაკლად უნდა ჩაივალის“ (გვ. 87).

უნდა დავეთანხმოთ ავტორს, როდესაც აღნიშნავს, რომ კოდექსის ხსენებულ ნაკლს ავსებს საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის 125-ე მუხლი (ძალდაკანებით ან დასასჯელი მუქარით სხვა პირის იძულება, რომ შეასრულოს ან არ შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება). ამ მუხლთან დაკავშირებით ო. გამყრელიძე განიხილავს ისეთ შემთხვევას, როდესაც ვინმე მუქარით იძულებს სხვა პირს ჩაიდინოს დანაშაული. ვინაიდან აქ წაქეზების საშუალებად მუქარა არის გამოყენებული, ამიტომ, მისი აზრით, დამნაშავე პასუხს აგებს 125-ე მუხლით და იმ კონკრეტული მუხლის ერთობლიობით, რომელიც გათვალისწინებულია ამსრულებლის მიერ

ჩადენილი დანაშაული. ამის გამო მას სწორად არ მიაჩნია ვ. მაყაშვილის მოსაზრება, რომ სხენებული ქმედება შეიძლება დაკვალიფიცირდეს 185-ე მუხლით მხოლოდ მაშინ როდესაც იმ დანაშაულისათვის, რომელიც დაწარალებულს იძულებით ჩაადენინეს, კანონის შეიძლება დაინიშნოს იმავე სიმძიმის ან უფრო მსუბუქი სასჯელი, ვიდრე 185-ე მუხლით გათვალისწინებული სასჯელი.

ო. გამყრელიძე აქ, ვფიქრობ, სწორად მსჯელობს. ოღონდ მას შეეძლო დამატებით არაგუმენტიც მოეტანა, რომ დანაშაულთა ერთობლიობაში შემავალი ერთი დანაშაულისათვის სასჯელის დანიშვნისას მეორე დანაშაული საერთო წესისამებრ პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად ითვლება. ამიტომ თუ, მაგალითად, ან-მა ბან-ს მუქარის შეგავლენით დანაშაული ჩაადენინა, მაშინ ამ დანაშაულისათვის სასჯელის განსაზღვრისას არ შეიძლება მხედველობაში არ იქნეს მიღებული, რომ ან-ის მხრივ წაქეზება სწორედ მუქარაში და არა შედარებით უფრო მსუბუქ ფსიქოლოგიურ ზემოქმედებაში გამოიხატა. ეს კი შეუძლებელი გასდება იმ შემთხვევაში, თუ ან-ის მოქმედებას მხოლოდ ბან-ის მიერ ჩადენილი დანაშაულის წაქეზებად ჩავთვლით.

მხოლოდ მიზეზობრიობის მომენტზე დაყრდნობით თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველს ვერ ავხსნით. ამიტომ იმიტოვი მომენტის დადგენის შემდეგ ო. გამყრელიძე იკვლევს თანამონაწილეობის სუბიექტური მხარის საკითხს. იგი ასაბუთებს გერმანელ კრიმინალისტთა მოსაზრების მცდარობას, თითქოსდა შესაძლებელი იყოს გაუფრთხილებლობით დანაშაულში განზრახი თანამონაწილეობა (პ. ფრანცბაიმი) ანდა განზრახ დანაშაულში გაუფრთხილებლობით თანამონაწილეობა (ე. შმიდბოიზერი, პ. იეშეი). უნდა ითქვას, რომ ეს პირველი შემთხვევა ჩვენს ლიტერატურაში, როდესაც დაწვრილებითაა განხილული თანამედროვე გერმანელ კრიმინალისტთა მოსაზრებები საძიებელ საკითხზე.

ცალკეა განხილული რუსი კრიმინალისტების (ნ. ტაგანცევი, ლ. ბელოგორც-კოტიარევსკი, ე. ნემიროვსკი, პ. პუსტოროსლდევი, ნ. ხერგეევსკი, ს. პოწინიშევი, ა. ტრაინინი, მ. შარგოსოდსკი) მოსაზრებები. მათი უმრავლესობა შესაძლებლად თვლის სხვადასხვა ბრალით თანამონაწილეობას.

სარეცენზიო ნაშრომის სათაურში მოხსენიებული პრობლემა უშუალოდ განხილულია მესამე თავში. (ვფიქრობ, საერთოდ ნაშრომის სათაური იქნებ ჯობდა ასეთი იყოს: „თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველი“, რადგან მისი ამუშავებული სათაური და მესამე თავის სათაური თითქმის ერთნაირია). ამ თავში ავტორი მიზნად ისახავს ორი საკითხის გაშუქებას: 1. სისხლის-სამართლებრივი უმართლობა და 2. მისი მნიშვნელობა თანამონაწილის დასჯადობის საფუძვლისათვის. მიზანი უადრესად რთულია, თუნდაც იმიტომ, რომ ჩვენს იურიდიულ ლიტერატურაში, უპირველეს ყოვლისა, თავად უმართლობის ცნება არ არის დადგენილი.

სრულიად მართებულად შეინიშნავს ავტორი, რომ უმართლობის ცნების დასადგენად აუცილებელია წინასწარ გამოვარკვიოთ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველები, ე. ი. დავადგინოთ დანაშაულის ცნების სტრუქტურა და უმართლობის ცნების ადგილი ამ სტრუქტურაში.

ჩვენს იურიდიულ ლიტერატურაში გაბატონებულია შეხედულება, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთადერთ საფუძველს წარმოადგენს პირის ქმედებაში განსაზღვრული დანაშაულის შემადგენლობის დადგენა. ამ მოსაზრებას არ ეთანხმებოდა პროფ. თ. წერეთელი. პროფ. თ. წერეთელი არ უარყოფდა იმას, რომ დანაშაულის შემადგენლობა არის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ერთ-ერთი (და არა ერთადერთი) საფუძველი. ამასთან, მას მიაჩნდა, რომ დანაშაულის შემადგენლობასთან ერთად სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სხვა საფუძველები — ბრალი და მართლწინააღმდეგობა. ეს იმას ნიშნავს, რომ მართლწინააღმდეგობა და ბრალი იგი არ მიიჩნევათ დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებად. თუ საკითხს სხვაგვარად გადავწყვეტთ, მაშინ დანაშაული და დანაშაულის შემადგენლობა იდენტური ცნებები იქნება და მაშასადამე, ერთ-ერთი მათგანი ზედმეტი აღმოჩნდება. ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ სხვა ნიშნებს (მართლწინააღმდეგობა და ბრალი) უპირატესობა უნდა მიეცეს დანაშაულის შემადგენლობის მიმართ. „სამივე მათგანი ერთობლივად აღებული, — წერს ო. გამყრელიძე, რომელიც სრულიად ემხრობა პროფ. თ. წერეთლის ამ მოსაზრებას, — აფუძნებენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას. თითოეული მათგანი ცალ-ცალკე აუცილებელია, მაგრამ საკმარისი არაა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის. პასუხისმგებლობისათვის აუცილებელი და საკმარისია სამივე ეს ნიშანი ერთად აღებული. სამივე მათგანი, დანაშაულის შემადგენლობა, მართლწინააღმდეგობა (საწოგადობრივი საშიშროება) და ბრალი ერთიანდება უფრო ზოგად ცნებაში. ეს არის დანაშაულის ცნება. ამიტომ, სისხლისსამართლებ-



რივი პასუხისმგებლობის აუცილებელი და საკმარისი საფუძველია არა დანაშაულის შემადგენლობა, არამედ დანაშაული" (გვ. 128).

ვფიქრობ, დანაშაულის როგორც კანონისმიერი დანაშაულის შემადგენლობის შემცველი, მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედების განსაზღვრების სისწორის დასადგენად; უპირველეს ყოვლისა, უნდა მივმართოთ ასეთი განსაზღვრების ისტორიულ სათავეებს. საქმე ისაა, რომ გერმანულ დოქტრინაში დანაშაულის ცნების განსაზღვრებისას განასხვავებენ ობიექტურ ფაქტის შერაცხვას (impytatio facti) და სუბიექტურ შერაცხვას (impytatio iuris) ოთქქმის ერთი საუკუნეა, რაც იმპერ დოქტრინაში დანაშაულს განსაზღვრავენ როგორც კანონით გათვალისწინებულ დანაშაულის შემადგენლობის შემცველ, მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულ ქმედებას. რასაკვირველია, გერმანული კრიმინალისტიკი ამ თვალსაზრისს სხვადასხვანაირად ასახულებდნენ.

უკვე მე-19 საუკუნის პირველ ნახევარში შტიუბელი განასხვავებდა უმართლობასა და ქმედების შერაცხვას. ლუდენის დანაშაულს ცნებაში სამი ნიშანი შეჰქონდა — მოქმედება, მართლსაწინააღმდეგობა და ბრალი. 1867 წელს პირველად იერინგმა სამოქალაქო სამართალში შემოიტანა ობიექტური მართლსაწინააღმდეგობის ცნება. იგი აღნიშნავდა, რომ ბრალს სამართალდარღვევისათვის, რომელსაც სამართლებრივი შედეგი მოსდევს, არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. ეს ობიექტური მართლსაწინააღმდეგობის ცნება სისხლის სამართალში დანაშაულის ცნების ასაგებად თავისებურად გამოიყენეს ლისტმა და ბელინგმა. ამჯერად ჩვენთვის საინტერესოა ე. ბელინგის თვალსაზრისი დანაშაულის შემადგენლობის შესახებ.

ე. ბელინგის შეხედულებით, შემადგენლობა წარმოადგენს იმ ნიშნების ერთობლიობას, რომლებიც მიჯვითებენ, თუ რომელი ტიპის დანაშაულთან გვაქვს საქმე. დანაშაულს იგი ასე განსაზღვრავდა: „დანაშაული არის შემადგენლობის შესაბამისი, მართლსაწინააღმდეგო, ბრალეული, სასჯელით დამოქრებული და დასჯადობის პირობების შემცველი ქმედება“. შემადგენლობა მხოლოდ ქმედების ნიშნების ობიექტური აღწერაა. იგი არ შეიცავს შეფასებით მსჯელობას. თავისთავად კაცის მოკვლა ჭრ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ იგი მართლსაწინააღმდეგოდ მოქმედებდა; მკვლელობა შეიძლება ჩადენილი იქნეს აუცილებელი მოგერიების მდგომარეობაში ან ბრძოლის ველზე. ამის შემდეგ მოხამართლე უნდა შეუდგეს ქმედების მართლსაწინააღმდეგობისა და პირის ბრალის დადგენას. სქემატურად ე. ბელინგის თვალსაზრისი დანაშაულის ცნების შესახებ შეიძლება ასე გამოვხატოთ: დანაშაულის ცნება-ბუნებრივი მოქმედება + ობიექტურ-დესკრიფციული (აღწერილობითი) დანაშაულის შემადგენლობა + ობიექტურ-ნორმატიული მართლსაწინააღმდეგობა + სუბიექტურ-დესკრიფციული (აღწერილობითი) ბრალი.

ამრიგად, ე. ბელინგს დანაშაულის შემადგენლობა ისევე ჰქონდა გააზრებული, როგორც იერინგს სამოქალაქო სამართალდარღვევა, ე. ი. ბრალის გარეშე.

მართალია, სიტყვა გამოიყიანურდა, მაგრამ საკითხი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ, ვფიქრობ, ღირს მასზე მსჯელობის გაგრძელება.

ე. ბელინგი და მისი მიმდევრები სწორი იყვნენ, როდესაც მართლსაწინააღმდეგობა დანაშაულის შემადგენლობაში არ მოაქციეს. შევცდები ამ მოსაზრების დასაბუთებას.

სისხლისსამართლებრივი ნორმა, ისე როგორც საზოგადოდ სამართლებრივი ნორმა, შეფასებითი მსჯელობაა. ნორმის საფუძველზე ხდება ქცევის მართლსაწინააღმდეგობის შეფასება. მაგრამ ეს სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ სისხლისსამართლებრივი ნორმა არ შეიცავდეს აღწერილობით მომენტს, თუმცა მასში მთავარია შეფასება, მოთხოვნა, ბრძანება, რომ აზრი უფრო ნათელი გავხადოთ, კონკრეტულ მაგალითს მოვიშველიებ: ქურდობა კანონში განსაზღვრულია როგორც სხვისი ქონების ფარული ვატაცება. მაშასადამე, მასში აღწერილია ქურდობის შემადგენლობა. რაც შეეხება ქურდობის აკრძალვას (შეფასებას), ეს მასში თავისთავად იგულისხმება. ამ თვალსაზრისით ქურდობის ნორმა შეიძლება ასე ჩამოყალიბებულიყო: ქურდობა აკრძალულია. ის, ვინც ჩაიდენს ქურდობას, ე. ი. ვინც ფარულად ვატაცებს სხვის ქონებას, ისჯება... თუ კანონი ასეთ ფორმულას არ შეიცავს, ეს აიხსნება საკანონმდებლო ექსპონატიის თვალსაზრისით.

მაშასადამე, პირის ქმედებაში დანაშაულის შემადგენლობის არსებობა (აღწერილობითი ნიშანი) გულისხმობს მართლსაწინააღმდეგობის (შეფასებითი ნიშანი) არსებობას, ეს კი იმას ნიშნავს, რომ დანაშაული არის კანონით გათვალისწინებული, მართლსაწინააღმდეგო ქმედება.

6 Beling E., Die lehre vom Verbrechen, 1906, გვ. 7.

დანაშაულის შემადგენლობა შეფასების საფუძველია, ხოლო შეფასებას შეიცავს თავად ნორმის დისპოზიცია (ამით გვინდა ვავემოქნეთ ე. ბელინგს, რომელიც მართლწინააღმდეგობის დასაგენად საერთოდ მართლწინააღმდეგობის იშველიებდა).


ასეა რატომ არ შეიძლება შემადგენლობიდან ბრალის გატანა. არ შეიძლება იმით, რომ დანაშაულის შემადგენლობა არ ნიშნავს მხოლოდ სისხლის სამართლის განსაკუთრებული ნაწილის მუხლით გათვალისწინებულ ქმედებას. დანაშაულის შემადგენლობის ნიშნების დასადგენად უნდა მივმართოთ სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილსაც, ზოგად ნაწილში კი მითითებულია ბრალსა და მის ფორმებზე, დანაშაულზე, როგორც საზოგადოებრივ საშიშ ქმედებაზე, განაშინაწილებაზე, დანაშაულის განვითარების სტადიებზე და ა. შ.

ამრიგად, როდესაც დანაშაულის ცნების განსაზღვრებისას მიუთითებენ ქმედების სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულზე, აქ იგულისხმება არა მარტო კერძო ნაწილის, არამედ ზოგადი ნაწილის ნორმებიც. თუ ამ თვალსაზრისით განვიხილავთ დანაშაულის ცნებას, მაშინ აღმოჩნდება, რომ დანაშაულის ცნება არაა სამი, არამედ ორი ნიშნისაგან შედგება: კანონისმიერი დანაშაულის შემადგენლობა და მართლწინააღმდეგობა.

ო. გამყრელიძე დანაშაულის ცნების განხილვის შემდეგ განსაზღვრავს თავად სისხლის სამართლებრივი უმართლობის ცნებას: „სისხლის სამართლებრივი უმართლობა არის ისეთი მართლსაწინააღმდეგო მოქმედება, რომელიც აღწერილია სისხლის სამართლის კანონით, მაშასადამე, სისხლის სამართლებრივი უმართლობა მოიცავს ორ ნიშანს დანაშაულისას. ესენია: 1. დანაშაულის შემადგენლობა და 2. მართლწინააღმდეგობა (საზოგადოებრივი საშიშროება). თუკი ამ ორ ნიშანს მივუმატებთ მესამეს, კერძოდ, ბრალს, მივიღებთ დანაშაულის ცნებას. ერთი სიტყვით, დანაშაულის ცნება არის სისხლის სამართლებრივი უმართლობის ცნებას მიმატებული ბრალი“ (გვ. 188-187). თუ ჩვენს შენიშვნას ვავითვალისწინებთ, ე. ი. თუ ვავითვალისწინებთ იმას, რომ დანაშაულის შემადგენლობა მოიცავს ბრალს, მაშინ სისხლის სამართლებრივი უმართლობის ცნების განსაზღვრება შეიძლება ასე დავაზუსტოთ: სისხლის სამართლებრივი უმართლობა არის კანონისმიერი დანაშაულის შემადგენლობის ობიექტური მხარით მოცული მართლსაწინააღმდეგო მოქმედება.

ო. გამყრელიძე პირველად ჩვენს ლიტერატურაში დაწვრილებით განიხილავს უმართლობის სუბიექტურ პრობლემას გერმანელ კრიმინალისტთა გამოკვლევებში. როგორც ცნობილია სისხლის სამართლის კლასიკურ სისტემას ანუ დანაშაულის ცნების კლასიკურ განსაზღვრებას საფუძვლად უდევს მოქმედება, როგორც გვაროვნული ნიშანი, რომელსაც უკავშირდება „შემადგენლობისადმი შესაბამისობა“, „მართლწინააღმდეგობა“ და „ბრალეულობა“ როგორც სახეობრივი ნიშნები (ლიხტი, ბელინგ). შემდგომში არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა იმასაც, რომ წმინდა ობიექტურ მართლწინააღმდეგობასა და სუბიექტურად განსაზღვრული ბრალის ნიშანს შორის დაირღვა წონასწორობა, როცა აღმოჩენილი იქნა ე. წ. უმართლობის სუბიექტური ელემენტები. (ველცელი, შ. მაიერი, ე. მეცგერი). უმართლობის სუბიექტური ელემენტებთან დაკავშირებით ო. გამყრელიძე განიხილავს პერსონალური უმართლობის მოძღვრებას (პ. ველცელი), რომლის მიხედვითაც ყოველგვარი სუბიექტური მომენტი, სახელდობრ, განზრახვა და გაუფრთხილებლობა, რომლებიც ტრადიციული გაგებით ბრალის ფორმებად იყო მიჩნეული, მოქმედების ცნებას მიეკუთვნება.

ნაშრომი შეიცავს უმართლობის სუბიექტური ელემენტების მოშველიებით თანამონაწილეთა უმართლობის ერთიანობის დასაბუთების საინტერესო გადაწყვეტას. ო. გამყრელიძე მიუღებლად მიაჩნია თვალსაზრისი, თითქოსდა უმართლობაზე, როგორც ობიექტურ კატეგორიაზე, არავითარ ზეგავლენას არ ახდენდეს სუბიექტური ელემენტები, ამ თეზისის დასამტყიცებლად, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელი გახდა უმართლობის სუბიექტური ელემენტებისა და ბრალის ერთმანეთისაგან გამიჯვნა. უმართლობა ობიექტური კატეგორიაა, ხოლო ბრალი პერსონალურ კატეგორიას წარმოადგენს. ავტორის მიხედვით, საჭიროა გაიმიჯნოს მიწანი, როგორც უმართლობის დამაფუძნებელი სუბიექტური ელემენტი და განზრახვა, როგორც ბრალის ფორმა. „განზრახვა, როგორც ბრალის ფორმა, უფრო ფართო ცნებაა. მასში შედის არა მარტო უმართლობის დამაფუძნებელი მიწანი, არამედ სხვა მიწნები და მოტივები, განწყობის ნიშნები და ა. შ. მაშასადამე, უმართლობის დამაფუძნებელი მიწანი არის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი განზრახვისა. მაგრამ ეს მიწანი თუ, ერთი მხრივ: უმართლობას აფუძნებს, მეორე მხრივ, იგი ბრალის ელემენტიც იქნება“ (გვ. 170). მიწანი, ავტორის შეხედულებით, უკვე შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა, უმართლობის დამაფუძნებელი ელემენტია. მისი ობიექტური საზომია. ეს საზომი საერთოა უკვლახთვის, მიუხედავად მათი პერსონალური შესაძლებლობისა. მიწანი უცვლელი სიდიდეა და იგი არ შეიცვლება დამნაშავის პიროვნული შესაძ



ლებლობის მიხედვით. მაგალითად, სხვისი სიცოცხლის მოსპობის მიზნის მოცულობა ვერ შეიცვლება იმით, რომ კაცი მკვლელობას აუქტურ მდგომარეობაში ან სრული სიმშვიდის მარობაში სჩადის.


სწორედ სუბიექტურ სფეროში არსებული ეს ობიექტური ნიშანი მიაჩნია ო. გამყრელიძეს თანამონაწილეთა უმართლობის ერთიანობის განმსაზღვრელ ნიშნად. „უმართლობის სუბიექტური ელემენტი, რომელიც საერთო უნდა იყოს ყველა თანამონაწილისათვის, არის მიზანი, მიზანი ობიექტურ მნიშვნელობას იძენს მხოლოდ მაშინ, როცა დელიქტი ჩადენილია პირდაპირი განზრახვით“ (გვ. 178-179). აქედან ავტორი ლოგიკურად დაასკვნის, რომ თანამონაწილეთა მოქმედებები გაერთიანებულია ერთ უმართლობად როგორც ობიექტურ (მიზეზობრიობა), ისე სუბიექტურ სფეროში (უმართლობის სუბიექტური ელემენტი). თუ წამქეზების მიზანი არ ემთხვევა ამსრულებლის მიზანს, მაშინ აღარ გვექნება თანამონაწილეობა და თითოეული დამოუკიდებელი დანაშაულის ამსრულებლობად ჩაითვლება.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ო. გამყრელიძემ უმართლობის ცნების სუბიექტური ელემენტების მოშველიებით განავითარა საინტერესო თეორია, რომლის მიხედვითაც თანამონაწილეობის დასჯადობის საფუძველია უმართლობა. უმართლობა კი მიზეზობრიობასთან ერთად ერთიან გამიზვნას გულისხმობს. რასაკვირველია, ამ მიმართულებით ბევრი რამ შეიძლება დაუშუბდეს, დაკონკრეტდეს, უფრო მკვეთრად გაიმიჯნოს სუბიექტური ელემენტები და ბრალი, მაგრამ ერთი რამ უყოყმანოდ შეიძლება ითქვას: სარტცენზიო ნაშრომში დასახულია საფუძველი, რომელზე დაყრდნობით შეიძლება საერთოდ უმართლობის პრობლემის ბუნებისა და ნაწილებისებების საბოლოოდ გარკვევა.

\* \* \*

სარტცენზიო ნაშრომთან დაკავშირებით მიზანშეწონილად მიმაჩნია ერთი ასეთი მოსაზრება გამოვთქვა: თანამონაწილეობის პრობლემა იმთავითვე მოექცა პროფ. თ. წერეთლის მეცნიერული ინტერესების სფეროში. ამას ადასტურებს მისი საკანდიდატო დისერტაცია, გახმაურებული გამოკვლევა მიზეზობრიობის შესახებ, მონოგრაფია თანამონაწილეობის შესახებ და სხვ. ამ პრობლემის სხვადასხვა ასპექტებია გაშუქებული ო. გამყრელიძის ორ მონოგრაფიაში. ყველაფერი ეს საფუძველს იძლევა შევუდგეთ თანამონაწილეობის ფორმების მეცნიერულ კვლევას. საქმე ისაა, რომ მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში ეს ფორმები საერთოდ არ არის განსაზღვრული. არადა, ეს აუცილებელია, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ საგამომიბო და სასამართლო პრაქტიკას მეტად უძნელებდა ორგანიზებული დანაშაულის სწორი იურიდიული შეფასება. იურიდიულ ლიტერატურაში ამ მიმართებით სულ სხვადასხვა წინადადება წამოყენებული. ერთნი მოითხოვენ, მაგალითად, სისხლის სამართლის ზოგად ნაწილში მარტივი, რთული თანამონაწილეობის, ორგანიზებული ქვლევის, დანაშაულებრივი ერთობის ცნებათა განსაზღვრებას. ავტორთა მეორე ნაწილის აზრით, სისხლის სამართლის კოდექსის განსაკუთრებულ ნაწილში ცალკე დანაშაულის შემადგენლობად უნდა გამოიყოს ანგარების მიზნით შექმნილი დანაშაულებრივი ორგანიზაცია (მსგავსად ანტისახელმწიფოებრივი ორგანიზაციისა და ბანდიტიზმისა) და ა. შ.

ასეთ ვთარებაში თანამონაწილეობის ფორმების კრიმინოლოგიური და დოგმატური გამოკვლევა და შესახამისი რეკომენდაციების მომზადება ახალი სისხლის სამართლის კოდექსისათვის ქართველ კრიმინალისტთა საშუაარს საქმედ მიგვაჩნია.



### ვახტანგ სიღამონიძე

მძიმე და ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საქართველოს რესპუბლიკის ადვოკატთა კოლეგიის უზუცესი წევრი, მცხეთის რაიონის იურიდიული კონსულტაციის ადვოკატი ვახტანგ ალექსანდრეს ძე სიღამონიძე.

დაიბადა 1912 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ დიდხანს მუშაობდა პროკურატურის ორგანოებში. დაიწყო იმით, რომ იყო პროკურატურის სახალხო გამომძიებელი, შემდეგ პროკურატორის თანაშემწე, ხოლო 1939 წლიდან უკვე თბილისის ჩუღურეთის რაიონის პროკურატორია. 1942 წელს იგი გადაიყვანეს საქართველოს პროკურატურაში საგამომძიებო განყოფილების პროკურატორად, საიდანაც გორის რაიონში გაიგზავნა პროკურატორად.

1948 წლიდან ვ. სიღამონიძე საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის წევრია და მოღვაწეობს ჯერ თბილისის ჩუღურეთის რაიონში, ხოლო შემდეგ სიცოცხლის ბოლომდე, მცხეთის რაიონის იურიდიულ კონსულტაციაში, როგორც რესპუბლიკის სახელოვანი და მაღალკვალი ფიციური ადვოკატი 1952-1960 წლებში არჩეული იყო ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმის წევრად.

ფართო იყო ვახტანგ სიღამონიძის მოღვაწეობის ასპარეზი, მისი გამოსვლები სასამართლოებში, მისი დაცვითი სიტყვები ყოველთვის გამოირჩეოდა დამაჭრებელი არგუმენტებით, რომლებიც ასევე განმტკიცებულ იყო იურიდიულად, მეცნიერულად, ამიტომაცაა, რომ სიღამონიძის მიერ წარმოთქმული ერთ-ერთი დაცვითი სიტყვა შეტანილიც არის 1968 წელს გამოცემულ „ქართველ ადვოკატთა სიტყვების კრებულში“.

მართოდენ ადვოკატობა არ იყო ვახტანგ სიღამონიძის მოწოდება, იგი ინტენსიურად მუშაობდა აგრეთვე ისტორიის, ლიტერატურის, ხელოვნების და ხალხური სიტყვიერების საკითხებზე. მას არაერთი საგაზეთო და საჟურნალო წერილი აქვს დაწერილი და გამოქვეყნებული, რომლებმაც ფართო მკითხველთა მოწონება და აღიარება მოიპოვეს. აღსანიშნავია, რომ იგი 500-მდე წერილის, 40-მდე შრომის და რამდენიმე წიგნის ავტორია, მან პირველმა დაწერა ისეთი შრომები, როგორცაა „არაბ-ქართველთა ხელშეკრულება და მისი მნიშვნელობა VII საუკუნის ქართული იურიდიული აზროვნების ისტორიისათვის“, „ვინ იყო გაბრიელ მაიორი?“ „ქართული ასპარეზობათა ქრონიკები“, „ქართული სასამართლო მწვერვლები“ და ა. შ. მან არც საქართველოს ადვოკატურის ისტორია დაივიწყა და ბევრ ღვაწლშობილ ადვოკატს მიუძღვნა წერილი. XIX საუკუნის ცნობილი ქართველი ადვოკატების — ლუარსაბ ლოლუასა და მოსე ქიქოძის ცხოვრება-მოღვაწეობაზე საინტერესო წერილები გამოაქვეყნა უურნალ „საბჭოთა სამართალი“. ამ პუბლიკაციებისათვის მან უურნალის მიერ გამოცხადებულ კონკურსშიც გაიმარჯვა და პირველი პრემია დაიმსახურა.

ვახტანგ სიღამონიძე საქართველოს უურნალისტთა კავშირის წევრი, აღიარებული პუბლიცისტი, მკვლევარი და იურისტი იყო. მაღალკვალი ფიციურ სპეციალისტს გამოაჩვენებდა საქმისადმი კეთილხინდისიერებით, თავაზიანობით, დიდი პასუხისმგებლობით, განსაკუთრებით თვალშისაცემი კი მისი ყოფა და ცხოვრება იყო, შეგახვდებოდათ ქართული წინეჩვეულებების სრული დაცვით და მოგზიბნოვადათ დინჯი, დამაჭრებელი საუბრით, ნამდვილი ქართული სიდაბნისლით.

დიახ, ღრმად ერუდირებული სპეციალისტი და მეგობარი გამოაკლდათ ბატონ ვახტანგ სიღამონიძის სახით ქართველ იურისტებს, მისი ნათელი ხსოვნა დიდხანს დარჩება კოლეგების, თანამშრომლების და მაღლიერი მკითხველების გულებში.

საპარტამენტოს იურისტთა დამოუკიდებელი კავშირი,  
საქართველოს ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი.



© „სამართალი“, 1991 წ.

---

რედაქციის მისამართი: 880110, თბილისი, ლავით ალექსანდრის ქა. 108,  
ტელ.: 95-88-49, 95-58-87

---

გადაეცა წარმოებას 22.03.91 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 13.06.91 წ.  
ფორმატი 70×108<sup>1/16</sup>, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 7,  
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6,5. შეკვ. 628. ტირაჟი 10.000.

---

საქართველოს ყურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს“ სტამბა,  
380009, თბილისი, შ. კოსტავას, 14.

«САМАРТАЛИ» («ПРАВО») (на грузинском языке). Ежемесячный научно-практиче-  
ский журнал Союза юристов Республики Грузия.

---

Адрес редакции: Тбилиси, пр. Давида Агмашенебели, 103, тел.: 95-88-49; 95-58-87.

---

Типография журнально-газетного издательства Грузии «Самшобло»,  
380009, Тбилиси, ул. М. Костава, 14.

ფანის № 815.  
ინდექსი 76185



6127/92